



ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

რუსეთის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური განზომილებები:

ევრაზიონიზმის აღზევება და ინსტრუმენტალიზაცია

ვ. პუტინის მმართველობის პერიოდში

**(The Ideological Lenses of the Russian Federation's Foreign Policy:  
raise of Eurasianism, and its Instrumentalization under V. Putin)**

ავტორი: თენგიზ ფხალაძე

სპეციალობა: პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ბაკურ კვაშილავა

თბილისი, 2025

## ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

წარმოდგენილი დისერტაცია იკვლევს რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიურ საფუძვლებს და ფოკუსირებულია ვ. პუტინის პერიოდში რუსოცენტრული იდეოლოგიების, განსაკუთრებით კი ევრაზიონიზმის აღზევებასა და ინსტრუმენტალიზაციაზე. კვლევა ეხება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ფუნდამენტურ კითხვას, თუ რა ზეგავლენა აქვს იდეოლოგიას სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ქცევისა და სტრატეგიული ორიენტაციის განსაზღვრაში. რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ევრაზიონიზმის ინტელექტუალურ-პოლიტიკური ევოლუციისა და მისი ოპერაციონალიზაციის შესწავლით კვლევა ხელს უწყობს იდეებისა და იდენტობის როლის გარკვევას გლობალურ პოლიტიკაში.

კვლევის ცენტრალური ჰიპოთეზა ამტკიცებს, რომ რუსოცენტრული იდეოლოგიები, განსაკუთრებით ევრაზიონიზმი, ქმნის ინტეგრირებულ და თანმიმდევრულ იდეოლოგიურ საფუძველს რუსეთის საგარეო პოლიტიკისთვის, რაც სტრატეგიულად იქნა ინსტრუმენტალიზებული პუტინის დროს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ნარატივების შექმნისა და ქმედებათა ლეგიტიმაციისთვის. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად დისერტაცია იყენებს კონსტრუქტივისტულ და კრიტიკულ-გეოპოლიტიკურ ჩარჩოს, რომელიც იდეოლოგიას განიხილავს არა როგორც სტატიკურ შეხედულებათა სისტემას, არამედ როგორც ძალაუფლებისა და პოლიტიკური კონტენტის შექმნის დინამიურ ინსტრუმენტს. მეთოდოლოგიური მიდგომა აერთიანებს ოფიციალური დოკუმენტების, გამოსვლებისა და დოქტრინების დისკურსის ანალიზსა და ისტორიულ ანალიზს, ასევე შემთხვევათა შესწავლას (Case Study), რაც, ერთიანობაში, საშუალებას იძლევა ჩატარდეს მრავალდონიანი კვლევა იდეების ინტელექტუალური რეპროდუქციიდან მათ პოლიტიკურ იმპლემენტაციამდე ტრაექტორიისა და მექანიზმის გამოსავლენად.

ისტორიულ კონტექსტში კვლევა აკვირდება რუსოცენტრული აზროვნების მემკვიდრეობითობას და ევოლუციას სლავიზმისა და პანსლავიზმიდან თანამედროვე

ევრაზიონიზმამდე. აღნიშნული წარმოაჩენს, რომ რუსეთის ცივილიზაციური თვითშეგნება ეფუძნება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ რწმენას მისი ცივილიზაციური უნიკალურობისა და მისიის შესახებ. კვლევა აჩვენებს, როგორ განაპირობებს იდენტობის ნარატივები საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას. ემპირიულად დისერტაცია იკვლევს, როგორ იქნა ინტეგრირებული ევრაზიონიზმის პრინციპები რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ დოქტრინებსა და პოლიტიკური ელიტის დისკურსში.

ისეთი შემთხვევების ანალიზის საფუძველზე, როგორებიცაა რუსეთის სამხედრო აგრესია საქართველოში (2008), ყირიმის ანექსია (2014) და უკრაინაში ფართომასშტაბიანი ინტერვენცია (2022), ასევე ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შექმნა, ნაშრომი ავლენს, თუ როგორ იქნა მობილიზებული ცივილიზაციური რიტორიკა ინტერვენციონიზმის, ტერიტორიული რევიზიონიზმის, იმპერიული რევანშიზმის გასამართლებლად ისტორიული სამართლიანობის აღდგენისა, ცივილიზაციური უნიკალურობისა და „რუსული სამყაროს“ დაცვის საბაზით.

დისერტაცია წარმოაჩენს, რომ კრემლის საგარეო პოლიტიკა არ არის მხოლოდ რეაქტიული ან ოპორტუნისტული, არამედ დაფუძნებულია თანმიმდევრულ იდეოლოგიურ პროექტზე, რომელიც აერთიანებს გეოპოლიტიკას ცივილიზაციურ იდენტობასთან.

# შინაარსი

შესავალი.....	1
თემის აქტუალურობა და სამეცნიერო სიახლე .....	4
კვლევის მიზანი და ამოცანები: .....	9
საკვლევი კითხვები.....	10
ჰიპოთეზა.....	10
წყაროებისა და მონაცემების შერჩევა .....	18
თავი I: რუსეთის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძვლების თეორიულ - ისტორიული ჩარჩო: არჩევანი სლავიზმსა და მედასავლეთეობას შორის.....	20
1.1. იდეოლოგიის როლი საგარეო პოლიტიკაში - რუსეთის ფედერაცია სტრატეგიული იდეოლოგიის ძიებაში .....	20
1.2. რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძვლების ფორმირება - სლავიზმი და პანსლავიზმი .....	26
1.3. მედასავლეთეობისა და სლავოფილების პაექრობა, მედასავლეთეობის კრაზი და პანსლავიზმის აღზევება.....	39
თავი II: ევრაზიულობა - ერთიანი გეოზონები, ისტორიული და სოციალურ-კულტურული სამყაროს იდეა .....	52
2.1. ევრაზიულობის იდეური საფუძვლები და თავისებურებები .....	52
2.2. ევრაზიული იდეის თანამედროვე ხედვები და ნეოევრაზიულობა .....	63
თავი III: რუსოცენტრული იდეების ფორმალიზება და ინსტრუმენტალიზაცია რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკაში .....	76
3.1 საგარეო პოლიტიკის კონცეფციები: მულტიპოლარობიდან „სახელმწიფო-ცივილიზაციამდე“ .....	77
3.2 საგარეო და უსაფრთხოების სფეროს სხვა სტრატეგიული დოკუმენტების ტრანსფორმაცია.....	80
3.3 ევრაზიონიზმის ძირითადი იდეები რუსეთის ფედერაციის ოფიციალურ საგარეო პოლიტიკაში .....	89
3.4 მართლმადიდებლობის და ეკლესიის ინსტრუმენტალიზაცია .....	117
თავი IV: ევრაზიონიზმის და რუსოცენტრული იდეოლოგიების პრაქტიკულ საგარეო პოლიტიკაში იმპლემენტაციის მაგალითები .....	123
4.1 რუსეთის სამხედრო აგრესია საქართველოში (2008 წ.).....	123
4.2 უკრაინა: რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია (2014წ.) და ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია (2022).....	134

4.3 ევრაზიული ეკონომიკური კავშირი .....	144
თავი V: ემპირიული კვლევა -ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუები ექსპერტებთან .....	152
ინტერვიუ A1 .....	152
ინტერვიუ A2 .....	172
ინტერვიუ A3 .....	194
დასკვნა .....	218
გამოყენებული ლიტერატურა.....	226

## შესავალი

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა სამეცნიერო შესწავლისა და დებატების ერთ-ერთ აქტუალურ თემაა. როგორც წესი, იგი ყველაზე ხშირად ე.წ რეალ-პოლიტიკის და რაციონალურობის პრიზმით განიხილება. სამეცნიერო-აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში დომინირებს მოსაზრება, რომ რუსეთის ქმედებები საერთაშორისო არენაზე წარმოადგენს პრაგმატული მოსაზრებებით ნაკარნახევ რეაგირებას გარე საფრთხეებზე, გეოპოლიტიკურ ცვლილებებსა და დასავლური გავლენის ზრდაზე. მართალია, აღნიშნული ხედვები აკადემიური და ანალიტიკური პერსპექტივით საკმაოდ ძლიერია, მაგრამ ისინი არ ითვალისწინებს იმ იდეურ შემადგენელს, რომელიც განსაზღვრავს რუსეთის ხედვას როგორც საკუთარი თავისა და საერთაშორისო სისტემაში საკუთარი როლის მიმართ, ასევე დამოკიდებულებას მეზობელი ქვეყნებისადმი. წინამდებარე ნაშრომი ასაბუთებს, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა არ არის მხოლოდ რაციონალური არჩევანის შედეგი, მას აქვს ძლიერი იდეოლოგიური ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს მის საერთაშორისო ამბიციებს და განაპირობებს ქმედებებს.

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიის პრიზმაში გაანალიზებით, წინამდებარე ნაშრომი ცდილობს გამოავლინოს პოლიტიკური იდეების ძირითადი დისკურსის ლოგიკა, ისტორიული თანამიმდევრობა, მათი ინსტრუმენტალიზაცია და სტრატეგიული გამოყენება რუსეთის სახელმწიფოს მიერ. ნაშრომი ამტკიცებს, რომ მსოფლიო ასპარეზზე რუსეთის ფედერაციის ქმედებების სრულფასოვნად გასააზრებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის იდეოლოგიური მდგენელი, რომლის მეშვეობითაც ხდება ამ ქმედებების ინსპირაცია, დაგეგმარება და რეალიზება.

ზოგადად იდეოლოგია ყოველთვის იყო ანგარიშგასაწევი ფაქტორი პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში. იდეოლოგია ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი

გარემოებაა, რაც განსაზღვრავს სახელმწიფოს ქმედებებს. საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში არაერთი გადაწყვეტილება იქნა განპირობებული ან განმარტებული იდეოლოგიური პოსტულატებით. აღნიშნული შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოებს, მოახდინონ საკუთარი ქმედებების რაციონალიზაცია და განუმარტონ ამა თუ იმ ქმედების მოტივაცია როგორც შიდა, ისე უცხოურ აუდიტორიას.

პოლიტიკის მეცნიერებებში ტერმინი “იდეოლოგია” ძირითადად იმ პოლიტიკური იდეების, შეხედულებების და ღირებულებების მეტ-ნაკლები თანამიმდევრულ ერთობლიობის აღსანიშნავად გამოიყენება, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკური სამყაროს აღქმას და სტიმულს აძლევს პოლიტიკურ ქცევას (Heywood, 2017, p. 6). იდეოლოგიები ქმნის ჯგუფურ იდენტობას, ლეგიტიმაციას აძლევს ან ეჭვქვეშ აყენებს პოლიტიკურ ავტორიტეტს. თუმცა, იდეოლოგიის მნიშვნელობა და როლი განსხვავებულად აღიქმება სხვადასხვა თეორიულ მიმდინარეობაში:

1. ლიბერალიზმი იდეოლოგიას განიხილავს როგორც დემოკრატიულ საზოგადოებებში პოლიტიკური დებატების ორგანიზებისა და პლურალიზმის უზრუნველყოფის აუცილებელ ჩარჩოს. ჯონ სტიუარტ მილი ხაზს უსვამდა კონკურენტული იდეების მნიშვნელობას ცოდნისა და თავისუფლების წინსვლისთვის. ენდრიუ ჰეივუდი (2017) ანალოგიურად ხაზს უსვამს იდეოლოგიის კონსტრუქციულ როლს ლიბერალურ დემოკრატიებში მრავალფეროვანი პოლიტიკური ინტერესების წარმოჩენაში (გვ. 12), ხოლო ისაია ბერლინი საუბრობდა ხისტი იდეოლოგიების ნეგატიურ გავლენაზე და აღნიშნავდა, რომ ასეთი იდეოლოგიები თრგუნავენ ინდივიდუალურ თავისუფლებებს (ბერლინი, 1969, გვ. 171).
2. რეალიზმის წარმომადგენლები, განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარები, იდეოლოგიას შედარებით სკეპტიკურად უყურებენ და მას ძალაუფლებისკენ და სიძლიერისკენ სწრაფვის კონტექსტში

მეორეხარისხოვან ფაქტორად მიიჩნევენ. ჰანს მორგენტაუ (1948) აღნიშნავს, რომ საგარეო პოლიტიკის მორალიზაცია იდეოლოგიური პრეტენზიების მეშვეობით ხშირად ფარავს ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების რეალურ მოტივებს (გვ. 9). ასეთივე პოზიცია აქვს ედუარ ჰალლეტ კარრსაც, (1939), რომელიც აკრიტიკებს ძალაუფლების პოლიტიკის შესანიღბად უტოპიური იდეალების გამოყენებას (გვ. 10).

3. მარქსისტული ზეგავლენის თეორეტიკოსები მიიჩნევენ, რომ იდეოლოგია ფუნქციონირებს როგორც სოციალური და პოლიტიკური კონტროლის მექანიზმი, რომელიც მხარს უჭერს არსებულ ძალაუფლების სტრუქტურებს. ლუი ალტუსერის (1971) კონცეპტუალიზაციის მიხედვით, იდეოლოგია არის წარმოდგენათა სისტემა, რომელიც ჩაშენებულია იმ ინსტიტუტებში, რომელთა მეშვეობით ინდივიდები ქვეცნობიერად ყალიბდებიან დომინანტური წესრიგის რეპროდუქციებისთვის (გვ. 162).
4. ისეთი კონსტრუქცივისტული მიდგომები, როგორცაა მაიკლ ფრიდენის (1996) კონცეპტუალური მორფოლოგია, უარყოფს ფიქსირებული იდეოლოგიების ცნებას და განიხილავს მათ, როგორც პოლიტიკური კონცეფციების დინამიურ კონფიგურაციებს, რომლებიც დროთა განმავლობაში ადაპტირდებიან (გვ. 54).

რუსეთის დიპლომატიური აკადემიის „ახალი დიპლომატიური ლექსიკონი“ ყურადღებას ამახვილებს, რომ ტერმინი „იდეოლოგია“ აერთიანებს შეხედულებების, აზრების, იდეების სისტემას, რომლებიც ინტეგრირებულია მსოფლიოს სურათის განსაზღვრულ ჩარჩოში და უზრუნველყოფს მისი არსის გამოხატულებას. ამასთან საგარეო პოლიტიკური იდეოლოგია ხსნის იმ იდეების და წარმოდგენების სისტემას, აგრეთვე მიზნობრივ პროპაგანდისტულ გზებს ახლო და შორეულ პერსპექტივაში, რომელზე დაყრდნობითაც მსოფლიო პოლიტიკის რომელიმე ერთი სუბიექტი იქცევა სხვა სუბიექტებთან მიმართებაში.

შესაბამისად, იდეოლოგია პოლიტიკურ მეცნიერებაში არ არის განყენებული ან სტატიკური კონცეფცია, არამედ წარმოადგენს მრავალმხრივ და სადებატო ჩარჩოს, რასაც ავტორიტარული რეჟიმები ხშირად იყენებენ საკუთარი მმართველობის თუ ქმედებების ლეგიტიმაციის, პოლიტიკური ცნობიერების მანიპულაციისა და საზოგადოების კონტროლის შესანარჩუნებლად.

აქედან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის თავისებურებებზე მსჯელობისას, აუცილებელია ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე შემუშავებული თეორიული ხედვების და კონცეფციების გაანალიზება, მათი მთავარი იდეოლოგიური ჩარჩოს გამოკვეთით და მისი დინამიკაში იმპლიმენტაციის შესაძლებლობების მეცნიერული კვლევით.

### **თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე**

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძვლების და მათი ინსტრუმენტალიზაციის კვლევის აქტუალობა განპირობებულია რიგი სამეცნიერო, ანალიტიკური, პოლიტიკური და პრაქტიკული მიზეზებით. თემა პასუხობს რუსეთის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ აკადემიურ ლიტერატურაში დღეისათვის არსებულ კრიტიკულ ხარვეზებს, უშუალოდ ეხმიანება თანამედროვე გეოპოლიტიკურ მოვლენებს და საყურადღებო მოსაზრებებს წარუდგენს რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკით დაინტერესებულ სამეცნიერ-ანალიტიკურ და პოლიტიკურ წრეებს. კერძოდ:

1. **აკადემიური აქტუალობა** - როგორც წესი, წამყვანი აკადემიური ლიტერატურა რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკას რეალიზმის თუ ნეო-რეალიზმის პერსპექტივით განიხილავს და ძირითად ყურადღებას უსაფრთხოების ხილულ პრობლემებს, რესურსებისთვის გადანაწილების და ძალთა ბალანსის პრობლემატიკას უთმობს. წონადი ანალიტიკური არგუმენტაციის და დიდი აკადემიური ღირებულების მიუხედავად ასეთი

მიდგომა ხშირად უგულვებელყოფს ან აკნინებს იმ იდეოლოგიურ ნიადაგს, რაც ზეგავლენას ახდენს რუსეთის ფედერაციის თვით-პოზიციონირებაზე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, განსაზღვრავს მის გეოპოლიტიკურ ამბიციებს და სტრატეგიულ მიზნებს. აღნიშნულისგან განსხვავებით წარმოდგენილი კვლევა ყურადღებას ამახვილებს სწორედ რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური საყრდენებზე, მათ შორის ევრაზიონიზმზე, რომელსაც მიიჩნევს რუსეთის საგარეო პოლიტიკური ქმედებების ერთ-ერთ ძირითად მსაზღვრელად. შესაბამისად კვლევა ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობებში კონსტრუქტივისტული მიდგომების განვითარებასაც. კვლევა წარმოაჩენს, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა ხორციელდება არა მხოლოდ მატერიალური მოტივაციით, არამედ იქმნება ისტორიულად ჩაბეჭდილი ნარატივებით, ცივილიზაციური პრეტენზიებითა და პოლიტიკური მითებით. ამით დისერტაცია უზრუნველყოფს მატერიალისტური პარადიგმების საგულისხმო ალტერნატივას და აძლიერებს საერთაშორისო ურთიერთობებში იდეოლოგიური ხედვებისა და წარმოდგენების როლის შესწავლის ინტერესს.

2. **გეოპოლიტიკური აქტუალობა** - კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის ფედერაციის კადნიერი პოლიტიკის, დასავლური ლიბერალიზმისადმი მზარდი დაპირისპირების, ასევე საქართველოსა (2008) და უკრაინაში (2014; 2022) განხორციელებული სამხედრო ინტერვენციების გათვალისწინებით. აღნიშნული მოვლენები ლიტერატურაში ხშირად განიმარტება, როგორც რეაქტიული ან ოპორტუნისტული, თუმცა ასეთი ინტერპრეტაციები არ ითვალისწინებს რუსული საგარეო პოლიტიკის ოფიციალურ დისკურსში ხორცმესხმულ იდეოლოგიურ კონსტრუქციებს. წინამდებარე ნაშრომი კი სწორედ მათზე ამახვილებს ყურადღებას და ევრაზიულობის ჩარჩოსა და გეოპოლიტიკურ-ცივილიზაციური ამბიციების

გამოვლენით გამოკვეთს რუსული პოლიტიკის ინტერპრეტაციის იმ განსხვავებულ რაკურსს, რომელიც ნათელყოფს კონცეპტუალურ კავშირს რუსეთის ხელისუფლების ხილულ ქმედებებსა და იმ იდეოლოგიურ ნიადაგს შორის, რომელიც ამ ქმედებებს რუსულ პოლიტიკურ წარმოსახვაში რაციონალურად და გამართლებულად წარმოაჩენს.

3. **პრაქტიკული აქტუალობა** - თემა აქტუალურია არამხოლოდ გეოპოლიტიკური, არამედ პრაქტიკური პოლიტიკის თვალსაზრისითაც. რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური პრიზმით გააზრება პოლიტიკოსებს, დიპლომატებსა და ანალიტიკოსების დაეხმარება მეტი სიღრმით და სიზუსტით აღიქვან რუსეთის ფედერაციის ოფიციალური რიტორიკა, მოახდინონ სამომავლო სტრატეგიული ქმედებების პროგნოზირება. ნაშრომში წარმოდგენილია თუ როგორ ახდენს იდეოლოგიური დისკურსი საერთაშორისო ქმედებების, მათ შორის აგრესიის, ლეგიტიმაციას. მასში ევრაზიულობა განიხილულია არამხოლოდ იდეოლოგიურ კონცეფციად, არამედ რუსეთის სახელმწიფოს მიერ საკუთარი საგარეო პოლიტიკური ქმედებების სტრატეგიული მართვისა და ლეგიტიმაციის ინსტრუმენტად. ასეთი მიდგომა წარმოაჩენს იმ ალგორითმსა და კანონზომიერებებს, რომლითაც რუსეთის ფედერაცია ახდენს ისტორიულ-პოლიტიკური ნარატივების, სასურველი ღირებულებების (თუნდაც ფასადურის) თუ სიმბოლოების ჩამოყალიბებას და ინსტრუმენტალიზაციას. შესაბამისად, ნაშრომი ხელს უწყობს ანალიტიკური ინსტრუმენტების მეტად დახვეწას რუსეთ-დასავლეთის მრავალშრიანი ურთიერთობების პრობლემატიკის და თანამედროვე მულტიპოლარულ, იდეოლოგიურად მრავალფეროვან, ცვალებად მსოფლიოში რუსეთის საგარეო პოლიტიკის სიღრმისეულად შესასწავლად.

რაც შეეხება **სამეცნიერო სიახლეს**, ნაშრომი საყურადღებოა კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური და ემპირიული თვალსაზრისით. იდეოლოგიის, როგორც საგარეო პოლიტიკის არქიტექტურის მასტრუქტურირებელი როლის და ევრაზიონიზმის, როგორც სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სტრატეგიული დისკურსის როლის გადააზრებით ნაშრომს ორიგინალური წვლილი შეაქვს რუსეთის საგარეო პოლიტიკის ინოვაციური გააზრებისა და შესწავლისათვის. კერძოდ:

**თეორიულ-კონცეპტუალური** თვალსაზრისით ნაშრომის საფუძველს წარმოადგენს იდეოლოგიური პრიზმა, რომელიც იდეოლოგიას განიხილავს, როგორც რუსეთის საგარეო პოლიტიკური ნარატივის, სტრატეგიული ქმედებების, აღქმების განმაპირობებელ კოგნიტურ ფილტრს, განსხვავებით იმ გავრცელებული მიდგომებისა, რომლებიც იდეოლოგიას რუსეთის პოლიტიკისთვის ეპიფენომენალურ ფაქტორად მიიჩნევენ. პოლიტიკური მითოლოგიის, სტრატეგიული ნარატივების და ცივილიზაციური დისკურსის ინტეგრირებით კვლევა ხელს უწყობს კონსტრუქცივიზმის თეორიის განვითარებას და ერთმანეთთან აკავშირებს საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკური თეორიისა და რუსეთის პოლიტიკურ-ინტელექტუალური აზრის ისტორიის დისციპლინებს.

**მეთოდოლოგიურ** კონტექსტში ნაშრომი იყენებს ინტერდისციპლინურ და განგრძობად (ლონგიტუდურ) კვლევას. დისკურს ანალიზის, შედარებითი ისტორიული დაკვირვების და შემთხვევის ანალიზის ( Case Study) კომბინირებით იგი წარმოაჩენს რუსოცენტრული იდეოლოგიების, მათ შორის ევრაზიონიზმის, ევოლუციას და ინტეგრირებას რუსულ საგარეო პოლიტიკაში. კვლევა მიმართავს დისკურს ანალიზს არამარტო ცალკეული ტექსტების, არამედ პოლიტიკური კომუნიკაციის მთლიანი, ინტეგრირებული სისტემისკენ, რაც მოიცავს ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტებს, პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების საჯარო გამოსვლებს, სახელმწიფოსგან კონტროლირებად მედიას. ასეთი მეთოდოლოგიური დიზაინი იძლევა დისკურსული

უწყებების, იდეოლოგიური აქცენტების ევოლუციის და საგარეო ურთიერთობების ნარატივების წინასწარ განზრახული კონსტრუქციების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.

ნაშრომი სიახლეს ემპირიული თვალსაზრისითაც. როგორც წესი, ევრაზიონიზმის შესწავლა ხორციელდება ფილოსოფიური ან კულტურული პერსპექტივით. წარმოდგენილი ნაშრომი კი ერთ-ერთი პირველია, რომელიც იკვლევს მის პირდაპირ გამოყენებას საგარეო პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაში, განსაკუთრებით ვ.პუტინის მმართველობის პერიოდში. ისეთი შემთხვევების ანალიზით, როგორცაა რუსეთის 2008 წლის სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, ყირიმის ანექსია (2014) და სამხედრო ინტერვენცია უკრაინაში (2022), ასევე ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ჩამოყალიბება, ნაშრომი ევრაზიონიზმს წარმოაჩენს როგორც ფუნქციონირებად მსოფლმხედველობას და, ასევე, პრაქტიკულ გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტს. ასეთი მიდგომა აძლიერებს არამარტო ზოგადთეორიულ არგუმენტაციას, არამედ ახლებურად წარმოაჩენს იდეოლოგიის ინსტრუმენტალიზაციას არადასავლურ/არადემოკრატიულ გარემოში, სადაც იმპერიული იდენტობა, ისტორიულ-მითოლოგიური ნარატივები, ძალაუფლების და ძლიერების სიმბოლიკა განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ქცევებსა და პოზიციონირებაში.

საბოლოო ჯამში, რუსეთის საგარეო პოლიტიკის გასაანალიზებლად იდეოლოგიისთვის, განსაკუთრებით კი ევრაზიონიზმისთვის, არსებითი როლის მინიჭებით, ნაშრომი წონადი წვლილის შემტანია რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების და იდეოლოგიების შესწავლაში. იგი კრიტიკულად ეხმაურება დარგში გაბატონებულ პარადიგმებს, აფართოებს მეთოდოლოგიურ ჰორიზონტს და ახლებური პრიზმით განიხილავს 21-ე საუკუნის

ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური სახელმწიფოს - რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკურ ქმედებებს.

**კვლევის მიზანი და ამოცანები:**

კვლევის ძირითადი მიზანია - შეისწავლოს, როგორ ფუნქციონირებს რუსოცენტრული იდეოლოგიები, განსაკუთრებით კი ევრაზიონიზმი, როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც ასევე აყალიბებს რუსეთის ფედერაციის საგარეო-პოლიტიკური ქმედებების სტრატეგიულ ლოგიკას. ნაშრომი ამასთანავე მოწოდებულია გამოიკვლიოს პუტინის რეჟიმის მიერ ამ იდეოლოგიების პრაქტიკული გამოყენება, რამაც ევრაზიონიზმი ფილოსოფიური მიმდინარეობიდან საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად გარდაქმნა.

**კვლევის ამოცანებია:**

- შეიმუშავოს რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკაში იდეოლოგიის როლის შემსაწვლელი თეორიული ჩარჩო.
- შეისწავლოს იდეოლოგიური ნარატივების ევოლუცია 1991 წლიდან, გამოავლინოს თუ როგორ ადაპტირდა გეოპოლიტიკური და ცივილიზაციური ნარატივები რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის დისკურსში.
- გააანალიზოს ევრაზიონიზმის განვითარება, პოლიტიკური ინსტიტუციონალიზაცია, მისი აღზევება და ინტეგრირება რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტებში პუტინის მმართველობის პერიოდში.
- გამოიკვლიოს, როგორ უპირისპირდება ევრაზიონიზმის (და სხვა რუსოცენტრული იდეოლოგიების) გამოყენებით რუსეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე დისკურსი ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგს, როგორ მიისწრაფვის იგი მულტიპოლარიზმისკენ დასავლეთთან

იდეოლოგიური კონფრონტაციის და ცივილიზაციური სუვერენიტეტის ადვოკატირებით.

- ემპერიული კვლევის - შემთხვევის ანალიზის საფუძველზე შეაფასოს ევრაზიონიზმის გავლენა საგარეო პოლიტიკის ძირითად გადაწყვეტილებებზე. წარმოაჩინოს, როგორ მქლავნდება იდეოლოგიური კონსტრუქციები რუსეთის სახელმწიფოს პრაქტიკულ საგარეო-პოლიტიკურ ქმედებებში.

### საკვლევი კითხვები

წარმოდგენილი თემის მთვარი საკვლევი კითხვაა: რა ზეგავლენა აქვს ევრაზიონიზმს და სხვა რუსოცენტრულ იდეოლოგიებს რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკაზე პუტინის მმართველობის პერიოდში?

კვლევის ქვეკითხვებია:

- როგორია ევრაზიულობის და სხვა რუსოცენტრული იდეოლოგიების გეოპოლიტიკური და აქსიოლოგიური ხედვები?
- როგორ იქნა ეს ხედვები ინტეგრირებული რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიასა და დისკურსში?
- როგორ გამოიყენება (ინსტრუმენტალიზდება) ეს ნარატივები რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკაში პუტინის მმართველობის პერიოდში?

### ჰიპოთეზა

წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება ვარაუდს, რომ რუსოცენტრული იდეოლოგიები - განსაკუთრებით კი ევრაზიონიზმი, გაცილებით მეტია, ვიდრე რუსეთის საგარეო პოლიტიკის მეორადი ფაქტორი, ან რიტორიკული ფასადი. აღნიშნული იდეოლოგიები ფუნქციონირებს, როგორც ფესვამჯდარი, სტრუქტურირებული მსოფლმხედველობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს რუსეთის ფედერაციის გრძელვადიან საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიაზე და, ასევე, წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს გადაწყვეტილების მიმღებთა ხელში.

კვლევის ჰიპოთეზაა: რუსოცენტრული იდეოლოგიები, განსაკუთრებით კი ევრაზიონიზმი, ქმნის რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის ინტეგრირებულ იდეოლოგიურ საფუძველს, რაც ინსტრუმენტალიზებული იქნა ვ. პუტინის მმართველობის პერიოდში რუსეთის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ფორმულირებისა და ქმედებების განხორციელებისთვის.

ნაშრომში გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ. უპირველეს ყოვლისა, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების გააზრება შეუძლებელია მისი იდეოლოგიური საფუძვლების ღრმა მეცნიერული ანალიზის გარეშე. გამოყენებული ლიტერატურის პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე რუსული პოლიტიკური იდეოლოგიური მიმდინარეობის ფუძემდებლების და მათი მიმდევრების ნაშრომები. ამ მხრივ გამორჩეულია ისეთი ავტორები როგორცაა პანსლავიზმთან ასოცირებული ნ. კარეევი, მ.პოგოდინი, ი. აქსაკოვი, მ. პოკროვსკი, მ. ბაკუნინი, ფ. ტიუტჩევი და სხვ.

რუსულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში არაერთხელ იყო მცდელობა განესხვავებინათ პანსლავიზმის „რეაქციული“ და „დემოკრატიული“ ტენდენციები. პირველ მათგანს ტრადიციულად მიეკუთვნება დეკაბრისტების, „კირილესა და მეთოდეს“ საზოგადოების წევრების და პეტრაშევცევების შეხედულებები; მეორეს - მ. ბაკუნინის სლავური იდეები, რომლის არსიც „ერთი სისხლის მქონე“ ხალხების დახმარებით ცარისტული რეჟიმის დამხობაში მდგომარეობდა და ჯ. ფრიჩის შეთავაზება „პანსლავური რევოლუციის“ რუსეთის მონაწილეობის გარეშე განხორციელების შესახებ.

მეორე ჯგუფში მოიაზრება მედასავლეთეების და ევროპეიზაციის ახალი მსოფლმხედვრობითი სისტემის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ისეთი ავტორები როგორებიცაა: ვ. შჩუკინი, ლ. რეპინი, ვ. ზვერევი, მ. პარამონოვი, ნ. კარამზინი, ი. კირეევსკი და სხვ.

ევრაზიულობაზე გავლენა იქონია ორმა ურთიერთდაპირისპირებულმა და მტრულად განწყობილმა რუსულმა მიმდინარეობამ: სლავოფილობამ და მედასავლეთეობამ. შემთხვევითი არ არის, რომ ევრაზიელების ნაშრომებში სლავოფილების - ფ. დოსტოევსკის, ნ. დანილევსკის, კ. ლეონტიევის, და მედასავლეთეების - ი. ტურგენევის, პ. ჩაადაევის, მ. კატკოვის შეხედულებებიდან ბევრი რამ გვხვდება.

მათგან უპირველესად აღსანიშნავია ლ. გუმილიოვი, რომლის ნაშრომებმა მწვავე დებატები გამოიწვია ეთნოგრაფებს, ისტორიკოსებსა და გეოგრაფებს შორის. საბჭოთა ევრაზიელებში გამოირჩეოდა ნოვგოროდელი მწერალი დიმიტრი ბალაშოვი, რომელიც აგრძელებდა კლასიკური ევრაზიელთა იდეების განვითარებას, განსაკუთრებით დასავლეთთან ურთიერთობასთან დაკავშირებით.

საინტერესოა ისეთი ავტორების ნაშრომები როგორებიც არიან ევრაზიულობის აღიარებული იდეოლოგები: ნ. ტრუბეცკოი, პ. სავიცკი, ნ. ალექსეევი, გ. ვერნადსკი, ლ. კარსავინი, ვ. ნიკიტინი, ბ. შირაევი, ვ. ივანოვი, ასევე „ევრაზიულობის“ კრიტიკოსები ა. კიზევეტერი, პ. მილიუკოვი და სხვ.

თანამედროვე ევრაზიულობის ერთ-ერთი გამოკვეთილი წარმომადგენელი ა. დუგინი ნაშრომში „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ (1997) გვთავაზობს გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების საფუძვლიან შესწავლას. წიგნი ორი ნაწილისგან შედგება: „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ და „რუსეთის გეოპოლიტიკური მომავალი“. ავტორი მიიჩნევს, რომ ცივი ომის ორი უდიდესი აქტორი ერთნაირად იბრძვის გავლენის სფეროების გაფართოებისათვის და ორივეს მუდმივი ინტერესები აქვს. რუსი ნაციონალისტის პერსპექტივიდან, დემოკრატიაც ისეთივე იდეოლოგიაა, როგორც კომუნიზმი, ამერიკელებიც ისევე იქცეოდნენ ვიეტნამში, იუგოსლავიასა და სხვა ქვეყნებში როგორც რუსები ავღანეთში, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

მრავალრიცხოვანი ფაქტობრივი მასალის გამოყენებით, ა. სტენტი თავის წიგნში „რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები XXI საუკუნეში“ (2015), დეტალურად ანალიზებს

აშშ-რუსეთის ურთიერთობებს „ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან 2016 წლამდე. ავტორი მიმოიხილავს ორ ქვეყანას შორის ინტერესთა დაპირისპირებას მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში არსებულ ისეთ პრობლემურ საკითხებთან მიმართებით, როგორცაა, ტერორიზმი, ახლო აღმოსავლეთი, ისლამური სამყარო, კიბერუსაფრთხოება, სარაკეტო თავდაცვა და სხვ. სტენტის ნაშრომი ჩვენთვის ღირებულია, ვინაიდან მასში დეტალურად გადმოცემულია აშშ-რუსეთის ურთიერთობათა სპეციფიკა რეალიზმის თეორიის ჭრილში.

გერმან ბურდინის ნაშრომი „რუსეთის პოლიტიკური იმიჯი და „რბილი ძალა“ გვეხმარება უკეთ გავიგოთ, თუ როგორ იყენებს რუსეთი რბილ ძალას, რათა გააძლიეროს თავისი გეოპოლიტიკური პოზიციები და გააუმჯობესოს თავისი საერთაშორისო იმიჯი.

ვიაჩესლავ ნიკონოვის „რუსული სამყაროს არსი და ღირებულებები“ არის მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც აღწერს „რუსული სამყაროს“ კონცეფციას და მის ძირითად ფასეულობებს. იგი დეტალურად განიხილავს, თუ როგორ ხედავს რუსეთს და მის კულტურულ და გეოპოლიტიკურ როლს მსოფლიო პოლიტიკაში. ეს კონცეფცია მოიცავს ისტორიულ, კულტურულ და რელიგიურ საკითხებს, რომლებიც განსაზღვრავენ რუსული იდენტობას. ნაშრომში ნიკონოვი ხაზს უსვამს რუსეთის როლს და მისიას მსოფლიო პოლიტიკაში. მისი აზრით, რუსეთმა უნდა იყოს მთავარი გეოპოლიტიკური ძალა, რომელიც იცავს და ავრცელებს რუსულ ფასეულობებს. მისი აზრით მნიშვნელოვანია, რომ რუსეთმა გააძლიეროს გავლენა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და სხვა რეგიონებში.

მალხაზ მაცაბერიძე (2019) ნაშრომში „რუსული ევრაზიელობის გეოპოლიტიკური კონცეფცია“ განიხილავს კლასიკური ევრაზიონიზმის ძირითად იდეებს და აღნიშნული მიმდინარეობის ფუძემდებლების გეოპოლიტიკურ ხედვას

რუსული სახელმწიფოსა და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მისი ადგილის შესახებ.

თორნიკე შარაშენიძე თავის „საქართველოს ადგილი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში“ იხილავს რუსეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს ტრადიციულ ინტერესებს და იმპერიული გაფართოების ფაქტორებს, აგრეთვე, საქართველოს ადგილს მის საგარეო პოლიტიკაში.

ელენე ფანჩულიძე (2017) ნაშრომში „რბილი ძალა რუსულად: პროპაგანდის დაბალანსების პოლიტიკა“ გამოწვევები და საფრთხეები;“ ანალიზებს რუსეთის მიერ რბილი ძალის (soft power) გამოყენებას და აღწერს, თუ როგორ ახორციელებს რუსეთი თავის სტრატეგიებს და გავლენას პოსტსაბჭოთა სივრცეში და სხვა რეგიონებში.

გიორგი ბადრიძე (2021) ნაშრომში „რუსეთის საგარეო პოლიტიკის მამოძრავებელი ფაქტორები“ განიხილავს რუსეთის პოლიტიკური სისტემის და მისი საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ ასპექტს, რომელიც დასავლურ დემოკრატიებში ზოგჯერ მცდარად ესმით, რასაც რუსეთის მეზობლებისა და თავად დასავლეთისთვის მნიშვნელოვანი გართულებები მოუტანია.

კრებულში „საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, დისკურსების და ნარატივების როლი“ შევიდა ავტორების: შტეფან მაისტერის, ოთარ კობახიძის, ანდრეი მაკარიჩევის და ალექსანდრე იაციკის სტატიები. ოთარ კობახიძე განიხილავს ნარატივებს რუსეთის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (2003-2012) და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროს.

იგივე კრებულში, საქართველოს შესახებ არსებული რუსული დისკურსის განხილვისას, ანდრეი მაკარიჩევი გამოყოფს პერსპექტივებს, რომლებიც ერთმანეთს ამყარებენ და, ამავდროულად, ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიან. პირველ რიგში ეს არის გეოპოლიტიკური და ბიოპოლიტიკური ნარატივები.

ზურაბ დავითაშვილი (2015) პუბლიკაციაში „საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა: დაპირისპირების მიზეზები“ იხილავს ქართულ-რუსული ურთიერთობების პოლიტიურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სულიერ ასპექტებს და არსებულ პრობლემებს.

ვასილ მირაქიშვილის (2024) ნაშრომში „რუსეთის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძვლები“ განხილულია რუსეთის საგარეო პოლიტიკურ ქცევაზე იმ იდეოლოგიური და კულტურული თავისებურებების გავლენა, რომლებიც წარმოადგენენ რუსული ფართო საზოგადოების ძირითად მახასიათებლებს და რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რუსული იმპერიის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე ჩამოყალიბდა ხელისუფლებაში მყოფი ძალების მიერ.

კრებულში „რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში“ (2012), რომელიც ეკუთვნის ავტორთა ჯგუფს - თ.ფხალაძე, თ. შარაშენიძე, გ.ვოლსკი, თ.ქარუხნიშვილი, მ. ცაცანაშვილი, გ. გვიმრაძე, ნ. ბაჩიაშვილი, ნ. დევდარიანი, განხილულია რუსული „რბილი ძალის“ კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში. „უხეში ძალის“ თეორიისაგან განსხვავებით, რომელიც იძულებისა და ზეწოლის ბერკეტებს იყენებს, „რბილი ძალა“ სასურველი მიზნის მისაღწევად თანამშრომლობის და მიმზიდველობის მექანიზმებს ეფუძნება და ინტელექტუალურ რესურსებს ანიჭებს უპირატესობას. კლასიკური Soft Power სამი კომპონენტისგან შედგება: ღირებულებები, კულტურა და დიპლომატია. ვლადიმერ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შეიქმნა „ლიბერალური იმპერიის“ დოქტრინა, რომელიც „ენერგეტიკული იარაღის“ გამოყენებით პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებზე ზეგავლენის მოპოვებას გულისხმობდა. მოგვიანებით, 2004 წელს პუტინმა საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესება დაავალა. ნაშრომში გაანალიზებულია ის მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც რუსი პოლიტიკოსები ცდილობენ საკუთარი ქვეყნის ახალი იმიჯი შექმნან და გააძლიერონ მეზობლებზე ზეგავლენა.

### **კვლევის თეორიული ჩარჩო და გამოყენებული მეთოდები**

კვლევა ეფუძნება კონსტრუქტივიზმის თეორიულ ჩარჩოს, რადგან აღნიშნული თეორია საერთაშორისო ურთიერთობების იდეების, იდენტობების, ნააზრევთა ერთობლიობის პერსპექტივიდან განიხილავს და საგარეო პოლიტიკას არამარტო ობიექტურ მოცემულობაზე რეაგირებად, არამედ იდეოლოგიურ ჩარჩოებში, ნარატივებსა და სიმბოლოებში ჩაშენებულ სოციალურად კონსტრუირებულ პროცესად მიიჩნევს.

დისერტაციაში გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდები, კერძოდ:

**დისკურს ანალიზი** - რაც მნიშვნელოვანია იმის შესასწავლად, თუ როგორ აყალიბებს ოფიციალური რიტორიკა და იდეოლოგიური ნარატივები რუსეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ არსს და ქმედებათა თვითლეგიტიმაციის საფუძვლებს. შესაბამისად, ამ მეთოდის გამოყენებისას, ძირითადი აქცენტი კეთდება შემდეგ საკითხებზე:

- ევრაზიონისტული და სხვა რუსოცენტრული იდეოლოგიური ტექსტები
- რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციები და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიები
- რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის საჯარო გამოსვლები და მიმართვები
- რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებები

**შედარებითი ანალიზი** - რაც მიშვნელოვანია განსხვავებულ პოლიტიკურ პერიოდებსა და სტრატეგიულ კონტექსტებში იდეოლოგიური დისკურსის უწყვეტობისა და ტრანსფორმაციების შესასწავლად. აღნიშნული მოიცავს:

- პოსტსაბჭოთა პერიოდში საგარეოპოლიტიკური დისკურსული ცვლილებების შედარებას (ელცინიდან პუტინამდე)
- ევრაზიონიზმის და სხვა რუსოცენტრულ მიმდინარეობების შედარებას

**შემთხვევის ანალიზი (Case Study)** - აღნიშნული მეთოდი საჭიროა კონკრეტულ საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში იდეოლოგიების პრაქტიკული იმპლემენტაციების შესასწავლად. შერჩეული შემთხვევები მოიცავს:

2008 წელს რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ

2014 წლის ყირიმის ანექსია და 2022 წლის ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია უკრაინაში

ევრაზიის ეკონომიკური კავშირის (EAEU) შექმნა და განვითარება

**ექსპერტების ინტერვიუები** - კვლევა მოიცავს ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუებს მაღალი დონის ინფორმატორებთან (მაგ. გადაწყვეტილების მიმღებ წრესთან დაახლოებული, ყოფილი ან მოქმედი საჯარო მოხელეები, დიპლომატები, კონსულტანტები). ეს იძლევა წარმოდგენას შემდეგ საკითხებზე:

- როგორ აღიქვამს და რა ინტერპრეტირებას უკეთებს ვ. პუტინის პოლიტიკური ელიტა იდეოლოგიურ ჩარჩოებს, განსაკუთრებით კი ევრაზიონიზმს;
- იდეოლოგიის გავლენა საგარეო პოლიტიკის დაგეგმვასა და სტრატეგიულ მიზნებზე

- როგორ ხდება რუსეთის ცივილიზაციური როლის კონცეპტუალიზაცია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებების მიერ

-

## **წყაროებისა და მონაცემების შერჩევა**

კვლევა იყენებს განსხვავებული წყაროთა ერთობლიობას, რაც მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

**ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტები:** საგარეო პოლიტიკის კონცეფციები (2000–2023), ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიები, სამხედრო დოქტრინები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც გამოხატავენ რუსეთის ფედერაციის ოფიციალურ საგარეო პოლიტიკურ ხედვას და საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოს აღქმას.

**პოლიტიკური ელიტის საჯარო გამოსვლები და განცხადებები:** რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიმართვები და განცხადებები, საგარეო საქმეთა სამინისტროს საკვანძო განცხადებები და კომენტარები, პოლიტიკური ელიტის სხვა გავლენიანი პირების საჯარო განცხადებები, რაც იდეოლოგიური ჩარჩოების და ნარატივების იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა.

**იდეოლოგიური ტექსტები და აკადემიური ლიტერატურა:** ევრაზიონისტების (ალ. დუგინი, ლ. გუმილიოვი, ნ. ტრუბეცკოი და სხვ.) ფუნდამენტური ნაშრომები, ასევე იდეოლოგიასთან აფილირებული პლატფორმებისა და ანალიტიკური ცენტრების (მაგ., ვალდაის სადისკუსიო კლუბი) მასალები, სადაც წარმოჩენილია რუსული სტრატეგიული დისკურსის იდეოლოგიური საფუძვლები. ასევე, რუსეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ არსებული აკადემიური ლიტერატურა, რომელიც ანალიზებს რუსოცენტრული იდეოლოგიების კონცეპტუალურ შინაარსს, ისტორიულ ფესვებს და გავლენას პოლიტიკაზე.

სახელმწიფოსთან დაკავშირებული მედია საშუალებები (“რაშა თუდები” (Russia Today), სპუტნიკი, რია ნოვოსტი და სხვ.), რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია შეფასდეს რუსოცენტრული ნარატივების ფართო გავრცელება და ლეგიტიმაციის მცდელობები საჯარო სივრცესა და საერთაშორისო კომუნიკაციაში.

**ექსპერტების ინტერვიუები:** ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები, რომლებიც კონფიდენციალურად ტარდება საგარეო პოლიტიკის დაგეგმვასა თუ განხორციელებაში პირდაპირ თუ ირიბად ჩართულ მაღალი დონის ინფორმატორებთან. რაც წარმოაჩენს პოლიტიკური ელიტის თავლთახედვას რუსოცენტრული იდეოლოგიური ნარატივების და მათი პრაქტიკული გამოყენების შესახებ.

წარმოდგენილი მრავალგანზომილებიანი წყაროების ერთობლიობა უზრუნველყოფს ნაშრომის კონცეპტუალურ სიღრმეს, ემპირიულ სიმტკიცეს და იძლევა იდეოლოგიური ნარატივების რეალურ საგარეო პოლიტიკის ფორმირებასთან და სტრატეგიულ ქმედებებთან ურთიერთკავშირის გამოვლენის საშუალებას.

## **ეთიკური საკითხები**

კვლევა ჩატარებულია ინსტიტუციური ეთიკური სტანდარტების შესაბამისად. რესპონდენტები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი კვლევის მასშტაბის შესახებ და ნებაყოფლობით მონაწილეობდნენ მკაცრი ანონიმურობის პირობებში. არ გამოიყენება კლასიფიცირებული ან მგრძნობიარე ინფორმაცია. ყველა დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია და შესაბამისად არის ციტირებული.

**თავი I: რუსეთის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძვლების  
თეორიულ - ისტორიული ჩარჩო: არჩევანი სლავიზმსა და  
მედასავლეთეობას შორის**

**1.1. იდეოლოგიის როლი საგარეო პოლიტიკაში - რუსეთის ფედერაცია  
სტრატეგიული იდეოლოგიის ძიებაში**

იდეოლოგიის როლი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ფუნდამენტური დებატების საგანია. კლასიკური რეალისტები, როგორებიცაა ჰანს მორგენტაუ და ჯორჯ კენანი იდეოლოგიას მიიჩნევენ ეპიფენომენალურ ფაქტორად, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ეროვნული ინტერესების რაციონალურ განხორციელებას (მორგენტაუ, 1948; კენანი, 1951). რეალისტებისთვის სახელმწიფოები მოქმედებენ თვითდახმარების სისტემაში, რომელიც ძირითადად ძალაუფლებასა და გადარჩენაზეა ორიენტირებული, ხოლო იდეოლოგია ან ამ ქმედებების ლეგიტიმაციის ფუნქციას ასრულებს (საუკეთესო შემთხვევაში), ან, უარეს შემთხვევაში, სახელმწიფოებს ითრევს არაფრისმომცემ კონფლიქტებში.

სტრუქტურული რეალისტები, როგორიცაა კენეტ უოლცი, ამ პოზიციას აძლიერებდნენ იმის არგუმენტით, რომ სახელმწიფოების ქცევას, პირველ რიგში, საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურა და მატერიალური რესურსების განაწილება განსაზღვრავს. შესაბამისად, ვოლცის აზრით, საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიულ სისტემაში იდეოლოგიას შეზღუდული გავლენა აქვს სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ ქმედებებზე. (Waltz, 1979).

აღნიშნულის საპირისპიროდ, საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქტივისტულ და კრიტიკულ თეორიებში მიჩნეულია, რომ სახელმწიფოს

ქცევა არ შეიძლება დაყვანილი იყოს მხოლოდ მატერიალურ ინტერესებამდე. პირიქით, თავად ინტერესები სოციალურადა კონსტრუირებული. ისინი იქმნება ფართოდ გავრცელებული პრინციპებით (მაგ. სუვერენიტეტი), საერთო იდენტობებითა და დამკვიდრებული დისკურსული პრაქტიკით (ვენდტი, 1992; ჰოპფი, 2002). შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, იდეოლოგია მაკონსტრუირებელ როლს ასრულებს საგარეო პოლიტიკური ქცევის ჩამოყალიბებაში. ის განსაზღვრავს, თუ რა ითვლება საფრთხედ, რომელი ღირებულებების დაცვაა საჭირო და როგორი საერთაშორისო წესრიგის მიღწევას ან რისდამი წინააღმდეგობის გაწევას ცდილობს სახელმწიფო. მაგალითისთვის, ჯ. მიტცენი და ტ. ჰოფი მიიჩნევენ, რომ იდეოლოგია უზრუნველყოფს როგორც სიმბოლურ წესრიგს, ასევე პოლიტიკურ ლეგიტიმაციას; ის ეხმარება სახელმწიფოებს განსაზღვრონ თავიანთი როლი მსოფლიოში და ხელს უწყობს საზოგადოების შიდა მობილიზაციას საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგის განხორციელებისთვის. (Mitzen, 2006).

ამასთანავე, ზოგ შემთხვევაში, იდეოლოგიას კონფლიქტის გენერირებაც შეუძლია. ეს ხდება, როდესაც იდეოლოგია განსხვავებულთან მიმართებაში ხისტი ან ესენციალისტური ტერმინებით ოპერირებს და ამ მიდგომით კონტროლირებადდება ხისტ დაპირისპირებაში გარდაქმნის. უფრო კონკრეტულად, ცივილიზაციური იდეოლოგიები, როგორც წესი, ქმნიან ე.წ. მაღალმორალისტურ საგარეო პოლიტიკურ ნარატივებს, სადაც კომპრომისი დალატად არის წარმოდგენილი, ხოლო მოწინააღმდეგეები - ეგზისტენციალურ საფრთხეებად. ასეთი იდეოლოგიური ჩარჩოები განსაკუთრებით ძლიერია იმპერიული იდენტობის მქონე ან ასეთი იდენტობის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში, რადგან უზრუნველყოფს რეჟიმისთვის მისაღებ ისტორიულ უწყვეტობას და ამა თუ იმ ქმედების გამართლებას. როგორც ი. ნოიმანი (1996) აღნიშნავს, იმპერიული სტრუქტურების კრაზი და დამკვიდრებული იდენტობის ნარატივების ფრაგმენტაცია ხშირად გაურკვევლობას ბადებს, რაც სახელმწიფოებს საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილისა და მისიის განცდის რეკონსტრუირებისკენ უბიძგებს. კონკრეტულად რუსეთის ფედერაციის შემთხვევაში,

იდეოლოგია გამოყენებულია როგორც სიმბოლური დაპირისპირების, ასევე კინეტიკური ქმედებების გასამართლებლად. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითებია ნატოს გაფართოების რუსეთის საწინააღმდეგო ცივილიზაციურ ბლოკადად წარმოჩენა და პატრიოტულ-მორალისტური რიტორიკა ისეთ ქმედებებზე, როგორებიცაა სამხედრო აგრესია საქართველოში (2008), ყირიმის ანექსია (2014) და უკრაინაში ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია (2022).

ასეთი მიდგომა ერთგვარად ეხმიანება სამუელ ჰანტინგტონის (1996) თეზის „ცივილიზაციათა შეჯახების“ შესახებ, რომელიც კულტურულ და ცივილიზაციური იდენტობებს გლობალური წინააღმდეგობების უმთავრეს მიზეზად მიიჩნევს. მართალია, ჰანტინგტონი მკაცრად იქნა გააკრიტიკებული კულტურული დეტერმინიზმის გამო, მაგრამ მისი არგუმენტი შერჩევითად გამოიყენეს რუსმა იდეოლოგებმა, განსაკუთრებით კი ევრაზიონისტულმა ბანაკმა. ჰანტინგტონის მოსაზრება ლიბერალური დასავლეთისა და განსხვავებული ორთოდოქსულ-სლავური ცივილიზაციის წინააღმდეგობის შესახებ სტრატეგიულ ნარატივს სთავაზობდა რუსოცენტრისტ იდეოლოგებს და არსებულ (თუ პოტენციურ) გეოპოლიტიკურ წინააღმდეგობას ცივილიზაციური თვალსაზრისით ამართლებდა. თანამედროვე რუსულ დისკურსში ეს პარადიგმა აშკარად ჩანს ოფიციალურ განცხადებებში, სამეცნიერო-ანალიტიკურ პუბლიკაციებსა და კონტროლირებად მედიაში, რომლებიც გლობალურ პოლიტიკას წარმოაჩენენ როგორც ბრძოლას ტრადიციონალისტურ სუვერენიტეტებსა და ლიბერალურ უნივერსალიზმს შორის.

ისტორიულად რუსეთის საგარეო პოლიტიკა მუდმივად იყენებდა იდეოლოგიურ ნარატივებს. იმპერიული ეპოქის დროს, მოსკოვის, როგორც „მესამე რომის“ კონცეფცია ცარიზმის ექსპანსიის სულიერ ლეგიტიმურობას უჭერდა მხარს (დანკანი, 2002). მე-19 საუკუნეში პანსლავიზმი - კულტურული რომანტიზმისა და გეოპოლიტიკური ამბიციის ნაზავი - ამართლებდა ბალკანეთში ჩარევებს და სლავური სამყაროს წარმოსახვით ლიდერობას. საბჭოთა იდეოლოგიამ აღნიშნულს

გლობალური ხასიათი შესძინა და სსრკ-ს სტრატეგიული ინტერესები კაპიტალიზმისაგან განთავისუფლებისა და პროლეტარული სოლიდარობის იდეებით შეფუთა. რადიკალური განსხვავებების მიუხედავად, ამ იდეოლოგიებს აერთიანებდა ის პოსტულატი, რომ ცივილიზაციური მისია რუსეთს უნიკალურ ისტორიულ და მორალურ ადგილს ანიჭებს.

ამ იდეოლოგიურ განგრძობადობაში საგულისხმო ნაპრალი საბჭოთა კავშირის დაშლამ (1991) შექმნა. რუსეთმა დაკარგა ძველი ძლიერება, მათ შორის გეოპოლიტიკური კონტექსტში. ამასთანავე, რუსეთმა იდენტობის ღრმა კრიზისი განიცადა - დღის წესრიგიდან მარქსისტულ-ლენინური დოქტრინის გაქრობამ, რომელიც ამართლებდა სსრკ-ის გლობალურ სტრატეგიას, საგრძნობი ვაკუუმი წარმოშვა (Trenin D. 2016). 20-ე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში დადგა ახალი იდეოლოგიური საფუძვლების ძიების საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით 1990 წლის ივნისში გამოქვეყნდა ა. სოლჟენიცინის ესსე: „როგორ მოვაწყოთ რუსეთი?“ (1990), რომელშიც ნობელის პრემიის ლაურეატი აღნიშნავს, რომ საჭიროა რუსეთმა სასწრაფოდ თქვას უარი იმპერიულ ამბიციებზე, მხარი დაუჭიროს საბჭოთა კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გამოყოფას, უარი თქვას სხვა ქვეყნებში პოლიტიკური რეჟიმების მხარდაჭერაზე და აღიაროს, რომ მოსკოვს ამისთვის ძალა არ ყოფნის. რუსეთისთვის პრიორიტეტი უნდა გახდეს ურთიერთობები და თანამშრომლობა, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნებაც კი უკრაინასა და ბელორუსთან (Солженицын А. 1990).

ამასთან ერთად, პროფესორი ი. პლასისი გაზეთ «Независимая газета»-ს ფურცლებზე 1993 წლის 14 მაისს აქტიურად მოუწოდებდა ხელისუფლებას ფორსირებულად ჩამოყალიბებულიყო იდეოლოგიის თანამედროვე და ნათელი საფუძვლები რუსეთის საგარეო პოლიტიკური საქმიანობისთვის, რომელიც ადკვატურად უპასუხებდა დროის მოთხოვნებს და არსებულ საერთაშორისო

ვითარებას. იქვე ხაზგასმული იყო, რომ რუსეთის ფედერაციის ქმედებებში არ შეიმჩნეოდა გრძელვადიანი ეროვნული ინტერესები. ავტორი აკეთებდა დასკვნას, რომ იდეოლოგიური საფუძვლების და გრძელვადიანი ეროვნული ინტერესების გარეშე საგარეო პოლიტიკა არ იქნება მდგრადი, მუდმივად იქნებოდა რყევაში და ვერ შეძლებდა ყოფილიყო ეფექტური (Пляйс Я. 1993).

ბ. ელცინის პოლიტიკური მემკვიდრეობის შესახებ საბჭოთა და რუსი პუბლიცისტი რ. მედვედევი აღნიშნავდა, რომ 1990-იანი წლების პერიოდის რუსეთის შექმნა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სტიქიური პროცესი, რომელიც დღემდე გრძელდება. იგი იხსენებს, რომ ბ. ელცინი ყოველთვის ამბობდა, რომ რუსეთს არა აქვს ეროვნული იდეა და ის აუცილებლად უნდა შეიქმნას (Кара-Мурза В. 2011). ელცინის მმართველობის პერიოდში რუსეთმა მცირე ხნით სცადა მიეღო ლიბერალურ-ინტერნაციონალისტური მოდელი, რომელიც ორიენტირებული იყო დასავლეთთან ინტეგრაციაზე, დემოკრატიზაციასა და საბაზრო რეფორმაზე (ტრენინი, 2002; საკვა, 2008). ეს პერიოდი წარმოადგენდა კრიტიკულ ფაზას რუსეთის დასავლურ წესრიგთან შესაძლო კონვერგენციისთვის. თუმცა, ეს მცდელობა წარუმატებლად დასრულდა.

1996 წელს „Российская газета“-მ ეროვნულ იდეაზე კონკურსი გამოაცხადა, რათა მომხდარიყო „საზოგადოების მიზნების გააზრება, განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა“ («Российская газета» 30.07.1996). რუსეთი შევიდა იდეოლოგიური პლურალიზმის ფაზაში, რომელშიც კონკურენტი ნარატივები - ლიბერალიზმი, ნაციონალიზმი, მართლმადიდებლური ტრადიციონალიზმი, ტექნოკრატიული პრაგმატიზმი და ევრაზიულობა თანაარსებობდნენ არასტაბილურ იდეოლოგიურ ბაზარზე.

ამ პერიოდში ისეთი მოაზროვნეები, როგორებიც არიან ს. კარაგანოვი, გ. პავლოვსკი და ა. დუგინი, რუსეთის ბედის ალტერნატიულ ხედვებს ავითარებდნენ, რაც ძირითადად ხდებოდა ძველ ტრადიციებზე დაყრდნობით და ამავდროულად, თანამედროვე გეოპოლიტიკურ მოვლენებზე რეაგირებით (Laruelle, 2008; Pavlovsky,

2010). ეს მოაზროვნეები ხაზს უსვამდნენ სუვერენიტეტს, მულტიპოლარიზმს და რუსეთის მიერ გლობალურ საქმეებში დამოუკიდებელი პოლუსის სტატუსის დაბრუნების აუცილებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ პაექრობაში დომინანტური დოქტრინა არ გამოკვეთილა, ამ ინტელექტუალურმა დუდილმა უზრუნველყო იდეოლოგიური საფუძველი პუტინის ეპოქის შემდგომი სინთეზისთვის.

1990-იანი წლების ბოლოსთვის რუსეთის სახელმწიფო ღრმა კრიზისში აღმოჩნდა: ეკონომიკა ჩამოინგრა, ჩეჩნეთში ომმა სახელმწიფოს სისუსტე გამოავლინა, კომუნისტური ძალები კი ელექტორალურად კვლავაც ძლიერი რჩებოდნენ. ელცინის ეპოქის რეფორმებმა რუსეთის ელექტორატის მნიშვნელოვან ნაწილში მმართველობის დასავლური მოდელების დისკრედიტაცია მოახდინა, ხოლო ახალი პოსტსაბჭოთა ოლიგარქიული სისტემა შეუთავსებელი აღმოჩნდა დემოკრატიულ გამჭვირვალობასთან. შედეგად, სახელმწიფო სისტემას დასჭირდა ახალი ნარატივი, რომლითაც შეეძლო წესრიგის აღდგენა, ძალაუფლების ცენტრალიზაცია და რუსეთის იზოლირება არასასურველი იდეოლოგიებისგან.

ვლადიმერ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პოლიტიკური სისტემამ ვერტიკალური ძალაუფლების კონსოლიდაციისა და ცენტრალიზებული სუვერენიტეტის მიმართულება მიიღო. პოლიტიკურ ლანდშაფტში უკვე არსებული რუსოცენტრული იდეოლოგიები ასეთი ტრანსფორმაციისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა. ამ იდეოლოგიებმა პუტინს არა მხოლოდ სიმბოლური უწყვეტობა და ე.წ ცივილიზაციური სივრცე შეუქმნა, არამედ საშუალება მისცა, ძალაუფლების კონსოლიდაცია კულტურულ და ისტორიულ აუცილებლობად წარმოეჩინა. ეს ტრანსფორმაცია არა მხოლოდ თავდაცვითი, არამედ ამბიციურიც იყო. რუსეთის იმპერიული იდენტობისა და რევანშისტული იმპულსების აღორძინება, რაც „სილიადის აღდგენის“ მიზნის ირგვლივ იყო აგებული, იდეოლოგიურ გამოხატულებას მოითხოვდა. რუსოცენტრული ნარატივები, მათ შორის ევრაზიონიზმი, ბუნებრივ ჰარმონიაში იყო ამ მიზანთან. შესაბამისად, სისტემამ ეს

იდეოლოგიები სტრატეგიულ ინსტრუმენტებად გარდაქმნა. დასავლეთის ცივილიზაციურ და გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგედ წარმოჩენა და რუსეთის განსაკუთრებული ცივილიზაციური მისიის კულტივირება გახდა ის საყრდენი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა შინაგანი ერთიანობის, სახელმწიფოებრიობის ისტორიული უწყვეტობისა და საგარეო პოლიტიკური ამბიციების აგება. ამ კონტექსტში იდეოლოგია არა მხოლოდ ასახავდა ეროვნულ იდენტობას - ის აქტიურად აყალიბებდა სახელმწიფოებრივ ქცევას და ამტკიცებდა თავდაჯერებულობას.

## **1.2. რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძვლების ფორმირება - სლავიზმი და პანსლავიზმი**

იდეოლოგიის ზეგავლენა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ჯერ კიდევ ცარიზმის პერიოდში შეინიშნება. იდეოლოგიური კონსტრუქციები არა მხოლოდ ლეგიტიმაციას აძლევდა საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებებს, არამედ განასახიერებდა დომინანტურ ღირებულებათა სისტემას და ქმნიდა სტრატეგიულ ნარატივებს საგარეო პოლიტიკისთვის.

მიუხედავად დამკვიდრებული მოსაზრებისა, რომ რუსეთის ქმედებებს ძირითადად უსაფრთხოების პრობლემატიკა, გეოპოლიტიკური მოცემულობა ან სხვათა აქტივობებზე რეაგირების აუცილებლობა განაპირობებს, მის სტრატეგიულ გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელებაში იდეოლოგიური შემადგენელი წონად როლს ასრულებდა. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი, ისტორიულად ფესვგადგმული, სტრატეგიული ნარატივები, რომლებიც შექმნა სლავიზმმა და პანსლავიზმმა. ისინი ქმნიდნენ იდეოლოგიურ დისკურსს, რომელთა მეშვეობითაც რუსეთი აყალიბებდა საკუთარ იდენტობას, ამართლებდა საგარეო პოლიტიკურ ქმედებებს და ცდილობდა სლავური და მართლმადიდებლური სამყაროს

ლიდერად პოზიციონირებას. ამ იდეოლოგიებმა ჩამოაყალიბეს რუსეთის, როგორც ცივილიზაციური პოლუსის ხედვა და საფუძველი ჩაუყარეს საგარეო პოლიტიკის იმ ლოგიკას, რომელიც ეყრდნობიდა აქსიოლოგიურ, ცივილიზაციურ და სულიერ-რელიგიურ საფუძვლებს.

სლავიზმი მე-19 საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა. შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოადგენდა რუსული საზოგადოების გარკვეულ რეაქციას პეტრე I-ის და ეკატერინე II-ის დასავლური ტიპის რეფორმებზე. სახელმწიფოს მიერ წამოწყებულმა მოდერნიზაციამ რუსული ინტელექტუალური წრეების ნაწილში გააჩინა განცდა, რომ რეფორმები წინააღმდეგობაში მოდიოდა რუსულ მართლმადიდებლობასთან, ტრადიციულ რუსულ იდენტობასა და ადათ-წესებთან. სწორედ ამ განწყობამ წარმოშვა სლავიზმი, როგორც კულტურულ-ფილოსოფიური აღქმებისა და ეჭვების ერთგვარი გამოვლინება. დასაწყისში ამას თეორიულ-მსოფლმხედველობრივი მსჯელობის ხასიათი ჰქონდა, შემდეგ კი პოლიტიკური მდგენელი შეიძინა და რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიურ საყრდენად იქცა.

ისეთმა მოაზროვნეებმა, როგორებიც იყვნენ ა. ხომიაკოვი, ი. კირეევსკი, მოგვიანებით კი კ. ლეონტიევი და ფ. დოსტოევსკი, შექმნეს განსხვავებული ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფდა ლიბერალიზმს, სეკულარიზმს, განმანათლებლობის იდეალებს და, ამის ნაცვლად, რუსეთის იდენტობას მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში, რუსულ (სლავურ) თემთა კოლექტივიზმში და უნიკალურ და ღვთაებრ ისტორიულ მისიაში ხედავდა.

სლავიზმის ცენტრალური ღერძი, ცივილიზაციურ კონტექსტში, ბინარული დაყოფა იყო: რუსეთი, როგორც მორალურად უპირატესი, სულიერად გაერთიანებული, ორგანულად განვითარებული ცივილიზაცია, დასავლეთის დაშლილი, მატერიალისტური, ატომიზებული, დეკანდენტური სამყაროს წინააღმდეგ. ეს დიქტომია არა მხოლოდ მორალური, არამედ გეოპოლიტიკურიც იყო. დასავლეთი აღიქმებოდა არა მხოლოდ იდეოლოგიურ, არამედ ცივილიზაციურ

საფრთხედ, რომელიც, სლავიზმის აზრით, ცდილობდა რუსეთის იდენტობისა და სუვერენიტეტის შელახვას. ასეთი ხედვის ცენტრში მოექცა ხომიაკოვის მიერ წამოყენებული „სობორნოსტის“ (sobornost), ანუ სულიერი ერთობის კონცეფცია, რომელიც დასავლური ინდივიდუალიზმის ანტითეზას წარმოადგენდა.

ხომიაკოვის აზრით, დასავლური ერები სულიერად ფრაგმენტირებულები გახდნენ, რადგან მატერიალური პროგრესისკენ სწრაფვისას მათ მორალური კომპასი დაკარგეს. ამის საპირისპიროდ, რუსეთი ქრისტიანული ჭეშმარიტებისა და მორალური წესრიგის დამცველია, ანუ ცივილიზაციური მოდელი, რომელიც ღვთაებრივ მისიას ეფუძნება და არა ბანალურ ტერიტორიული ექსპანსიას (Khomyakov, 2000). ხომიაკოვი აღნიშნავს: „დასავლეთს ერთიანობა იძულებაშია; ჩვენი კი - სიყვარულსა და რწმენაში“ (ციტირება ვალიცკის მიხედვით, Walicki, 1989, p. 213).

ამგვარად, სლავიზმმა რუსეთი არა მხოლოდ სახელმწიფოდ, არამედ ისტორიული მისიით აღჭურვილ ცივილიზაციურ ერთეულად წარმოაჩინა, რომლის იდენტობის საძირკველიც არა გეოპოლიტიკური, არამედ ესკატოლოგიური იყო - რუსეთი სულიერი ჭეშმარიტების უკანასკნელ დამცველად მიიჩნეოდა დეგრადირებად მსოფლიო წესრიგში. ამ იდეამ არა მხოლოდ შიდა ფილოსოფიურ-იდეოლოგიურ დებატებს ჩაუყარა საფუძველი (მაგ. სლავიანოფილთა და მედასავლეთეთა შორის), არამედ იგი ხორცშესხმულ იქნა იმპერიულ საგარეო პოლიტიკაში, განსაკუთრებით პანსლავიზმის მეშვეობით. უფრო მეტიც, უნივერსალიზმის სლავოფილური უარყოფა რუსული სტრატეგიული აზროვნების ძირითად ელემენტად იქცა. დასავლური ლიბერალური შეხედულებისგან განსხვავებით, რომელიც უნივერსალურ ღირებულებებს (დემოკრატია, უფლებები, სეკულარული სამართალი) ამტკიცებდა, სლავიზმს ცივილიზაციურ პარტიკულარიზმზე ჰქონდა აქცენტი, რომლის მიხედვითაც თითოეულ ხალხს და კულტურას საკუთარი, უნიკალური ღირებულებები და განვითარების გზა აქვს. შესაბამისად, რუსეთს ჰქონდა საკუთარი გზა, საკუთარი ღირებულებები და, აქედან

გამომდინარე, პოლიტიკური ავტონომიის საკუთარი გამართლება, მათ შორის საგარეო პოლიტიკის სფეროში.

რამდენადაც სლავიზმი ძირითადად ფილოსოფიური განშტოების ჩარჩოებში ვითარდებოდა, პანსლავიზმი ჩამოყალიბდა მის გეოსტრატეგიულ და პოლიტიკურ გაგრძელებად. ა. გრიგორიევა იძლევა ტერმინ პანსლავიზმის შემდეგ განმარტებას: „...პანსლავიზმი (რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველა სლავის გაერთიანებას რუსეთის იმპერატორის კვერთხით, არამედ ავსტროსლავიზმს და ილირიზმს/იუგოსლავიზმს) შეიძლება განიმარტოს, როგორც იდეოლოგია და მოძრაობა სლავური ხალხების გაერთიანებისთვის ეთნოკონფესიურ საფუძველზე, მიმდინარე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად“ (Григорьева А. 2013, გვ.24).

სამეცნიერო მიმოქცევაში ტერმინი „პანსლავიზმი“ ერთ-ერთმა პირველმა სლოვაკმა კათოლიკე მქადაგებელმა ჯ.ჰერკელმა გამოიყენა. ლათინურენოვან ტრაქტატში „Elementa universalis linguae slavicae“ (1826) ჰერკელი პანსლავიზმს არა მხოლოდ პოლიტიკურ პროგრამად, არამედ ყველა სლავური ხალხის ლიტერატურული და კულტურული ერთიანობის ფორმად წარმოადგენს. მისი იდეა „verus Panslavismus“ (ჭეშმარიტი პანსლავიზმი) გულისხმობდა საერთო ლიტერატურული ენის, გრამატიკისა და ორთოგრაფიის შექმნას, რათა „მომძე სლავური ერები“ საერთო ცივილიზაციურ ჩარჩოში გაერთიანებულიყვნენ როგორც ერთი, ასევე განათლებით (Herkeľ, 1826; Hantsch, 1965; A2, 2013).

უფრო მკაფიოდ, პოლიტიკურ კონტექსტში, პანსლავიზმის ტერმინმა და იდეამ მეტი ცნობადობა მოიპოვა კარელ კრამარიჩის ნაშრომის წყალობით, რომლის 1840 წლის სტატიაც „Panslavismú češslovanských hrdinů v Léгии“ გამოქვეყნდა უნგრულ ჟურნალ Társalkodó-ში. ამ ნაშრომში პანსლავიზმი წარმოდგენილი იყო არა როგორც მხოლოდ კულტურული პროექტი, არამედ, როგორც გეოპოლიტიკური კონცეფცია,

რომელიც გულისხმობდა რუსეთის ძალაუფლების გაფართოებას ავსტრიის იმპერიის სლავურ მიწებზე (Atlářa, 2013).

რუსმა ისტორიკოსმა და იურისტმა ა. პოგოდინმა, "სლავურ იდეას" განახლებული განმარტება მისცა: "პანსლავიზმი არის პანსლავური ერთიანობის თეორია ამა თუ იმ სფეროში, კულტურულში თუ პოლიტიკურში, რომელიც, როგორც მიზნის ნაწილობრივი მიღწევის საშუალება, უშვებს ცალკეული სლავი ხალხების გაერთიანებას, რომლებიც ისწრაფვიან საბოლოო იდეალის - ყველა სლავის პოლიტიკური გაერთიანებისკენ" (Погодин А. 1910/1940. გვ.109). რუსი ისტორიკოსი ნ. კარეევი კი აღნიშნავს, რომ "სრულიად სლავიზმი"(Всеславизм) სხვა არაფერია, თუ არა "სლავური ოცნება", რომელიც მიზნად ისახავს ერთიანი პანსლავური ენისა და "ერთიანი პანსლავური სამეფოს" შექმნას (Кареев Н. 1903. გვ.405, 418-421).

პანსლავური იდეის განმარტების მსგავსი ვერსია აქვს რ. კოლინზსაც, რომელიც მიიჩნევს, რომ „პანსლავიზმი იყო იდეოლოგია, რომელიც არა მხოლოდ ამტკიცებდა რუსეთის კულტურულ დამოუკიდებლობას და უპირატესობას, არამედ ლეგიტიმაციას უზრუნველყოფდა მასში სლავური ზონის სუსტი სახელმწიფოების მიერთებას“ (Коллинз Р.2005, გვ.36.) მეცნიერი საკუთარ დასკვნებში ხელმძღვანელობდა იმ წინაპირობით, რომ „პანეთნიკური გაერთიანებისათვის მოძრაობების წყარო მაქსიმალურად შესაძლო ეთნიკურ საზღვრებში“ არის „ძალაუფლების გეოპოლიტიკური პრესტიჟი“, რომელიც გავლენას ახდენს იდენტიფიკაციის ტენდენციებზე მეგაპოლიტიკურ ჯგუფებში“. (Коллинз, 2005) ამ შემთხვევაში, ლინგვისტური კონტექსტი „ამოვარდნილი იყო“. რჩებოდა მხოლოდ პოლიტიკური და გეოპოლიტიკური დომინანტა.

საინტერესო ფორმულირებაა მოცემული 1993 წ. რუსეთში გამოცემულ პოლიტოლოგიის ლექსიკონში, რომლის მიხედვითაც: „პანსლავიზმი სოციალურ-პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობაა სლავურ ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში. ეს არის ეთნიკურ საფუძველზე გაერთიანების სურვილი. მისი მიზანია მწვავე

სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გადაჭრა, რომელიც არაერთხელ გამოვლინდა ცალკეულ სლავურ სახელმწიფოში, სახელმწიფოთა ჯგუფში ან ერთდროულად მთელ კომპლექსში.“ (Аверьянов, 1993, გვ. 238)

განმარტებების მრავალფეროვნების და განსხვავებულობის მიუხედავად, აშკარაა, რომ პანსლავიზმში მკაფიოდაა გამოკვეთილი პოლიტიკური შემადგენელი, რაც გამოყენების საშუალებას იძლევა როგორც იდეოლოგიურად მოტივირებული საგარეო პოლიტიკის პირობებში, ასევე, კონკრეტული გადაწყვეტილებების იდეოლოგიური საბურველით შესანიღბად.

თავად რუსეთში პანსლავიზმის კონცეფციის შექმნა/ევოლუციაში განსაკუთრებული წვლილი ისეთმა მწერლებმა და მოაზროვნეებმა შეიტანეს, როგორებიც იყვნენ ნ. დანილევსკი, ფ. დოსტოევსკი, კ. ლეონტიევი და სხვ. ფუნდამენტურ ნაშრომში „რუსეთი და ევროპა“ (1869) დანილევსკიმ ჩამოაყალიბა ცივილიზაციების ისტორიულ-კულტურული ტიპოლოგია და ამტკიცებდა, რომ სლავური ერები ერთიანი ცივილიზაციური ბლოკის ნაწილია, რომელმაც დასავლეთის ბატონობას წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს. მისი აზრით, დასავლეთი, რომლის დეტერმინანტადაც მას ლათინურ-გერმანულ მემკვიდრეობა მიაჩნდა, კულტურული გამოფიტვის ფაზაში იყო შესული, მაშინ, როდესაც სლავურ სამყაროს რუსეთის თაოსნობით, კვლავაც ჰქონდა, ჯერაც გამოუმჟღავნებელი, შემოქმედებითი და მორალური პოტენციალი. დანილევსკი ასევე უპირისპირდებოდა განმანათლებლობის დასავლურ იდეას და ეწინააღმდეგებოდა დასავლური განვითარების გზის მართებულობასა და უნივერსალურობას. „რუსეთი არ მიეკუთვნება ერების დასავლურ ოჯახს. ის არ არის დასავლეთის მოსწავლე - ის საკუთარი თავის მასწავლებელი და მსაჯულია“ (Данилевский, 1869/1998 გვ.75).

დანილევსკის ხედვით, სლავი ხალხები სამომავლოდ უნდა გაერთიანებულიყვნენ პანსლავურ ფედერაციაში, რომელიც კულტურულ სოლიდარობასა და ურთიერთდაცვაზე იქნებოდა აგებული. ასეთ ფედერაციაში

რუსეთი სლავური სამყაროს პოლიტიკურ ცენტრად და მორალურ მფარველად იქნებოდა წარმოდგენილი (Riasanovsky, 2005). სწორედ ასეთმა იდეებმა გაუმყარა იდეოლოგიური საფუძველი რუსული ექსპანსიონიზმის „სლავების დაცვისა და განთავისუფლების“ საბაზით გამართლების შემდგომ მცდელობებს.

პანსლავიზმის კულტურული და რელიგიური ასპექტები კიდევ უფრო დაამუშავა და განავრცო კ. ლეონტიევა, რომელიც, მართალია, სკეპტიკურად უყურებდა სლავური პრიმიტიული ერთიანობის იდეას, სამაგიეროდ ავითარებდა კონსერვატიულ ხედვას, რომელიც ბიზანტიურ იერარქიაზე, ტრადიციებსა და სულიერ მემკვიდრეობაზე იყო დაფუძნებული. წიგნში „ბიზანტინიზმი და სლავიზმი“ (1875), ლეონტიევი ამტკიცებდა, რომ სლავური ერთიანობა მხოლოდ ავტოკრატიისა და მართლმადიდებლობის მეშვეობით იყო მდგრადი. ის აფრთხილებდა ეგალიტარული და დემოკრატიული ტენდენციების შესახებ, რომლებსაც დასავლეთის კოროზიული იდეების იმპორტად მიიჩნევდა. „პანსლავიზმი შესაძლებელია მხოლოდ როგორც იერარქია და არა როგორც ერების დემოკრატია. ძლიერი ლიდერობის გარეშე ის წვრილმან ნაციონალიზმებად დაიშლება“ (Леонтьев, 1875/1996, გვ 45).

პანსლავიზმის რელიგიურ საფუძველს ასევე აძლიერებდა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც მოსკოვის, როგორც მესამე რომის მითიურ იდეას ემხრობოდა. აღნიშნული მოსაზრება, რომელიც სათავეს 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემიდან იღებს, ამტკიცებდა, რომ რუსეთი ქრისტიანობის უკანასკნელი ბასტიონი იყო და თითქოს მას მინიჭებული ჰქონდა მართლმადიდებლური სარწმუნოების შენარჩუნებისა და გავრცელების ღვთიური მისია თანამემამულე სლავებში (Pipes, 1974). ეს თეზა განსაკუთრებით აქტუალური იყო საგარეო პოლიტიკისთვის, რადგან გეოპოლიტიკურ ამბიციას ღვთისაგან დაკისრებულ მისიად და წმინდა მოვალეობად წარმოადგენდა.

პანსლავიზმის ერთ-ერთი ყველაზე ემოციურად ძლიერი და მესიანური გამოხატულება ფ. დოსტოევსკის ეკუთვნის. მისი „მწერლის დღიური“ (1873-79),

განსაკუთრებით კი ჩანაწერები რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის პერიოდში, პანსლავური იდეოლოგიის, როგორც სულიერი მისიის, ერთ-ერთ ყველაზე ნათელ არტიკულაციას იძლევა. დოსტოევსკი ამტკიცებდა, რომ რუსეთს ჰქონდა ღვთაებრივი ვალდებულება - დაეცვა და გაეერთიანებინა სლავი ხალხები, განსაკუთრებით კი ოსმალეთის მმართველობის ქვეშ მყოფი მართლმადიდებლური თემები: „ჩვენ ხმლით კი არა, სულით უნდა გავიმარჯვოთ. რუსეთი დამპყრობელი კი არა, სლავების მხსნელია.“ (Достоевский, 1877/1991, გვ. 184).

დოსტოევსკისთვის პანსლავიზმი წარმოადგენდა არა იმპერიალიზმის ფორმას, არამედ მორალური რესტიტუციის აქტს. მას მიჩნდა, რომ მომავალში სლავები რუსეთს არა შიშით, არამედ სიყვარულითა და სულიერი ნათესაობით მიიღებდნენ. „სლავები ჩვენთან არა ეჭვებით, არამედ სიხარულით მოვლენ, როგორც დედის მიმართ. რუსეთი მათ არ დაავალდებულებს. ის გასცემს. ის არ მოითხოვს მადლიერებას, ის სიყვარულს შესთავაზებს.“ (Достоевский, 1877/1991, გვ. 201).

ასეთ მესიანურ და ემოციურ ხედვას პანსლავიზმი ერთგვარ ესქატოლოგიურ განზომილებაში გადაჰყავდა. ეს იყო არა უბრალოდ პოლიტიკური, არამედ ცივილიზაციური მხსნელის მისიონერული ხედვა. ამ თვალსაზრისით, რუსეთი არ იყო მხოლოდ სახელმწიფო. ეს იყო რჩეული, ანუ „ღვთის მატარებელი ერი“ (народ-Богонесущий), რომელმაც სლავური სამყაროს სულიერი ბედი იტვირთა (Frank, 2002).

გასათვალისწინებელია, რომ პანსლავიზმი ევროპასა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და გეოპოლოტიკური ცვლილებების ფონზე განვითარდა. ის თანხვედრაში იყო რუსეთის ცვალებად საგარეო პოლიტიკურ როლთან. გამარჯვებამ ნაპოლეონის ომებში (1812–1814) და წამყვანმა როლმა წმინდა ალიანსის ჩამოყალიბებაში რუსეთის იმპერია ევროპაში დომინანტურ კონსერვატიულ ძალად წარმოაჩინა. ამ სტატუსმა, რომელიც ვენის კონგრესზე (1815) განმტკიცდა, რუსეთს პოლიტიკური წესრიგისა და ქრისტიანული ცივილიზაციის მცველი სახელმწიფოს ისტორიული ლეგიტიმურობის განცდა მისცა. თუმცა მე-19 საუკუნის პირველი

ნახევრის განმავლობაში პანსლავიზმი აქტიურ პოლიტიკაში არ გარდასახულა. რუსეთის საგარეო პოლიტიკა ძირითადად სტატუს კვოზე იყო ორიენტირებული, განსაკუთრებით პოლონეთის აჯანყებების ჩახშობისა და ევროპის სხვა ქვეყნებში რევოლუციური ნაციონალიზმის მიმართ მისი სიფრთხილის გამოისობით. თუმცა 1848 წლის მოვლენები ნამდვილი კატალიზატორი აღმოჩნდა: ამ წელს საფრანგეთში ახალმა რევოლუციამ ივლისის მონარქია დაამხო და მეორე რესპუბლიკა დააფუძნა. ავსტრიის იმპერიაში - ვენაში, უნგრეთში, ბოჰემიასა და ჩრდილოეთ იტალიაში მასშტაბური აჯანყებები დაიწყო კონსტიტუციური რეფორმისა და ეროვნული ავტონომიის მოთხოვნით. გერმანულმა სახელმწიფოებმა ფრანკფურტის პარლამენტის მეშვეობით გაერთიანებისა და ლიბერალური კონსტიტუციების მოწოდებები მოისმინეს, ხოლო უნგრელმა ნაციონალისტებმა, ლაიომ კომუტის მეთაურობით, მასშტაბური დამოუკიდებლობის მოძრაობა წამოიწიეს, რომელიც საბოლოოდ ავსტრიისა და რუსეთის გაერთიანებულმა ძალებმა ჩახშვეს. მართლია, ეს აჯანყებები ძირითადად წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ რუსეთის კონსერვატიული ელიტა ღრმად შეშფოთდა და ხელი შეუწყო პანსლავიზმის, როგორც დასავლური ლიბერალიზმისა და ნაციონალისტური ფრაგმენტაციის საწინააღმდეგო ჩარჩოს, გაძლიერებას და გამოყენებას აქტიურ საგარეო პოლიტიკაში.

პანსლავიზმში რუსეთს სლავი ხალხების, განსაკუთრებით კი ოსმალეთისა და ჰაბსბურგის მმართველობის ქვეშ მყოფების, კულტურული მფარველისა და პოლიტიკური დამცველის როლი დაეკისრა. 1850-1870-იან წლებში ეს იდეები სწრაფად შევიდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის დისკურსში, განსაკუთრებით ყირიმის ომისა, 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს და შემდეგ. პანსლავიზმი ოფიციალურ იდეოლოგიურ ინსტრუმენტად იქცა, რომელსაც მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ინტელექტუალები, მართლმადიდებელი იერარქები და სამხედრო ელიტაც კი (რიასანოვსკი, 2005; შერი, 2013). ის რუსული იმპერიის გეოპოლიტიკური მიზნების გამართლების ემსახურებოდა და ამავდროულად, რუსეთის მოსახლეობაში შესაბამისი განწყობების

გაღვივებას უწყობდა ხელს, მათ შორის იმ იდეის კულტივირებას, რომ რუსეთის ბუნებრივი გავლენის ზონა მართლმადიდებლური, სლავური აღმოსავლეთი და სამხრეთი იყო და არა ლიბერალური ევროპა (Bassin, 2003; Laruelle, 2008).

პანსლავიზმის დოქტრინა კულტურული დაცვის ფარგლებს გასცდა და ინსტიტუციურ პრაქტიკაშიც გადავიდა. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სლავური კომიტეტები, კულტურული ასოციაციები და ეკლესიასთან ასოცირებული ქსელები სლავურ სამყაროში რუსეთის ლიდერობას ქადაგებდნენ, ხოლო რუსეთის მეფეს არა მხოლოდ მონარქად, არამედ დიდი სლავური ოჯახის პატრიარქად წარმოადგენდნენ. პანსლავიზმი სახელმწიფო ინსტიტუტებში, საგარეო პოლიტიკის დოქტრინებსა და დიპლომატიურ მისიებში იყო ინტეგრირებული. სლავური ერთიანობის იდეოლოგიური ნარატივი ბალკანეთში გავლენის გაფართოების, სამხედრო კამპანიების ლეგიტიმაციისა და რუსული ექსპანსიონიზმის დასავლური კრიტიკის ნეიტრალიზაციის სტრატეგიულ რესურსად იქცა (ციგანკოვი, 2016; სუსლოვი, 2012; ვიკსი, 1996).

1848 წელს პრაღაში გამართულმა პანსლავურმა კონგრესმა შეკრიბა სლავი ინტელექტუალები, რომლებიც სლავებს შორის კულტურულ და პოლიტიკურ ერთიანობას ქადაგებდნენ რუსმა მოაზროვნეებმა პანსლავიზმი თანამემამულე სლავების საქმეებში ჩარევის გამართლებულ ფორმად წარმოაჩინეს, განსაკუთრებით გერმანული და ავსტრო-უნგრეთის ჰეგემონიის წინააღმდეგ. იდეოლოგიების ძალისხმევით რუსეთის ჩარევა ბალკანეთში ასევე წარმოჩინდა, როგორც ცივილიზაციური მისია, რომელიც მართლმადიდებელი სლავების მუსლიმური ჩაგვრისგან გათავისუფლებას ისახავდა მიზნად. ოფიციალურ კომუნიკაციებში, ეკლესიის ქადაგებებსა და მედიაში გამოყენებული რიტორიკა ხაზს უსვამდა წმინდა მოვალეობის, ისტორიული ბედისწერისა და ეთნიკური ძმობის თემებს (Bassin, 2003; Riasanovsky, 2005).

ისეთი პოპულარული მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ მ. პოგოდინი, ი. სამარინი და ი. აქსაკოვი, სულ უფრო ხშირად მოუწოდებდნენ რუსეთის აქტიური ჩარევისაკენ ბალკანეთში და ამას მორალურ იმპერატივად და ცივილიზაციურ მოვალეობად წარმოაჩენდნენ. ამ იდეოლოგიებმა გავლენა მოახდინეს საზოგადოებრივ აზრზე და ხელი შეუწყვეს ნაციონალისტური ენთუზიაზმის ტალღას, რომელმაც პიკს 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს მიაღწია. ეს ომი რუსულ საზოგადოებაში ფართოდ აღიქმებოდა, როგორც რუსეთის პანსლავური მისიის რეალიზაცია (Weeks, 1996; Аксаков, 1877; Корелин, 1994). აღნიშნული სამხედრო კამპანია პანსლავიზმის აქტიურ პოლიტიკაში გამოყენების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია. ის საკუთარ თავში აერთიანებდა ერთის მხრივ, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე წვდომისა და ბალკანეთის კონტროლის გეოპოლიტიკურ ამბიციებს, ხოლო მეორეს მხრივ, ქრისტიანული მოსახლეობისა და სლავი თანამომხმეების დაცვის “დიდსულოვან მისიას”. ამიტომაც, რუსეთის იმპერიის ოფიციალური დოკუმენტები, ისევე როგორც მართლმადიდებელი სასულიერო პირები ამ ომს „წმინდა ამოცანად“ წარმოაჩენდნენ და ბალკანელ სლავებს „ტანჯულ ძმებად“ მოიხსენიებდნენ. ხოლო სახალხო მობილიზაციის კამპანიები კი მართლმადიდებლური სოლიდარობისა და ღვთაებრივი სამართლიანობის ხატებით იყო გაჯერებული. (Tsygankov, 2016; Suslov, 2012)

თუმცა, პანსლავიზმის იმპლემენტაციამ საგარეო პოლიტიკაში წინააღმდეგობებიც გამოიწვია. რუსეთის ქმედებები ახლად „განთავისუფლებულ“ სლავურ ტერიტორიებზე, განსაკუთრებით კი ბულგარეთში, სადაც რუსეთის ჩარევა ხშირად აღიქმებოდა, როგორც უხეში ზეწოლა, დამპყრობლური დამოკიდებულება და არა დეკლარირებული ძმური დახმარება. სან-სტეფანოს ხელშეკრულების (1878) შემდეგ, რუსეთი ცდილობდა თავისი გავლენის ქვეშ დიდი ბულგარული სახელმწიფოს შექმნას. თუმცა, მას შემდეგ, რაც ბერლინის კონგრესმა მნიშვნელოვნად შეამცირა ბულგარეთის ტერიტორია და ავტონომია, რუსმა ჩინოვნიკებმა სცადეს კონტროლის შენარჩუნება ბულგარეთის შიდა პოლიტიკური სტრუქტურების

მანიპულირებით. რუსეთმა გადამწყვეტი როლი ითამაშა მისთვის ხელსაყრელი კანდიდატის, პრინცი ალექსანდრე ბატენბერგის ბულგარეთის ტახტზე ასვლაში. თუმცა, როდესაც პრინცი და მოუკიდებელი პოლიტიკის გატარება დაიწყო, რუსეთის ხელისუფლებამ მას გადადგომა დააძალა (1886), რითაც ხელი შეუწყო პოლიტიკურ არასტაბილურობას და შიდა განხეთქილებას (Weeks, 1996).

რუსი დიპლომატების, ოფიცრებისა და ჩინოვნიკების უხეშმა, დომინანტურმა დამოკიდებულებამ უკმაყოფილება გამოიწვია ბულგარულ ელიტაში (ვალიცკი, 1989; რიასანოვსკი, 2005). ამგვარად, კულტურული ერთიანობის პანსლავური დაპირება რეალობაში იმპერიულ პატერნალიზმად გადაიქცა. რუსეთის ქმედებებმა ბულგარეთში გამოავლინა პანსლავიზმის რეალური სახე და სხვაობა რიტორიკულ ძმობასა და სტრატეგიულ დომინირებას შორის, რამაც საბოლოო ჯამში შეარყია პანსლავიზმის მიმზიდველობა სამხრეთ სლავურ ერებში.

ბულგარეთის მსგავსი მოვლენები სერბეთშიც დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ სერბეთი მიესალმებოდა რუსეთის მხარდაჭერას ოსმალეთის იმპერიასთან და ავსტრია-უნგრეთთან კონფლიქტებში, შემდგომში გამოვლინდა, რომ რუსეთის პანსლავური პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა სერბეთის დამოუკიდებელ ეროვნულ მისწრაფებებს. თავის მხრივ, სერბეთის სურვილი, ყოფილიყო სლავურ-ბალკანურ ფედერაციის ლიდერი, შეუთავსებელი აღმოჩნდა რუსეთის ამბიციასთან, ყოფილიყო სლავური სამყაროს უდავო და ერთპიროვნულ წინამძღოლი. შესაბამისად გამოაშკარავდა, რომ რუსული იმპერიული პოლიტიკა სერბეთის სუვერენიტეტს აკნინებდა, რამაც არსებული დაძაბულობა უფრო გაამწვავა. მილან ობრენოვიჩ IV-ის მეფობის დროს სერბეთი ცდილობდა რუსეთის გავლენის დაბალანსებას დასავლურ ძალებთან, განსაკუთრებით კი ავსტრო-უნგრეთთან, მჭიდრო კავშირებით, რამაც 1881 წელს კულმინაციას მიაღწია და დასრულდა სერბეთისა და ავსტრო-უნგრეთის საიდუმლო ალიანსის ხელმოწერით (Riasanovsky, 2005; Sherr, 2013). ამ სტრატეგიულმა განსხვავებებმა შექმნა ამბივალენტურობის ხანგრძლივი ნიმუში: მიუხედავად იმისა,

რომ სლავური სახელმწიფოები რიტორიკულად აღიარებდნენ რუსეთის მფარველობას, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის კონტროლს. იდეოლოგიური ძმობით შენიღბული იმპერიული პატერნალიზმი პრაქტიკაში არამდგრადი აღმოჩნდა და გამოიწვია გაუცხოების ზრდა რუსეთსა და მის სავარაუდო პროტეჟეებს შორის (Tsygankov, 2016; Bassin, 2003).

პანსლავიზმის ცენტრალური წინააღმდეგობა რიტორიკულ უნივერსალიზმსა და გეოპოლიტიკურ იერარქიას შორის არსებულ უფსკრულში იმალებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იდეოლოგია სლავებს შორის ძმობაზე, თანასწორობასა და სულიერ ერთიანობაზე საუბრობდა, რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკური ქმედებები უმცროსსა და სუსტზე დომინანტობას განასახიერებდა და არა იდეოლოგიურ თუ ეთნიკურ ძმობას.

რუსი ინტელექტუალების ნაწილმა გაიაზრა ეს დისონანსი. დანილევსკი ეჭვქვეშ აყენებდა რუსეთის მიერ, გეოპოლიტიკური ჰეგემონის ამპლუაში მოქმედების პირობებში, მორალური სახის შენარჩუნების შესაძლებლობას. (Данилевский, 1869/1998). თავის მხრივ, დოსტოევსკიმ, რომელიც ასევე ემხრობოდა რუსეთის ლიდერობას, გამოთქვა შეშფოთება, რომ გადაჭარბებული პოლიტიკური ზეგავლენა გააუცხოებდა იმ მოსახლეობას, რომელთა დაცვის ამბიციასაც რუსეთი აცხადებდა. (Достоевский, 1877).

შესაბამისად, პანსლავიზმი აერთიანებდა თითქოსდა ზოგისთვის მიმზიდველ იდეოლოგიას რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკურ ამბიციებთან, რამაც იტორიულ პერსპექტივაში მნიშვნელობანი გავლენა მოახდინა სხვა სლავურ (და არამხოლოდ სლავურ) ერებთან ურთიერთობაზე.

### 1.3. მედასავლეთეებისა და სლავოფილების პაექრობა, მედასავლეთეობის კრახი და პანსლავიზმის აღზევება

პანსლავიზმის აღზევებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმ სიღრმისეული დაპირისპირების განხილვა, რომელიც მე-19 საუკუნის რუსულ ინტელექტუალურ სივრცეში დასავლურ იდეებთან დაკავშირებით წარმოიშვა. აღნიშნულის გაანალიზება წარმოაჩენს იმ მსოფლმხედველურ, აქსიოლოგიურ და პოლიტიკურ მიზეზებს, რომელთა გამოც ლიბერალურმა პოლიტიკურმა იდეებმა ვერ მოახერხა იმდროინდელი რუსეთის საზოგადოების უდიდესი ნაწილის მხარდაჭერის მოპოვება და, მით უფრო, პოლიტიკურ დისკურსში დამკვიდრება, მიუხედავად საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში პოპულარობისა და რუსული არისტოკრატის სოლიდური ნაწილის დასავლური განათლებისა.

პეტრე I-სა და ეკატერინე II-ს რეფორმებმა დიდწილად დააჩქარა ევროპული იდეების გავრცელება რუსულ კულტურულ სივრცეში, მაგრამ ეს პროცესი არასოდეს ყოფილა ჰომოგენური ან საყოველთაოდ მიღებული. ამის მთავარი მიზეზები რუსული პოლიტიკური კულტურის, ადქმების, სტერეოტიპების და თვითშეფასების სტრუქტურაში იყო ჩაბეჭდილი. რუსეთის ინტელექტუალთა თუ პოლიტიკოსთა მცდელობები, გადმოეღოთ დასავლური ინსტიტუციური მოდელები, სისტემატურად აწყდებოდა შიდა იდეოლოგიურ, იდენტობაზე დაფუძნებულ წინააღმდეგობებს (Цыпко, 2007; Neumann, 1996; Laruelle, 2008; Бердяев, 1946).

პანსლავიზმი არ ყოფილა სახელმწიფოს მიერ თავსმოხვეული იდეოლოგია, ის სწორედაც რომ რუსული აზროვნების წიაღში აღმოცენდა. პანსლავიზმი არ დამკვიდრებულა ე.წ. „ცარიელ ადგილას“, მას მოუწია ჭიდილი რუსეთის ინტელექტუალური ელიტის ისეთ ჯგუფთან, რომელიც „დასავლოფილების“ (იგივე „მედასვლეთეების“) სახელითაა ცნობილი და რომლის შემადგენლობაშიაც შედიოდნენ ისეთი თვალსაჩინო მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, როგორებიც

იყვნენ პ. ჩაადაევი, ბ. ბელინსკი, ი. ტურგენევი, ბ. ჩიჩერინი, მ. ბაკუნინი, ა. გერცენი და სხვ.

და მართლაც, დასავლოფილების (იგივე „მედასავლეთეები“) და სლავიანოფილების (იგივე „სლავოფილები“) წინააღმდეგობა რუსული ინტელექტუალური და შემდგომ პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელი პარადიგმა გახდა. დასავლოფილებს სჯეროდათ, რომ რუსეთის განვითარების გზა ევროპული ინსტიტუტების, კონსტიტუციონალიზმის, სეკულარიზმის, განმანათლებლობის და ლიბერალიზმის იდეების დამკვიდრებაში მდგომარეობდა. ამის საპირისპიროდ, სლავიანოფილები რუსული უნიკალურობის, მართლმადიდებლობისა და კოლექტიური (სლავური თემების) ერთიანობის იდეებს ემხრობოდნენ. მედასავლეთეები სხვა კულტურებთან ურთიერთობების განვითარების მომხრეები იყვნენ, მაშინ როდესაც კულტურული უნიტარიზმის მომხრე სლავოფილები ამტკიცებდნენ, რომ რუსი ხალხის სულიერი პოტენციალი თვითკმარია და მას შეუძლია უზრუნველყოს ერის მოძრაობა მორალური იდეალისკენ. მათ სხვა კულტურებთან კონტაქტის შეზღუდვის პოზიცია დაიკავეს (Duncan, 2002; Леонтиев, 1875/1996; Бердяев, 1937). ასეთმა ეგზისტენციალურმა განსხვავებებმა გამოიწვია საზოგადოების იდეოლოგიური გაყოფა "რუს ევროპელებად" და "ნამდვილ პატრიოტებად". ტრადიციებსა და ინოვაციებს შორის არჩევანი განსაზღვრავდა საზოგადოების დაყოფას კონსერვატიულ ტრადიციონალისტებად და ლიბერალებად, ანუ რეფორმების მომხრეებად (Horujy & Michelson, 2012; Gagaev, 2014; Ivanits, 2012).

ამ პაექრობაში ერგვარ ათვლის წერტილად პეტრეს მიერ დაწყებული (და შემდეგ ეკატერინეს მიერ გაგრძელებული) რეფორმები იქცა, რომლებმაც საზოგადოების პროდასავლური ნაწილის გაჩენა და რუსული ევროპეიზმის სივრცის გაფართოება გამოიწვია. პეტრესა და ეკატერინეს პერიოდში საზოგადოების პროდასავლურ ორიენტაციას ხელს უწყობდა სახელმწიფო, რომელიც იძლეოდა იმის

საშუალებას, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს პირადად თუ წიგნის საშუალებით გაეცნოთ ევროპული ისტორიულ-კულტურული სამყარო. თუმცა რუსეთის ევროპეიზაციის პოლიტიკას უკიდურესად წინააღმდეგობრივი ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან იგი ემყარებოდა ავტორიტარული ხელისუფლების იმპერიულ ინტერესებს. სახელმწიფოს გარეგნულად მფარველობითი დამოკიდებულება ქვეყნის ევროპეიზაციის მიმართ არ ნიშნავდა საზოგადოების თავისუფლების დაშვებას. სახელმწიფო ცდილობდა გაეკონტროლებინა საზოგადოებრივი ცხოვრება. პეტრე I საზოგადოებას ავალდებულებდა მიეღო ქცევის ახალი ტიპი, მაგრამ მხოლოდ იმპერატორის მიერ განსაზღვრული ფორმითა და მოცულობით. ამიტომაც, ამ ეპოქაში შექმნილი ტიპაჟი შინაგანად წინააღმდეგობრივი იყო - განათლებული, მაგრამ არათავისუფალი. ასეთ წინააღმდეგობას პიროვნულ და სახელმწიფო საწყისებს შორის ვ. კლიუჩევსკი აფასებდა, როგორც გადაუჭრელ ამოცანას, შეუთავსებელის, ანუ დესპოტიზმის და თავისუფლების, შეთავსების მცდელობას (Ключевский. В. 1989, ტ. 4, გვ. 203).

პეტრეს რეფორმების ხელშესახები შედეგები დასავლური ტექნოლოგიების და კულტურის იმპორტში და ხელისუფლების ევროპული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში გამოიხატებოდა (Hosking, 2001, p. 142). ამავდროულად ეს რეფორმები ავტორიტარიზმის ხარჯზე ხორციელდებოდა, რასაც ძალდატანების ფორმა ჰქონდა და მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში აღიქმებოდა შეტევად დამკვიდრებულ, ტრადიციულ (მველრუსულ) ღირებულებებზე (А. Ахиезер, 1997. – ტ. 1., გვ.151-185).

ა. ობოლონსკი მიიჩნევს, რომ პეტრე I არ იყო ღირებულებებით დასავლელი, რადგან არ ცნობდა ადამიანის უფლებებს სიცოცხლეზე, დამოუკიდებლობაზე, თავისუფლებასა, ბედნიერებაზე, თუმცა ის ისწრაფოდა რუსეთის მოდერნიზირებისკენ. მისი აზრით, პეტრეს მიზანი იყო მართვის სისტემის ფუნქციონალური ეფექტურობის გაზრდა (Оболонский. А., 1994., გვ.55). პეტრეს დროს ევროპეიზაცია ინდივიდუალური ცნობიერების განვითარების პროცესის ტოლფასი არ

იყო. ეს იყო სახელმწიფო მანქანის რეფორმირება ძლიერი იმპერიის შესაქმნელად (Черникова, О; 2018, გვ.32-45).

ევროპეიზაციამ - დასავლური გამოცდილების გადმოღებამ - ხელი შეუწყო მოდერნიზაციას. სახელმწიფო ხელს უწყობდა დასავლური კულტურის ცალკეული ნიმუშების კოპირებას, ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მოდერნიზებას, მაგრამ ზღუდავდა ინდივიდუალურ თავისუფლებას. (Оболонский. А., М.1994; Ключевский. В. 1989).

ეკატერინე II-ს პერიოდში, მიუხედავად საზოგადოების სოციოკულტურულ ცხოვრებაზე სახელმწიფოს მეთვალყურეობის შენარჩუნებისა, მეტი ყურადღება ექცეოდა განათლების გავრცელებას, კულტურის განვითარებას, პატივისა და ღირსების საკითხებს. ევროპული განმანათლებლობის იდეებმა გარკვეული დასაყრდენი მოიპოვა რუსულ ინტელექტუალურ წრეებში, თუმცა ეს ყოველივე მაინც შერჩევით და ზედაპირულ ხასიათს ატარებდა (Rounding, 2006; Outram, 2005).

ახლადშექმნილმა კულტურულმა გარემომ - ბიბლიოთეკებმა, თეატრებმა, სალონებმა - ხელი შეუწყო განათლების, როგორც საზოგადოებრივი ფასეულობის ჩამოყალიბებას. კითხვა და ლიტერატურა იქცა ინტელექტუალური თვითიდენტიფიკაციის საშუალებად. იმავდროულად, სწორედ განათლებამ, ახალი იდეების გავრცელებამ და ზოგადად ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოებამ, უფრო გააღმავა კულტურულ-იდეოლოგიური დაყოფა ტრადიციონალისტებსა და ლიბერალებს შორის (Жидков, Соколов, 2001). შესაბამისად, რუსული განმანათლებლობის შედეგად საზოგადოებაში გარკვეული დუალიზმი ჩამოყალიბდა: ერთ მხარეს იყო სახელმწიფო მსახურებაზე ორიენტირებული ელიტა, ხოლო მეორე მხარეს - ახალი ტიპის ინტელიგენცია, რომელიც ადამიანის უფლებებსა და პიროვნულ თავისუფლებას აფასებდა. სწორედ ამ ინტელექტუალურმა ჯგუფებმა წამოაყენეს საყოველთაო განათლების, ყმების განთავისუფლებისა და ადამიანის ღირსების იდეები (Кондаков, Ключевский, 2000).

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის და მე-19 საუკუნის დასაწყისის ისტორიკოსების, პუბლიცისტების, მწერლების შემოქმედებაში ახალი და მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო ნაციონალური იდენტობის შემეცნება. რუსეთის განვითარების პოლიტიკური, სოციალური და მორალური საფუძვლების გააზრების დასაწყისმა კულტურულ ელიტას საზოგადოების ერთგვარი სულიერი მასწავლებლების მისია დააკისრა. სხვა ხალხების კულტურისა და ისტორიის გაცნობამ ინტელექტუალები რუსეთის ისტორიის გაგების საჭიროებასთან მიიყვანა.

ამ პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნ. კარამზინის მოღვაწეობა, რომელმაც თავისი ნაშრომებით პოპულარიზაცია გაუწია დასავლურ ღირებულებებს, განსაკუთრებით განათლების, კულტურული მრავალფეროვნებისა და ეროვნული ცნობიერების სინთეზის აუცილებლობას. აფასებდა რა პეტრეს რეფორმებს, იგი აღნიშნავდა, რომ აუცილებელია პროგრესი უფრო მეტად განათლებასა და მორალურ ღირებულებებს ეფუძნებოდეს და არა მხოლოდ ტექნოლოგიურ მიღწევებს (Карамзин, 1980). „რუსი მოგზაურის წერილებში“ (1789-1790/1980) კარამზინი აღნიშნავს, რომ ე.წ. თვითმყოფადობის მომხრეები შემფოთებულნი იყვნენ ევროპის მიბაძვის და რუსი ხალხის ხასიათისა და მათი მორალური პრინციპების შესაძლო ცვლილების გამო. ავტორის თქმით, მავანი პეტრეს რეფორმებს მიიჩნევდა, როგორც ერთპიროვნულად იმიტირებულ, უაზრო, მხოლოდ რუსული ტრადიციების მოსპობის და ხალხის „მორალური ფიზიონომიის“ შეცვლის მიზნით განხორციელებულს (Карамзин, Н. 1980., გვ.353).

კარამზინმა და სხვა პროგრესულმა მწერლებმა რუსულ კულტურას ხალხთა ისტორიის პატივისცემის, სიყვარულის მოთხოვნილებით აღზრდის და ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი ინტერესის იდეები დაუტოვეს (Кондаков,И./Ключевский,И, 2000). ისეთმა საზოგადო მოღვაწეებმა, როგორც ა. რადიშჩევი იყო წინ წამოწიეს და განავრცეს საზოგადოების განვითარების საგანმანათლებლო იდეები. რადიშჩევმა ხელი შეუწყო ინტელექტუალური მოძრაობის ჩამოყალიბებას, რომელიც ასაბუთებდა

მონობის გაუქმების, პიროვნების განვითარების აუცილებლობას არა მხოლოდ დიდგვაროვნების, არამედ გლეხებისთვისაც (Радищев, А, 1790/2004). განმანათლებლობის იდეებით შთაგონებული მოაზროვნეები მსჯელობდნენ ახალი ტიპის არისტოკრატის ჩამოყალიბების აუცილებლობასა და სახელმწიფოს ევროპეიზაციის ასპექტებზე. საბოლოო ჯამში, სწორედ ასეთმა იდეებმა განსაზღვრეს სამომავლოდ დეკაბრისტების და მთლიანდ მედასავლეთეების მოღვაწეობა (Artemyeva, 2022; Кондаков, И./Ключевский, И, 2000).

ეს განწყობები იცვლება მე-19 საუკუნის დასაწყისში. ნაპოლეონზე გამარჯვებამ ბიძგი მისცა ბინარულ დაპირისპირების - „რუსეთი-დასავლეთი“ ჭრილში რუსეთის როლის გააზრებას. იმავდროულად გამოჩნდა ხელისუფლებასა და მისგან დამოუკიდებელი ინტელიგენციის პოზიციების ღირებულებითი სხვაობა, რაც ალექსანდრე I-ის მეფობის ბოლო წლებში აშკარა წინააღმდეგობაში გამოიხატა (Palmer, 1974, pp. 52–55). წარჩინებულთა ნაწილმა, რომლებიც დარწმუნებული იყო ქვეყნაში სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურის მოდერნიზაციის აუცილებლობაში, გააცნობიერა ალექსანდრეს ბიუროკრატის უუნარობა ლიბერალური რეფორმების განხორციელებაში და დაიწყო თავდაუზოგავი ბრძოლა ადამიანის უფლებებისთვის. დეკაბრიზმი იყო დასტური საბოლოო განხეთქილებისა დამოუკიდებლად მოაზროვნე უმცირესობას, რომელიც თავის დანიშნულებას პიროვნების სუვერენიტეტის დაცვაში ხედავდა და თვითმპყრობელობას შორის (Оболонский, А. 1994).

1825 წლის დეკაბრისტების აჯანყების წარუმატებლობა დასავლოფილთათვის ერთ-ერთი საბედისწერო მოვლენა იყო. რეფორმისტულად განწყობილი დიდგვაროვანი ოფიცრების ჯგუფმა მეფის ერთპიროვნული ძალაუფლების შეზღუდვა და კონსტიტუციური მონარქიის დამყარება სცადა. ეს იყო გამოწვევა არსებული რეჟიმისთვის. ამიტომაც, დეკაბრისტების დამარცხება და შემდეგ მკაცრად დასჯა წარმოადგენდა რუსული იმპერიის შეუდრეკელ და უღმობელ პოლიტიკურ

გზავნილს, რომ ის ვერ მოითმენდა დასავლური სტილის ლიბერალიზმის დამკვიდრების მცდელობებს (Роговин, 1994).

დეკაბრისტების დამარცხებამ რეფორმატორულ მოძრაობას მნიშვნელოვანი ჩრდილი მიაყენა, ხოლო კონსერვატორებს და სახელმწიფო ბიუროკრატებს საბაზი შეუქმნა, რომ ლიბერალური იდეები რუსეთისათვის კულტურულად მიუღებლად და ეგზისტენციალურ საფრთხედ წარმოეჩინათ (Рождественский, 1995). ამ პერიოდში ლიბერალიზმს აქტიურად უპირისპირდებიან ა. ხომიაკოვი, ი. კირეევსკი და ი. სამარინი, რომლებმაც აკრიტიკებენ ევროპულ იდეებს და საზოგადოებას სთავაზობენ განვითარების განსხვავებულ მოდელს, რომელიც მათი თქმით წარმოადგენს სულიერად უპირატეს, უნიკალურად და რუსეთის ისტორიული და კულტურული გამოცდილებისთვის ყველაზე შესაფერის ფორმას (Хомяков, 1900). უფრო კონკრეტულად, ისინი ავითარებენ მოსაზრებას, რომ დასავლეთი სულიერად გადაგვარებული და სოციალურად ფრაგმენტირებული გახდა, რაც განმანათლებლობის ეპოქის ამპარტავნებისა და რელიგიური დაცემის შედეგია, ხოლო რუსეთი კი პირიქით, მართლმადიდებლობის, თემური და სულიერი ერთობის (сообщность) და ავტოკრატიული სახელმწიფოს ღვთაებრივი ლეგიტიმურობით ერთიანობის იდეას განასახიერებს (Хомяков, 1900; Аксаков, 1866).

ამ კონცეპტუალურ პაექრობაში ერთ-ერთი გამოერჩეულია პ. ჩაადაევის ფიგურა, რომელმაც რუსეთში პირველი დასავლური ტიპის ისტორიულ-ფილოსოფიური კონცეფცია შექმნა. მისი „ფილოსოფიური წერილები“ (Философические письма, 1836) კრიტიკულად აფასებს რუსეთის ადგილს მსოფლიო ისტორიაში. მას მიაჩნდა, რომ მხოლოდ იმპერიული და სამხედრო კამპანიები ვერ დაუმკვიდრებდა რუსეთს საპატიო ადგილს მსოფლიოში. ამისათვის საჭირო იყო განვითარება, განათლება, თავისუფალი აზროვნება, სახელმწიფო მმართველობის პროგრესული სისტემა. ჩაადაევი მწუხარებით ეხმაურებოდა რუსეთის იზოლაციას როგორც კათოლიკური დასავლეთისგან, ასევე ბერძნული აღმოსავლეთისგან და

აკრიტიკებდა არსებულ კულტურულ და პოლიტიკურ სტაგნაციას. „ჩვენ ვცხოვრობთ ყველაზე საზიზღარ და უიმედო სტაგნაციაში... იზოლირებულები მსოფლიოში, ჩვენ არაფერი მიგვიცია მსოფლიოსთვის და მსოფლიოს არაფერი მოუცია ჩვენთვის“. (Чаадаев,1836/1991, გვ 61.).

აღსანიშნავია, რომ ჩაადაევის კრიტიკამ კატალიზატორის როლი შეასრულა პანსლავისტებისა და სლავოფილებისთვის, რომლებიც რუსეთის დასავლეთისაგან გამიჯვნას არა წარუმატებლობად, არამედ სულიერი და ცივილიზაციური უნიკალურობის დასტურად აღიქვამდნენ. მათი აზრით, რუსეთი ღვთაებრივად იყო დაცული დასავლური თანამედროვეობის გამანადგურებელი გავლენისგან, რათა შეესრულებინა წმინდა მისია სლავურ ხალხებს შორის.

თავის მხრივ, მედასავლეთეები პროგრესულ იდეებს ეძებდნენ. როგორც ნ. სამოშინა აღნიშნავს: „ჩვენი მოაზროვნეები ეძებდნენ და პოულობდნენ ევროპულ ფილოსოფიაში საფუძველს დამოუკიდებელი კონცეფციების შექმნისთვის.....ევროპული თეორიები საშუალებას იძლეოდნენ გამოვლენილი ყოფილიყო ძირითადი საბაზისო პრობლემები, ათვლის წერტილები შედარებისა და დაპირისპირებისთვის“ (Самошина, Н. 2002.გვ. 226). მედასავლეთეების ცოდნის წყარო არა მხოლოდ ევროპელი მოაზროვნეების ფილოსოფიური იდეები იყო, არამედ ყველა წინა ეპოქის მეცნიერთა ისტორიული კვლევები. ისინი კარგად იცნობდნენ იუმის, რობერტსონის, ვიკოს, გიბონის, გიზოს, ტიერის, მიშელეს, ბარანტის, ტიერის, ნიბურის, ლეოს, როტეკას, შლოსერის იდეებს, ამიტომაც მათ მიერ ამოხსნილი ინტელექტუალური ამოცანების დიაპაზონი საკმაოდ ფართო იყო, ყოფიერების და ჭეშმარიტების ზოგადი საკითხებით დაწყებული, რუსეთის განვითარების იდეებით დამთავრებული. პ. ჩაადაევის, ი. ტურგენევის, ა. გერცენის და სხვების იდეები საფუძვლად დაედო რუსული ლიბერალური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას (Horujy & Michelson, 2012). მე-18-ე საუკუნის მიწურულისა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის „რუსული ევროპელობა“ იქცა კულტურულ გარემოდ, რომელმაც

გააჩინა ინტერესი მარადიული პრობლემებისა და საზოგადოებაში ჰარმონიული ინდივიდის ჩამოყალიბების იდეებისადმი. ამ დროის რუსულმა აზროვნებამ და ლიტერატურამ ეროვნული რეფლექსიის ახალი პერსპექტივები გააჩინა, აღზარდა ინტელიგენციის ახალი თაობა, განვითარებული სულიერი მოთხოვნილებებით.

საბოლოო ჯამში, მედასავლეთეობა იქცა ეგზისტენციალურ გამოწვევად, რუსული პოლიტიკური და კულტურული სივრცის იდეათა კონფრონტაციის გამოხატულებად. მიუხედავად ინტელექტუალური წრეების ძალისხმევისა, ლიბერალიზმი ვერ დამკვიდრდა ფართო ცნობიერებაში. საინტერესოა, რომ დასავლოფილები ძირითადად ლიტერატურულ და ფილოსოფიურ სალონებს იყვნენ მიჯაჭვულნი, ხოლო სლავიანოფილურმა იდეებმა გავლენა მოიპოვა საგანმანათლებლო პოლიტიკაში, ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობებსა და საგარეო პოლიტიკაში. მათ მეტი წვდომა ჰქონდათ ოფიციალურ სტრუქტურებთან, ხოლო მათი იდეები სულიერი ერთიანობისა და რუსული უნიკალურობის შესახებ სახელმწიფოს ოფიციალურ დისკურსზე ახდენდა გავლენას. ამგვარად, სლავიანოფილებმა არა მხოლოდ ფილოსოფიური დებატში გაიმარჯვეს, არამედ მათი იდეოლოგია სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ ცივილიზაციურ ნარატივად იქცა. (Аксаков, 1866; Розанов, 1911; Роговин, 1994).

სლავიანოფილიზმმა, დასავლოფილების საპირისპიროდ, არსებულ რეჟიმს პოლიტიკურად უსაფრთხო და მომგებიანი მოძღვრება შესთავაზა, რაც გულისხმობდა მართლმადიდებლობაზე, ძველრუსულ იდენტობასა და დინასტიურ ავტორიტარიზმზე დამყარებულ თანმიმდევრულ იდეოლოგიურ ჩარჩოს. ამან სლავიანოფილიზმი არა მხოლოდ ინტელექტუალურად მდგრად, არამედ სტრატეგიულად მოსახერხებელ მსოფლმხედველობად აქვია, რომელსაც შეეძლო რუსული სახელმწიფოს დაცვა “დასავლური ინფექციისგან” (Цыпко, 2007; Хомяков, 1900; Леонтьев, 1875/1996).

ამიტომაც, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დასავლოფილთა და სლავიანოფილთა დებატები მხოლოდ ფილოსოფიური არ ყოფილა. მას პირდაპირი პოლიტიკური შედეგებიც ჰქონდა.

დასავლოფილთა და სლავიანოფილთა ურთიერთობაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატული და სიმბოლური მომენტი 1880 წელს პუშკინის მენორიალის გახსნაზე ფ. დოსტოევსკის მიერ წარმოთქმული სიტყვაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს საჯარო გამოსვლა პუშკინის ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმოხილვაზე იყო აგებული, შინაარსობრივად იგი სლავიანოფილური იდეების მანიფესტს წარმოადგენდა (Франк, 2002). დოსტოევსკიმ პუშკინი წარმოაჩინა არა მხოლოდ პოეტად, არამედ რუსული სულის განსახიერებად, რუსეთის ისტორიულ, დიადი და საკრალური მისიის წინასწარმეტყველად. საინტერესოა, რომ რუსულ ტიპაჟს დოსტოევსკი ახასიათებს როგორც “მომთაბარეს” („скиталец“) და აღნიშნავს, რომ “რუსი ადამიანი - თავის ბუნებით მომთაბარეა... მისთვის ყველაფერი ცოტაა, ის არ დამშვიდდება, სანამ სრულიად სამყარო არ იქნება შეპყრობილი მისი იდეალებით, სანამ არ გახდება ისეთი, როგორც მას უნდა. მას საყოველთაო სიმართლე უნდა, საყოველთაო ძმობა... (Достоевский, 1880, გვ. 278). ეს სულიერი მოხეტიალის დოსტოევსკისეული ხატი რუსეთს წარმოაჩენს როგორც მხსნელ, გადამრჩენელ ძალას, ცივილიზაციას, როგორც ერს, რომელიც არჩეულ იქნა არა მხოლოდ სლავური ხალხების, არამედ მთელი ევროპის წინამძღოლად, რომელსაც ისინი სულიერი განახლებისკენ უნდა წაეყვანა (Бахтин, 1984; Франк, 2002). პანსლავიზმის მისეული კონცეფცია განუყოფელი იყო რელიგიური სლავოფილიზმისგან: რუსეთის ისტორიული ამოცანა იყო არა ჰეგემონია, არამედ სულიერი ლიდერობა (Холквист, 1994).

დოსტოევსკის სიტყვა იმდენად ემოციური და რუსოცენტრული სიმბოლიზმით გაჯერებული იყო, რომ მისმა გამოსვლამ ტურგენევიზმზედაც კი იმოქმედა, რომელიც ერთ-ერთი თავალსაჩინო დასავლოფილი იყო, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი ევროპაში გაატარა და საჯაროდ აკრიტიკებდა დოსტოევსკის ნაციონალიზმს.

გადმოცემის მიხედვით, ტურგენევი იმდენად აღაფრთოვანა გამოსვლამ, რომ დოსტოევსკის საჯაროდ გადაეხვია (Франк, 2002; Холквист, 1994).

მედასავლეთეებისა და სლავიანოფილების დაპირისპირების კონტექსტში ასევე მრავლისმეტყველია დოსტოევსკის შეხედულება რუსეთის პოზიციონირებაზე ევროპასა და აზიაში: „ევროპაში სამადლოდ სარჩენები და მონები ვიყავით, აზიას კი ბატონებად გამოვეცხადებთ. ევროპაში თათრები ვიყავით, აზიაში კი ევროპელები ვართ. მისია, აზიაში ჩვენი ცივილიზატორული მისია, აიტაცებს ჩვენს სულს და იქით წაგვიყვანს, ოღონდ კი მოძრაობა დაიწყებოდეს.“ (Достоевский, Ф. 1881/2004 გვ.214).

ეს ყოველივე კარგად ასახავს მე-19 საუკუნის ბოლოს რუსოცენტრული იდეების ღრმადმოციურ და იდეოლოგიურ რეზონანსს, მათ ძალასა და ზეგავლენის მასშტაბს რუსულ საზოგადოებაზე (ნოიმანი, 1996). თუკი მთელ ამ პროცესს კონსტრუქტივისტივიზმის პერსპექტივიდან შევხედავთ, რუსეთში დასავლური პოლიტიკური მოდელების უარყოფა არ იყო მხოლოდ პოლიტიკური სისტემის რეაქცია მისთვის უცხო და წინააღმდეგობრივი მსოფლმხდველობაზე, არამედ ეფუძნებოდა რუსული საზოგადოების უდიდეს ნაწილში ღრმად დამკვიდრებულ აღქმებს, იდენტობის, თვითშეფასებისა და თვითგამორკვევის ნარატივებს, რომლისთვისაც დასავლური ღირებულებები ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენდა (Tsygankov, 2016).

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ მედასავლეთეობის კრაზი და სლავიანოფილობის გამარჯვება ლოგიკური კანოზომიერება იყო იმ პოლიტიკურ-კულტურულ-საზოგადოებრივი პარადიგმისთვის, რომელიმაც მე-19 საუკუნის რუსეთი ვითარდებოდა. ამ გამარჯვებამ პოლიტიკური აღმასვლის შესაძლებლობა გაუხსნა პანსლავიზმს, რომელიც რუსეთის საგარეო-პოლიტიკურ აზროვნებაში პირველ, სრულად განვითარებულ იდეოლოგიურ ჩარჩოდ ჩამოყალიბდა. მან რუსულ ელიტებს ძალაუფლების პროეცირების საშუალება მისცა არა მხოლოდ მატერიალური თვალსაზრისით, არამედ მორალური და ცივილიზაციური ნარატივების მეშვეობითაც.

მე-19 საუკუნის ბოლოსთვის პანსლავიზმი რუსეთის პოლიტიკური რეპრეზენტაციულობის მნიშვნელოვან მდგენელად იქცა, რომელიც გავლენას ახდენდა როგორც იმპერიულ პოლიტიკაზე, ასევე საზოგადოებრივ განწყობაზე. ის აუფრო მეტად ფუნქციონირებდა, როგორც რუსული გეოპოლიტიკური ინტერესების მამოტივირებელიც და, ასევე, გამამართლებელი იდეოლოგია, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა რუსეთ-თურქეთის ომის, რუსეთის ბალკანური კამპანიებისა და, მოგვიანებით, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ნარატივებში.

1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის შედეგად სლავიზმი და პანსლავიზმი ოფიციალურად უარყოფილ იქნა. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ათეიზმისა და კლასობრივი სოლიდარობის პრინციპებზე აგებული საბჭოთა ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა მართლმადიდებლურ ქრისტიანობას, მონარქიზმსა და ეთნიკურ ნაციონალიზმს. ამის მიუხედავად, პრაქტიკულ პოლიტიკაში რუსოცენტრული ცივილიზაციური ლოგიკა არასოდეს გამქრალა. მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინმა მოსახლეობის მხარდაჭერის, კონსოლიდაციისა და საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად კვლავაც მიმართა რელიგიურ-მართლმადიდებლურ, ნაციონალისტურ და პანსლავურ იდეოლოგიურ კონსტრუქციებს: რუსი ხალხი მთავარ ერად, უფროს ძმად, ძირითადი კულტურის და გამარჯვებების მატარებელ ერად აღიქმებოდა, ეკლესია ნაწილობრივ რეაბილიტირებული იქნა, ხოლო სამხედრო პროპაგანდამ რუსეთის იმპერიის დიდების სიმბოლოები გამოიყენა: ალექსანდრე ნეველის ორდენი (შემოღებულ იქნა 1942წ.), მითები „წმინდა რუსეთის“ შესახებ, რუსული როგორც “წმინდა სამშობლოს” ენა და სხვ (Pipes, 1996; Sherr, 2013).

პანსლავიზმი საბჭოთა დიპლომატიაშიც აისახა. სსრკს და იუგოსლავიის სამეფოს შორის 1941 წელს დადებული ხელშეკრულება საბჭოთა მედიამ წარმოადგინა, როგორც სლავური ერთიანობისა და კულტურული სოლიდარობის დადასტურება (Щеглов, 2016), ხოლო შემდგომში სლავური სახელმწიფოების საბჭოთა ბლოკში ჩართვა არა მხოლოდ სოციალისტური ერთობით, არამედ “ისტორიული ძმობის”

მოტივითაც განხორციელდა (Riasanovsky, 2005; Bassin, 2003). ამრიგად, პანსლავიზმის იდეოლოგიური სტრუქტურა ადაპტირდა საბჭოთა რეალობაში. მართალია, შეიცვალა გამოხატვის ენა, მაგრამ სტრატეგიული ფუნქცია იგივე დარჩა: რუსეთის ლიდერობის გამართლება, დასავლეთისთვის წინააღმდეგობის გაწევა და გავლენის სფეროების შექმნა იდენტობის საფუძველზე (Tsygankov, 2016; Sherr, 2013).

როგორც დასაწყისში აღინიშნა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კვლავაც გააქტიურდა პოლემიკა რუსეთის ცივილიზაციური მისიის შესახებ. მართალია, პანსლავიზმი ოფიციალურ პოლიტიკურ დოქტრინად არ აღორძინებულა, მაგრამ მთავარი იდეური კონსტრუქციები, როგორცაა ცივილიზაციური დუალიზმი, სულიერი განსაკუთრებულობა და რუსეთის, როგორც კულტურული მფარველის ცნება კვლავაც გამოჩნდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ დისკურსში. თუმცა მანამდე, გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 1920-იან წლებში, პანსლავიზმის მემკვიდრეობამ გამოხატულება ჰპოვა ევრაზიონიზმში, რომელმაც რუსეთის, როგორც სლავური ცენტრის იდეა უფრო ფართო ცივილიზაციურ პროექტად განავრცეს, და, რომელიც მთელ ევრაზიულ სივრცეს მოიცავდა (Трубецкой, 1925; Савицкий, 1927). პოსტსაბჭოთა პერიოდში ეს კონცეპტუალური საფუძველები ხელახლა გააქტიურდა და გაფართოვდა ა. დუგინის, ვ. ციმბურსკის, ა. პანარინის და სხვათა მიერ, რომლებიც პანსლავიზმში იმ იდეოლოგიურ დასყრდენს ხედავდნენ, რომელიც მიესადაგებოდა მათ წამოდგენებს რუსეთის სახელმწიფოს განვითარების, მსოფლიოში ადგილისა და მისიის, და, ასევე, მრავალპოლარული და პოსტლიბერალური სამყაროს შესახებ.

## თავი II: ევრაზიულობა - ერთიანი გეობუნებრივი, ისტორიული და სოციალურ-კულტურული სამყაროს იდეა

### 2.1. ევრაზიულობის იდეური საფუძვლები და თავისებურებები

ევრაზიონიზმი მე-20 საუკუნეში წარმოიშვა. I მსოფლიო ომმა, 1905 და 1917 წლების რევოლუციებმა, ცარიზმის დამხობამ და ბოლშევიზმის აღზევებამ ფუნდამენტური ცვლილებები შეიტანა რუსეთის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში. საბჭოურმა ხელისუფლებამ უარყო პანსლავიზმისთვის დამახასიათებელი ქრისტიანულ-მესიანური ნარატივები, ხოლო სლავური ერთიანობის იდეა სოციალისტურ-პროლეტარული სოლიდარობით ჩაანაცვლა. აღნიშნულმა რუსული ინტელექტუალური წრეების მნიშვნელოვანი ნაწილის წინააღმდეგობა გამოიწვია. დაპირისპირების ქვაკუთხედი რუსეთის ცივილიზაციური იდენტობისა და მსოფლიოში მისი ადგილის საკითხი გახდა.

სწორედ ამ მსოფლმხედველობრივ დებატში აღმოცენდა ევრაზიონიზმი, რომელმაც რუსეთის მომავლის სრულიად განსხვავებული იდეოლოგიური ჩარჩო წარმოადგინა. იგი, ერთის მხრივ, ეპაექრებოდა გეოპოლიტიკისა და საგარეო პოლიტიკის ბოლშევიკურ კონცეფციას, ხოლო მეორეს მხრივ, აფართოებდა სლავიზმითა და პან-სლავიზმით დადგენილ ნაციონალურ-რელიგიური ჩარჩოებს. ოპონენტებისგან განსხვავებით ევრაზიელები ყურადღებას ამახვილებდნენ არა კლასობრივ, ან კონფესიურ-ეროვნულ ფაქტორებზე, არამედ გეოგრაფიულ უნიკალურობასა და განსხვავებულ ცივილიზაციურ მისიაზე.

ევრაზიელთა აზრით, ევროპასა და აზიას შორის არსებობს მესამე კონტინენტი - ევრაზია, რომლის საზღვრებიც რუსეთის იმპერიის საზღვრების იდენტურია. სწორედ აქედან გამომდინარე ისინი ავითარებდნენ რუსეთის განსაკუთრებულობის იდეას.

ევრაზიულობაზე, როგორც გეოპოლიტიკურ და ცივილიზაციურ იდეოლოგიაზე, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გერმანულმა გეოპოლიტიკურმა აზროვნებამ, განსაკუთრებით კი ფ. რაცელის ნაშრომებში ჩამოყალიბებულმა და შემდგომ კ. ჰაუსჰოფერის მიერ განვრცობილმა „შუალედურობის“ (*Mittellage*) კონცეფციამ, რომელიც XIX-XX საუკუნის გერმანული სტრატეგიული აზროვნების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა. აღნიშნული ამტკიცებდა, რომ ევროპაში ცენტრალური პოზიცია გერმანიას უნიკალურ შესაძლებლობებს უქმნის, რადგან კონტინენტური ევროპის ცენტრად წარმოაჩენს და რეგიონულ ძალთა ბალანსის ჩამოყალიბებაში საკვანძო აქტორის ფუნქციას აკისრებს. ამავდროულად, ასეთი მდებარეობა თანდაყოლილ დაუცველობის რისკებსაც შეიცავს დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების მხრიდან გერმანიის ალყაში მოქცევის შესაძლო საფრთხის გამო (ჰაუსჰოფერი, 1949; რაცელი, 1897).

სწორედ ასეთი მოსაზრების გამოძახილია ევრაზიონისტული „შუა სახელმწიფოს“ ანუ რუსულ კონტექსტში „სრედიინოსტის“ (*Срединность*) კონცეფცია. ევრაზიულობის ისეთმა ფუძემდებლებმა, როგორებიცაა პ. სავიცი და ნ. ტრუბეცკოი, მოახდინეს გერმანული გეოპოლიტიკური ჩარჩოს ადაპტირება რუსული გარემოსადმი და განავითარეს თეორია, რომ რუსეთი, იკავებს რა ცენტრალურ პოზიციას ევროპასა და აზიას შორის, მოწოდებულია გამაერთიანებელი როლი შეაუსრულოს ევრაზიის ფართო სივრცეში (მაცაბერიძე, 2019). რუსეთის ევრაზიის ცენტრად აღიარება მიიჩნეოდა არამარტო გეოგრაფიულ უპირატესობად, არამედ კულტურულ იმპერატივად. რუსეთი წარმოდგენილი იყო როგორც გეოპოლიტიკური აქტორი და ცივილიზაციური ძალა, რომლის მისიაც არის სხვადასხვა ხალხების (სლავების, კავკასიელების, თურქულენოვნების და შუაზიელების) ინტეგრირება ერთიან

ევრაზიულ პოლიტიკურ და კულტურულ სისტემაში (სავიცი, 1924; ტრუბეცკოი, 1920). სავიცი აღნიშნავდა, რომ რუსეთს არაერთი მარშრუტით და მიმართულებით შეუძლია უზრუნველყოს როგორც ევროპისა და აზიის (რუსეთის გავლით ევროპიდან ჩინეთამდე; სამხრეთ კავკასიის გავლით ევროპიდან ირანისკენ; ცენტრალური აზიის გავლით ინდოეთისკენ) და ასევე ევრაზიის და ჩრ. ამერიკის (არქტიკის გავლით) უმოკლესი გზებით კავშირადობა (მაცაბერიძე, 2019).

„შუალედურობა“ (срединность) სავიცისთვის რუსული იდენტობის უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენდა. იგი გარკვეულწილად იმეორებდა კლასიკური გეოპოლიტიკის გეოგრაფიული დეტერმინიზმის პრინციპებს და მათზე დაყრდნობით ასაბუთებდა ევრაზიის პოლიტიკური ერთიანობის აუცილებლობას. იგი მიიჩნევდა, რომ მის მიერ გამოცალკევებული ევრაზია სრულიად განსხვავდება იგივე დასახელების მატერიკის (ევრაზიის) დანარჩენი ნაწილებისგან და აღნიშნავდა, რომ ხმელეთის ეს ნაწილი ხასიათდება გამოკვეთილი და მკაფიო გეოგრაფიული სტრუქტურით, სადაც ბუნებრივი ზონები ლოგიკურად და თანამიმდევრულად გადადის ერთმანეთში, რაც ქმნის ისეთ ერთიანობას, რომელიც, ევროპის და აზიის სხვა სივრცეებისგან „მოზაიკურ-წყვეტილი აგებულებისგან“ განსხვავებით, ნაკლებად უწყობს ხელს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული სეპარატიზმის მომპლავრებას (სავიცი 1933 .გვ 5.). სავიცი მიიჩნევდა, რომ ევრაზია წარმოადგენს სივრცეს, რომლის მასშტაბებიც (ფართო სტეპები და უსასრულო დაბლობები) ადამიანს აჩვენებს გეოპოლიტიკური კომბინაციების დიდ მასშტაბებს, ამიტომაც, ამ სივრცეში ისტორიის მანძილზე მუდმივად იყო დიდი გაერთიენების მცდელობები - სკვითების, ჰუნების, მონღოლების, შემდეგ კი რუსების ლიდერობით. ამიტომ, სავიცისთვის ევრაზია მხოლოდ გეოგრაფიული, ან პოლიტიკური სივრცე კი არა, არამედ ის იდეაც არის, რომელიც თვით რუსულ კულტურასა და ისტორიაშია ხორცმესხმული. საერთო ჯამში იგი ქმნის განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ სივრცეს - რუსულ სამყაროს და განსაკუთრებულ, სხვებისგან გამოჩეულ ცივილიზაციას (სავიცი 1933, მაცაბერიძე 2019).

სავიციისეული რუსული სამყარო განსხვავებულია სლავიზმისა და პან-სლავიზმში არსებული ანალოგისგან. ის გაცილებით მეტია, ვიდრე სლავური ერთობა და გულისხმობს როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურულ სინთეზს, ასევე ევრაზიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების გაერთიანებას და მათ კულტურულ შერწყმას. (სავიციი 1933).

სლავიანოფიოლების მსგავსად, სავიციი (ასევე სხვა ევრაზიელების) უპირისპირდებოდა მედასავლეთეობას, მიიჩნევდა მას რუსეთისათვის დამღუპველად და აღნიშნავდა, რომ მხოლოდ მისი დამარცხებით იხსნებოდა გზა ევრაზიელი ხალხების (სლავების, ფინების, თურქულენოვნების, მონღოლებისა და სხვ.) ჭეშმარიტი ძმობისკენ (მაცაბერიძე 2019). ამ სისტემაში გამაერთიანებელი როლი, ცხადია, რუსეთს უნდა შეესრულებინა. იგი, როგორც ევრაზიის ცენტრი, შემდგომში მიიზიდავდა და გააერთიანებდა ევროპისა და აზიის სხვადასხვა ხალხებს ნათესაური კავშირების გამოყენებით: რუსები - სლავები - ინდოევროპელები, ევრაზიელი თურქულენოვნები - წინააზიელები - ირანული წარმოშობის ხალხები; ევრაზიელი მონღოლები - აღმოსავლეთ აზიელები (სავიციი 1933). მ. მაცებერიძე მართებულად აღნიშნავს, რომ სავიციის გეოპოლიტიკური და გეოკულტურული რუკა მაკინდერისეული ჰართლენდის თეორიის ერთგვარ ვარიაციასაც წარმოადგენს, იმ განსხვავებით, რომ აქ ძირითადად მამოძრავებელ ძალად წარმოჩენილია რუსული კულტურა და ისტორია, რუსული სახელწიფო და რუსული ტერიტორია. სავიციი რუსეთს განიხილავს არა როგორც ეროვნულ სახელმწიფოს, არამედ განსაკუთრებული ტიპის ცივილიზაციას, რომელიც ჩამოყალიბდა არიულ-სლავური, მართლმადიდებლური, თურქულენოვანი და მონღოლური კულტურებისა და ტრადიციების შერწყმის საფუძველზე. მისი აზრით, სწორედ ამ სინთეზმა შექმნა რუსეთის „შუალედურობა“ (*Срединность*) და უნიკალური გეოპოლიტიკურ-გეოკულტურული და ცივილიზაციური მისია (მაცაბერიძე, 2019).

სლავიზმისა და პანსლავიზმისგან განსხვავებით ევრაზიონიზმში მნიშვნელოვან როლს არამხოლოდ სლავური ერთობა, არამედ აზიური ფაქტორი, განსაკუთრებით კი მონღოლ-თათართა მემკვიდრეობა და თურქულენოვან ხალხებთან კავშირი ასრულებს. ამ თვალთახედვით „ჩინგიზ-ყაენი ევრაზიული პოლიტიკური ერთიანობის და თვითმყოფადობის იდეის საწყისთან არის ასოცირებული, ხოლო კიევის რუსეთი მიიჩნევა რომანულ-გერმანული სამყაროს პროვინციად (Трубецкой, 1925; Вернадский, 1930). სავიციკი პირდაპირ აღნიშნავს, რომ თათრობის გარეშე არ იქნებოდა რუსეთიც“ – „без *"татарщины"* не было бы России.“ (Савицкий, П. 1923, გვ 163). სავიციკი პოზიტიურად მიიჩნევს ოქროს ურდოს პერიოდს - რუსეთში მონღოლების ბატონობასა და აღნიშნავს, რომ ამან საშუალება მისცა რუსეთს, მოეპოვებინა გეოპოლიტიკური თვითმყოფადობა და სულიერი დამოუკიდებლობა აგრესიული გერმანულ-რომანული სამყაროსგან (Савицкий, П. 1927 გვ. 234–260; Савицкий, П. 1923 გვ: 163–192). რუსეთის იმპერია, თავის ვრცელი აზიური ნაწილით, ტრანსციმბირული რკინიგზით და განსაკუთრებით ცენტრალური აზიის რეგიონის მიერთებით, სავიციკისთვის სწორედაც ჩინგის ყაენისა და თემურ ლენგის ევრაზიული იმპერიის იდეის გაგრძელებას წარმოადგენდა. ევრაზიელთა ხედვები ევროპისა და აზიისადმი სრულ ჰარმონიაში იყო დოსტოევსკისეულ მიდგომასთან, რომ რუსები ევროპაში სამადლოდ სარჩენები მონები იყვნენ, ხოლო აზიას კი ბატონებად გამოეცხადნენ (Достоевский, Ф. 1881/2004 გვ.214).

ანტიევროპელობა, ცხადია, გეოგრაფიული ფაქტორი არ არის და ანტილიბერალიზმსაც ნიშნავს. ევრაზიელთათვის ლიბერალიზმი სახელმწიფოს სისუსტის გამოვლინებად მიიჩნეოდა, ხოლო დემოკრატია - მმართველობის მანკიერ ფორმად. სავიციკი საუკეთესო ფორმად იდეოკრატიას მიიჩნევდა, რაც მისივე განმარტებით, მმართველობის ისეთ ფორმას წარმოადგენს, როდესაც ხელისუფლებაში მყოფი ფენა (კლასი ან ჯგუფი) მმართველობისას ხელმძღვანელობს იდეოლოგიური კონცეფციით და არა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ფრაგმენტული, ანდა მატერიალისტური ინტერესებით. შესაბამისად, ევრაზიული სახელმწიფო უნდა

ეფუძნებოდეს იდეალებს. სრულიად სახელმწიფო სისტემა უნდა ერთიანდებოდეს იდეის ირგვლივ. ამ სისტემის სათავეში საჭიროა იდეური წინამძღოლის (ლიდერის, ბელადის) არსებობა. ასეთ მმართველობას შესაძლოა ჰქონდეს ნებისმიერი არადემოკრატიული ფორმა და ის შეიძლება გამოიხატოს მონარქიაში, თეოკრატიაში ან, თუნდაც, ერთპარტიულობაში (სავიცკი, 1923, მაცაბერიძე 2019). ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ევრაზიელთა ნაწილში სიმპატიითაც კი სარგებლობდა.

ევროპის კრიტიკაში კიდევ უფრო კატეგორიული იყო ნ. ტრუბეცკოი. რომლისთვისაც ევრაზიული სამყარო ჩაკეტილ და სრულყოფილ გეოგრაფიულ, სამეურნეო და ეთნიკურ მთლიანობას წარმოადგენდა, რომელიც განსხვავდება როგორც ევროპისაგან, ასევე აზიისგან. ტრუბეცკოი ამტკიცებდა, რომ თავად ბუნება ავალებს ევრაზიის ხალხებს, გაერთიანდნენ და ერთმანეთთან თანამშრომლობით შექმნან საკუთარი ეროვნული კულტურები. მისი აზრით, რუსეთი არ უნდა იყოს „ევროპული ცივილიზაციის პროვინცია“. ევროპული აზროვნება შექმნილია „სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიური ტიპის ადამიანებისთვის“. რუსეთის ამოცანა მომავალში არის გააცნობიეროს თავისი ნამდვილი ბუნება. აუცილებელია „ევროპული ცივილიზაციის სულიერი საფუძვლებისგან სრულიად განსხვავებულ ნიადაგზე დამოუკიდებელი და თვითკმარი რუსულ-ევრაზიული კულტურის შექმნა“. (Трубецкой 1999; გვ. 282–285).

ტრუბეცკოიმ წარმოადგინა რუსულ-ევრაზიული გეოგრაფიის, კულტურისა და პოლიტიკის დამაკავშირებელი კომპლექსური ხედვა, რომელიც რუსეთის გეოგრაფიულ და ისტორიულ პოზიციას განიხილავდა, ერთის მხრივ, როგორც ხიდს ევროპასა და აზიას შორის და, იმავდროულად, როგორც დამოუკიდებელ ცივილიზაციას. ტრუბეცკოიმ გეოგრაფიულ-პოლიტიკური დისკუსია ცივილიზაციურ ჩარჩოებში გადაიტანა. მან „შუალედურობის“ იდეა არა მხოლოდ გეოგრაფიულ ან პოლიტიკურ ფაქტად, არამედ დინამიურ ცივილიზაციურ

პრინციპად მიიჩნია. იგი აღნიშნავდა, რომ ეს ცენტრალური პოზიცია გულისხმობდა რუსეთის აქტიურ როლს ევრაზიული სივრცის ჩამოყალიბებასა და მრავალფეროვანი ეთნიკური, ენობრივი და კულტურული ჯგუფების ინტეგრირებაში ერთიან და თანმიმდევრულ ცივილიზაციაში. შესაბამისად, რუსეთის ევრაზიული „შუა სახელმწიფო“ განიხილებოდა არა პასიურ შუამავლად, არამედ, საკუთარი ცივილიზაციური მისიის მქონე შემოქმედ ძალად (Трубецкой, 1927).

ტრუბეცკოის ნაშრომში „რუსული პრობლემა“ (1922) ხაზგასმულია სლავური და აზიური კომპონენტების სინთეზი რუსულ კულტურაში. ავტორი მიიჩნევს, რომ რუსეთის იდენტობა ისტორიულად და კულტურულად შუალურობის სინთეზიდან წარმოიშვა და აღნიშნავს, რომ რუსული ენა, რელიგია და სოციალური სტრუქტურები წარმოადგენს სლავური და აზიური გავლენების ურთიერთშერწყმის არეალს, რაც ქმნის ევრაზიულ სივრცეში მრავალფეროვანი ეთნიკური და კულტურული ჯგუფების ინტეგრაციის მექანიზმებს.

ნაშრომში „ნარკვევები ენის ფილოსოფიის შესახებ“ («Очерки по философии языка») (1930) იგი აანალიზებს მონღოლური და ფინო-უნგრული ელემენტების რუსულ ენაში ინტეგრაციას, როგორც სტრუქტურულ და კომუნიკაციურ ჰიბრიდს და მიიჩნევს, რომ ასეთმა ენობრივმა ინტეგრაციამ ხელი შეუწყო ევრაზიულ სივრცეში სოციალურ ერთიანობას და კულტურათშორის კომუნიკაციას. საკუთარ შრომებში ევრაზიონიზმის შესახებ (2016) იგი ხაზს უსვამს, თუ როგორ შეითვისა რუსულმა მართლმადიდებლობამ ადგილობრივი წეს-ჩვეულებები და ფართო რეგიონული პრაქტიკა, როგორ შექმნა ერთიანი სულიერი და კულტურული ჩარჩო, რომელიც ერთდროულად სლავურიც იყო და აზიურიც, რითაც რუსეთს საშუალება მიეცა მოეხდინა პერიფერიული საზოგადოებების ინტეგრირება ცივილიზაციური ერთიანობის შენარჩუნებით.

საკუთარი მოსაზრებები ენაზე, კულტურასა და რელიგიაზე ტრუბეცკოიმ შემდომში განავრცო პოლიტიკურ და ინსტიტუციურ სფეროზეც. ნაშრომში „რუსეთის

სახელმწიფო მისიის შესახებ“ – „К вопросу о государственной миссии России“ (1922) რუსეთის იმპერიული მმართველობის, გასახლებისა და სამართლებრივი ორგანიზაციის მოდელების ანალიზით მან წარმოაჩინა, თუ როგორ აერთიანებდნენ რუსული ინსტიტუტები სლავურ ადმინისტრაციულ სტრუქტურებს ცენტრალური აზიის სოციალურ-პოლიტიკურ ნორმებთან. ტრუბეცკოის აზრით, ასეთი ჰიბრიდული მმართველობის მოდელი რუსეთს კონფლიქტების დარეგულირების, ახალი მოსახლეობის ინკორპორირებისა და მისი ვრცელი და არაერთგვაროვანი ტერიტორიის სტაბილიზაციის შესაძლებლობას ანიჭებს. ამრიგად, „სრედინოსტი“ არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ კულტურული, ენობრივი და პოლიტიკური ხასიათის ფენომენია, რაც რუსეთს საშუალებას უქმნის ევრაზიის დამასტაბილურებელი ცენტრის ამპლუაში იმოქმედოს.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ტრუბეცკოის მიდგომა გულისხმობს რუსეთის როლის იერარქიულ ხედვას მიმდებარე რეგიონებთან მიმართებაში. საუბრობდა რა ინტეგრაციასა და სინთეზზე, პოლიტიკური სტაბილურობის დასამყარებლად და კულტურული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად ტრუბეცკოი ხაზს უსვამდა რუსეთის მიერ ძალაუფლების განხორციელების აუცილებლობას ისეთ მოსაზღვრე რეგიონებში, როგორცაა კავკასია და ცენტრალური აზია (Трубецкой, 1922). გამარტივებული იმპერიალისტური ჩარჩოებისგან განსხვავებით, იგი რუსულ ექსპანსიას სტრატეგიულ და ცივილიზაციურ იმპერატივად წარმოადგენდა, რომელიც გეოპოლიტიკურ ამბიციებს კულტურული ინტეგრაციის მისიასთან აკავშირებდა და ამ გზით ქმნიდა იდეოლოგიურ არგუმენტაციას რუსეთის მიერ მეზობელ ტერიტორიებზე კონტროლის დასამყარებლად.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებოა ტრუბეცკოის ნაშრომი „კავკასიის ხალხებისთვის“ (1925), სადაც ის რეკომენდაციებს აძლევს რუსეთის ხელისუფლებას, თუ როგორ დაიმორჩილოს ეს ერები. საქართველოსთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ, რადგანაც ქართველებმა 1917 წლის რევოლუციის შემდეგ

ავტონომია მოიპოვეს, ამ უფლების წართმევა უკვე შეუძლებელია და ქართული სეპარატიზმის შემდგომი გაღვივების შესაძლებლობას ბადებს, რაც რუსეთის ნებისმიერმა ხელისუფლებამ ყველა საშუალებით უნდა აღკვეთოს. საქართველოს დამოუკიდებლობა რუსეთს დააკარგვინებს კონტროლს ბაქოს ნავთობზე, რის შედეგადაც რუსეთი დაკარგავს კონტროლს სამხრეთ კავკასიაზე და გაუჭირდება ჩრდილო კავკასიის შენარჩუნებაც. ტრუბეცკოი აღნიშნავს, რომ ქართული ნაციონალიზმი იმდენად ძლიერია და იმდენად გაჯერებულია ევროპული იდეებით, რომ საქართველოს პრობლემის საბოლოო გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ევრაზიული იდეოლოგიის ქართული ვარიაციის შექმნით (Трубецкой,1925; მაცაბერიძე, 2019).

მთლიანობაში ტრუბეცკოის თვლიდა, რომ სამხრეთ კავკასიაში დიდი ტერიტორიული ერთეულები - აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი უნდა გაუქმებულიყო. იგი ასევე გაუმართლებლად მიიჩნევდა ცარიზმის დროინდელ გუბერნიებად დაყოფას და ოპტიმალურ მოდელად ამ ტერიტორიებზე მცირე ოლქების შექმნა წარმოედგინა. საინტერესოა, რომ ერთი მხრივ ტრუბეცკოი საუბრობს, რომ ასეთმა დაყოფამ არ უნდა წაახალისოს სეპარატიზმი იქ, სადაც ეთნოგრაფიული ერთობა არსებობს. მაგალითად საქართველოში იგი მხარს უჭერს მეგრული და სვანური ენების განვითარებას, თუმცა აღნიშნავს, რომ ამან არ უნდა გამოიწვიოს რაიმე სახის ახალი თვითნებური ეროვნული ერთეულების წარმოქმნა, ხოლო მეორეს მხრივ, იგი საუბრობს შედარებით დიდი ერების მიერ პატარების შთანთქმა-ასიმილაციის დაუშვებლობაზე და არ უნდა მოხდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაქართველება (Трубецкой,1925; მაცაბერიძე, 2019).

ტრუბეცკოი მიიჩნევდა რომ საბჭოთა კავშირის სივრცეში ერთიანი სახელმწიფოს შესანარჩუნებლად მხოლოდ სოციალისტური იდეალები არ კმარა. სტატიაში „ევრაზიული ნაციონალიზმის შესახებ (1927) იგი აღნიშნავს: მარტო ის ფაქტი, რომ მაგალითისთვის უზბეკეთის რესპუბლიკა და ბელარუსის რესპუბლიკა

საკუთარ საშინაო პოლიტიკაში ერთნაირად ისწრაფვის ერთიანი სოციალური იდეალისკენ, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ეს რესპუბლიკები გაერთიანებული უნდა იყვნენ ერთ სახელმწიფოში. იმისათვის სხვა, უფრო ძლიერი ფაქტორია სჭირო. ყოფილი რუსეთის იმპერიის ნაწილები, რაც ახლა (1927 წლისთვის) საბჭოთა კავშირად იწოდება, საერთო ეროვნულობის საფუძვლით უნდა გაერთიანდნენ და, ამიტომ, მთელი ამ ტერიტორიების მოსახლეობებით უნდა შეიქმნას ახალი, მრავალეროვანი ევრაზიული ნაცია, რომლის ცენტრიც და ბირთვიც რუსეთი იქნება (Трубецкой, 1927).

ევროპასა და აზიას შორის მდებარე შუა მატერიკის შესახებ მოსაზრებები კიდევ უფრო განავრცო გ. ვერნადსკიმ. იგი რუსეთის იმპერიის ჩამოყალიბების მთავარ ფაქტორად გეოგრაფიულ გარემოს მიიჩნევდა. გ. ვერნადსკის "რუსეთის ისტორიის მონახაზში" (1927) და შემდგომ „რუსული ისტორიის“ ხუთტომეულში წარმოდგენილმა იდეებმა საფუძველი ჩაუყარა ევრაზიულობის კონცეპტუალურ დებულებებს: არ არსებობს ორი რუსეთი, "ევროპული" და "აზიური", მაგრამ არის მხოლოდ ერთი რუსეთი - "ევრაზიული" ან "რუსეთი - ევრაზია"; რუსების უწყვეტი წინსვლა აღმოსავლეთისაკენ არის არა „იმპერიალიზმი“, არამედ „ადგილგანვითარების უწყვეტი შიდა ლოგიკა“; რუსმა ხალხმა არა მხოლოდ მიმართა ადგილგანვითარებას, არამედ დიდწილად თავადაც შექმნა ეს ადგილგანვითარება (Вернадский, 2000., გვ. 23, 283). ეთანხმებოდა რა სავიციისა და ტრუბეცკოს, მან თავის შრომებში საბჭოთა კავშირი წარმოაჩინა როგორც რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკური მემკვიდრე და ევრაზიული ცივილიზაციის განვითარების მორიგი ეტაპი.

ევრაზიონიზმი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ევრაზიული სივრცის პრობლემატიკით. ის საკმაო ყურადღებას აქცევდა მსოფლიო პოლიტიკასაც და რუსეთის როლს გლობალურ სამყაროში. ამ კონტექსტში საინტერესოა კ. ჩხეიძის ნაშრომები. 1927 წელს გამოქვეყნებულ წერილში “ერთა ლიგა და სახელმწიფო მატერიკები” ჩხეიძე ერთა ლიგას განიხილავს, როგორც დასავლეთის ინსტრუმენტს

სხვა ქვეყნებზე ზემოქმედებისათვის. მისი მოსაზრებით, ერთა ლიგის წევრთა თანასწორობა მოჩვენებითია და რეალურად რამდენიმე ძლიერი სახელმწიფო განსაზღვრავს დღის წესრიგსა და პირობებს. ავტორი აღნიშნავდა, რომ პირველი მსოფლიო ომის შედეგად დასუსტებული ევროპა პირველობას შეერთებულ შტატებს უთმობდა და ცდილობდა ერთა ლიგის საშუალებით მოეხდინა ძალების კონსოლიდირება. ამიტომაც, ეს ორგანიზაცია საკუთარ თავში ატარებდა “მომავალი ევროპის შეერთებული შტატების კოორდინირებულ-სუბორდინაციული მთავრობების ემბრიონს” (მაცაბერიძე 2019).

ჩხეიძე თავისებურად ხედავდა მსოფლიოში მიმდინარე დეკოლონიზაციის პროცესს და ხაზს უსვამდა რასობრივი და რელიგიური ნიშნით ხალხებისა და სახელმწიფოების დიფერენცირებას. იგი აღნიშნავდა, რომ დეკოლონიზაციის პარალელურად შეინიშნება ინტეგრაციის ტენდენციებიც, რასაც მატერიალურზე მეტად განაპირობებს ხალხების რასობრივი და სულიერი თავისებურებები, ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით ჩხეიძემ ჩამოაყალიბა ხედვა „სახელმწიფო-მატერიკების“ შესახებ, რომელიც ესახება ინტეგრირების უმაღლეს ფორმად. ასეთი გაერთიანება ეფუძნება ორ საწყისს:

- 1) მატერიალური - გეოგრაფია, ეკონომიკა, ფინანსები, ტრანსპორტი;
- 2) სულიერი - კულტურული მემკვიდრეობა და ისტორიული ბედის ერთიანობა.

სახელმწიფო-მატერიკს შიგნით არსებული ხალხების ურთიერთობები სუბორდინაციის პრინციპს ეფუძნება, ხოლო სახელმწიფო-მატერიკებს შორის კი კოორდინაციის პრინციპი მოქმედებს. ჩხეიძე ვარაუდობს პან-ევროპულ, პან-ამერიკულ, პან-აზიურ და პან-ისლამურ სახელმწიფო-მატერიკების ჩამოყალიბებას. რაც შეეხება რუსეთ-ევრაზიას, მისი ხედვით ის უკვე არსებობს და ფუნქციონირებს, როგორც სახელმწიფო-მატერიკი (Чхеидзе, 1927; მაცაბერიძე, 2019).

ჩხეიძის მოსაზრებები სახელმწიფო-მატერიკის შესახებ მსგავსია კ. ჰაუსჰოპერის (1931) პან-რეგიონების თეორიისა, რომლის მიხედვითაც სამყარო იყოფა დიდ ნაწილებად-პანრეგიონებად: პან-ამერიკა, ევროაფრიკა და პანაზია. ამასთანავე, როგორ უკვე აღინიშნა, ჩხეიძის სახელმწიფო-მატერიკი ზენაციონალური გაერთიანებაა, ჰაუსჰოპერის პანრეგიონი კი ეფუძნება ბირთვი-პერიფერიის პრინციპს. ორივე ავტორი სამყაროს დიდ კონტინენტურ ბლოკებად ყოფს, რომლებიც იქმნება გეოგრაფიის და მეურნეობის საფუძველზე. თუმცა ჩხეიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს „ისტორიული ბედისწერის ერთიანობას“ და კულტურულ მემკვიდრეობას, ჰაუსჰოპერის პანრეგიონი კი ეფუძნება ბირთვი-პერიფერიის პრინციპს და გაერთიანების მთავარი იდეა რესურსების და ბაზრის კონტროლია.

საბოლოო ჯამში, კლასიკური ევრაზიონიზმი ჩამოყალიბდა კომპლექსურ ცივილიზაციურ და გეოპოლიტიკურ დოქტრინად, რომელიც რუსეთს ევრაზიის ღერძად წარმოაჩენს. შუალედურობის თეორიაზე დაყრდნობით, ევრაზიელებმა თეორიული საფუძველი შეუქმნეს რუსულ იმპერიას სლავური, თურქულენოვანი და კავკასიელი ხალხებისადმი ექსპანსიონისტური პოლიტიკისთვის. კლასიკური ევრაზიონიზმი გეოგრაფიულ დეტერმინიზმზე, კულტურულ მემკვიდრეობასა და საერთო ისტორიულ ბედისწერაზე აპელირებით უზრუნველყოფს თანმიმდევრულ იდეოლოგიურ საფუძველს რუსეთის საგარეო პოლიტიკისთვის.

## **2.2. ევრაზიული იდეის თანამედროვე ხედვები და ნეოევრაზიულობა**

ევრაზიულობის ფუძემდებლებს არცთუ ცოტა მიმდევარი და იდეების ინტერპრეტატორი გამოუჩნდა, მაგრამ გახლეჩილმა ევრაზიულმა მიმდინარეობამ ახალი მძლავრი ინტელექტუალური ბიძგი მხოლოდ XX საუკუნის 70-80-იან წლებში მიიღო და ახალ მიმართულებად ჩამოყალიბდა. ეს მოძრაობა დაკავშირებული იყო ისტორიკოს, ეთნოგრაფ და გეოგრაფ ლევ გუმილიოვთან და მის იდეასთან ევრაზიული

„პასიონარიზმის“ შესახებ, რომელსაც გუმილიოვი განსაზღვავს, როგორც „უნარი და სწრაფვა გარემოს შეცვლისკენ, ან, ფიზიკის ენაზე გადატანით - ინერციის დარღვევისკენ“ (Гумилёв, 1989, გვ. 169), ისევე როგორც „ორგანიზმის თანდაყოლილი უნარი, შთანთქას გარე სამყაროს ენერჯია და გამოუშვას იგი სამუშაოს სახით“ (Гумилёв, 1989, ს. 204).

გუმილიოვი (1989) თვლიდა, რომ სწორედ პასიონარულმა ბიძგებმა განსაზღვრეს ევრაზიის რიტმი. მათ განაპირობეს ამა თუ იმ ძალების პრიორიტეტი ერთიანი მეგაკონტინენტის - ევრაზიის ფორმირების სხვადასხვა პერიოდში. იგი ყურადღებას ამახვილებდა ტრუბეცკოის მოსაზრებაზე, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული საფუძველი მასში მცხოვრები ხალხების გაერთიანება და ერთი მრავალეროვანი ნაციის შექმნა უნდა იყოს. მან ასეთ ნაციას „სუპერეთნოსი“ უწოდა, რაშიც რამდენიმე ეთნოსის სისტემას გულისხმობდა. გუმილიოვმა ნათლად განსაზღვრა, რომ ცივილიზაციის თვალსაზრისით, სწორედ რუსული ეთნოსია მთელი ევრაზიული სივრცის ცივილიზაციური მემკვიდრეობის მატარებელი (Гумилёв 1989, გვ. 80-81). საყურადღებოა, რომ ტრუბეცკოისა და სავიციის მოსაზრებები არსებითად ემთხვევა ლ. ბრეჟნევის მიერ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 24-ე ყრილობაზე გაკეთებულ განაცხადს, რომ სოციალისტური მშენებლობის პერიოდში ქვეყანაში აღმოცენდა „ხალხების ახალი ისტორიული ერთობა - საბჭოთა ხალხი“ (Брежнев, 1971, ტ. 1, გვ. 101).

გუმილიოვის ნაშრომებში აშკარად იკითხება ევრაზიის და რუსეთის სახელმწიფოებრიობის საკითხებისადმი როგორც ეთნოგრაფიული (ევრაზიელი ხალხების ეთნოგენეზი), ასევე სივრცითი მიდგომა. გუმილიოვს მიაჩნდა, რომ თხუთმეტ საბჭოთა რესპუბლიკას შორის არსებული საზღვრები თავიდანვე ხელოვნური იყო, რადგან ოქტომბრის რევოლუციამდე ასეთი საზღვრები არ არსებობდა. ამიტომაც მან პოსტსაბჭოთა ქვეყნების სახელმწიფოებრივი სისუსტე და კონფლიქტები ივარაუდა (Гумилёв, Л. 1990–1992).

რუსი მკვლევარი ნ. ნარტოვი აღნიშნავს, რომ გუმბილიოვმა შექმნა საკმაოდ საკამათო, მაგრამ სრულიად ორიგინალური მიდგომა ველიკორუსების სახელმწიფოებრიობის შექმნისა და ეთნოგენეზის პრობლემების შესახებ, რომელიც თურქულ-სლავური შერწყმის მძლავრი პასიონალური ბიძგის საფუძველზე შექმნილ განსაკუთრებულ ეთნოსს წარმოადგენს; ეთნოსების ასეთი კომბინაცია შეიძლებოდა შექმნილიყო, როგორც სიმბიოზი, რომელიც ტყისა და სტეპის სპეციფიური შერწყმის შედეგად გაჩნდა; მათმა მჭიდრო კავშირმა განაპირობა ველიკორუსების ცივილიზაციის, კულტურის და ქცევის სტერეოტიპების არსი. (Нартов 1999გვ. 359.)

ამავდროულად, ვ. დორგაჩოვის აზრით, გუმბილიოვის ეთნოგენეზის პასიონარულმა თეორიამ გავლენა იქონია რუსული გეოპოლიტიკის ნეოევრაზიული მიმართულების ფორმირებაზე სსრკ-ს დაშლის შემდეგ. ამ კონტექსტში ევრაზიულობა განიხილება, როგორც სლავურ-თურქული ინტეგრაციის საფუძველზე, პოსტსაბჭოთა სივრცის ერთიანობის აღდგენის კონცეფცია. დორგაჩოვს მიაჩნია, რომ პ. სავიციკის და ნ. ტრუბეცკოის მიერ შემუშავებული პრინციპები დღესაც აქტუალურია „სოციალურ-ეკონომიკური არჩევანის და ევროცენტრიზმის მასობრივი ცნობიერების გადასალახად“ (Дергачев, 2004, გვ. 526.). დორგაჩოვი წერს ნეოევრაზიულობის მრავალ ნაირსახეობებზე: „რუსეთი-ევრაზია, როგორც ჰართლენდის მფლობელი“, „ევრაზიული კონფედერაციული კავშირი“, „ევრაზიული სამყარო გერმანია-რუსეთი-ჩინეთის ღერძთან. ევრაზიულობის იმპერიული ნაირსახეობა - ეს არის გლობალური მნიშვნელობის სახელმწიფოს სტატუსის დაბრუნების მცდელობა, შეხედულება სამყაროზე, როგორც საზღვაო და კონტინენტური ძალების - ატლანტისტების და კონტინენტური ევრაზიელების ბრძოლის არენაზე, რომელსაც, დორგაჩოვის აზრით, ტრადიციულად რუსეთი და რომანო-გერმანელები წარმოადგენენ.

20-იანი წლების ევრაზიელებთან შედარებით ზოგიერთ ნეოევრაზიელს განსხვავებული შეხედულება და ინტერპრეტაცია აქვს „აღმოსავლეთი-დასავლეთის“ ურთიერთობებზე, რომელიც რიგ შემთხვევებში ვერტიკალური „ჩრდილო-

სამხრეთით“ (ა. პანარინი, ა. დუგინი) იცვლება. გეოგრაფიული ფაქტორის ნაცვლად, რომელიც ევრაზიელებს გადამწყვეტად მიაჩნდათ ხალხების განვითარებაში, ნეოევრაზიელები ძირითად ელემენტებად ბიოლოგიურ და ეთნიკურ ფაქტორებს თვლიან (ლ.გუმილოვი, ა.დუგინი). კლასიკური ევრაზიულობისა და ნეოევრაზიულობის ძირეული პოსტულატების შედარებით ანალიზი იძლევა შესაძლებლობას ობიექტურად შეფასდეს მათი განსხვავებები, გამოიკვეთოს თანამედროვე ევრაზიული მსოფლმხედველობის ძირითადი აქტუალური საკითხები და სამომავლო ტენდენციები.

ერთ-ერთი, ვისაც კლასიკურ ევრაზიელებთან ყველაზე უფრო მიახლოებული, სიღრმისეულად გააზრებული და განვითარებული იდეები ეკუთვნის, ა. პანარინია. ის ითვალისწინებს ევრაზიელთა ანტიდასავლურ განწყობებს და მათ შეხედულებებს თანამედროვე მსოფლიოში არსებულ ვითარებას უკავშირებს. „ვესტერნიზაცია ნიშნავს არა იმდენად ბედნიერ ასიმილაციას დასავლეთთან, „განვითარების დაწყული“ მიღწევის კრიტერიუმების მიხედვით, წერს პანარინი, „არამედ არადასავლური კულტურების ორგანული მთლიანობის დაშლას და მათ ადგილას უწყსრიგო კონგლომერატების გაჩენას, განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიური და სოციალური წილების ნაგავსაყრელად გადაქცევას“ (Панарин; 1999. გვ. 25).

პანარინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს „სულიერ ინტეგრაციას“ პოსტსაბჭოთა სივრცეში. იგი აღნიშნავს, რომ ევრაზიულ სივრცეს ორგანიზატორებსა და მუშებზე, მეწარმეებსა და ექსპერტებზე მეტად „სჭირდება გულანთებული რწმენისა და აზრის მატარებლები, რადგან მხოლოდ სულიერ განზომილებაში აღებული იძენს ის ერთიანობას, მიმზიდველობას და ცენტრისკენულ პოტენციალს. სულიერის გარეშე ისტორიის ახალი მნიშვნელობის აღმოჩენასთან დაკავშირებული ინტეგრაციის არცერთი სხვა ფორმა საიმედო შედეგებს ვერ მოიტანს“ (Панарин; 1999. გვ. 25). პანარინი ასევე მკვეთრად აკრიტიკებს გორბაჩოვის საგარეო პოლიტიკის ბევრ პოსტულატს, რომელიც დაფუძნებული იყო „საყოველთაო ადამიანური

ღირებულებების“ აღიარებაზე, რის საფუძველზეც, დასავლეთის მიმართ კოლოსალური დათმობები განხორციელდა. პანარინი (1999) მიიჩნევს, რომ განმარტება „საყოველთაო ადამიანური ღირებულებები“ უკიდურესად არაზუსტია, თუ არა უაზრო. ყოველივე ასეთი განმარტების უკან ეთნოგრაფიული ცნებები იმალება და, ამიტომ, ევროპული კულტურა არ შეიძლება იყოს კაცობრიობის კულტურა. იგი იმოწმებს ტრუბეცკოის სიტყვებს, რომ ეს „არის გარკვეული ეთნიკური ჯგუფის ისტორიის პროდუქტი“ (Трубецкой 1925, გვ. 33).

ნეოევრაზიულობა გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იდეოლოგიური პლატფორმა. თუ ა. პანარინი და ბ.ერასოვი ყურადღებას ამახვილებდნენ თეორიასა და პოლიტიკაზე, ხაზს უსვამდნენ ევრაზიის ეროვნულ მრავალფეროვნებას (Панарин 1995.), ე. ბაგრატოვი და მისი ჟურნალი „ევრაზია“ ძირითადად კულტურასა და ფოლკლორს, სლავურ-თურქულ ნაზავს განიხილავდნენ, ხოლო ა.დუგინი, რომელიც წარმოადგენს უკიდურეს მემარჯვენე მოძრაობას, ჟურნალ „ელემენტებში“ ძირითადად ანტიდასავლურ პოლიტიკურ შეხედულებებს ქადაგებდა (Дугин, 1999).

ნეოევრაზიელები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ატლანტიკების, გლობალისტების და მონდეალისტების იდეებს. მათი აზრით, მონოპოლარულობას შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ ბიპოლარულობა, რომლის უზრუნველყოფაც მხოლოდ რუსეთს შეუძლია. როგორც ა. ნიაზოვი წერს, „ახალი კონტინენტური ალიანსი ან უნდა მოიცავდეს მთელ ევროპას ატლანტიკამდე და ევრაზიის სამხრეთ სანაპიროს რამდენიმე მნიშვნელოვან სექტორს - ინდოეთს, ირანს, ინდოჩინეთს და ა.შ., ან უზრუნველყოფილი იყოს ამ სივრცეების მეგობრული ნეიტრალიტეტი ე.ი. გამოეყვანილ იქნას ატლანტიზმის კონტროლიდან“ (Ниязов 2001, 3 თებერვალი). კონტინენტური ბლოკის ასეთი გაგება რუსეთის ევროპისადმი დიდ გეოპოლიტიკურ ინტერესს გულისხმობს, განსაკუთრებით მისი აღმოსავლური ნაწილისადმი.

ნეოევრაზიელთა კონსერვატიული ფრთის იდეები საკმაოდ მასშტაბური და რადიკალურია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. ისინი მტკიცედ ეწინააღმდეგებიან

უნიპოლარულ სამყაროს და "ახალი ბიპოლარობის" აუცილებლობაზე საუბრობენ. მაგრამ, ამასთან, არ განსაზღვრავენ განსხვავებას თანამედროვე ბიპოლარობასა და ცივი ომის პერიოდის ბიპოლარობას შორის, მხოლოდ შემოიფარგლებიან ბუნდოვანი პოსტულატით: „ახალი ევრაზიული ბიპოლარიზმი სრულიად განსხვავებული იდეოლოგიური წინაპირობიდან უნდა წამოვიდეს და სრულიად განსხვავებულ მეთოდებზე უნდა იყოს დაფუძნებული“ (Дугин, 2000. გვ. 162). ა. დუგინმა, რომელიც ევრაზიონიზმის ერთ-ერთ ამალორძინებლად ითვლება, არ მიიღო კლასიკოს ევრაზიონელთა ანტი-შოვინისტური და ეროვნულ-რელიგიური თვალსაზრისით პლურალისტული მოდელი ხისტი გეოპოლიტიკითა და „ეროვნული რელიგიის“ მშენებლობით ჩაანაცვლა (Дугин, 2011, 25 აპრილი).

თანამედროვე რუსეთში ევრაზიელობის მიმდევრებად პირველ რიგში საერთაშორისო „ევრაზიული მოძრაობა“ (საზოგადოებრივი ორგანიზაცია) ითვლება, რომლის ლიდერიც ალექსანდრე დუგინია. მისი ნეოევრაზიული პროექტი არამხოლოდ კლასიკური გეოპოლიტიკის ბაზისის - თელულოკრატიის (სახმელეთო) და თალასოკრატიის (საზღვაო) ცივილიზაციების მეტოქეობას ეფუძნება, არამედ იძლევა ევრაზიის, როგორც კონტინენტური სახელმწიფოს, მოქმედების სტრატეგიულ ნორმებს საზღვაო ცივილიზაციის (ატლანტიკის) წინააღმდეგ. ეს დიქტომია კარგადაა წარმოდგენილი დუგინის „გეოპოლიტიკის საფუძვლებში“ (1997/2000), სადაც ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ მმართველობის იმპერიული ფორმა რუსეთის არსებობის ბუნებრივ საშუალებას წარმოადგენს. „რუსეთი წარმოუდგენელია იმპერიის გარეშე“ - აღნიშნავს იგი (Дугин, 1997/2000, გვ.109–120).

დუგინის მოდელისთვის დამახასიათებელია პანრეგიონული ორგანიზაცია. თუმცა, ეს მიდგომა განსხვავდება ზემოხსენებული სახელმწიფო-მატერიკის ჩხეიძესეული და ჰაუსჰოფერის პანრეგიონული მიდგომისგან იმით, რომ დუგინის სქემაში საჭიროა მიმდებარე სასაზღვრო ზონებზე კონტროლიც. ამ მოდელში განსაკურებით ხისტ ჩარჩოებში სამხრეთის მიმართულებაა წარმოდგენილი. ავტორის

თქმით, „სამხრეთთან დაკავშირებით ისტორიის გეოგრაფიულ ღერძს მხოლოდ ერთი ნარატივი აქვს - გეოპოლიტიკური ექსპანსია ინდოეთის ოკეანის ნაპირებამდე“ (Дугин, 1997/2000, გვ.195).

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოსტულატი, რაც დუგინს კლასიკური ევრაზიელებისაგან განასხვავებს, კონფესიური გეოპოლიტიკაა. თავის შრომებში იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მართლმადიდებლურ გეოპოლიტიკაზე და აღნიშნავს, რომ მე-15 საუკუნიდან ტერმინი „მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკა“ ფაქტურად ტერმინის, „რუსეთის გეოპოლიტიკა“, სინონიმად გადაიქცა (Дугин, 1997/2000, გვ 224–225). ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით იგი ავითარებს რუსული სახელმწიფოს ქმედების პრაქტიკულ ნორმას - „სანიტარული კორდონების“ (Дугин, 1997/2000, გვ243–244) ნეიტრალიზაცია. ამ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება უკრაინას ეთმობა. დუგინი აღნიშნავს, რომ „უნიტარული უკრაინის შემდგომი არსებობა დაუშვებელია. ეს ტერიტორია რამდენიმე სარტყელად უნდა იქნას დაყოფილი“ (Дугин, 1997/2000, გვ. 215–216; 243–244)

დაბოლოს, განსაკუთრებით საყურადღებოა დუგინის იდეოლოგიური ზედნაშენი, რომელსაც იგი აყალიბებს ნაშრომში - “მეოთხე პოლიტიკური თეორია” (2012). აქ ავტორი მკითხველს მე-20 საუკუნის სამი დოქტრინის - ლიბერალიზმის, კომუნისმისა და ფაშიზმის „რადიკალურ უარყოფას“ და მათ მიღმა, პოსტმოდერნის საფუძველზე ახალი იდეოლოგიური ჩარჩოს შექმნას სთავაზობს (Дугин, 2012, გვ. 26–27). ამ იდეის ანთროპოლოგიური ბირთვია, რომ პოლიტიკის სუბიექტად განიხილებოდეს არა ზოგადად ინდივიდი, კლასი, რასა ან სახელმწიფო, არამედ ცოცხალი ინდივიდი რეალურ სამყაროში - მისი ენით, რწმენით, მეხსიერებით, ჩვევებით და ადგილით სამყაროში. ამ მოსაზრებას დუგინი ჰაიდეგგერისეულ *Dasein* - ზე (აქ-ყოფნა) დაყრდნობით ავითარებს - არა ადამიანი აბსტრაქცია, არამედ „აქ მყოფი და მცხოვრები“. აქედან გამომდინარე ავტორი რამდენიმე იდეას წარმოადგენს:

- სხვადასხვა ცივილიზაციებს უფლება აქვს სხვადასხვაგვარად იცხოვრონ. ამიტომაც, საჭიროა მრავალპოლარული სამყარო, ერთი ყველასთვის სავალდებულო სტანდარტის გარეშე;
- ტრადიცია მუზეუმი არ არის. შესაძლებელია მისი დაბრუნება და სამომავლო რესურსად გამოყენება;
- პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს კულტურულ ფესვებს და თემთა ცხოვრების წესს, და არა მხოლოდ ეკონომიკას და შიშველ ნორმებს.

საბოლოო ჯამში კი დუგინი ასკვნის: პოლიტიკური დრო შექცევადია, მისი უკან დაბრუნება შეუძლებელია, ხოლო „Dasein - ესაა მეთხე პოლიტიკური თეორიის სუბიექტი“ (Dugin, 2012, გვ. 52–54).

ღირებულებით დონეზე დუგინი ანტირასიზმს დეკლარირებს და, იმავდროულად, ეთნოსს, როგორც კულტურულ, ენობრივ რელიგიურ და „ლანდშაფტურად ჩაწერილ“ ერთობას, ანიჭებს „უმაღლესი ღირებულების“ სტატუსს (Дугин, 2012, გვ. 34–35). მსოფლიო წესრიგში ასეთი ონთოლოგია ვლინდება მულტიპოლარიზმითა და პლურივერსალიზმით (უნივერსალიზმის ნაცვლად). ამასთანავე, დუგინი დასაშვებად მიიჩნევს თეოლოგიისა და არქაიკის, როგორც პოსტმოდერნის პოლიტიკაში აზრის ლეგიტიმური წყაროების რეინტეგრაციას, ანუ რელიგიისა და ტრადიციების პოლიტიკის საფუძვლად დაბრუნებას და ამით საკუთარ თეორიას მოდერნის ტრადიციონალისტურ კრიტიკასთან აკავშირებს (Дугин, 2012, გვ. 19–20). საბოლოო ჯამში, მეოთხე პოლიტიკური თეორია ლიბერალიზმის ონთოლოგიურ ალტერნატივას აყალიბებს. მისი სუბიექტია - Dasein, უმაღლესი ღირებულება - ეთნოსი, ხოლო საგარეო პროექცია კი - მრავალპოლარული სამყარო.

გასაკვირი არ არის, რომ დუგინი ერთ-ერთ ძირითად მიზნად პოსტსაბჭოთა სივრცის კულტურულ, ეკონომიკურ, ინფორმაციულ, სტრატეგიულ და პოლიტიკურ დონეზე „ევრაზიულ კავშირში“ ინტეგრაციას მიიჩნევს (Дугин, 2012). მკვლევარი ბ.

ისაევი აღნიშნავს, რომ დუგინმა, რომელმაც 2002 წელს ასევე დაარსა პოლიტიკური პარტია „ევრაზია“, გავლენა მოახდინა რუსეთის გეოპოლიტიკურ სტრატეგიაზე, კერძოდ, უკრაინასთან დაკავშირებით (Исаев, 2016გვ. 442).

ნაშრომში „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ (2000 წ.) დუგინი „სუვერენული უკრაინის პრობლემას“ მთელ თავს უთმობს. სუვერენული უკრაინა, ავტორის აზრით, არათუ ნეგატიური მოვლენაა რუსეთის გეოპოლიტიკისთვის, არამედ გარკვეული ანომალიაც, რომელიც რუსეთის არასწორი გეოპოლიტიკური ნაბიჯების შედეგია (გვ 216). შავი ზღვის სანაპიროს გარეშე (მისი ჩრდილოეთი ნაწილის) თვითონ რუსეთის, როგორც ნორმალური და დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსი ეჭვქვეშ დგება (Дугин 2000). 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია დუგინის მიერ ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში გამოთქმული გეოპოლიტიკური იდეის დასტურია. დუგინის (2000) აზრით, უკრაინა სტრატეგიულ დონეზე უნდა იყოს მხოლოდ მოსკოვის პროექციით. მისი აზრით, უკრაინა უნდა იქცეს რუსული ცენტრალიზებული სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ცენტრად (გვ 217-219). დუგინი ამტკიცებს, რომ დამოუკიდებელ უკრაინას აზრი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ როგორც „სანიტარულ კორდონს“ (გვ 217), რადგანაც გავლენიანი გეოპოლიტიკური აქტორები არ დაუშვებენ მის მიერთებას არც რუსეთ-ევრაზიისთვის, არც დასავლეთ ევროპისთვის. ავტორი თვლის, რომ უკრაინა გარკვეული გეოპოლიტიკური და ეთნოკულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, უნდა დაიყოს რამდენიმე ზონად.

თანამედროვე რუსული გეოპოლიტიკის თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა ვ. ციმბურსკის კონცეფცია, რომლის საფუძველს წარმოადგენს „დიდი ლიმიტროფის“ იდეა. ამ გეოპოლიტიკური ცნების ასახსნელად, ავტორმა ორი ცნება შემოიტანა: ლიმესი - იმპერიული ან ცივილიზაციური პლატფორმის არამდგრადი განაპირა ნაწილი და ლიმიტროფი - იმპერიებსა და ცივილიზაციებს შორის არსებული შუალედური სივრცე. მკვლევარმა მხოლოდ ევრაზიის სივრცეში მდებარე ცივილიზაციები გამოყო: რომანო-გერმანული (დასავლეთ ევროპა), არაბო-ირანული

(ახლო და შუა აღმოსავლეთი), რუსული, ჩინური, ინდური. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამ ცივილიზაციებს შორის შეიქმნა „სუვერენული სივრცეების გამჭოლი სარტყელი, რომელიც მთელს კონტინენტზე გადაიჭიმა პოლონეთიდან და ბალტიისპირეთიდან პამირამდე და ტიან-შანამდე, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ ევროპას, ბალკანეთს, კავკასიას და პოსტსაბჭოთა ცენტრალურ აზიას“. (Цымбурский 2000, с. 29).

ციმბურსკი მიიჩნევს, რომ რუსეთმა ჩაახშო ძველი, ურდო-მოთაბარე ევრაზია და იგი დიდ ლიმფოტროფად გადააქცია. ამიტომაც, ციმბურსკი რუსეთს ევრაზიის დამანგრეველს უწოდებს და აღნიშნავს, რომ „ევრაზიელები თვალს ხუჭავდნენ რუსეთის რეალურ როლზე - ევრაზიის დამანგრეველზე. ამ უკანასკნელის ხარჯზე გაფართოებით რუსეთმა ბოლო მოუღო მომთაბარეობას. ასე, რომ „ყოფილი ევრაზია“ მხოლოდ ლიმფოტროფული სარტყელისა და რუსეთის პლატფორმაში ცალკეული თურქულ-მონღოლური ანკლავების სახით დარჩა“ (Цымбурский, 2011 აზვ, 13-14; Цымбурский, 2007, გვ. 189). აქედან გამოდინარეობს ავტორის მთავარი თეზისიც: რუსეთი ევრაზია არ არის, რუსეთი გეოგრაფიულად ევრაზიაშია, მაგრამ ცივილიზაციურად ის თვითკმარი პლატფორმაა, რომელიც ლიმფოტროფითაა გამოყოფილი და ევრაზიის მიღმა მდებარეობს. (Цымбурский, 2007). ავტორი მიიჩნევს, რომ ლიმფოტროფი არ უნდა შედიოდეს რუსეთის შემადგენლობაში. ის უნდა იყოს ბუფერი, რომელიც რუსეთმა უნდა დააბალანსოს და გაამკვირვოს რეგიონული კონსტრუქციებით, ხოლო თავად რუსეთში ძალისხმევა უნდა გადავიდეს „შიდა გეოპოლიტიკაზე“ აღმოსავლეთის ბირთვისკენ - ურალი ციმბირი (Цыганков, 2015, Цымбурский, 2011/2024). შესაბამისად, ლიმიტროფული სახელმწიფოების მიმართ რუსეთმა უნდა გაატაროს „სარგებლის პრაგმატიზმზე“ და არა „უანგარობის ინტერნაციონალიზმზე“ დამყარებული პოლიტიკა (Цымбурский, 2011/2024), რაც ეწინააღმდეგება დუგინის ნეოევრაზიულობის იმპერიულ იდეას. ამავდროულად, დიდი ლიმიტროფი - ეს რუსეთის სასიცოცხლო ინტერესების სფეროა, მაგრამ გეოპოლიტიკურის და არა შიდაპოლიტიკურის. ლიმიტროფი - რუსეთის სახმელეთო

პერიმეტრის მთელს საზღვარზე განლაგებული სუვერენული ქვეყნებისგან შედგება და რუსეთს აშორებს ევრაზიულ ცივილიზაციურ არეალებს, რომლებიც ოკეანეების გაუყინავ აკვატორიაში არიან განლაგებული. ამ ახალმა გეოპოლიტიკურმა სიტუაციამ გამოიწვია ევრაზიისთვის მნიშვნელოვანი კითხვები: გახდებიან თუ არა ლიმიტროფის ცალკეული სექტორები - აღმოსავლეთ ევროპა, კავკასია და „ახალი“ ცენტრალური აზია შუამავლები მეზობელ ცივილიზაციებთან? ისინი იქცევიან დამაკავშირებლად და გამყოფად? ციმბურსკი მიიჩნევს, რომ ლიმიტროფის სივრცეებზე უნდა აისახოს თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ორ ტენდენციას შორის არსებული დაპირისპირება - უნიპოლარულობას და რეალურ ძლიერ მრავალპოლარობას შორის, რაც მსოფლიოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის მთავარი შინაარსი იქნება უახლოესი ორმოცდაათი წლის განმავლობაში (Цымбурский, 2011/2024).

ციმბურსკის აზრით, დიდ ლიმიტროფში რუსეთისთვის ყველაზე პრობლემური ადგილია მისი აღმოსავლეთ-ევროპული სექტორი. დასავლეთმა ლიმიტროფი შეიძლება რუსეთის იზოლაციისთვის გამოიყენოს, ამიტომ რუსეთმა უნდა უზრუნველყოს გავლენა მის ღერძზე, რომელიც გადის კალინინგრადიდან ყირიმამდე და გათიშოს ჰართლენდი აღმოსავლეთ ევროპისგან. რუსეთის ლიდერებმა, რომლებიც დაშორდნენ ევროპას დიდი ლიმიტროფის სუვერენული სივრცით, აუცილებელია გადაწყვიტონ, თუ როგორ შეცვალონ ქვეყნის „ევროპული ტრანსპერიფერიული ჰინტერლენდის“ მდგომარეობა და როგორ დაიკავოს რუსეთმა ღირსეული ადგილი არა მარტო კონტინენტზე, არამედ მთელ მსოფლიოში. ამასთანავე, ციმბურსკი თვლიდა, რომ რუსეთის გეოპოლიტიკური მიზნის მისაღწევად „არც იზოლაციონიზმი, არც პეტრე სავიცკის და ლევ გუმილიოვის ევრაზიულობა დღევანდელი პრაქტიკული პოლიტიკისთვის გამოსადეგი არ არის“ (Цымбурский, 1993; 1995; 2007)

ციმბურსკი ავითარებს „კუნძული რუსეთის“ კონცეფციას, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთი წარმოადგენს დამოუკიდებელ ცივილიზაციურ

პლატფორმას, რომელიც სხვა ევრაზიული პლატფორმებისგან (რომანო-გერმანული, ისლამური, ჩინური და ა.შ.) გამოყოფილია „სრუტის ტერიტორიების“/„დიდი ლიმიტროფის“ ფართო სარტყელით, რაც მას კონტინენტზე „კუნძულის“ პოზიციას ანიჭებს (Цымбурский, 2007, გვ. 181–197; 189). შესაბამისად, რუსეთის ამოცანა უნდა იყოს არა „იმპერიის შეკრება“, არამედ ბუფერული ზონების ნეიტრალურად და სტაბილურად შენარჩუნება და შიდა განვითარებაზე ორიენტაცია (Цымбурский, 2008/2015, გვ. 27; Цыганков, 2015, გვ. 12–17, 21–22). აქედან გამომდინარეობს ფრთხილი ბალანსისა და მოქნილი ალიანსების პოლიტიკისთვის პრიორიტეტის მინიჭების სტანდარტიც, ნაცვლად უნივერსალისტური ჰეგემონიისკენ სწრაფვის პრეტენზიისა (Цымбурский, 2011, «Возвращение на “Остров Россия”», აზ. 13–19; Цымбурский, 2007, გვ. 181–197).

ციმბურსკი სივრცით ანალიზს დროით რიტმებთან აკავშირებს. მისი აზრით, რუსეთის საგარეო პოლიტიკა „იზომორფულ“ სიუჟეტებში ვითარდება, სადაც ევროპასთან დაახლოების/განსხვავების ფაზები მეორდება და სტრუქტურულ შედეგებს აგროვებს (Цымбурский, 2003). ეს არა მექანიკური კალენდარული პერიოდიზაციაა, არამედ მოდელი, რომელიც ეფუძნება სტრატეგიის დამოკიდებულებას ცივილიზაციური პლატფორმების კონფიგურაციასა და ლიმიტოტროფული სარტყლის ცვლილებების ციკლებზე. ასეთი მიდგომით ციმბურსკის ევრაზიის თემატიკა გეოგრაფიიდან პოლიტიკური და ცივილიზაციური ურთიერთქმედებების ხანგრძლივობისა და განმეორებადობის ნიმუშებამდე, ანუ „ქრონოპოლიტიკამდე“ გადაჰყავს (ციმბურსკი, 1996; 2003). აღწერს რა რუსეთის განვითარების გზას, იმპერიული ეპოქის დასაწყისიდან მოყოლებული, ციმბურსკი რუსულ გეოსტრატეგიას სამ იზომორფულ სიუჟეტურ ციკლად ყოფს (2003), რასაც რუსეთის მკვლევარი გორდონ ჰანი აფასებს, როგორც რუსეთ-დასავლური ურთიერთობების სამი „სტრატეგიული ციკლის“ თეორიას. იგი აღწერს რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებს მე-18 საუკუნიდან მე-20 საუკუნის ჩათვლით. იზომორფული ციკლების არსი მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთსა და დასავლეთს

შორის ურთიერთობები განმეორებად „ქანქარას“ მიჰყვება: დაახლოების/ვესტერნიზაციის ფაზა → მზარდი დასავლური ზეწოლის/ჩარევის ფაზა → რუსეთის კონტრნაბიჯი და თავდაცვაში გადასვლა ლიმიტროფის საშუალებით. რის შემდეგაც ციკლი თავიდან იწყება. (ჰანი, 2024, გვ. 10–12). (Hahn, 2021, გვ.10).

ნეოევრაზიოლოგია, ისევე როგორც ზოგადად ევრაზიონიზმი, საკმაოდ აქტუალური გახდა თანამედროვე რუსეთში. ევრაზიოლოგიის იდეებისადმი ინტერესის გაზრდის ერთგვარი სტიმული და მიზეზი იყო რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ ევრაზიული იდეების მნიშვნელობისა და აქტუალობის აღიარება. ასტანაში ლ. გუმილიოვის სახ. უნივერსიტეტში გამოსვლისას, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა: „ევრაზიული იდეების მუხტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ჩვენ ვაშენებთ ჭეშმარიტად თანასწორ ურთიერთობებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს შორის და ამ გზაზე ჩვენთვის მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ ყველაფერი საუკეთესო, რაც დაგროვდა ცივილიზაციის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში“ (Евразийство. Теория и практика. 2011. გვ. 7).

### თავი III: რუსოცენტრული იდეების ფორმალიზება და ინსტრუმენტალიზაცია რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკაში

2000 წლიდან (ვ. პუტინის ხელისუფლებაში მოსვლიდან) მოყოლებული რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ჩნდება მდგრადი და პროგრესირებადი იდეოლოგიური ნარატივები, რაც დროთა განმავლობაში სრულფასოვანი კონცეპტუალური ჩარჩოს სახეს იძენს. აღნიშნულში ცხადად იკვეთება „დიდი ევრაზიის“, „რუსული სამყაროსა“ და „მრავალპოლარობის“ იდეები, რომლებიც თანამიმდევრულად გადადის სტრატეგიულ დოკუმენტებში და შემდგომ, კონკრეტულ ქმედებებში.

ამ ევოლუციაში ცენტრალური როლი ენიჭება „რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის“ სერიებს, რასაც აძლიერებს სხვა დოკუმენტებიც (მაგ: ეროვნული უსაფრთოების სტრატეგია, საზღვარგარეთ ჰუმანიტარული პოლიტიკის კონცეფცია, საზღვარგარეთ თანამემამულეებთან მუშაობის კონცეფცია, სამხედრო დოქტრინა და სხვ.) და, ასევე, რუსული რბილი ძალის განხორციელების სპეციალური ინსტიტუტები (მაგ. „როსსოტრუდნიჩესტვო“, ფონდი „რუსსკი მირ“, „გორჩაკოვის ფონდი“ და სხვ.).

სწორედ ასეთი სტრატეგიულ-იდეოლოგიური დოკუმენტებისა და სპეციალური სახელმწიფო-ადმინისტრაციული ინსტიტუტების ასეთმა შერწყმამ გახადა შესაძლებელი ევრაზიონიზმის და „რუსული ცივილიზაციის“ იდეების ფორმალიზება, ოფიციალურ საგარეო კურსად გარდაქმნა და ინსტრუმენტალიზაცია (Президент РФ, 2023; МИД РФ, 2016).

### 3.1 საგარეო პოლიტიკის კონცეფციები: მულტიპოლარობიდან „სახელმწიფო-ცივილიზაციამდე“

2000 წლის კონცეფციამ რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის საწყისი ჩარჩო ჩამოაყალიბა: საერთაშორისო ურთიერთობების სასურველ არქიტექტურად გამოცხადდა მრავალპოლარობა და დამკვიდრდა „ახლო სამეზობლოს“ პრიორიტეტი. ანუ ინსტიტუციურად განსაზღვრა ის სივრცე, სადაც ევრაზიული ვექტორი შეიძლება ყოფილიყო რეალიზებული (Президент РФ, 2000). ამავე დოკუმენტმა განსაზღვრა საგარეო პოლიტიკის, როგორც სუვერენიტეტის და მთლიანობის დაცვის ინსტრუმენტის მნიშვნელობა. შემდგომში ეს თეზისი გამოყენებულ იქნა სტრატეგიულ დოკუმენტებში ე.წ. „ცივილიზაციური არგუმენტაციის“ ინტეგრირების საფუძვლად და საშუალებად. 2000 წლის კონცეფცია სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად მიიჩნევა საეტაპო დოკუმენტად და ხშირად განიხილება, როგორც შებრუნება „პრაგმატული ნეოევრაზიონიზმისკენ“, სადაც კონტინენტური ავტონომიის იდეა განიხილება პოსტ-ცივილიზაციული უნიპოლარობის პასუხად (Laruelle, 2008, გვ 7-9).

2008 წლის კონცეფციამ კიდევ მეტად გააძლიერა პოლიცენტრულობის და ე.წ. „პოსტსაბჭოთა სივრცის“ ინტეგრაციის რიტორიკა. დოკუმენტში რუსეთი წარმოდგენილია, როგორც დამოუკიდებელი ძალის ცენტრი და მხარდაჭერილია უსაფრთხოების და ეკონომიკური დაახლოების რეგიონული სტრუქტურების ფორმირება-გამდიერების იდეა. ფაქტურად დოკუმენტი განსაზღვრავს ევრაზიული კურსის განხორციელების თანმიმდევრობას - პრინციპებიდან ინსტიტუტებამდე (რეგიონული კავშირები და უსაფრთხოების მექანიზმები) და შემდეგ თანამშრომლობის პრაქტიკულ სფეროებს - ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, ჰუმანიტარული პოლიტიკა (МИД России, 2008). აკადემიურ ლიტერატურაში ეს აღიქმება, როგორც სიტუაციური მრავალვექტრობიდან უფრო ერთიან „ძალის გეოგრაფიაზე“ გადასვლა და სწრაფვა საკუთარი გეოპოლიტიკური სივრცეების ფორმირებისკენ (Svarin, 2016).

თავის მხრივ, 2016 წლის კონცეფციამ ფაქტურად მოახდინა პოლიცენტრული სამყაროს ხედვის სისტემატიზაცია, იმპერატიულად გამოკვეთა პოლიტიკის ჰუმანიტარული ინსტიტუტების (როსსოტრუდნიჩესტვოს ჩათვლით) საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციის ვალდებულება და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, ნორმატულად დააკანონა ინტეგრაციული ფორმატები, როგორც „სუვერენიტეტის გაფართოება“.

კონცეფცია რეგიონულ ინტეგრაციას განიხილავს, როგორც სახელმწიფოს მოქმედების თავისუფლების ზრდას (§ 19). შესაბამისად, ინტეგრაციულ სივრცეებში მოქმედებით რუსეთი იღებს დამატებით ინსტრუმენტებს - წვდომას საერთო რესურსებისადმი და იმ საერთო სტანდარტებსა და რეგლამენტებს, რომლებიც მორგებულია რუსეთის ინტერესებზე (МИД России, 2016). ამის მაგალითია თუნდაც ევრაზიული კავშირი, რომლის საბაჟო კოდექსსაც საფუძვლად რუსეთის ფედერაციის საბაჟო კოდექსი დაედო (Шуваев А, Синицына С, 2020). 2016 წლის დოკუმენტი ნათლად წარმოაჩენს, რომ საგარეო პოლიტიკის ხედვა ეფუძნება არა მხოლოდ ძალთა ბალანსს, არამედ რუსეთის, როგორც თვითმყოფადი კულტურულ-ისტორიულ ერთობის პოზიციონირებას, რაც მიიჩნევა საგარეო პოლიტიკის ჰუმანიტარული ინსტრუმენტების (ენა, კულტურა, ე.წ. „ტრადიციული ღირებულებები“, თანამემამულეთა პოლიტიკა) აქტიურად გამოყენების ლეგიტიმურ საფუძვლად (МИД России, 2016; Tsygankov, 2019).

დაბოლოს, 2023 წლის კონცეფცია (Указ № 229), რომელშიც რუსეთი უკვე წარმოდგენილია, როგორც თვითმყოფადი ცივილიზაცია და „ევრაზიული და ევროპულ-წყნაროკეანური სახელმწიფო (евразийская и европейско-тихоокеанская держава)“. ასეთი მიდგომა ფაქტიურად განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის დაგეგმარების ჩარჩოს: სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესების სტანდარტული ჩამონათვალის მიღმა საგარეო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს „კულტურულ-ცივილიზაციური იდენტობის გაძლიერება“, ე.წ. „ტრადიციული ღირებულებების“ გავრცელება. „რუსული სამყაროს“ მხარდაჭერა, რისთვისაც აქტიურად გამოიყენება

ენა, კულტურა, რელიგიური კავშირები, თანამემამულეებთან მუშაობა და სხვ (Президент РФ, 2023; МИД РФ, 2023).

შესაბამისად დოკუმენტში ხაზგასმული „ცივილიზაციური ოპტიკა“ წარმოადგენს არამხოლოდ პოლიტიკურ რიტორიკას, არამედ იმ ოფიციალურ ნორმას, რომელიც ახდენს ჰუმანიტარული ამოცანების ინტეგრირებას და ინსტრუმენტალიზაციას საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებში; იგი განაპირობებს როგორც შესაბამისი ადმინისტრაციულ-ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის (სააგენტოები, ფონდები და ა.შ.) ადაპტირებას საგარეო პოლიტიკური ამოცანებისადმი, ასევე თავად პოლიტიკის სამართლებრივ უზრუნველყოფას სათანადო საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით (Президент РФ, 2022 a, 2022 б). რამდენადაც დოკუმენტში რუსეთი მოხსენიებულია „თვითკმარ ცივილიზაციად“, ჰუმანიტარული ინსტრუმენტები - კულტურული დიპლომატია, რუსული ენის მხარდაჭერის პროგრამები, დიასპორასთან და თანამემამულეებთან ურთიერთობა და ა.შ. ღებულობს საგარეო პოლიტიკის შემადგენელი და აუცილებელი ელემენტების სახეს (Президент РФ, 2023). აღნიშნული აგრძელებს ჰუმანიტარული პოლიტიკის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის 611-ე (05.09.2022) და 809-ე (09.11.2022) ბრძანებულებების ხაზს იმ განსხვავებით, რომ აქ ჰუმანიტარული პოლიტიკა უკვე პირდაპირაა ინტეგრირებული საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტში როგორც მისი მისი ერთ-ერთი ძირითადი, და არა დამხმარე, ინსტრუმენტი. წინა კონცეფციებისგან განსხვავებით, აქ ჰუმანიტარული საქმიანობა უკვე დეკლარირებულად უკავშირდება რუსული ცივილიზაციისა და ღირებულებების განმტკიცებას, იდენტობის შენარჩუნებას და ხელსაყრელი გარემოს შექმნას რუსული სამყაროს გასაძლიერებლად (Президент РФ, 2022 a, 2022 б, 2023).

2023 წლის კონცეფცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს „ფართო ევრაზიულ პარტნიორობას“, რომელიც მიჩნეულია პრიორიტეტულ ფორმატად ევრაზიის ეკონომიკური კავშირის, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თანამშრომლობის ორგანიზაციებთან

ურთიერთობისთვის. აღნიშნული განიხილება არა როგორც ხისტი ბლოკი, რომელმაც ყველა არსებული ინტეგრაციული ფორმატი უნდა მოიცვას, არამედ როგორც „ფართო ევრაზიული პარტნიორობა“, რომელმაც უნდა უზრუნველყოს არსებული ფორმატების შეთანხმებულობა და შექმნას ის კონტინენტური ინფრასტრუქტურა, რომელიც განაპირობებს სასურველი სავაჭრო, სატრანსპორტო, ტექნოლოგიური, ციფრული დერეფნებისა და რეგულირების სათანადო რეჟიმების (საბაჟო, სატარიფო და ა.შ.) ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას „ლისაბონიდან წყნარ ოკეანემდე“ (МИД РФ, 2023).

მთლიანობაში 2023 წლის კონცეფციამ ცივილიზაციური თემატიკა ფაქტიურად გარდაქმნა რუსეთის საგარეო პოლიტიკის მეტათეორიად, რომლის მიხედვითაც იგეგმება და ხორციელდება ყველა კონკრეტული საგარეო-პოლიტიკური ქმედებები. სხვაგვარად რომ ითქვას, კონცეფციის დოქტრინალურ სიახლეს წარმოადგენს სწორედ მიზნების იერარქია: კულტურული იდენტობა, ცივილიზაციური უნიკალურობა, მრავალპოლარულობა და ფართო ევრაზიული თანამშრომლობა ხდება საგარეო პოლიტიკური აქტივობების ცენტრალური კრიტერიუმებით და მათ ირგვლივ და მათთან შესაბამისობაში იგეგმება და ხორციელდება ყოველივე დანარჩენი (МИД РФ, 2023; Президент РФ, 2023).

### **3.2 საგარეო და უსაფრთხოების სფეროს სხვა სტრატეგიული დოკუმენტების ტრანსფორმაცია**

პუტინის მმართველობის პერიოდში საგარეო და უსაფრთხოების სფეროს ე.წ. „ქოლგა“ დოკუმენტები ევრაზიონიზმისა და სხვა რუსოცენტრული იდეოლოგიური ნარატივების პრაქტიკულ საგარეო პოლიტიკაში გარდასახვის მექანიზმად იქცა. ამ შემთხვევაში „ქოლგა“ დოკუმენტად მიიჩნევა ის უმაღლესი დონის სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც წარმოაჩინენ ოფიციალურ ხედვას საერთაშორისო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების ძირეული პრობლემებისადმი და,

იმავდროულად, იძლევიან საგარეო პოლიტიკის განხორციელების ფუნდამენტური ინსტრუმენტების ჩამონათვალს: სამხედრო-პოლიტიკური სფეროთი დაწყებული ჰუმანიტარული და საინფორმაციო პოლიტიკით დამთავრებული. ასეთებია: ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია და კონცეფცია, საგარეო პოლიტიკის კონცეფცია, სამხედრო დოქტრინა, ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია და სხვა დოკუმენტები, რომლებიც უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე მიიღება და ასრულებს სამ ძირითად ფუნქციას:

1. წარმოაჩენს უმთავრეს იდეოლოგიურ-ღირებულებით პოსტულატებს და იურიდიულად გამყარებულ მიზნებს
2. საგარეო პოლიტიკის ამოცანებს უკავშირებს იდენტობის შიდაპოლიტიკურ პრიორიტეტებს
3. ერთიან ოპერაციულ ლოგიკაში აერთიანებს პოლიტიკის ძალოვან და ჰუმანიტარულ მექანიზმებს

ყოველივე ამით ზემოაღნიშნული დოკუმენტები ქმნის იმ ქოლგას, რომლის ქვეშაც ერთიანდება ყველა საგარეო პოლიტიკური ქმედება და იგეგმება კონკრეტული საგარეო პოლიტიკური აქტივობები (Президент РФ, 2000, 2009, 2015, 2021; МИД РФ, 2016, 2023; СБ, РФ, 2016; РФ, 2010, 2014).

როგორც ნაშრომის I თავში აღინიშნა, სსრკ-ს დაშლის შემდგომმა ათწლიანმა გარდამავალმა პერიოდმა (1991-200 წ.წ.) ხელახლა გაააქტიურა რუსოცენტრული იდეოლოგიები, რამაც ნაყოფიერი წინაპირობა შექმნა ევრაზიული და სლავიზმის ნარატივების საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტებში გასაუღერებლად. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა მერყეობდა ა. კოზირევის ადრეულ ატლანტიზმსა და ე. პრიმაკოვის ე.წ. “პრაგმატული ნაციონალიზმისკენ” შემობრუნებას შორის. 1993 წლის საგარეო

პოლიტიკის კონცეფციაში პირველად აისახა 2 პრინციპი, რაც შემდგომში უკვე პუტინის მიერ მოდიფიცირებული საგარეო პოლიტიკის მყარი საფუძველი გახდა:

- 1) “ახლო სამეზობლო” - როგორც პრიორიტეტი
- 2) სწრაფვა პოსტბიპოლარულ სისტემაში თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისკენ.

უკვე მე-20 საუკუნის მიწურულისთვის, აღნიშნული დებულებები გარდაისახა ე. პრიმაკოვისეულ ხედვაში პრაგმატული ნაციონალიზმის და ევრაზიის შეკრების, ასევე უნიპოლარული სამყაროს უარყოფის და აშშ-ს ჰეგემონიის საპირწონედ რუსეთი-ჩინეთი-ინდოეთის სამკუთხედის ჩამოყალიბების შესახებ (Khevtsuriani, 2018, pp. 36–39, Rumer, 2019). ამიტომაც, ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნულ პერიოდს რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონტიტენტური დღის წესრიგისა და “პოსტსაბჭოთა სივრცის მოსკოვის ეგიდით შეკრების” მისწრაფების ადრეულ გამოვლინებად მიიჩნევს (Laruelle, 2008; Svarin, 2016).

ამ კონტექსტში ერთგვარი შუალედური ნორმატივის ფუნქციას 1997 წლის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (Указ № 1300) ასრულებს, რომელიც ეროვნული უსაფრთხოებისადმი კომპლექსური მიდგომის კოდიფიკაციით 2000 წლის კონცეფციის უშუალო წინამორბედად და საყრდენად იქცა. (Godzimirski, 2000; OpenBU, 1997). ჰუმანიტარული პოლიტიკის მიმართულებით საკვანძო გადაწყვეტილებას წარმოადგენდა თანამემამულეთა შესახებ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკის კანონის მიღება (№ 99-ФЗ «О государственной политике РФ в отношении соотечественников за рубежом»; 24.05.1999), რომელმაც განსაზღვრა ტერმინ „თანამემამულის“ სამართლებრივი მნიშვნელობა და მათი კულტურულ-ენობრივი უფლებების დასაცავად რუსეთის სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. თანამემამულეთა დისკრიმინაციის შემთხვევაში კანონმა დასაშვებად მიიჩნია პოლიტიკის გადახედვა შესაბამისი ქვეყნების მიმართ (CIS Legislation, 1999; ILO NATLEX, 1999; Venice

Commission, 2002). ამგვარად რუსული სამყაროს საკითხებმა სახელმწიფო პოლიტიკის კონტურები უკვე 1990 იანი წლების ბოლოდან შეიძინა.

ზემოაღნიშნული ტრენდების კონსოლიდაცია იწყება 1999-2000 წლების მიჯნაზე, ვ. პუტინის გაპრემიერების, შემდგომში კი გაპრეზიდენტების პირველივე დღეებიდან. მისი საპროგრამო სტატია - „რუსეთი ათასწლეულების მიჯნაზე“ („Россия на рубеже тысячелетий“; 30.12.1999) ხაზგასმით აღნიშნავს კავშირს იდეურ-ღირებულებით დისკურსსა და პოლიტიკის სამომავლო სტრატეგიულ დაგეგმარებას შორის. 2000 წელს მიღებული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია უკვე პირდაპირ აღწერს პოსტბიპოლარულ სისტემას, როგორც კონკურენციის ველს და ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხაზგასმასთან ერთად პირველ პლანზე გამოჰყავს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები. იგი პრიორიტეტად ამკვიდრებს პოლიცენტრული წესრიგის სასურველ არქიტექტურას და პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის როლის ზრდას, რითაც 1990-იან წლებში გამოღვიძებული რუსოცენტრული იდეოლოგიური ნარატივები საგარეო პოლიტიკის ოფიციალურ ჩარჩოში გადაჰყავს (BITS/EURA, 2000; CIAO, 2000). მალე პუტინმა ოფიციალურად დაავალა საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესება და ამ მიმართებით პრიორიტეტად სწორედ პოსტსაბჭოთა სივრცე გამოაცხადა: „არ დაგვავიწყდეს პოზიციების შენარჩუნება და განვითარება იქ, სადაც ჩადებული იქნა უამრავი რესურსი... იქ ჩვენ ვახსოვართ და გვიცნობენ“ (Путин В. 12.07.2004). 2005 წლის 25 აპრილის კი ფედერაციის საბჭოსადმი მიმართვაში რუსეთის პრეზიდენტმა ოფიციალურად განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევა საუკუნის უდიდესი კატასტროფა იყო, რის შედეგადაც მილიონობით თანამემამულე რუსეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა (Putin, 2005).

2000-2009 წ.წ. ხდება ევრაზიული კონტინენტალიზმისთვის ინსტიტუციური ავანსცენის ჩამოყალიბება, რაც საერთაშორისო არენაზე კონსოლიდირებული ხედვის

სახით გაჟღერდა 2007 წელს, მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, სადაც ვ. პუტინმა რუსეთი თვითკმარ გეოპოლიტიკურ პოლუსად წამოადგინა. ამ გამოსვლაში ხაზგასმულია რუსეთის იდენტურ-ღირებულებითი სუვერენიტეტი - რუსეთის უფლება განსაზღვროს უსაფრთხოების და განვითარების ნორმები არა „უნიპოლარული წესრიგის უნივერსალისტური შაბლონებით“, არამედ საკუთარი კულტურული სპეციფიკიდან და სუვერენული თანასწორობიდან გამომდინარე (Путин, 2007). გეოპოლიტიკურ კონტექსტში აღნიშნული სწორედ ევრაზიული ხედვის არტიკულაციას წარმოადგენს - მრავალპოლარული სამყარო, სადაც რუსეთი რეგიონული ძალის ცენტრს წარმოადგენს, რაც მას ანიჭებს საკუთარ გარემოცვაში სიმძიმის ცენტრისა და უსაფრთხოების პროვადერის მისიას (Путин, 2007; Laruelle, 2008).

მიუნჰენის გამოსვლაში პუტინი იმ არგუმენტაციას აყალიბებს, რითაც იგი სამომავლო რუსო-სლავოცენტრისტული საგარეო პოლიტიკური ქმედებების ლეგიტიმაციას ახდენს: რუსულენოვანი თანამემამულეებისა და საკუთრად მიჩნეული ენობრივ-კულტურული სივრცის დაცვა, ასევე „ისტორიულ მეხსიერებასა“, „საერთო წარსულზე“ და „ტრადიციულ ღირებულებებზე“ აპელირება (Linde, 2016; Kurowska, 2014). შესაბამისად მიუნჰენის სიტყვა გეოპოლიტიკური კონტინენტალიზმისა და რუსოცენტრიზმის ის ნაზავია, რომლის საშუალებითაც რუსეთი ერთის მხრივ აცხადებს ევრაზიული პოლუსის პრეტენზიას მსოფლიო წესრიგის მრავალპოლარულ არქიტექტურაში, ხოლო მეორეს მხრივ ცდილობს შექმნას ნორმატული საფუძველი საკუთრად მიჩნეულ კულტურულ-ენობრივ სივრცეში გასაძლიერებლად და გარე გავლენების აღსაკვეთად (Путин, 2007; Svarin, 2016; Laruelle, 2008).

ზემოხსენებული იდეოლოგიური ნარატივების პრაქტიკული გამოვლინება იყო 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესია საქართველოში, როდესაც რუსეთის ფედერაციამ პირველად ღიად და აშკარად აწარმოა სამხედრო კამპანია მეზობელი

სახელმწიფოს წინააღმდეგ და მოახდინა მისი ტერიტორიების აშკარა ოკუპაცია (აღნიშნული შემთხვევა სრულფასოვნადაა განხილული ნაშრომის მოდევნო თავში).

რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების სტრატეგიის 2009 წლის რედაქცია სწორედ საქართველოში განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგების გათვალისწინებით შეიქმნა. მასში ხაზგასმულია შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის, სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის და რუსეთის საზღვრებთან კონფლიქტების აღკვეთის აუცილებლობა. (Президент РФ, 2009). ასევე, სტრატეგიულ დონეზეა დაფიქსირებული პოსტსაბჭოთა სივრცეზე რუსეთის პრიორიტეტული ინტერესების იდეა, თუმცა მასში ჯერ კიდევ არ ჩანს პირდაპირი და ღია იდეოლოგიური ფორმულები, რაც შემდგომ რედაქციებში მკაფიოდ გამოხატულ ფორმას ღებულობს (Wilhelmsen, 2017; Tsygankov, 2015).

ყირიმის ანექსიის (2014წ.) შემდგომ მიღებულმა, 2015 წლის სტრატეგიამ პირველად სტრატეგიული ეროვნული ინტერესების დონეზე აიყვანა კულტურული იდენტობისა და „ტრადიციული ღირებულებების“ დაცვის თემატიკა. ასევე გააძლიერა „ისტორიული მემკვიდრეობისა“ და ინფორმაციული უსაფრთხოების ბლოკი (Президент Российской Федерации, 2015). ამ ნაბიჯებით რუსოცენტრული რეგისტრი (ენა, კულტურა, ისტორია, მემკვიდრეობა, თანამემამულეები) რბილი ძალის განზომილებიდან უსაფრთხოების და დასაცავი ობიექტების კატეგორიაში გადავიდა. 2016 წლის ინფორმაციული უსაფრთხოების დოქტრინამ აღნიშნული ტრანსფორმაცია კიდევ უფრო გაამყარა. დოკუმენტი დასაცავ ობიექტებად პირდაპირ აფიქსირებს სულიერ-ზნეობრივი ღირებულებებს, კულტურული თვითმყოფადობას, ისტორიულ სამართლიანობასა და მემკვიდრეობას, ასევე ინფორმაციული ინფრსტრუქტურას (СБ РФ, 2016). ამის პარალელურად, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2016 წლის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია რბილ ძალას საგარეო პოლიტიკის ამოცანების მიღწევის შემადგენელ ინსტრუმენტად მიიჩნევს და ოფიციალურად ადასტურებს საგარეო საქმეთა სამინისტროს მაკოორდინირებელ როლს ჰუმანიტარული პოლიტიკის

განხორციელებაში (МИД РФ, 2016). ამიტომაც ზოგიერთი მკვლევარი ამ პერიოდს „ცივილიზაციური რეალიზმისკენ“ სვლის ეტაპად მიიჩნევს, როდესაც საგარეო პოლიტიკა იწყებს რუსეთი-ცივილიზაციის იდეის ირგვლივ ფორმირებას, ხოლო ჰუმანიტარული ინსტრუმენტები და თემატიკა ხდება საგარეო პოლიტიკის გამტარებელიც და ლეგიტიმატორიც (Tsygankov, 2019; Laruelle, 2015).

ამადროულად 2010 და 2014 წლის სამხედრო დოქტრინებმა ევრაზიულობის ძალოვანი კარკასიც გაამაგრა და გამოკვეთა უსაფრთხოების რეგიონული მექანიზმები, უპირველეს ყოვლისა კი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია, როგორც ევრაციული სივრცის მცველი (РФ, 2010, 2014). ამ დოკუმენტებში უსაფრთხოების მატერიალურ საყრდენს წარმოადგენს ევრაზიული ინსტიტუტები, სადაც რუსეთი მოიაზრება როგორც უსაფრთხოების პროვაიდერი და რეგიონული ცენტრი (Kaczmariski, 2017).

2021 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია უსაფრთხოებას განიხილავს, როგორც კომპლექსურ სუვერენულობას, ანუ კულტურულ, ინფორმაციულ, ფინანსურ, ტექნოლოგიურ ერთობლიობას. „ერის შენარჩუნება“, იდენტობისა და „ტრადიციული ღირებულებების“ განმტკიცება მიჩნეულია ეროვნულ ინტერესებად, ხოლო თავად უსაფრთხოება მიბმულია განვითარების მიზნებთან (Президент РФ, 2021). ამის თანამდევად 2022 წლის „საზღვარგარეთ რუსეთის ფედერაციის ჰუმანიტარული პოლიტიკის კონცეფციას“ (Указ № 611, 05.09.2022) და რუსეთის პრეზიდენტის 809 ბრძანებულებას (2022) „ტრადიციული რუსული სულიერ-ზნეობრივი ღირებულებების განმტკიცებისა და დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ საგარეო პოლიტიკის ოპერაციულ სივრცეში გადააქვს „ტრადიციული ღირებულებები“, საზღვარგარეთ რუსული ენის მხარდაჭერა, განათლება, დიასპორასთან და თანამემამულეებთან მუშაობა, კულტურული და რელიგიური დიპლომატია (Президент РФ, 2022a, 2022b). ამით ფაქტობრივად სრულდება რუსოცენტრისტული რეგისტრის ინსტრუმენტალიზაცია: „რუსული

სამყაროს“ და „ისტორიული სამართლიანობის“ იდეოლოგიები საბოლოოდ იძენენ ქმედით ინსტიტუტებს, აქტორებს, ბიუჯეტს და ოპერირებისთვის საჭირო ყველა სხვა ატრიბუტს (Laruelle, 2015; Suslov, 2017; Zevelev, 2014).

თავად რბილის ძალის ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა ასევე პუტინის მმართველობის პირველივე პერიოდში იქმნება. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებოა ფონდი „რუსსკი მირ“ (Указ № 796 , 21.06.2007) რომელიც შეიქმნა საზღვარგარეთ რუსული ენის პოპულარიზაციისა და შესწავლის მხარდასაჭერად, რაც მომავალში რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის პოლიტიკის ლეგიტიმაციის საფუძვლად იქნა გამოყენებული (Президент РФ, 2007). ასევე აღსანიშნავია „როსსოტრუდნიჩესტვო“ (Указ № 1315, 06.09.2008) - ფედერალური ორგანო, რომელიც პასუხისმგებლობადაც განისაზღვრა საერთაშორისო ჰუმანიტარული თანამშრომლობა და თანამემამულეებთან მუშაობა. ამ უწყების საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში ყოფნას ინსტიტუციურად გადააქვს ჰუმანიტარულ თემატიკა საერთო საგარეო პოლიტიკაში (Президент РФ, 2008). რუსეთის საგარეო პოლიტიკის კვლევები ადასტურებს ამ ინსტიტუტებს, როგორც სახალხო დიპლომატიის მექანიზმებისა და გავლენის არხების მნიშვნელოვან როლს დსთ-ს ქვეყნებსა და მიმდებარე რეგიონებში (FOI, 2017; Vasilevich, 2020).

აქვე აღსანიშნავია, რომ რუსეთის სამართლებრივ სივრცეში თანამემამულეთა პოლიტიკის თემატიკა აქტიურად ჩნდება 1999 წლიდან. ფედერალური კანონი № 99-Φ3 „საზღვარგარეთ თანამემამულეებთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ“ (24.05.1999) ქმნის საზღვარგარეთ „კულტურულ-ენობრივი“ თემების/საზოგადოებების დაცვის სამართლებრივ ჩარჩოებს და განსაზღვრავს თანამემამულეთა კატეგორიებს. 2006 წელს მიღებულმა „თანამემამულეთა ნებაყოფლობითი გადასახლების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამამ“ ღირებულებითი დისკურსი მართულ მიგრაციულ ნაკადებად გარდაქმნა (Указ №637, 2006/2023). საბოლოოდ კი „სახელმწიფო მიგრაციული პოლიტიკის

კონცეფციამ 2019-2025წ.წ.“ (Указ №622, 31.10.2018) საბოლოოდ დააკავშირა მიგრაცია დემოგრაფიულ და ეკონომიკურ ამოცანებთან და დაადასტურა მიგრაციულ პროცესებში თანამემამულეთა პრიორიტეტი. აღნიშნულით გამყარებული იქნა კავშირი: „საგარეო პოლიტიკა-დემოგრაფია-კულტურული იდენტობა“ (Президент РФ, 2018). შესაბამისად რუსოცენტრულმა რეგისტრმა საგარეო პოლიტიკაში სათანადო სამართლებრივი კონტურები შეიძინა.

ევრაზიული თემატიკის კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა „საერთაშორისო განვითარების ხელშეწყობის სფეროში რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია“ (Указ № 259, 20.04.2014; აქტუალიზირებულია 2023წ.). ამ დოკუმენტმა საერთაშორისო განვითარების დახმარების დღის წესრიგი წარმოადგინა, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც თანხვედრაშია ეროვნულ უსაფრთხოებასთან, საგარეო პოლიტიკის კონცეფციასა და მრავალპოლარულობის რიტორიკასთან (Президент РФ, 2014/2023; МИД РФ, 2014). აღნიშნული ევრაზიული პოლიტიკური კონსტრუქციის მნიშვნელოვანი შემადგენელია. იგი უზრუნველყოფს რუსეთის ეკონომიკურ ჩართულობას იმ რეგიონებში, რომლებიც პრიორიტეტად მიიჩნევა დიდი ევრაზიული პარტნიორობის შესაქმნელად. შესაბამისად, 2014 წლიდან საერთაშორისო განვითარების ხელშეწყობად დეკლარირებული რუსეთის მიდგომები უფრო ინსტრუმენტული გახდა, რაც სწორედ ევრაზიულობისა და მრავალპოლარულობის მიზნებს უკავშირდება (World Bank, 2021; Zaytsev, 2020).

ყოველივე ზემოაღნიშნულის ლოგიკურ ფინალს წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის 2021 წლის ვერსია, რომელიც რუსეთს აღწერს როგორც „თვითკმარ ცივილიზაციას“ და „მსხვილ ევრაზიულ და ევროპულ-წყნაროკეანური სახელმწიფო“ (ორიგინალში გამოყენებულია სიტყვა „держава“), ხოლო დიდი ევრაზიული თანამშრომლობა დაფიქსირებულია, როგორც პრიორიტეტი ევრაზიული ეკონომიკური კავშირისა და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის შეკავშირება-

ინტეგრაციისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ასოციაციასთან დიალოგისთვის. ამდენად ცივილიზაციური და ევრაზიული რეგისტრები უკვე გარდაიქმნება მეტათეორიად საგარეო პოლიტიკისთვის, რომელიც უკვე აღჭურვილია ყველა სათანადო ინსტრუმენტითა და ინსტიტუტით (Президент РФ, 2021).

### **3.3 რუსოცენტრული და ევრაზიონიზმის ძირითადი იდეები რუსეთის ფედერაციის ოფიციალურ საგარეო პოლიტიკაში**

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკაში ევრაზიონიზმის ძირითადი იდეები მოქმედებს არა როგორც ზოგადი თეორიული კონცეფციები, არამედ როგორც სტრატეგიული მიზნების ფორმირების, გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციისა და საგარეო პოლიტიკის ქმედებების დასაბუთების ინსტრუმენტები. იდეოლოგიური კონსტრუქციები, რომლებიც რუსეთის ცივილიზაციურ უნიკალურობას, ევრაზიაში მის განსაკუთრებულ მისიას, დასავლური ლიბერალური წესრიგისა და ღირებულებისადმი დაპირისპირებას და რეგიონალურ/ევრაზიული ინტეგრაციის გაძლიერების აუცილებლობას ეფუძნება, სულ უფრო აქტიურად ჩნდება სახელმწიფოს ისეთ ოფიციალურ სტრატეგიულ დოკუმენტებში, როგორებიცაა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, საგარეო პოლიტიკის კონცეფცია, სამხედრო დოქტრინა და სხვ. სწორედ ამ კონსტრუქციებზე დაყრდნობით იგეგმება სტრატეგიული ამოცანები, რომლებიც განაპირობებენ რუსეთის ქმედებებს სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი მეზობლებთან მიმართებაში.

იდეოლოგიური ნარატივების პრაქტიკული რეალიზაცია არამხოლოდ შიდაპოლიტიკურ კონსოლიდაციას ემსახურება, არამედ გამოიყენება, როგორც საგარეო პოლიტიკური აქტივობების, მათ შორის სამხედრო კამპანიების ლეგიტიმაციის ინსტრუმენტი, რომელიც კონკრეტულ ქმედებებს ცივილიზაციური, ისტორიულ-კულტურული და ღირებულებითი უნიკალურობის პრიზმით

წარმოაჩენს და რუსეთის ისტორიული მისიით ასაბუთებს. შესაბამისად ოფიციალურ დოკუმენტებში ასახული ძირითადი იდეოლოგიური კონსტრუქციების ანალიზი და საშუალებას იძლევა თვალნათლად წარმოჩინდეს მათი პრაქტიკაში იმპლემენტაციის, ინსტიტუციონალიზაციისა და ინსტრუმენტალიზაციის პროცესი, რის შედეგადაც ევრაზიონიზმი რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკისა და სტრატეგიის ქვაკუთხედად იქცა.

### **„რუსული სამყარო“, როგორც ცივილიზაციური ერთობის იდეა**

2000-იანი წლებიდან რუსეთის სოციალურ-პოლიტიკურ დისკურსში აქტიურად გამოიყენება ისეთი ცნება, როგორცაა „რუსული სამყარო“. მას შესაბამისი იდეოლოგიური დატვირთვა აქვს და როგორც იდეოლოგემა, სხვა იდეოლოგემებთან ერთად, მასობრივ ცნობიერებაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს.

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის 2023 წლის რედაქცია მიიჩნევს, რომ „რუსეთის ფედერაცია რუსული სამყაროს ცივილიზაციური ერთობის ბირთვს წარმოადგენს“ (МИД РФ, 2023). ეს დებულება პირდაპირ კავშირშია ისეთი პრობლემის გააზრებასთან, როგორცაა რუსეთის ადგილი მსოფლიოში და, რუსული თვალთახედვით, უნიკალური ისტორიული მისია. აღნიშნულის საფუძვლად კონცეფცია ასახელებს რუსეთის მარავალსაუკუნოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გამოცდილებას და ღრმა ისტორიულ კავშირებს სხვადასხვა ევრაზიულ კულტურებთან, რომელიც შეიქმნა საუკუნეების განმავლობაში საერთო ტერიტორიაზე სხვადასხვა ხალხების, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი ჯგუფების თანაარსებობით. ხოლო ეს ყოველივე კი მიჩნეულია რუსული სამყაროს კულტურულ-ცივილიზაციურ ერთობად (2023).

„რუსულ სამყაროზე“ საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განისაზღვროს ის ცივილიზაციური მიდგომა, რომლის კონტექსტშიც, „რუსული სამყარო“ კონცეპტს არსებითი დატვირთვა ენიჭება. რუსეთის ახლო საზღვარგარეთის ინსტიტუტის

დირექტორის ს. პანტელეევის (2024) აზრით, შეიძლება ორი ჯგუფის გამოყოფა, რომელშიაც ხვდება „რუსული სამყაროს“ კონცეპტის გაგების ყველა ძირითადი მიდგომები. ესაა ე.წ. ცივილიზაციური მიდგომა, და ლინგვისტურ-სემიოტური მიდგომა.

ცივილიზაციური მიდგომაში „რუსული სამყარო“ გაგებულია, როგორც უნიკალური ცივილიზაცია, რომლის ბირთვსაც მართლმადიდებლობა, ხალხის სული და ტრადიციები, დამწერლობითი კულტურა, ფილოსოფია, პოეზია და რუსული ლიტერატურა წარმოადგენს. თვით ცნება „რუსული სამყარო“ რუსულ პუბლიცისტიკაში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გამოჩნდა და დოსტოევსკის სახელს უკავშირდება. ამ ცნებას ასევე მიმართავდნენ რუსი ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, რევულუციამდელი ლიტერატორები. ნ. კოსტომაროვის შრომებში „რუსული სამყაროს“ გაგება ახლოს არის „სლავური სამყაროს“ გაგებასთან. ა. ფილატოვი (2008) თვლის, რომ „რუსული სამყაროს“ ცნება გენეტიკურად დაკავშირებულია ნ. კოსტომაროვის ნაშრომებთან, რომელიც სტატიაში „ორი რუსი ხალხი“ პრაქტიკულად აიგივებს მას „რუსულ მიწასთან“ (გვ 49-50). ევრაზიულობის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი კ. სავიცი (1997) რუსეთის კულტურულ-ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური სპეციფიკაზე მსჯელობისას „ევრაზიულ-რუსულ კულტურულ სამყაროზე“ ლაპარაკობს (გვ.464).

ცივილიზაციური მიდგომის ბაზაზე ჩამოყალიბდა „რუსული სამყაროს“ იდეოლოგიის შემადგენელი იდეოლოგიური წარმოდგენების კომპლექსი. ამ თვალსაზრისით, „რუსული სამყაროს“ დღევანდელი მიმდევრები მიეკუთვნებიან ჯგუფს, რომელსაც პირობითად შეიძლება „რუსი კონსერვატორები“ ვუწოდოთ. ისინი რუსეთს აიდეალებენ, წინა პლანზე გამოაქვთ ე.წ. „ტრადიციული რუსული ღირებულებები“, მართლმადიდებლობა, იხრებიან რუსული მესიანიზმისკენ - რუსეთს მიაწერენ მესიანურ როლს მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში. მათთვის ნამდვილი რუსეთი თავის სახელმწიფო და გეოგრაფიულ საზღვრებთან შედარებით გაცილებით უფრო დიდია. ასეთ რუსეთს ისინი რუსულ ცივილიზაციასთან აიგივებენ

და მას „დიდ რუსეთად“ მოიხსენიებენ. ამავდროულად, რუს ხალხს ისინი მსოფლიოში ყველაზე უფრო დაყოფილ ერად მიიჩნევენ, რადგანაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 25 მილიონი ადამიანი რუსეთის საზღვრებს მიღმა აღმოჩნდა.

რაც შეეხება პანტელეევის მიერ ხსენებულ მეორე ჯგუფს - ლინგვისტურ-სემიოტური მიდგომას, აქ ძირითადი აქცენტი რუსულ ენაზე კეთდება, როგორც „რუსული სამყაროს“ მიკუთვნებულობის მნიშვნელოვან მარკერზე. რუსული ენა ეროვნული თვითშეგნების, იდენტიფიცირების, რუსული კულტურის ათვისების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი და ეროვნებათშორისი ურთიერთობის, დიასპორებსშორისი კომუნიკაციის საშუალებაა. ლინგვისტურ-სემიოტურ ჭრილში „რუსული სამყარო“ განიხილება, როგორც ერთიანი ქსელური სისტემა დიდი, საშუალო და მცირე სოციალური ჯგუფებისთვის, რომლებიც რუსულ ენაზე მეტყველებენ.

ცივილიზაციური მიდგომის კონტექსტში ხაზგასმულია დაყოფილი რუსი ხალხის საკითხი და „რუსული სამყარო“ პირველ რიგში ინტერპრეტირებულია, როგორც რუსულენოვანი დიასპორების სამყარო, ხოლო რუსეთი, როგორც სახელმწიფო პარტნიორი, რომელიც ამ რუსული საზოგადოებების ტექნიკურ და დიპლომატიურ მომსახურებას ეწევა. ჩვეულებრივ, ასეთი მიდგომა აქცენტს აკეთებს თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებში „რუსული სამყაროს“ ორგანულ ჩართვაზე და იგნორირებს იმ ქვეყნების კულტურულ თვითმყოფადობას, სადაც ტრადიციული საზოგადოება მნიშვნელოვანი სეგმენტია. აღნიშნულისგან განსხვავებით, ლინგვი-სემიოტური მიდგომა იდეურად დაკავშირებულია ლიბერალურ იდეოლოგიასთან. ამიტომაც, ის უარყოფს რუსეთის და რუსი ხალხის განსაკუთრებულ როლს და რუსულ ენას პრაგმატულად და ინსტრუმენტალურად აღიქვამს.

ცხადია, არსებობს სხვა კლასიფიკაცია და მოსაზრებებიც. ასე მაგალითად, ცალკე კონცეპტუალურ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის რელიგიურ-ინტეგრაციული მიდგომა. 2008-2009

წლებში შემუშავდა „რუსული სამყაროს“ კონცეფცია, რომლის ბირთვსაც შეადგენენ რუსეთი, უკრაინა და ბელორუსი. ამ თვალთახედვით, ხსენებული ქვეყნების ხალხს აერთიანებს საერთო წარმომავლობა, მართლმადიდებელი სარწმუნოება, რუსული ენა და კულტურა. „რუსული სამყაროს“ წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ არა მხოლოდ ეთნიკურად რუსები, არამედ სხვა ეთნოსები და ხალხები, რადგანაც რუსული კულტურის ასიმილირება ენის და განათლების საშუალებით სხვა ეთნოსებსაც ეხება და ერთი სახელმწიფოს საზღვრებს სცდება. „რუსული სამყარო“ საერთო ისტორიულ და კულტურულ მახსოვრობაზე, მენტალიტეტზე და რუსული ცივილიზაციის ისტორიული განვითარების საერთო ინტერპრეტაციაზე დგას. აქ „რუსული სამყაროს“ ეკლესიური კონცეფცია ცივილიზაციურს უახლოვდება, რისი საფუძველიც თვით პატრიარქ კირილეს გამოსვლებშია, რომელიც აღნიშნავს, რომ „რუსეთი ეკუთვნის ცივილიზაციას, რომელიც უფრო ფართოა, ვიდრე რუსეთის ფედერაციაა. ამ ცივილიზაციას ჩვენ „რუსულ სამყაროს“ ვუწოდებთ (Patriarhia.ru 08.09.2018). ამ მიდგომის თანახმად, „რუსული სამყარო“ კონსტრუირდება ზემოთ ჩამოთვლილი მდგენელებისაგან: მხოლოდ რუსული ენა არ არის საკმარისი ინტეგრაციისა და რუსული სამყაროსადმი კუთვნილებისთვის.

ზოგიერთი მკვლევარი, რომელიც ცივილიზაციურ მიდგომების ჩარჩოში მუშაობს, „რუსული სამყაროს“ კონცეპტისადმი კრიტიკულადაა განწყობილი. ასე მაგალითად, ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ინსტიტუტის დირექტორის ვ.ლექსიოხინის (2019) აზრით, ეს კონცეპტი შეიცავს ბევრ გამაღიზიანებელ ეთნიკურ ფაქტორს, რაც საზღვარგარეთ ზოგიერთი პრობლემის გადაჭრას ართულებს. ის თვლის, რომ დღეისთვის გაგება „რუსული ცივილიზაცია“ უფრო კორექტულია, ვიდრე „რუსული სამყარო“. ცხადია, ასეთი მიდგომა ფრიად საკამათოა, რადგანაც „რუსული ცივილიზაციის“ ცნება უფრო ფართოა: ის მოიცავს სხვადასხვა კოდის კულტურებს, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან ღირებულებითი სისტემებით, მაგალითად, მართლმადიდებლური, ისლამური და ბუდისტური,

რომელთა ერთ ცივილიზაციურ ერთობაში ორგანული ინტეგრაცია, მიუხედავად ხანგრძლივი ერთობლივი თანაცხოვრებისა, ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

ცივილიზაციური მიდგომის ჩარჩოში „რუსული სამყაროს“ რამდენადმე განსხვავებული ინტერპრეტაცია აქვს სოციოკულტურულ მიდგომას, რომლის სათავეებიც პ. სოროკინის (1920, 1956) სოციოლოგიაში დევს. ამ მიდგომის არსი, როგორც წესი, განისაზღვრება საზოგადოების ცხოვრების კულტურული და სოციალური კომპონენტების ერთობლიობით ე.წ. „სოციოკულტურულ ტრიადაში“. მოცემული მიდგომა „რუსული სამყაროს“ კონცეპტის შემთხვევაში ცივილიზაციური მიდგომის საპირისპიროა, რადგანაც გულისხმობს კულტურულ-ენობრივი, აქსიოლოგიური, მენტალური პარამეტრების ერთობლიობას, ანუ ყველაფრის, რაც ადგილს პოულობს ცივილიზაციის ცნების ფარგლებში, ასევე რუსული საზოგადოების სოციალური და სტრატეგიკაციური ინსტიტუტების გავლენაში. მაგრამ, ამ შემთხვევაში, „რუსული სამყაროს“ კონცეპტის სრულმასშტაბიანი სოციოკულტურული შინაარსი მხოლოდ რუსული სოციუმით შემოიფარგლება და არ მოიცავს რუსულენოვან და მართლმადიდებლურ საზღვარგარეთს.

თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ დისკურსში „რუსული სამყაროს“ კონცეპტი სულ უფრო ხშირად გამოიყენება. ს. გლაზევის, ა. დუგინის, კ. ზატულინის, ვ. ივანოვის, ნ. ნაროჩნიცკაიას, ვ. ნიკონოვის, ვ. სერგეევის, ვ. ტიშკოვის, პ. შჩედროვიცკის და სხვათა შრომებში. პოლიტოლოგი და პოლიტიკოსი, ფონდ „რუსული სამყაროს“ ხელმძღვანელი ვ. ნიკონოვი თვლის, რომ „რუსული სამყარო“ არსებობს არა სახელმწიფოს ფარგლებში, ის არის არა გეოგრაფიული, არამედ რელიგიური და, რა თქმა უნდა, ეთნიკური ცნება (Российская Газета 19.03.2010). ძირითადად, ეს არის ზემოთ მოხსენიებული კომპონენტების თვითიდენტიფიცირება: რუსული ენის, კულტურის და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საფუძველზე. აკადემიკოსი ვ. ტიშკოვი აღნიშნავს, რომ ყველა ხალხს და ყველა სახელმწიფოს არ ძალუძს გააჩინოს გლობალური მასშტაბის ფენომენი, რომელიც ღირსია „სამყარო“ ეწოდოს. ტიშკოვის გაგებით „სამყარო“ - ეს არის გლობალური

ფენომენი, ტრანსსახელმწიფოებრივი და ტრანსკონტინენტური თანამეგობრობა, რომელიც გარკვეულ სახელმწიფოსთან არის დაკავშირებული და ლოიალურია მისი კულტურისადმი“ (Тишков В, 01.07.2007). ტიშკოვი იზიარებს აზრს „რუსული სამყაროს“ სამი ძირითადი ელემენტის შესახებ - რუსული ენა, მართლმადიდებლური ეკლესია და რუსული კულტურა - ეს არის „რუსული სამყაროს“ სამი საყრდენი (Российская Газета 19.03.2010). რუსეთი - ეს არის რუსული სამყაროს ბირთვი, რომელის პერიფერიულ ელემენტებს მოიცავს - რუსულენოვან დიასპორას საზღვარგარეთ. „რუსული სამყაროსადმი“ კუთვნილება განისაზღვრება ენით, კულტურით და ისტორიული მეხსიერებით. ყველაფერი ეს ინტეგრირებულია რეფლექსიური თვითიდენტიფიცირების აქტით, რომელიც აქტუალურს ხდის რუსეთთან ურთიერთობას, აღვიძებს სამშობლოს სიყვარულის და მისი ბედისადმი არაგულგრილ დამოკიდებულებას. იდეალში „რუსული სამყარო“ - ეს არის გამწვავებული „რუსული თვითიდენტიფიცირების“ ადამიანების თანამეგობრობა, რომლებიც ინდივიდების არა პასიურ გაერთიანებას წარმოადგენენ ფორმალური კუთვნილებით (მაგ., პასპორტის მიხედვით), არამედ ინდივიდთა ერთობას, რომელიც თავს „რუსულ სამყაროს“ მიაკუთვნებს და აქტიურად ახდენს ამის იდენტიფიცირებას (თავისი მოქმედებებით, სამოქალაქო პოზიციით და ა.შ.)

პოლიტოლოგი ა. გრომიკო სიტყვა „სამყაროს“ მოიაზრებს, როგორც ადამიანების ერთობას, რომელიც ოთხი ძირითადი პრინციპით განისაზღვრება: ტერიტორიულ-დროებითი (ქრონოტოპიური), კულტურული, ონტოლოგიური (არსობრივი) და აქსიოლოგიური/ღირებულებითი (Громыко А. 26.03.10).

ა. ჰუსეინოვის აზრით, „რუსული სამყარო“, უპირველეს ყოვლისა, ზენაციონალური, არასახელმწიფოებრივი ფენომენია, რომელიც გამოხატულებას რუსულ ენასა და მენტალიტეტში პოვებს (Российская Газета 19.03.2010). ო.ბატანოვას (2009) შეხედულებით, რომელიც ახლოს არის ჰუსეინოვის აზრთან, „რუსული სამყარო“ - ეს არის გლობალური კულტურულ-ცივილიზაციური ფენომენი. იგი შედგება რუსეთისაგან, როგორც დედა სახელმწიფოსაგან და რუსული

საზღვარგარეთისგან, რომელიც აერთიანებს ადამიანებს, მიუხედავად ეროვნებისა, რომლებიც თავს რუსად გრძნობენ, რუსული კულტურის და რუსული ენის მატარებლები არიან, სულიერად რუსეთთან არიან დაკავშირებული და მათთვის სულერთი არ არის მისი საქმე და ბედი. (გვ.83-84).

ვ. დარენსკი (2006) „რუსული სამყაროს“ ასევე განიხილავს როგორც ცივილიზაციას, მაგრამ ლოკალურს, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა რა „რუსული სახელმწიფოებრიობის და კულტურის გარკვეული გავლენის ქვეშ, ობიექტურად ჩამოყალიბდა ეთნოსთა კულტურულ-ისტორიულ ერთობად“ (გვ.42). მისი აზრით, რუსული სამყარო, როგორც ლოკალური ცივილიზაცია წარმოიქმნა მუდმივი საგარეო აგრესიის საპასუხოდ, დიდი ტერიტორიების გაერთიანების გზით, ამასთან, ამ გაერთიანებაში მთავარი როლი გარეშე მტრებთან დაპირისპირებაში ითამაშა რუსეთმა, თავისი გამორჩეული ქრისტიანული თვისებებით (გვ 42-43).

აფანასევი (2013) ეჭვქვეშ აყენებს „რუსული სამყაროს“ კულტურული ერთიანობის შესახებ მოსაზრებას. იგი არ ეთანხმება რუსეთის და საზღვარგარეთული „რუსული სამყაროს“ მთლიანობას, რადგანაც ეს უკანაკნელი ხანგრძლივი დროის მანძილზე, ემიგრაციის რამდენიმე ტალღის პირობებში ყალიბდებოდა. ამიტომაც იგი, აფანასიევის აზრით, დამორდა რუსეთს, რომ რუსეთს აღარ ესმის მისი ისევე, როგორც უცხოეთში მცხოვრები „რუსული სამყაროს“ წარმომადგენლებთვის გაუგებარია რუსეთი. აფანასიევი იმ დასკვნამდე მიდის, რომ რუსეთი და „რუსული სამყარო“, თავისი არსით, სრულიად განსხვავებული სამყაროებია პირობით ერთიან ცივილიზაციაში. მისი აზრით, ამ სხვაობის გადალახვა დიდი „რუსული სამყაროსთვის“ სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რადგანაც მისი შენარჩუნება და განვითარება მხოლოდ „რუსული ცივილიზაციის“ ერთიანობით არის შესაძლებელი. ეს კი წარმოუდგენელია თავად რუსეთის დინამიური და ორგანული განვითარების, მისი საერთაშორისო სტატუსის და ავტორიტეტის ამაღლების გარეშე“ (გვ.544).

დაახლოებით ასევე მსჯელობენ ს. გრადიროვსკი და ბ. მეჟუევი, რომლებიც განსხვავებულ, არასტანდარტულ მოსაზრებას გვთავაზობენ რუსეთის საგარეო პოლიტიკური ქმედებების შესახებ. მათი აზრით, რუსეთი უნდა ცდილობდეს ურთიერთობები გააფართოვოს არა იმ ქვეყნებთან, სადაც ტრადიციულად ემიგრირებენ რუსები, არამედ იმ ქვეყნებთან, საიდანაც ხალხის ნაკადი რუსეთისკენ არის დაძრული. ს.ნ. გრადიროვსკი და ბ.ვ. მეჟუევი მიიჩნევენ, რომ ასეთი პოლიტიკის გატარება რუსეთს საშუალებას მისცემს გლობალიზებულ სამყაროში დაიკავოს ღირსეული ადგილი.

ვ. ივანოვი (2007) მხარს უჭერს „რუსული სამყაროს“ კონცეფციას და ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ აუცილებელია შესწავლილ იქნას მისი მენტალური საფუძვლები, კულტურული თავისებურებები, რომელიც გამოიხატება საზოგადოების სამეურნეო საქმიანობაში, მის დამოკიდებულებაში სიმდიდრისადმი, სამართლისა და კანონის, ზნეობრიობის, უზენაესი ხელისუფლების, მისი ფუნქციისა და ორგანიზებისადმი. კონცეფციის შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას რუსეთში არსებული სოციალური პრობლემები და ერთაშორისი ურთიერთობები. ივანოვის აზრით, კონცეფცია „პასუხს უნდა სცემდეს კითხვებს, თუ რა უქმნის საფრთხეს რუსულ სამყაროს ისტორიულ და აქტუალურ კონტექსტში, რომელიც ინსპირირებულია გარე და გარკვეული შიდა ძალების მიერ. უნდა განისაზღვროს საშუალებები, რათა გაუმკლავდეს მისი ცივილიზაციური გატეხვის მცდელობებს“ (23.05.2007). ამ კონცეფციაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გლობალიზაციის პირობებში საერთორუსულ და ეთნიკური იდენტიფიცირების პრობლემებს.

„რუსულ სამყაროსთან“ ერთად აუცილებელია გააზრებულ იქნას ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „თანამემამულე“ და „დიასპორა“, რომლებიც, როგორც წესი, სინონიმებად იხმარება. ამ ცნებების მკაფიოდ დეფინიციის გარეშე შეუძლებელია განისაზღვროს, თუ რა იგულისხმება „რუსული სამყაროს“ გაგებაში. მაგალითად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის დიასპორა არის პარტნიორი, რადგანაც

ასეთი ჩანაწერია საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში (2023). ო. ბატანოვა (2009) ხაზს უსვამს, რომ დაუშვებელია ამ ცნებების აღრევა, რადგანაც აუცილებელი არ არის, რომ ემიგრაციამ შექმნას ანალოგიური სოციოკულტურული სამყარო. ეს მიდგომა არ ითვალისწინებს იმას, რომ რომელიმე სოციოკულტურული „სამყაროს“ ჩამოყალიბება ხდება მხოლოდ მიზიდულობის და კრისტალიზაციის ცენტრის გარშემო, ხოლო ასეთი ცენტრი „რუსული სამყაროსთვის არის რუსეთი. ეს არის „რუსული სამყაროს ბირთვი და ფუნდამენტი, რომელიც ორი კომპონენტისგან შედგება - რუსეთისა და რუსული საზღვარგარეთისგან.

დღეისათვის „რუსული სამყაროს“ ინტერპრეტირებისას ჭარბობს მისი გლობალურ თანამეგობრობად აღქმა, რომელიც აერთიანებს იმ ასობით მილიონ რუსულენოვან ადამიანს, ვინც გრძნობს საკუთარ კავშირს რუსულ კულტურასა და რუსეთთან (Щедровицкий П. 2019). დისკუსიები „რუსული სამყაროს“, ბირთვის, კომპონენტების, პერიფერიის, კუთვნილების ნიშნების, საზღვრების, ეთნიკური შემადგენლობის, მენტალიტეტის, გენეზისის შესახებ დღესაც მიმდინარეობს. შეხედულებების და ინტერპრეტაციის სიმრავლე საკითხის სირთულეზე მეტყველებს, რომელიც რთულად ექვემდებარება ფორმალიზებას და ერთგანზომილებიან კატეგორიზაციას.

როგორც უკვე აღინიშნა, „რუსულ სამყარო“ რთული სოციოკულტურული ცნებაა და მას ერთმნიშვნელოვანი გაგება არა აქვს. იგი მოიცავს კულტურულ-ისტორიულ, მითოლოგიურ, ფილოსოფიურ, პოლიტიკურ, ლინგვისტურ, ცივილიზაციურ, გეოეკონომიკურ და სულიერ-რელიგიურ განზომილებებს, რომლებიც საკმაოდ რთულია და ძნელია მათი ერთ მთლიანში გაერთიანება.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ცნობილი ისტორიკოსის და პოლიტოლოგის ს. პერევეზენცევის (2022) განსაზღვრება, როლის თანახმადაც „რუსული სამყარო წარმოადგენს ხალხების მრავალფეროვნებას, რომლებიც გაერთიანებულია რუსი ხალხის მიერ და რომლებსაც აქვთ საერთო ისტორიული ბედი (გვ.7). ისინი წყვეტენ

საერთოისტორიულ ამოცანებს, ამასთან, ინარჩუნებენ თავიანთ ტრადიციულ კულტურას და რელიგიას. რუსული სამყაროს საფუძველია - აღმოსავლეთსლავური მართლმადიდებლური ცივილიზაცია, თავის სულიერ-პოლიტიკურ და კულტურულ-ისტორიულ საზღვრებში. რუსული სამყაროს ბირთვი და ცენტრი რუსეთია, რომელიც თავის გარშემო აერთიანებს სხვადასხვა რელიგიის და კულტურის ხალხებს და სახელმწიფოებს“ (გვ.73). ამიტომაც პერევეზენცევი მიიჩნევს, რომ მსოფლიოში რუსეთის მისია დაკავშირებულია ორ ცნებასთან - მოწყალეობასა და სამართლიანობასთან. ზოგიერთი რუსი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამ ცნებებს უნდა დაემატოს რუსული სამყაროს გადარჩენის იდეის სულიერ-ზნეობრივი კონტექსტიც.

უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე „რუსულმა სამყარომ“ პირველად 2007 წელს, პრეზიდენტ პუტინის რუსეთის ფედერალური კრების მიმართ გაგზავნილ ყოველწლიურ მიმართვაში გაიჟღერა: „მიმდინარე წელს, რომელიც გამოცხადებულია რუსული ენის წლად, გვაქვს მიზეზი კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ რუსული ენა - ესაა ხალხთა ისტორიული ძმობისა და მართლაც რომ საერთაშორისო ურთიერთობების ენა. იგი არა მხოლოდ ჭეშმარიტად მსოფლიო მიღწევების შემნახველ პლასტს წარმოადგენს, არამედ არის მრავალმილიონიანი „რუსული სამყაროს“ ცოცხალი სივრცე, რომელიც, რა თქმა უნდა, გაცილებით ფართოა, ვიდრე თავად რუსეთი“ (Послание Президента РФ, 26.04.2007 ). სწორედ ამ განცხადებიდან ორი თვის თავზე 2007 წლის 21 ივნისს ვლადიმერ პუტინის ბრძანებულებით შეიქმნა ფონდი „რუსსკი მირ“, რომლის ოფიციალური დამფუძნებლებიც არიან რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროები. ორგანიზაციის ძირითად ამოცანებად კი „რუსეთისათვის ხელსაყრელი საზოგადოებრივი აზრის შექმნა“ და ზოგადად „რბილი ძალის“ პოპულარიზაცია განისაზღვრა. (Указ 796, 21.06.2007)

**გადარჩენა და მესიანიზმი**

საინტერესოა, რომ „გადარჩენის იდეა“ რუსულ პოლიტიკურ-ფილოსოფიურ აზროვნებაში მე-18 საუკუნიდან ხდება დისკუსიისა და კვლევის საგანი. ეს იდეა სხვადასხვა ვარიაციებში მთელი რიგი რუსი მოაზროვნეების ნაშრომებში გვხვდება - პ. ჩაადაევი, ფ. დოსტოევსკი, ნ. ფედოროვი, ვ. სოლოვიოვი, ნ. ბერიაევი, ვ. როზანოვი, ს. ბულგაკოვი. თანამედროვე ავტორებს შორის კი უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ვ. საბიროვის და ო. სოინოის მონოგრაფია „რუსული ფილოსოფიის გადარჩენის იდეა“ (2010), ასევე ს. კოჩეროვის, ა. გორელოვის, ა. გაჩევის და სხვ. მნიშვნელოვანი სტატიები.

კოჩეროვი მიიჩნევს, რომ გადარჩენის იდეა რუსული სამყაროსთვის ჰარმონიულია და მას „რუსული სამყაროს სულიერ კოორდინატთა სიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია“. მისი აზრით, არასრულყოფილ მიწიერ საზოგადოებასაც კი შეუძლია ტაძარში ერთიანობა... ამიტომ, გადარჩენა „საერთო საქმის“ ხასიათს იღებს, ხოლო რუსული სამყაროს განსაკუთრებულობა (კონცენტრირება საკუთარი ლოკალური ინტერესების დაკმაყოფილებაზე) და მისია მსოფლიო დონემდე ადის, ანუ არის მოღვაწეობა კაცობრიობის ინტერესებისთვის (Кошеров 2013). აღნიშნულის შემავსებელია ა. გორელოვის (2017) მოსაზრება, რომ „რუსული იდეა - ეს განპირობებულია ეროვნული ხასიათით, რუსი ადამიანის გულით, რუსული ცივილიზაციის განვითარების გზის უნიკალური სინთეზური კონცეფციით. ეს ყველაფერი ფორმალიზებულია კულტურაში, საყოველთაო ხსნის, ყველა ადამიანის ძმური სიყვარულისა და ბედნიერების მიზნით“ (გვ.55).

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი დასავლელ მკვლევარს შეუმჩნეველი არ დარჩენია „გადარჩენის“ იდეის როლი და მნიშვნელობა რუსული საზოგადოებისთვის. მაგალითად, გერმანელი ფილოსოფოსი ვ. შუბარტი (2003) აღნიშნავს, რომ „რუსული ეროვნული იდეა - გადარჩენა რუსეთიდან მოვა. ეს არის ყველაზე უფრო ღრმა და ფართო ეროვნული იდეა იმათგან, რომელიც სხვა ხალხებს ჰქონიათ“ (გვ.114).

2000 წლიდან მოყოლებული პუტინის თითქმის ყველა გამოსვლა რუსული იდენტობის დაცვას ეხება, რაც, მისივე თქმით, მოიცავს პატრიოტიზმს, ქრისტიანულ ღირებულებებს, ტრადიციული ოჯახის დაცვას საზღვარგარეთიდან პრინციპული ტრანსფორმაციის კონტექსტში წარმოებული თავდასხმების წინააღმდეგ. პუტინი ავითარებს მოსაზრებას, რომ ბევრი ევროატლანტიკური ქვეყანა უარს ამბობს თავის ქრისტიანულ ძირებზე. მისი აზრით, „უარყოფილია ზნეობრივი საწყისები და ნებისმიერი ტრადიციული იდენტობა: ეროვნული, კულტურული, რელიგიური და გენდერულიც კი. ისეთი პოლიტიკა წარმოებს, რომელიც ერთ სიბრტყეზე აყენებს მრავალშვილიან ოჯახს და ერთსქესიან პარტნიორობას, ღმერთის რწმენას და სატანის რწმენას. პოლიტკორექტულობის ექსცესები იქამდე მიდის, რომ სერიოზულად განიხილება იმ პარტიების რეგისტრაცია, რომლებიც მიზნად ისახავენ პედოფილიის პროპაგანდას. ბევრ ევროპულ ქვეყანაში ადამიანებს ეშინიათ ილაპარაკონ თავიანთი რელიგიური კუთვნილების შესახებ. დარწმუნებული ვარ ეს არის პირდაპირი გზა დემოგრაფიული და ზნეობრივი კრიზისისკენ“ (Клуб Валдай; 19.09.2013).

მოგვიანებით პუტინი აჯამებს თავის გამონათქვამებს: „რუსეთი არ იქნება ვასალი ამ ერთპოლარულ მსოფლიოში. ამ სიტყვებით ის ხაზს უსვამს თავის კონსერვატიულ განწყობებს. ანტიდასავლური სულისკვეთებით ის აგრძელებს: “დღეს ბევრ ქვეყანაში მიდის მორალური და ზნეობრივი ნორმების გადახედვა, იშლება ეროვნული ტრადიციები და განსხვავება ხალხებსა და კულტურებს შორის. დღეს საზოგადოებისაგან ითხოვენ არა რწმენის თავისუფლების, პოლიტიკური შეხედულებების და პირადი ცხოვრების ჯანსაღ აღიარებას, არამედ, როგორც უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ტოლობას სიკეთეს და ბოროტებას შორის. ისინი კი თავისი არსით ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. პუტინი ტრადიციული ღირებულებების დაცვისკენ მოუწოდებს და აღიარებს, რომ ეს კონსერვატიული პოზიციაა (Клуб Валдай; 19.09.2013).

ამ მომენტიდან დაწყებული რუსული პრესა ხოტბას ასახავს პუტინის ე.წ. განათლებულ კონსერვატიზმს, რაც მის მსოფლიო ლიდერობას უზრუნველყოფს.

ვალდაის შეხვედრაზე პუტინმა საჯაროდ განაცხადა: „მე ევრაზიელი ვარ“.....“და კონსერვატორი“. როგორც საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალ ევრაზიის მთავარი რედაქტორი ვ. კოროვინი (2015) აღნიშნავს, ვალდაის სიტყვამ ნათლად გასცა პასუხი კითხვას - რა სურს რუსეთს! პუტინმა ნათლად თქვა, რომ „რუსეთი გააგრძელებს ევრაზიულ ინტეგრაციას“ (გვ.96), რაც გულისხმობს, რომ ნარჩუნდება „დიდი რუსეთის“ იდეის ყველა კულტურული, ეთნიკური, კონფესიური მრავალფეროვნება, წმინდა ევრაზიული თეზისით, ე.წ. „ხალხების მრავალფეროვნება“. პუტინი აქ ზუსტად იმეორებს ევრაზიულობის ერთ-ერთ პრინციპს - იმპერიული სახელმწიფო, რომელიც ეფუძნება მრავალფეროვნების ერთიანობას, რასაც რუსეთი წარმოადგენს.

პუტინის სიტყვაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ძირითადი თეზისი: რუსეთის სუვერენულობა და ერთიანობა, იდეოლოგიის ფორმირების და მისი საჯარო განხილვის აუცილებლობა, ერთპოლარული მსოფლიოს უსამართლობა, რაც მისი გამოსვლის კვინტესენცია და მთავარი მომენტია. პუტინმა ეს პრობლემა ასე გამოხატა: ჩვენ ვხედავთ მცდელობებს ამა თუ იმ საშუალებით მოხდეს უნიპოლარული მსოფლიოს რეანიმირება, ნიველირებულ იქნას საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი და ეროვნული სუვერენიტეტი. „ასეთ ერთპოლარულ, უნიფიცირებულ მსოფლიოს არ ჭირდება სუვერენული სახელმწიფოები, მას ვასალები ჭირდება. ისტორიული აზრით, ეს საკუთარ თავზე, ღმერთისაგან ბოძებული მსოფლიოს ბუნებრივ მრავალფეროვნებაზე უარის თქმაა“ (გვ.100).

კოროვინი მიიჩნევს, რომ ეს რუსეთის გადარჩენისა და საკუთარი მისიის რეალიზების ეგზისტენციალური მნიშვნელობის საკითხია, რადგან დასავლურ წესრიგს რუსეთი არ შეეგუება. კოროვინი აღნიშნავს, რომ სამართლიანია მხოლოდ ის სამყარო, რომელიც არა ერთ, არამედ რამდენიმე ცივილიზაციურ პოლუსს მოიცავს. მხოლოდ ასე შეიძლება გადაიჭრას ცივილიზაციათა კონფლიქტი. რუსეთის პოლიტიკურ დისკურსში დომინირებს აზრი, რომ თანამედროვე მსოფლიო სულიერ-ანტროპოლოგიურ კრიზისშია, რაც დიდწილად განაპირობებს თანამედროვე სამყაროს კონფლიქტურობას. მაგალითისთვის, ა. კორობოვ-ლატინცევი (2022) მოვლენებს ასე

ახასიათებს: „დაწყებული ომი (იგულისხმება რუსეთის სამხედრო აგრესია უკრაინაში), თუნდაც მას სპეციალური სამხედრო ოპერაცია დავარქვავთ, ეს ეპოქალური მოვლენაა, შემობრუნება არა მარტო რუსეთისთვის და უკრაინისთვისაც, როგორც რუსული სამყაროს ნაწილისთვის, არამედ მთელი პლანეტისთვის. ინგრევა გლობალური დიქტატი, საშინელი იდეის - ადამიანის სახის დაკარგვის დიქტატი, ადამიანის თვით ადამიანისაგან განთავისუფლების, დიქტატი „თავისუფლებისა“: სახელმწიფოსაგან, თავისი ხალხისაგან, მორალისაგან, ღმერთისაგან, სქესისაგან, ადამიანისაგან, როგორც ასეთისაგან. ხდება არა უბრალოდ მხოლოდ ცივილიზაციათა შეხლა, არამედ ადამიანის ორი პროექტის შეხლა. ერთი, რომელშიც დადასტურებულია ადამიანის ყოფა, ხოლო მეორეში იგი განწირულია არარაობისთვის. ეს არის ბრძოლა არსებობისთვის, ახალი მსოფლიო ომი... ლაპარაკია მეოთხე მსოფლიო ომზე - ომზე ადამიანისთვის“ (გვ 9-10).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში (2023) გადარჩენის იდეა პრიორიტეტულია. დოკუმენტი ხაზგასმით აღნიშნავს ისეთ პრიორიტეტებს, როგორცაა: „რუსეთის ხალხის გადარჩენა, ადამიანური პოტენციალის განვითარება, ცხოვრების ხარისხისა და მოქალაქეების კეთილდღეობის გაუმჯობესება“ (Кондоровский Б. 2023, გვ.15), რომელშიც ასახულია რუსეთის სახელმწიფოსთვის ტრადიციული ღირებულებები - სამართლიანობა, სუსტების და დაჩაგრულების დაცვა, დამხმარე ყველასთვის, ვინც ამას საჭიროებს. უნდა მოხდეს ამ ღირებულებების ტრანსლირება გარე სამყაროსთვის.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში (2023) დაფიქსირებული სტრატეგიული მიზანი სამართლიანი და მდგრადი მსოფლიოს მოწყობაა. ის მოიცავს რამდენიმე ძირითად ამოცანას:

- დაჩაგრული ქვეყნების და ხალხების დაცვა მათთან ყოველმხრივი და პარტნიორული ურთიერთობების დამყარებით. ამაში გამოიხატება ქვეყნების

რეალური დახმარება, რადგანაც მათთან თანამშრომლობის განმტკიცება ხელს უწყობს შინაგანი რესურსის გაძლიერებას;

- მოკავშირეების მხარდაჭერა, გამომდინარე თვითონ რუსეთის სუვერენული პრიორიტეტებიდან, მიუხედავად სანქციებისა და სხვა ქვეყნების პოზიციებისა;

- საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის შექმნა ყველა ქვეყნის კულტურულ-ცივილიზაციური თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის; თანაბარი შესაძლებლობები
- ეს არის ჭეშმარიტი დემოკრატიის პრინციპი, რომელიც რუსეთშია შესაძლებელი, სადაც სამართლიანობის პრინციპია ცხოვრების ყველა სფეროში;

- ყველა სახელმწიფოსთვის მსოფლიო ეკონომიკის სიკეთეების და შრომის საერთაშორისო დანაწილების, აგრეთვე, თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა სამართლიანი და თანაბარი განვითარებისთვის (მათ შორის გლობალური ენერგეტიკული და სურსათის უსაფრთხოების);

- ადამიანური ღირსების და ადამიანის ტრადიციული სახის დაცვა პოსტკუმანისტური, ტრანსკუმანისტური და ტრანსგენდერული ანტროპოლოგიის ფართო გავრცელების ვითარებაში. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც არსებობს ადამიანის გაქრობის საშიშროება თავისი ტრადიციული ბიოსოციალური და სულიერ-ზნეობრივი სახით;

- ტერორიზმთან ბრძოლაში დახმარების აღმოჩენა, ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანი მოსახლეობის დაცვა.

ამგვარად, კონცეფციის ზოგიერთი დებულებების ანალიზი ნათლად წარმოაჩენს რუსეთის ფედერაციის სოტერიოლოგიურ ინტენციას, რაც გამოიხატება მსოფლიოს უსამართლობისაგან გადარჩენის მესიანისტურ იდეაში, რომელიც, თავის მხრივ, არაერთხელ გამოყენებულა სხვადასხვა საგარეო პოლიტიკური აქტივობის, მათ შორის სამხედრო ინტერვენციების, მოტივაციისა და ლეგიტიმაციის წყაროდ.

## რუსეთი: ქვეყანა - ცივილიზაცია, მსოფლიო განვითარების სუვერენული ცენტრი

მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-საუკუნის პირველ ათწლეულებში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, ჩამოყალიბდა რუსულენოვანი და რუსულკულტურულად მიჩნეული დიასპორები. რუსი ექსპერტების და პოლიტიკოსების ნაწილი თვლის, რომ დიდი რაოდენობით ხალხის და ჯგუფების არსებობა, რომლებიც გენეტიკურად, ეთნოკულტურულად, სულიერ-რელიგიურად თვითიდენტიფიცირებას რუსეთთან და რუსულ კულტურულ გარემოსთან აკავშირებენ, ქმნის რუსების ახალი ცივილიზაციური იდენტიფიცირების საშუალებას, რომლის ტერიტორიული ლოკალიზაციაც არ არის მიზნული რუსეთის ფიზიკურ საზღვრებთან და შესაძლოა, გარკვეულ შემთხვევაში, გამოყენებულ იქნას რუსული საგარეო პოლიტიკის ამოცანების ეფექტურად განხორციელებისთვის.

ცხადია, მოსაზრება „რუსული ცივილიზაციის“ შესახებ ახლა არ გაჩენილა. ჯერ კიდევ სლავიანოფილების წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებდნენ რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებულ ფუნდამენტურ განსხვავებებზე. XVIII საუკუნის პირველი ნახევრიდან პეტრე I-ის მიერ დაწყებულ დასავლურ კულტურულ ინტერვენციაზე სლავიანოფილები მწვავედ რეაგირებდნენ. ამ მხრივ, საყურადღებოა ი.აკსაკოვის (1844) შემდეგი სიტყვები: “ყოველ ჯერზე ნევის პროსპექტზე გასაიერნების შემდეგ დიდი სევდა მიპყრობს. არ დაიჯერებთ, როგორი აღშფოთებულია ჩემი სული ამ ნახევრადფრანგი, ნახევრადგერმანელი ბატონების, ყველასი გარდა რუსების, დანახვისას, რომლებიც დამახინჯებულ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ, გვაბრმავებენ დასავლური ნამუშევრების ფუფუნებით და სულაც არ ცხოვრობენ რუსულად“(გვ.499).

დანილევსკისა (1991) და ლეონტიევის (2005) მოსაზრებებში აშკარად იგრძნობა თანამედროვე „ცივილიზაციათა შეხლის“ გეოპოლიტიკური პროლოგი. წიგნში „რუსეთი და ევროპა“ (1991), მეორე თავში სათაურით „რატომ არის ევროპა რუსეთის

მიმართ მტრულად განწყობილი“, დანილევსკი აღნიშნავს: რუსეთი არ იღლება მთელი სიძლიერით იყვიროს, რომ კოლოსალური სახელმწიფოა, რომელიც განუწყვეტლივ აფართოებს თავის საზღვრებს“, და, შესაბამისად, ემუქრება ევროპის სიმშვიდეს და დამოუკიდებლობას (გვ.24).

“გვიანი“ სლავიანოფილი კ. ლეონტიევი დასავლეთის ლიბერალური იდეოლოგიის მიმართ განსაკუთრებული შეურიგებლობით გამოირჩეოდა. რუსული აზროვნების ისტორიაში ის იყო კონსერვატიზმის ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული წარმომადგენელი. ცნობილია მისი ბურჟუაზიული კულტურის „მეშჩანობის და ვულგარულობის“ კრიტიკა და, შესაბამისად, აქცენტი რუსეთის განსაკუთრებულ როლზე, რომელშიც იგი „ბიზანტიზმის“ გამოხატულებას ხედავდა. “ბიზანტიური სულით, ბიზანტიური საწყისით და გავლენით, როგორც ნერვული სისტემის რთული ქსოვილი, გაჯერებულია მთელი ველიკორუსული საზოგადოებრივი ორგანიზმი“ - წერს ლეონტიევი (2005, გვ 326). ფილოსოფოსი რუსეთს აღიქვამს, როგორც მართლმადიდებლობის ნამდვილ მცველს. იგი აღნიშნავს: “საით მიმართავს თავის მზერას ადამიანი, რომელიც სავსეა სიძულვილით თანამედროვე ევროპული პროგრესის უსულო და მშრალი მხარეებისადმი? საით, თუ არა რუსეთისადმი, სადაც მართლმადიდებლობის გარემოში არსებობენ ფილარეტის მსგავსი დიდი წმინდანები და სადაც თავად განხეთქილება წარმოაჩენს არა მარტო საშინელ (თუმცა თავისებურად გულსამაჩუყებელ) მოვლენებს, არამედ უაღრესად დამამშვიდებელ და პატივსაცემ სურათს ...“ (გვ.110).

დანილევსკის და ლეონტიევის იდეები ხორმესხმულია რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში. ამასთან მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ იგი ეფუძნება ევრაზიონიზმის ისტორიულ-კულტურულ და ფილოსოფიურ ფუნდამენტს, რომელიც რეფლექსირებულია რუსული აზროვნების ტრადიციებში.

2023 წლის კონცეფციის მე-4 პუნქტში ხაზგასმულია, რომ რუსეთი - ეს არის „თვითმყოფადი სახელმწიფო-ცივილიზაცია, ფართო ევრაზიული ევრო-

წყნაროკეანული ქვეყანა, რომელმაც გააერთიანა რუსი და სხვა ხალხები, რომლებიც რუსული სამყაროს ერთობის შემადგენელია“. ხოლო მე-5 პუნქტი აღნიშავს, რომ რუსეთის ფედერაცია „მსოფლიო განვითარების ერთ-ერთი სუვერენული ცენტრია და ისტორიულად ძალთა გლობალური ბალანსის და მრავალპოლარული სამყაროს ჩამოყალიბების გამაერთიანებელი და კონსტრუქციულ დღის წესრიგზე დამყარებული, კაცობრიობის მშვიდობიანი, პროგრესული განვითარების პირობების უზრუნველყოფის უნიკალური მისია აკისრია“ (МИД РФ, 2023).

2011 წელს პარტია „ედანია როსსიას“ ყრილობაზე საპროგრამო გამოსვლაში პუტინმა დაუფარავად გადმოსცა საკუთარი გეოპოლიტიკური ხედვები: ევრაზიული კავშირი და რუსეთი, როგორც სახელმწიფო-ცივილიზაცია, ხალხების და რელიგიების გამაერთიანებელი. ეს იყო თანამედროვე რუსეთის პოლიტიკაში ევროცენტრული მიდგომებზე პირველი აშკარა და საჯარო უარის თქმა. რუსეთი თვითონ უნდა გამხდარიყო გეოპოლიტიკური პროექტის წყარო და სუბიექტი. ასეთი პროექტის განხორციელებისთვის ნეოევრაზიულობის კონცეფცია იდეალური აღმოჩნდა - რუსეთი არც ევროპაა და არც აზია. ეს არის განსაკუთრებული ცივილიზაცია, თავისი მისიით მსოფლიოსა და ევრაზიაში (24.09.2011).

აღსანიშნავია ცივილიზაციის ის განსაზღვრებაც, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა 2023 წელს „ვალდაის“ ფორუმზე გამოსვლისას გააჟღერა. მისი აზრით, რუსული ცივილიზაცია არ შეიძლება ერთ მნიშვნელზე იქნას დაყვანილი, ისევე, როგორც შეუძლებელია მისი დაყოფა „რადგან ის მხოლოდ თავის მთლიანობაში, სულიერ და კულტურულ სიმდიდრეში არსებობს“(05.10.2023).

მ. ლაურელის (2024) აზრით, რუსული ცივილიზაციური მიდგომა უარყოფს ერთიანი კრიტერიუმის არსებობას, რომლითაც სხვა ცივილიზაციებზე შეიძლება იმსჯელო. ის დასავლურ უნივერსალიზმს განიხილავს, როგორც ფილოსოფიურ საფრთხეს ღვთისგან ბოძებული მრავალფეროვნებისთვის, საფრთხედ, რომელიც

ორგანიზებულია დასვლეთის მიერ თავისი სტრატეგიული ინტერესების შესანიღბად (#46, March 2023).

ელცინისა და პუტინის მმართველობის პირველ პერიოდში კრემლი განასახიერებდა რუსეთს, რომელსაც ჰქონდა ევროპული ცივილიზაციის ნიშნები და დასავლური კულტურის ზოგიერთი ფორმა, მაგრამ ამავედროულად მიუყვებოდა თავის გამორჩეულ კურსს. შემდეგ, თანდათან, იგი გადავიდა სრული „ცივილიზაციური ავტონომიის“ პრეტენზიაზე. დღეს დომინანტური ოფიციალური მიდგომა არის, რომ რუსეთი არის ორიგინალური ევროპა, რომელიც დაცულია ვესტრნიზაციის დემონებისაგან და ლიბერალიზმისაგან, ასევე ის თავისთავად არის სპეციფიკური ცივილიზაცია (Lukianov F, 13.02.2023). ასეთი პოზიცია აერთიანებს ისტორიულ სლავიზმისა და ევრაზიულ შეხედულებებს რუსეთის ევროპასთან დამოკიდებულების შესახებ.

ამ პოზიციის გასამდიერებლად შემუშავებული იქნა ცივილიზაციური არგუმენტი იმ ხალხების საერთო ბედის შესახებ, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ან ცხოვრობდნენ. ამ ნარატივში რუსეთი იყო არა კლასიკური კოლონიური სახელმწიფო, არამედ იმპერიული კონსტრუქცია, რომელსაც სხვა ხალხები „ნებაყოფლობით“ შეუერთდნენ, ხოლო საბჭოთა დროს ძირითადად რუსმა ერმა მსხვერპლად შესწირა საკუთარი კეთილდღეობა სხვა პროვინციების განვითარების მხარდაჭერას (Brudny M. 1997). შეიძლება ითქვას, რომ ეს თავდაპირველი პლურალიზმი ე.წ. რუსული მატრიოშკას პრინციპზეა აგებული: ყველა ეთნიკურ ჯგუფს აქვს საშუალება ჰქონდეს საკუთარი ლოკალური სუბცივილიზაციური ისტორია მანამ, სანამ ის სუპრათნიკურ ჩარჩოში ჯდება.

ისტორიული პროცესების ასეთმა ხედვამ ხელი შეუწყო რუსეთის იმპერიის თანდათანობით ფორმირებას. ამ იმპერიული იდენტობის ერთ-ერთი უმთავარესი საკითხი უკრაინაა - როგორც ერი და როგორც სახელმწიფო. ველიკორუსული თვალსაზრისით, რუსი და უკრაინელი ხალხები, უკიდურეს შემთხვევაში, უნდა

ძალიან მჭიდროდ იყვნენ („ძმურად“), თუ არა ერთ ერში შერწყმული (ბელურსთან ერთად). ამ პროდუქტის პარალელური ნარატივი უკრაინის განსაკუთრებული იდენტობის შესახებ არის ის, რომ უკრაინულმა სახელმწიფომ შეიძლება იარსებოს მხოლოდ მაშინ, თუ ამას რუსეთი დაუშვებს: თუ კიევი „ანტირუსული გახდება, უნდა მოხდეს უკრაინის დენაციონალიზაცია (Torbakov, I, May, 2023).

ეს ნარატივები ყოველთვის არსებობდა რუსული იდეოლოგიური კონსტრუქციის ფონზე და დიდი ხნის განმავლობაში მას პროპაგანდას უწევდნენ ულტრამემარჯვენე ჯგუფები, შთაგონებული ალექსანდრე სოლჟენიცინის ადმოსავლურ სლავური ეთნონაციონალიზმით თუ ალექსანდრე დუგინის კლასიკური იმპერიალიზმით. თუმცა, პოსტსაბჭოთა ისტორიის დიდი პერიოდის განმავლობაში ეს განწყობა კრემლის მიერ პირდაპირ არ ჟღერდებოდა, რადგანაც მაშინდელი რეჟიმი, მართალია უხალისოდ, მაგრამ მაინც აღიარებდა უკრაინის სახელმწიფოს და იდენტობას. მიუხედავად ამისა, იდეა უკრაინის სახელმწიფოებრივი არალეგიტიმურობის შესახებ პეროდულად ჩნდებოდა. მაგალითად, 2008 წელს ნატოს ბუქარესტის სამიტის შემდეგ, რომელზეც კიევს და თბილისს ალიანსში გაწევრიანებას დაპირდნენ, რუსული პრესა იტყობინებოდა, რომ განრისხებულმა პუტინმა განაცხადა: „უკრაინა სახელმწიფოც კი არ არის! რა არის უკრაინა? მისი ტერიტორიის ნაწილია - ცენტრალური ევროპა, სხვა ნაწილი, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ჩვენ ის მივეცი“ (Kommersant, April 7, 2008).

### **რუსეთი, როგორც კატეხონი**

ცივილიზაციური ენა მჭიდროდ არის დაკავშირებული კონსერვატიზმის წინ წამოწევაზე, რომელიც რეჟიმის პოლიტიკური ქვაკუთხეა. კრემლის თვალსაზრისით, ზედმეტად სწრაფ ცვლილებებს რევოლუციამდე მივყავართ, რევოლუციებს კი ქაოსი მოაქვთ პირველ რიგში, რუსეთის 1917 და 1991 წლების

რევოლუციების ისტორიული გამოცდილების გამო; მეორე იმიტომ, რომ რევოლუციები გამოწვევაა რეჟიმის ეტატიზმისთვის, რომელიც თვლის, რომ რეფორმები შეიძლება ინიცირებულ იქნას მხოლოდ ზემოდან ქვემოთ; მესამე - რევოლუციები განიხილება, როგორც ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც უცხო ძალები საშინაო საქმეებში ერევან. მაგრამ აქ ლაპარაკია არა მხოლოდ რეჟიმის გადარჩენაზე, რუსეთის სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი კონსერვატიზმი მის ქვეყნის ონტოლოგიაში დევს. ეს ონტოლოგია მხარს უჭერს ადამიანის ბუნების პესიმისტურ ხედვას, რომ კაცობრიობა ნეგატიური ძალებით იმართება და კნინდება. ამრიგად ის მხარს უჭერს პოლიტიკურ ფილოსოფიას, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანებს აქვთ ისეთი დადებითი და უარყოფითი თვისებები, რომლებიც არ შეიძლება ადვილად განვსაჯოთ ინდივიდუალური ნებისყოფის საშუალებით და რომ იდენტობა (იქნება ეს ეროვნული, სექსუალური თუ გენდერული) არ არის უბრალო სოციალური კონსტრუქცია, რომელიც შეიძლება შეიცვალოს უბრალოდ იმიტომ, რომ ინდივიდს ის არ აკმაყოფილებს. ამ პერსპექტივიდან, „გადაჭარბებული“ პროგრესულობა განიხილება, როგორც კაცობრიობის ონტოლოგიის დესტაბილიზაციის საფუძველი. რუსული კონსერვატიზმი ამგვარად ხელს უწყობს ტრადიციულ სოციალურ ინსტიტუტებს, ხაზს უსვამს სტაბილურობასა და უწყვეტობას, რაც მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორცაა ტრადიციები და ბუნებრივი სამართალი (Robinson P, 2019).

კრემლი მხარს უჭერს მიდგომას, რაც შეიძლება განისაზღვროს, როგორც ეკუმენური კონსერვატიზმი: კონსერვატიზმის თითქმის ყველა ვერსია მისაღებია და პოულობს თავის ადგილს (თუმცა განსხვავებული ზომით და სტატუსით) მისი დამცავი ქოლგის ქვეშ (Robinson P, 2019; Diesen G. 2021). შეიძლება გამოიყოს ასეთი კონსერვატიზმის სულ მცირე ოთხი ნაირსახეობა:

1. სახელმწიფოს მიერ ინიცირებული და წარმოჩენილია, როგორც „ზომიერი“ და დაფინანსებული და განხორციელებულია ისეთ ინტელექტუალურ პროექტებში, როგორცაა: „კონსერვატიზმის რვეულები“ და ახალგაზრდა

კონსერვატორიების ინტელექტუალური წრეები და გაერთიანებები, რომლებიც პერიოდულად ფუნქციონირებს.

2. ლიბერალური კონსერვატიზმი, რომელიც ხაზს უსვამს ეკონომიკური რეფორმების მნიშვნელობას, მაგრამ კონსერვატიულ პოლიტიკურ კონტექსტში და არსებობს ძირითადად ეკონომიკურ და ფინანსურ ტექნოკრატებს შორის. (აღნიშნული კარგად ჩანს 2000-იანი წლების რუსეთში);
3. კონსერვატიული ბრენდი რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სახით, რომელიც ორიენტირებულია რელიგიაზე და მორალურ ღირებულებებზე. მისი აქტივისტები ულტრაკონსერვატიულ ოჯახურ ღირებულებებზე არიან კონცენტრირებული;
4. რეაქციული კონსერვატიზმი, რომელიც არ იღებს სტატუს კვოს და რევოლუციური გარდაქმნების მომხრეა. ის უფრო დომინანტური გახდა უკრაინაში ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის შემდეგ.

რადგანაც კონსერვატიული და რეაქციული ტრადიცია მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებაშია, მისი ძირები რელიგიურ ქვეტექსტებში - მილერანიზმში და ესქატოლოგიაში უნდა ვეძიოთ (Shnirelman V. 2019, გვ 247-278; Sidorov, D. 2006, გვ 317-347). ის რუსეთს კატეხონის (katechon) ბიბლიური ცნების პრიზმაში განიხილავს (ძველბერძნული მნიშვნელობა „შემაკავებელი“). ტერმინი გამოიყენება იმ ძალის აღსაწერად, რომელიც აჭიანურებს ანტიქრისტეს მოსვლას და სამყაროს მხეცის სამეფოსაგან იცავს.

შვედი მეცნიერი მარია ენგსტრიომი (2014) კატეხონს წარმოადგენს, როგორც ქაოსის კარის მცველს, სამხედრო ძალას, რომელიც ეწინააღმდეგება ანტიქრისტესგან წარმოგზავნილ მეტაფიზიკურ მტერს. ეს მეტაფიზიკური მტერი სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში სხვადასხვა სახეს იღებს: თათრები, თურქები, მასონები, ნაპოლეონი, ჰიტლერი, და დღესდღეისობით ამერიკელი აგენტები, „უკრაინელი ფაშისტები“ და „კიევის ხუნტა“ (გვ.365). ვ. პუტინმა რამდენჯერმე გაამახვილა ყურადღება რუსეთის კატეხონურ იდენტობაზე: ის რუსეთს წარმოაჩენდა, როგორც

გონების და სტაბილურობის უკანასკნელ ბასტიონს დეკადენტისტური და დესტაბილიზირებული დასავლეთის წინააღმდეგ. ეს იდეოლოგია ფაქტიურად გაბატონდა უკრაინაში შეჭრის შემდეგ (2022), ხოლო რელიგიურმა რიტორიკამ კი საზოგადოებრივ დისკურსში შეაღწია მოწოდებებით „უკრაინის დესატანიზაციით“ და იმის მტკიცებით, რომ ომი სულიერი და თეოლოგიური თვალსაზრისითაც კი გამართლებულია“ (Riabov, O. Riabova, T. 2014).

### **რუსეთი, როგორც ტრადიციული ღირებულებების დამცველი**

კატეხონურ დისკურსთან მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის, როგორც ტრადიციული ღირებულებების დამცველის იდეა. 2000-იან წლებში მოქალაქეების პირად ცხოვრებაში ნებადართული იყო ღირებულებების მრავალფეროვნება. 2012 წლის შემდეგ სახელმწიფო რიტორიკაში გაჩნდა „კულტურული კოდის“ იდეა, რომელიც თანდათან სისტემატიზირდებოდა და პრეზიდენტის 2022 წლის ნოემბრის ბრძანებულებით „ტრადიციული რუსული სულიერ-ზნეობრივი ტრადიციების შენარჩუნების და განმტკიცების სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლების შესახებ“ დაგვირგვინდა (Президент РФ, 2022).

ეს კულტურული კოდი ტრადიციული ღირებულებების ენით არის შეფუთული და განსაკუთრებით იკვეთება, როდესაც ლაპარაკია ოჯახურ პოლიტიკაზე. LGBTQ საკითხებში სახელმწიფოს რიტორიკა განსაკუთრებით რადიკალურად კონსერვატულია, რაც გარკვეულწილად დაკავშირებულია ჰომოსექსუალიზმის კრიმინალიზაციის, პათოლოგიზაციის გენდერული შეუსაბამობის საბჭოთა გადმონაშთებთან. 2012-2013 წლებში ჰომოფობია კრემლის მიერ გამოყენებულ იქნა ე.წ. „გეიროპასთან“ (ინგლ, «gay Europe») დაპირისპირების ინსტრუმენტად (Riabov O, Ribova T. 05.02.2014; Tuška A.2022, გვ.115-135). 2023 წელს კი რუსეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით საერთაშორისო LGBTQ მოძრაობა „ექსტრემიზმის“ მოტივით აიკრძალა (The Guardian, November 20, 2023).

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტებში ტრადიციული სულიერი, ზნეობრივი და ოჯახური ღირებულებების დაცვას ცენტრალური ადგილი უჭირავს, როგორც ეროვნული იდენტობის ელემენტს და სახელმწიფო სტაბილურობის ფაქტორს. რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად (2021 წლის 2 ივლისის №400 ბრძანებულება), ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ იდენტიფიცირებულია კულტურული სუვერენიტეტის შელახვის მცდელობები უცხო ნორმებისა და იდეოლოგიების დაწესების გზით - „სოციალური და ზნეობრივი დამოკიდებულებების გავრცელება, რომლებიც ეწინააღმდეგება რუსი ხალხის ტრადიციებს, შეხედულებებსა და რწმენას“ (Указ Президента РФ № 400, 2021, პ. 87). დოკუმენტში აქცენტი კეთდება ტრადიციული ღირებულებების უნივერსალისტური მოდელებით ჩანაცვლების დაუშვებლობაზე, რაც განიხილება, როგორც ინფორმაციული და ფსიქოლოგიური ზეწოლის ფორმა: „ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური საბოტაჟი და კულტურის „ვესტერნიზაცია“ ზრდის... კულტურული სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხეს“ (პ. 88). ამრიგად, რუსეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში ტრადიციული და ოჯახური ღირებულებების დაცვის იდეოლოგიური ნორმა სისტემური უსაფრთხოების ხარისხშია აყვანილი.

აღნიშნული პარადიგმა ასევე გათვალისწინებულია რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში, რომელიც დამტკიცებულია პრეზიდენტის 2023 წლის 31 მარტის №229 ბრძანებულებით. დოკუმენტში ცალსახად არის ფორმულირებული „ტრადიციული სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების დაცვისა და ხელშეწყობის“ ამოცანა, როგორც საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი, მათ შორის დასავლეთის სახელმწიფოების იდეოლოგიური ზეწოლის წინააღმდეგ ბრძოლაში (Указ Президента РФ № 229, 2023, ნაწილი VI). ამ კონცეფციის ფარგლებში, რუსეთი პოზიციონირებს, როგორც „ცივილიზაციური მრავალფეროვნების“ საყრდენი და „გლობალისტური ღირებულებითი შაბლონების“ საპირწონე, რომელიც ქმნის ტრადიციონალიზმზე დაფუძნებული საერთაშორისო

ალიანსებს. საგარეო პოლიტიკის სტრატეგია რუსეთის კულტურულ მისიას განიხილავს, როგორც „სამართლიანი და მდგრადი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების“ საშუალებას (Ibidem). ამრიგად, დოკუმენტის მიხედვით, ტრადიციული და ოჯახური ღირებულებები ხდება როგორც შიდა კონსოლიდაციის, ასევე რუსეთის გეოპოლიტიკური პოზიციონირების ინსტრუმენტი საერთაშორისო ასპარეზზე.

რუსეთის საგარეო პოლიტიკაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ოჯახის ინსტიტუტის თემა. ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ჯერ კიდევ 2015 წლის ვერსიაშიც კი ოჯახი აშკარად იყო იდენტიფიცირებული, როგორც „ტრადიციული რუსული სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების“ ნაწილი (Указ Президента РФ № 683, 2015, п. 78), ხოლო 2021 წლის სტრატეგიაში მისი გაძლიერება დაკავშირებულია დემოგრაფიულ სტაბილურობასთან და „პატრიოტულად ორიენტირებული ახალგაზრდობის“ განვითარებასთან (Указ № 400, 2021, п. 103). იდეოლოგიურ დონეზე, ოჯახური ღირებულებების დაცვა უპირისპირდება ე.წ. „გენდერული იდენტობის ეროზიის“ და „ოჯახის ინსტიტუტის ძირის გამოთხრის“ დასავლურ მოდელებს - თემები, რომლებიც სულ უფრო ხშირად ვლინდება ოფიციალურ რიტორიკაში. როგორც რუსი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, სახელმწიფო ტრადიციულ ღირებულებებს განიხილავს, როგორც „ღირებულებითი ფარის“ ფორმას, რომელიც ეწინააღმდეგება გარედან კულტურულ ექსპანსიას (ზორკინი, 2021). შედეგად, რუსეთის ღირებულებითი პოლიტიკა იძენს იდეოლოგიური დოქტრინის მახასიათებლებს, სადაც კულტურული იდენტობა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული სუვერენიტეტისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან.

### **რუსეთი, როგორც ანტიფაშისტური და მთავარი ანტიკოლონიალური ძალა**

სამამულო ომის კულტი - ეს არის საბჭოთა პერიოდიდან წარმოშობილი ნარატივი, რომლის თანახმადაც ომი გაგებულია როგორც მითიური მასშტაბის

მოვლენა: უფრო მეტი, ვიდრე სიცოცხლე, ის არის ადამიანის უმაღლესი ღირებულებების, სიმამაცის და მსხვერპლშეწირვის გამოვლინება და იგი რუს ხალხს ორმაგ - მოწამე და გმირი ხალხის სტატუსს ანიჭებს. ამასთანავე პუტინის რეჟიმისთვის ფაშიზმთან ბრძოლა წარსულით არ შემოიფარგლება - ჯვაროსნული ლაშქრობა გრძელდება. აზროვნების ასეთი ფორმულირება ვლადიმერ პუტინმა ჯერ კიდევ 2005 წელს წამოწია და განაცხადა, რომ „ომის გაკვეთილი დღეს (ჯერ კიდევ) აქტუალური და მნიშვნელოვანია“ (Putin 25.04.2005). რუსეთის პრეზიდენტი მუდმივად აგონებდა მოქალაქეებს, რომ ფაშიზმი შეიძლება დაბრუნდეს და რუსეთი იძულებული იქნება გადაირჩინოს თავი და გადაარჩინოს მსოფლიო ამ ბოროტებისაგან.

ამავე კონტექსტში რესტავრირებულ და გააქტიურებული იქნა ძველი საბჭოთა წარმოსახვა, რომლის თანახმადაც აშშ და დასავლეთი მხარს უჭერდა ფაშისტებს და ნაცისტებს. ეს ნარატივი აქტიურად მუსირებს რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (Gaufman, E. 2015, გვ 17-36). რუსული ხედვით, დღევანდელი ფაშისტები არიან ისინი, ვინც 1945 წლის გამარჯვების შემდეგ უარყოფს სტატუს-კვოს და ისინიც, ვინც კომუნიზმს ნაციზმთან აიგივებს (Gaufman, E. 2015, გვ 17-36, Laruelle M. 2015). ამ ხედვით, „ფაშისტების“ საპირწონეები არიან „კონსერვატორები“, ანუ ისინი, ვისაც სურს გადაარჩინოს ნამდვილი ევროპა, წინა პლანზე გამოაქვთ ქრისტიანული ღირებულებები, იცავენ კლასიკურ დასავლურ ცივილიზაციას (როგორც ანტიკურობის, ისე სახელმწიფო სუვერენიტეტის თვალსაზრისით) და მხარს უჭერენ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა გამარჯვების ტრადიციულ თვალსაზრისს. ამ დისკურსითაა შთაგონებული „უკრაინის დენაციფიკაციის“ თემაც, რაც დღეისათვის ძირითად სტრატეგიულ ნარატივად იქცა, რომლითაც რუსეთის ხელისუფლება ცდილობს გაამართლოს უკრაინაში შეჭრა და წარმოაჩინოს, როგორც დიდი სამამულო ომის ბუნებრივი გაგრძელება და რეალური რეკონსტრუქციაც კი (McGlynn, J. 2023).

ამასთანავე, სამხედრო ოპერაციების ფონზე პარადოქსულადაც კი ჟღერს, მაგრამ რუსეთი ცდილობს თავის წარმოჩენას, როგორც ანტიკოლონიური ძალა, რომელიც თანამშრომლობს გლობალურ სამხრეთთან და წინააღმდეგობას უწევს დასავლეთის

ჰეგემონიას. ეს ანტიკოლონიური ნარატივი ეყრდნობა მე-19 საუკუნის ინტელექტუალურ ტრადიციას, რომელიც რუსეთს ევროპის მიერ კოლონიზებულად აცხადებს. პირველად ამ ნარატივის თეორიულად გააზრება მოახდინეს სლავიანოფილებმა, შემდეგ კი, 1920-იან წლებში, ევრაზიულობის დამფუძნებლებმა. მისი ხელახლა გააზრება მოახდინეს რუსმა ნაციონალისტმა დისიდენტებმა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის სინამდვილეში გასული საუკუნის 1960-1980-იან წლებში (Glebov, S. 2017, გვ. 76-110). ეს იდეა, როგორც ჩანს, აშკარად იკვეთება საბჭოთა ანტიიმპერიალისტური დისკურსის მრავალწლიან პოლიტიკურ ტრადიციაში და ჯერ კიდევ ადრეულ ბოლშევიკურ დისკურსში, რომელიც მოუწოდებდა კოლონიურ ერებს შეერთებოდნენ მსოფლიო რევოლუციას. ნ. ხრუმჭოვის მმართველობის დროს კი მოხდა მათი ინსტიტუციონალიზება „მესამე სამყაროს“ და მიუმხრობელი ქვეყნების მოსაზიდად. ამიტომაც კრემლისთვის ადვილი იყო ამ ნარატივის წინ წამოწევა. უკვე 2000 წლის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლება რეგულარულად საუბრობდა დასავლეთის მცდელობებზე, ექცია რუსეთი კოლონიად, რომელიც მათ მოამარაგებდა ნედლეულით (Rutland, P. 2017, გვ.336-360).

შემდგომ ეტაპზე ეს ნარატივი დამუშავებულ იქნა რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ (Sputnik-ი, RT) როგორც შიდა, ასევე გარე აუდიტორიისთვის. ამ ფონზე წამოიწია ევგენი პრიგოჟინის და დაცვის კერძო კომპანია „ვაგნერის“ თემაც, რომლის სამხედრო აქტოვობების მთავარი საცდელი პოლიგონი აფრიკა იყო (Audinet. M. 2022, გვ.69-85). უკრაინაში ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის დაწყებასთან ერთად, დასავლური კოლონიალიზმის ნარატივი რუსეთის პრეზიდენტის დისკურსის ხმამაღალ მახასიათებლად იქცა. თავის 2022 წლის 30 ნოემბრის სიტყვაში, როდესაც მან გამოაცხადა უკრაინის ოთხი რეგიონის ანექსიის შესახებ, პუტინმა წარმოადგინა დასავლური კოლონიალიზმის თავისებური შეფასება და განაცხადა, რომ დასავლეთმა „მთელი ხალხები ნარკოტიკებზე შესვა, მიწისა და რესურსებისთვის გაჟლიტა მთელი რიგი ეთნოსები, ორგანიზება გაუწია ადამიანებზე, როგორც ცხოველებზე, ნადირობას. ყველაფერი ეს ეწინააღმდეგება

თვით ადამიანურ ბუნებას, სიმართლეს, თავისუფლებას და სამართლიანობას“ (Президент РФ. 30.09.2022).

ასე მიზანმიმართულად იდეამ, რომ რუსეთს სჭირდება „განთავისუფლდეს დასავლეთისგან“, რათა გახდეს წამყვანი ანტიკოლონიური ძალა, ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიკავა თანამედროვე რუსეთის ისტებლიშმენტში.

### 3.4 მართლმადიდებლობის და ეკლესიის ინსტრუმენტალიზაცია

მართალია ევრაზიულობის საწყისები ზე-რელიგიურია და კლასიკური ევრაზიანელობა არ ფოკუსირდებოდა ქრისტიანობის საკითხებზე, მაგრამ მართლმადიდებლობა ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რუსოცენტრულ იდეოლოგიებში. ევრაზიონიზმის შემდგომმა ინტერპრეტაციებმა, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21- საუკუნის მიჯნაზე, მნიშვნელოვნად გააძლიერა თეოლოგიური კომპონენტი, რამაც მართლმადიდებლობას არა მხოლოდ კულტურული, არამედ მეტაფიზიკური და პოლიტიკურ-ონთოლოგიური დატვირთვაც მიანიჭა. როგორც ბაზავლუკი (2020) აღნიშნავს, გვიანდელი ევრაზიელების ნაშრომებში მართლმადიდებლობა განიმარტება, როგორც რუსული სახელმწიფოებრიობისა და ცივილიზაციური იდენტობის წმინდა საფუძველი: „ევრაზიულ აზროვნებაში ეკლესია გაგებულია, როგორც ისტორიული, კულტურული და მეტაფიზიკური ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს ხალხისა და სახელმწიფოს ერთიანობას და მოქმედებს როგორც რუსული ისტორიის უმაღლესი მნიშვნელობის მცველი“ (გვ. 263).

მართლმადიდებლობის როლის განსაკუთრებით გაძლიერება შეინიშნება დუგინის ნეოევრაზიულობაში, სადაც რელიგია, კერძოდ, მართლმადიდებლური ქრისტიანობა, განიხილება, როგორც სულიერი საფუძველი და მორალური კომპასი „მეოთხე პოლიტიკური თეორიის“ ფარგლებში, რომელიც ეწინააღმდეგება დასავლურ

სეკულარულ თანამედროვეობას. დუგინის თეორიაში მართლმადიდებლობა წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც კონფესიური სისტემა, არამედ როგორც კულტურული იდენტობის ძირითადი ელემენტი და ტრანსცენდენტული ღირებულებების წყარო, საიდანაც აგებულია სოციალური და პოლიტიკური წესრიგის მოდელი. დუგინი ხაზს უსვამს, რომ ტრადიციული რელიგიური საფუძვლები მეტაფიზიკურ საყრდენს წარმოადგენს დასავლური ლიბერალიზმის ალტერნატიული პოლიტიკური ფილოსოფიის ჩამოყალიბებისთვის, რაც მართლმადიდებლობას ევრაზიული პოლიტიკური მითის და რუსეთის, როგორც ცივილიზაციური ცენტრის, აღორძინების კონცეფციის მნიშვნელოვან კომპონენტად აქცევს (Dugin, 2012).

როგორც შეხოვცოვი (2008) აღნიშნავს, დუგინის ნეოევრაზიულობა მოიცავს „პალინგეტიკურ“ სტრუქტურას (ბერძნულიდან παλιγγενία — ხელახალი დაბადება), სადაც მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებული რუსეთი მოქმედებს როგორც მესიანური სუბიექტი, რომელსაც შეუძლია ტრადიციონალისტური წესრიგის აღორძინება დასავლური ლიბერალიზმის საპირისპიროდ. ასეთი იდეოლოგემა, მკვლევარის ხედვით, წარმოადგენს „რელიგიურ-გეოპოლიტიკური ეკლექციზმს, სადაც მართლმადიდებლობა ფუნქციონირებს როგორც დამაკავშირებელი რგოლი ეროვნულ იდენტობას, სახელმწიფოებრიობასა და ისტორიულ მისიას შორის“ (Shekhovtsov, 2008, p. 498). ამ გაგებით, მართლმადიდებლობა ხდება ევრაზიული პოლიტიკური მითის განუყოფელი ელემენტი, რაც ლეგიტიმაციას უკეთებს რუსეთის, როგორც პოსტსეკულარული სამყაროს წმინდა ცენტრის ცნებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონზომიერია სახელმწიფოს მიერ რუსეთის ეკლესიისა (როგორც ინსტიტუტის) და მართლმადიდებლობის (როგორც რელიგიის) ინსტრუმენტალიზაცია და მათი როლის გააქტიურება რუსეთის საგარეო პოლიტიკაშიც. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ტერმინები „რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია“ და „მოსკოვის საპატრიარქო“ სინონიმების კონტექსტში გამოიყენება და ორივე აღნიშნავს რუსული ეკლესიის ერთიან იერარქიულ-ინსტიტუციურ სისტემას.

რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მოსკოვის საპატრიარქოს როლზე საუბრისას აუცილებელია, პირველ რიგში, მისი როლისა და ადგილის გარკვევა სახელმწიფო სისტემაში. ოფიციალურად რუსეთის ფედერაცია სეკულარული სახელმწიფოა, ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთისაგან გამიჯნულია, თუმცა მოსკოვის საპატრიარქოს ქმედებები უფრო უფრო მეტად უნისონშია კრემლის საგარეო პოლიტიკასთან და ეკლესიაც სულ უფრო ემსგავსება ამ პოლიტიკის განმახორციელებელ სახელმწიფო ინსტრუმენტს. მას აქტიურად იყენებს ვლადიმერ პუტინი ე.წ. „ახლო საზღვარგარეთში“ პოზიციების განმტკიცებისათვის.

რუსეთის ეკლესია სახელმწიფო პოლიტიკაში კარგად ინტეგრირებულია. ამის ინსტიტუციონალიზაცია მიიღწევა სამინისტროებთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთობლივი სამუშაო ჯგუფებით, ერთიანი საექსპერტო კომისიებითა და სხვა ასეთი ფორმატებით. რელიგიის ასეთი ინსტიტუციონალიზაცია სიახლეს არ წარმოადგენს რუსული იმპერიისათვის. ჯერ კიდევ რუსეთის პირველი იმპერატორის, პეტრე I -ის რეფორმების შედეგად ეკლესიაში გაუქმდა პატრიარქის მმართველობა, შეიქმნა სასულიერო კოლეგია (რომელიც შემდეგ სინოდად გარდაიქმნა) და შემოღებულ იქნა ობერ-პროკურორის თანამდებობა. ეს იყო საერო პირი, რომელიც უშუალოდ იმპერატორის მიერ ინიშნებოდა და წარმოადგენდა მის თვალსა და ყურს საეკლესიო საქმეებში. აქედან მოყოლებული რუსულ ეკლესიას ეწოდა „მართლმადიდებლური აღმსარებლობის უწყება“ და იგი მონარქის აპარატში შემავალ სამინისტროებსა და უწყებებს შორის ერთ-ერთ ინსტიტუტად იქცა. ამ სისტემამ 1917 წლამდე იარსება. ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ეკლესია რეპრესიების ერთ-ერთი მსხვერპლი გახდა. კომუნისტები უარყოფდნენ ღმერთს, ანგრევდნენ ტაძრებს, დევნიდნენ სასულიერო პირებს. თუმცა მე-2 მსოფლიო ომის პერიოდში სტალინი მიხვდა, რომ მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიით მოსახლეობის საბრძოლო სულისკვეთებას ვერ შეინარჩუნებდა და საშველად რელიგიას მიმართა. 1943 წელს სტალინის უშუალო ჩართულობით აღდგენილ იქნა საპატრიარქო მმართველობა და არჩეულ იქნა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი.

საბჭოთა მთავრობაში შეიქმნა „რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეთა საბჭო“ რომელიც კონტროლს უწევდა საპატრიარქოს საქმიანობას. ეკლესია საბჭოთა სისტემისა და უშიშროების სამსახურების სრული კონტროლის ქვეშ მოექცა. არსებობს მოსაზრება, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების შემდგომ სტალინის ჩანაფიქრი იყო, გაეწვრცელებინა მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქცია სსრკ-ს საზღვრებს გარეთ, ჩაეტარებინა მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიების კრება და სხვა ქვეყნებზე პოლიტიკური პრესის განხორციელებით რუსეთის პატრიარქი მსოფლიო პატრიარქად გამოეცხადებინა, ხოლო მოსკოვი კი - მესამე რომად (Якухин, Г. 2002). იდეის ხორცმესხმა სტალინმა ვერ მოასწრო, მაგრამ მის მიერ შექმნილი ეკლესიის სისტემა გამართულად მუშაობდა და უფრო მდგრადი აღმოჩნდა, ვიდრე თვით საბჭოთა იმპერია. მოსკოვის საპატრიარქო ის ერთადერთი ინსტიტუტია, რომელსაც საბჭოთა სისტემის დაშლის შემდგომ არათუ ლუსტრაცია და რეფორმა არ შეეხო, არამედ მისი გავლენა პირიქით გაძლიერდა, განსაკუთრები კი პუტინის ეპოქაში.

ჯერ კიდევ 1999 წელს, რუსეთის ახალ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში პუტინის ინიციატივით ჩაიწერა, რომ რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების დაცვა უნდა მოიცავდეს რუსეთის სულიერ განახლებას და რომ სახელმწიფომ უნდა წაახალისოს საზოგადოების სულიერი და მორალური განვითარება (Президент РФ, 2000). როგორც გლებ იაკუნინი (2002) აღნიშნავს, პუტინმა ზუსტად იცოდა, როგორ შეევესო იდეოლოგიური სიცარიელე - რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიისთვის ახალი რუსული იდენტობის ცენტრალური ადგილის მინიჭებით.

აღნიშნული სრულ უნისონშია რუსული სამყაროსა და რუსეთი-ცივილიზაციის ოფიციალურ ნარატივებთან. თავად პატრიარქი კირილი აღნიშნავს, რომ აქ საუბარია „აღმოსავლეთ სლავურ ცივილიზაციაზე“, რომ „რუსული სამყარო“ გაიგივება რუსეთის ფედერაციასთან ძალიან შორია ჭეშმარიტებასთან, რადგან რუსული სამყარო ეს უკრაინულიცაა, ბელარუსულიც და სრულიად რუსეთიც, რომ ეს სამყარო დნებრში

ნათლობის შედეგად შეიქმნა და ღირებულებათა სისტემად ჩამოყალიბდა (Patriarhia.ru 20.07.2015).

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო პოლიტიკური აქტივობები ინსტიტუციონალურადაა მხარდაჭერილი საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. 2003 წლიდან ფუნქციონირებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მოსკოვის საპატრიარქოს ინტერაქციის სამუშაო ჯგუფი (Рабочая группа по взаимодействию МИД России и Русской Православной Церкви), რომელსაც პატრიარქი კირილი და საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი თავმჯდომარეობენ. ჯგუფი რეგულარულად იკრიბება, რათა ეკლესიის საერთაშორისო ურთიერთობები სახელმწიფო დიპლომატიურ მიზნებთან შესაბამისობაში მოიყვანოს, როგორცაა საზღვარგარეთ მცხოვრები ქრისტიანების უფლებების დაცვა, რუსული დიასპორული თემების მხარდაჭერა და ტრადიციული ღირებულებების პოპულარიზაცია გლობალურ ასპარეზზე (МИД РФ. 03.12.2019). თავად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კი საკუთარ ვებსაიტზე სპეციალურ ანგარიშებსაც აქვეყნებს „დსთ-ს ქვეყნებში ოჯახური ღირებულებების მხარდაჭერისა და დაცვის შესახებ (МИД РФ).

ინსტიტუციური კოორდინაციის გარდა, რუსეთის სახელმწიფო ხელს უწყობს რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საქმიანობას რბილი ძალის ისეთი ინსტრუმენტების მეშვეობით, როგორცაა ფონდი „რუსკი მირ“, რომელიც აფინანსებს „რუსულ ცენტრებს“ და მართლმადიდებლებთან დაკავშირებულ კულტურულ ღონისძიებებს საზღვარგარეთ, რომელთა მიზანია რუსული ენის, მართლმადიდებლური ღირებულებების და კრემლის იდეოლოგიასთან შესაბამისობაში მყოფი ცივილიზაციური ნარატივების პოპულარიზაცია (Koval & Tereshchenko, 2023).

აქვე აღსანიშნავია რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ოფიციალური წარმომადგენლობები მრავალმხრივ და საერთაშორისო ფორუმებზე, რომლებიც ფუნქციონირებს არა მხოლოდ როგორც რელიგიური, არამედ ოფიციალური

პოლიტიკის გამტარი ინსტიტუტები, მაგალითად, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მუდმივი წარმომადგენლობა ევროპულ ინსტიტუტებთან ბრიუსელში და მისია ევროპის საბჭოში სტრასბურგში, რომლებიც მოქმედებენ როგორც რუსეთის ოფიციალური პოლიტიკის ადვოკატების ცენტრები (Fagan, 2022). გარდა ამისა, რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ასოცირებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, როგორცაა რუსი ხალხის მსოფლიო საბჭო, მიაღწიეს საკონსულტაციო სტატუსს გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში (ECOSOC), რაც მათ საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების დებატებში მონაწილეობის უფლებას აძლევს.

ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ეს სიმბიოზი ნათლად წარმოაჩენს რუსეთის სახელმწიფოს მიერ რელიგიური დიპლომატიის გამოყენებას იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური გავლენის ინსტრუმენტად.

## თავი IV: ევრაზიონიზმის და რუსოცენტრული იდეოლოგიების პრაქტიკულ საგარეო პოლიტიკაში იმპლემენტაციის მაგალითები

### 4.1 რუსეთის სამხედრო აგრესია საქართველოში (2008 წ.)

2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესია საქართველოში პირველი პრეცედენტია, როდესაც რუსეთის ფედერაცია ღიად შეიჭრა მეზობელ სახელმწიფოში და აშკარად მოახდინა მისი ტერიტორიების უკანონო ოკუპაცია. ამ ფაქტმა ცხადყო თანამედროვე რუსეთის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური ლოგიკა, მისი ჭეშმარიტი ბუნება, მისწრაფებები და სტრატეგიული მიზნები. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის აგრესია ხშირად ე.წ. რეალისტური ჩარჩოებით არის განმარტებული (მაგალითად, როგორც რუსეთის პასუხი ნატოს შესაძლო გაფართოებაზე, ან მისი რეაქცია კოსოვოს დამოუკიდებლობაზე, ან უსაფრთხოების მყისიერი უზრუნველყოფის საჭიროება), საკითხისადმი კონსტრუქტივისტული და კრიტიკულ-გეოპოლიტიკური მიდგომა ნათელყოფს, თუ როგორ გამოიყენებოდა აღნიშნული ომი ცივილიზაციური ჩარჩოების/საზღვრების შესაქმნელად. ამ თვალთახედვით, საქართველოში ინტერვენცია ევრაზიონისტული იდეოლოგიური კონსტრუქციების განსახიერებაა, რომლის მიხედვითაც რუსეთი წარმოადგენს განსხვავებულ ცივილიზაციურ სივრცეს, ხოლო პოსტსაბჭოთა რეგიონი მისი პრივილეგირებული ინტერესების სფეროა, სადაც მოსკოვს აქვს პასუხისმგებლობა ორგანიზება გაუწიოს ამ სივრცის ფუნქციონირებას საკუთარი სივრცით-იდეოლოგიური წარმოსახვის შესაბამისად (Laruelle, 2008; Tsygankov, 2016).

2008 წლის ომის იდეოლოგიური გენეალოგია ამ ნაშრომის წინა თავებში აღწერილ ინტელექტუალურ-ფილოსოფიურ ტრადიციებს უკავშირდება, მათ შორის სავიციის და ტრუბეცკოის კონცეფციას, რომ რუსეთი არა ევროპის პერიფერია, არამედ ევრაზიის ავტონომიური ცივილიზაციური ბირთვია (Трубецкой, 1925/1991). გვიან

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში ლ. გუმილევის პასიონარიზმის ეთნოლოგიურმა თეორიამ გააცოცხლა აღნიშნული ტერიტორიულ-ცივილიზაციური ონტოლოგია და რუსეთი კულტურულად თანმიმდევრული სუპერეთნოსის გულად წარმოაჩინა, რომლის სიცოცხლისუნარიანობაც დაცული უნდა ყოფილიყო დასავლური „ენტროპიისგან“ (Гумилев, 1990). მოგვიანებით ისეთმა ნეოევრაზიონისტებმა, როგორებიცაა ა. პანარინი და ა. დუგინი, ეს კონცეფციები გეოპოლიტიკურ პროგრამად გარდაქმნეს, რომელიც მოითხოვდა რუსეთის, როგორც ატლანტისტური უნივერსალიზმის საწინააღმდეგო პოლუსის, ავტორიტეტის აღდგენას „ევრაზიის გულში“ (Панарин, 1995; Дугин, 1997). 2000-იანი წლების დასაწყისისთვის ეს იდეები ინტელექტუალური ზღვრიდან რუსული საგარეო პოლიტიკის დისკურსის ლექსიკონში გადავიდა და ჰარმონიულად შეერწყა წინა თავში აღწერილ პრეზიდენტ პუტინის ნარატივებს სუვერენული დემოკრატიისა და მრავალპოლარობის შესახებ.

ჯერ კიდევ ტრუბეცკოი თავის ნაშრომი “კავკასიის ხალხების შესახებ” (1925) სამხრეთ კავკასიას წარმოაჩენს, როგორც ხიდს რუსულსა და აღმოსავლურ სამყაროს შორის და მიუთითებს, რომ დაუბრკოლებელმა ვესტერნიზაციამ შეიძლება ეს ხიდი წყალგამყოფად გადააქციოს (Трубецкой, 2000, გვ. 472–480). ტრუბეცკოისთვის რუსეთის ისტორიული მისია იყო შეკრება და დაცვა, ანუ მოსაზღვრე ხალხების დაცვა და გაერთიანება ერთიან კულტურულ სფეროში. ამგვარად, კავკასია ევრაზიული სამყაროს სამხრეთ კარიბჭედ მიიჩნეოდა, რომლის დაკარგვაც ცივილიზაციურ მთლიანობას დაარღვევდა (Трубецкой, 2000, გვ. 475–476)..

ამ კონსტრუქციაში საქართველოს როლი და ადგილი დუალისტური და წინააღმდეგობრივია: ერთის მხრივ მართლმადიდებლობა და სულიერი მემკვიდრეობა მას განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს ევრაზიული სულიერი ბირთვისთვის, მაგრამ სწრაფვა ევროპისკენ მიიჩნევა უცხო იდეების გამტარ საშუალებად (Трубецкой, 2000, გვ. 478), რაც საზიანოა ევრაზიული იდეისთვის.

თავის მხრივ, სავიციკიმ (1921) კავკასიის რეგიონი აღწერა, როგორც „დიდი ცივილიზაციური კონტაქტის სასაზღვრო ზონა“, რომელიც ფრაგმენტაციის თავიდან ასაცილებლად მყარ პოლიტიკურ ინტეგრაციას მოითხოვდა (Савицкий, 1921/1997, გვ. 87). ასეთმა ადრეულმა ევრაზიულმა ნაშრომებმა მორალური საფუძველი ჩაუყარა მოგვიანებით მტკიცებებს, რომ რუსეთს ეკისრებოდა მეურვეობის მოვალეობა სამხრეთელი მეზობლების მიმართ.

მე-20 საუკუნის შუა პერიოდში ამ ნარატივების ერთგვარი ხელახალი კოდირება მოხდა. ლევ გუმილიოვის „პასიონარიზმის“ თეორიამ კავკასია ევრაზიის „პასიონარულ სარტყელად“ წარმოაჩინა, სადაც ეთნოგენეზის ენერგია განსაკუთრებით მძაფრად და აქტიურად ვლინდება (Гумилёв, 1990, გვ. 312). ავტორი მიიჩნევს, რომ მხოლოდ რუსული ბირთვის „სუპერეთნოსს“ შეუძლია ამ პერიფერიული ენერგიების ჰარმონიზაცია (Гумилёв, 1990, p. 317). შესაბამისად, ბიოლოგიის, კულტურისა და გეოგრაფიის გუმილიოვისეულმა ხედვამ გააძლიერა ის მოსაზრება, რომ რუსეთის დომინირება რეგიონში წარმოადგენდა არა იმპერიალიზმს, არამედ ეთნობიოლოგიური ბალანსის ფუნქციას და მექანიზმს ევრაზიული სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად (Гумилёв, 1990, გვ. 316–318).

საბჭოთა ხელისუფლების ბოლო პერიოდში ევრაზიონიზმი ნაბიჯ-ნაბიჯ გააქტურდა როგორც ფილოსოფიურ, ასევე პოლიტიკურ დისკურსში. მისი „დაბრუნება“ თავდაპირველად ეთნოლოგიისა და კულტურული გეოგრაფიის მეშვეობით დაიწყო - ლევ გუმილევის თეორიებმა პასიონარიზმისა და ეთნოგენეზის შესახებ პოპულარობა მოიპოვა ისტორიკოსებსა და გეოგრაფების გარკვეულ წრეებში. მისი ლექციები ლენინგრადის (დღევანდელი პეტერბურგის) სახელმწიფო უნივერსიტეტში და ისეთი პუბლიკაციები, როგორიცაა „ეთნოგენეზი და დედამიწის ბიოსფერო“ (1990), ფართოდ გავრცელდა ისტორიის, გეოგრაფიის სტუდენტებსა და სამხედრო აკადემიების ოფიცრებს შორისაც კი. გუმილევის მეშვეობით რუსეთის,

როგორც ცოცხალი კონტინენტური ორგანიზმის ძველმა ევრაზიულმა იდეამ სამეცნიერო ლეგიტიმაცია დაიბრუნა (Bassin, 2012).

ამავდროულად, გეოპოლიტიკური კონტინენტალიზმის ლექსიკა ხელახლა გამოჩნდა საბჭოთა სამეცნიერო ნაშრომებში. სამხედრო გეოგრაფებმა დაიწყეს სსრკ-ს, როგორც იმ კონტინენტური ბირთვის წარმოდგენა, რომლის სტაბილურობაც დამოკიდებული იყო ბალანსის შენარჩუნებაზე მის სამხრეთ და დასავლეთ საზღვრებზე. ისეთ ჟურნალებში, როგორცაა „Военная мысль“ და „Советская География“, მეცნიერებმა „ჰართლენდისა“ და „რიმლენდის“ შესახებ კლასიკური დასავლური წარმოდგენები საბჭოთა ჩარჩოებს მოარგეს და ისინი „რეგიონული წონასწორობის“ კვლევებად წარმოადგინეს (Laruelle, 2008). 1980-იანი წლებისთვის ევრაზიელების, განსაკუთრებით ტრუმბეცკოს და სავიციკის, ნაწყვეტები (რაც მანამდე მცირე აკადემიურ გამოცემებში ქვეყნდებოდა) გადაბეჭდა გამომცემლობა „Мысль“-მა, რის შედეგადაც ისინი ინტელექტუალურ და ბიუროკრატიულ ელიტაში გავრცელდა. ამ ხელახალმა გამოცემებმა ევრაზიულობას საშუალება მისცა საპატიო ადგილი მოეპოვებინა და წარმოჩენილიყო რუსეთის სამეცნიერო მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილად.

სსრკ-ს დაშლამ ევრაზიონიზმის ლექსიკა კიდევ უფრო აქტუალური გახადა. საბჭოთა იმპერიის კოლაფსი მაშინვე იქნა მონათლული ევრაზიული ორგანიზმის დაშლად. ტროფიმოვის აზრით, ეს მეტაფორა გადმოსცემდა როგორც გეოპოლიტიკურ დანაკარგს, ასევე ცივილიზაციურ ტრავმას (Трофимов, 2003, გვ. 33–36; Laruelle, 2008, გვ. 42–44). ანალიტიკოსებმა და სამხედრო თეორეტიკოსებმა ასევე გააცოცხლეს კავკასიის ძველი ევრაზიული იმიჯიც - „ევრაზიის სამხრეთ კარიბჭე“ და განაცხადეს, რომ რეგიონი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ჰართლენდის ზღურბლად, დაუცველი დარჩა (Пырлин, 1996, გვ. 14–18; Bassin, 2012, გვ. 80–82; Dugin, 1997).

1990-იანი წლების დასაწყისში ეს ლექსიკა ფილოსოფიური ნაშრომებიდან პოლიტიკურ კომენტარებსა და ოფიციალურ რიტორიკაში გადაიზარდა და პოლიტიკის ენაზე ითარგმნა. ევრაზიული ნარატივი პოსტსაბჭოთა მდგომარეობას რუსეთისთვის მისაღები ინტერპრეტაციით აღწერდა: რუსეთი აღარ იყო უბრალოდ სახელმწიფო, რომელმაც დაკარგა იმპერია, არამედ ცივილიზაცია, რომელსაც დროებით ჩამოერთვა ბუნებრივი საზღვრები. ამ სიმბოლისტურ გეოგრაფიაში „სამხრეთის კარიბჭის“ თემა ხელახლა გამოჩნდა. ერთის მხრივ ის გამოხატავდა მოსაზრებას, რომ სსრკ-ის დაშლამ რუსეთის ისტორიული საზღვრები ღია დატოვა დასავლური და ისლამური შეღწევისთვის, რამაც ცივილიზაციური ბირთვი გარე გავლენებისთვის მოწყვლადი გახადა, ხოლო მეორეს მხრივ, ეს იყო მოქმედებისკენ მოწოდება, რაც გულისხმობდა სტრატეგიულ ვალდებულებას, აღდგენილიყო საზღვრები კავკასიაში პოლიტიკური, კულტურული და, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ჩართულობის გზით. ამგვარად მეტაფორა ანალიტიკური კომენტარიდან საგარეო პოლიტიკის წარმოსახვის დონეზე გადავიდა: „სამხრეთის კარიბჭის“ დაცვა რუსეთის ლეგიტიმური გეოპოლიტიკური კონფიგურაციისა და ცივილიზაციური ბალანსის აღდგენის სინონიმი გახდა (Пырлин, 1996, გვ. 17–18; Laruelle, 2008, გვ. 89).

1990-იან წლებში ა. პანარინმა და ა. დუგინმა ევრაზიულობას ახალი და ძლიერი პოლიტიკური იმპულსი შესძინეს. წიგნებში „გლობალიზმით ცდუნება“ (1995) და „რუსეთი მსოფლიო ისტორიის ციკლებში“ (1999) პანარინი აღწერდა გლობალიზაციას, როგორც დასავლური სულიერი იმპერიალიზმის ფორმას, რომელიც ემუქრებოდა მართლმადიდებლურ-კულტურულ ბირთვს. ავტორი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ კავკასიის მართლმადიდებელი ერები - ქართველები, სომხები და გარკვეულწილად აფხაზები, არიან რუსეთის ბუნებრივი მოკავშირეები დასავლეთის უნივერსალიზმთან წინააღმდეგობაში (Панарин, 1995, გვ. 214). პანარინისთვის კავკასია ევრაზიის მორალურ საზღვარს წარმოადგენდა: მისი დაცვა ნიშნავდა სულიერი ერთობის (единность) ეთიკური პრინციპის დაცულობას დასავლური ლიბერალიზმის დამანგრეველი გავლენისგან. მან კავკასიას „ევრაზიის სულიერი ფორპოსტი“ უწოდა

და ამტკიცებდა, რომ მისი შენარჩუნება „ევროპასა და აზიას შორის კულტურულ წონასწორობას“ უზრუნველყოფდა (Панарин, 1999, გვ. 268–269). როგორც მ. ლარუელი (2008, გვ. 112–115) და ბასინი (2012, გვ. 83–85) აღნიშნავენ, ეს მორალური ლექსიკა წინ უსწრებდა „რუსული სამყაროს“ დისკურსს, რომელშიც სულიერი სოლიდარობა და ცივილიზაციური მისია რუსეთის რეგიონული ჩართულობის ლეგიტიმაციის იდეებად იქცა.

შემდგომში, უფრო მკაფიო გეოსტრატეგიული ხედვა განავითარა ა. დუგინმა წიგნში “გეოპოლიტიკის საფუძვლები” (1997). მან კლასიკური ევრაზიული გეოგრაფიისა და რეალისტური სახელმწიფოებრივი მმართველობის სინთეზი წარმოადგინა. ნაშრომში კავკასია აღწერილია, როგორც ჰართლენდის სამხრეთ ბასტიონი. შესაბამისად, დუგინის ხედვით, დასავლეთის გავლენა საქართველოში „გახსნიდა კარიბჭეს ევრაზიის განადგურებისთვის“ (Дугин, 1997, გვ. 221).

ყოველივე ზემოაღწერილის ფონზე პოსტსაბჭოთა საქართველო განვითარების გზად ლიბერალურ დემოკრატias და მისთვის ბუნებრივ-ევროპულ ვექტორს ირჩევს. საქართველოს სწრაფვა ევროპაში დაბრუნებისკენ მოსკოვის თვალთახედვით გამოწვევას წარმოადგენდა არა მხოლოდ რუსეთის რეგიონული გავლენებისთვის, არამედ ონტოლოგიური უსაფრთხოებისა და მისი, როგორც განსხვავებული ცივილიზაციური პოლუსის, თვითიდენტობისთვის. კონსტრუქტივისტული თვალსაზრისით, ასეთი ტრანსფორმაციები საფრთხეს უქმნის იმ ნარატივებს, რომლითაც სახელმწიფოები განსაზღვრავენ საკუთარ ადგილს საერთაშორისო სისტემაში, რადგანაც კნინდება ის თვითაღქმა, რომელიც უზრუნველყოფს ონტოლოგიურ უსაფრთხოებას (Mitzen, 2006; Steele, 2008).

როდესაც ერთი მეზობელი საზოგადოება საკუთარ სახელმწიფოებრიობას აშენებს იმ გზით, რომელიც წინააღმდეგობაში მეორე, უფრო დიდი და ცივილიზაციის პრეტენზიის მქონე სახელმწიფოს თვითიდენტობასთან, ეს უკანასკნელი ამ პროცესს აღიქვამს არამართო სტრატეგიულ, არამედ რეპუტაციულ გამოწვევადაც, რადგან ის

არღვევს ამ სახელმწიფოს მიერ საკუთარ თავზე მოთხრობილ ისტორიას - ვინ არის, რა ღირებულებებს იცავს და როგორი წესრიგის წარმომადგენელია. ასეთი რღვევა ქმნის გაურკვევლობის განცდას მიზნისა და ლეგიტიმურობის შესახებ, რაც სახელმწიფოებს უბიძგებს იმ ქმედებებისკენ, რომლითაც დაადასტურებს და გაამყარებს საკუთარ ისტორიულ მისიას და ადგილს საერთაშორისო სისტემაში (Mitzen, 2006, გვ. 347; Steele, 2008, გვ. 12-16).

სწორედ ამიტომ, მოსკოვის პერსპექტივიდან, საქართველოს ტრანსფორმაციის ყველაზე დიდი დესტაბილიზაციური ასპექტი სწორედ ევროპეიზაციის უფრო ფართო პროცესი (და არა მხოლოდ ნატოსთან თანამშრომლობა) იყო - დასავლური პოლიტიკური ნორმების ინტერნალიზაცია, დემოკრატიული რეფორმების დისკურსები და სუვერენიტეტის ლიბერალური კონცეფციები (Delcour & Dassen, 2011; Welt, 2010). იდეა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყანას შეეძლო თავისი განვითარების გზის ევრაზიული ცივილიზაციური მოდელის ნაცვლად ევროპული ინტეგრაციის ჩარჩოებში მოძიება ეჭვქვეშ აყენებდა რუსეთის, როგორც ცივილიზაციური ბირთვისა და პოსტსაბჭოთა სივრცის ცენტრის იმიჯს (Tsygankov, 2012; Makarychev, 2008).

იდეოლოგიურ კონტექსტში რუსმა პოლიტ-ტექნოლოგებმა და კომენტატორებმა საქართველოს ევროპეიზაცია იდეოლოგიური ექსპანსიის ფორმად წარმოადგინეს, რასაც მაკარიჩევი და იაცკი (2014) „ცივილიზაციურ შეჭრას“ (გვ. 44) უწოდებენ. კრემლის რიტორიკა 2000-იანი წლების შუა პერიოდში დასავლური დემოკრატიის ხელშეწყობას და „ფერად რევოლუციებს“ სულ უფრო მეტად წარმოაჩენდა, როგორც გარედან ორგანიზებულ ოპერაციებს, რომლებიც შექმნილია უცხო პოლიტიკური ღირებულებების დანერგვისა და პოსტსაბჭოთა საზოგადოებების რუსეთის ნორმატიული ორბიტიდან ნოწყვეტის მიზნით. 2004 წელს ერთ-ერთ საჯარო მიმართვაში პუტინმა ღიად გაილაშქრა მათ წინააღმდეგ, “ვინც ფიქრობს, რომ შეუძლიათ რუსეთის საკუთარ მოდელზე გადაკეთება ფსევდოდემოკრატიული ლოზუნგების საფარქვეშ“ (Putin, 2004, *Address to the Nation Following the Terrorist Act in*

*Beslan*). 2007 წელს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე პუტინმა ყოვლისმომცველი გეოპოლიტიკური ხედვა წარადგინა, სადაც დაგმო ერთპოლარული სამყარო და დაჟინებით მოითხოვა „ცივილიზაციათა მრავალფეროვნება“, როგორც საერთაშორისო წესრიგის პრინციპი (Putin, 2007, *Speech and Discussion at the Munich Conference on Security Policy*). იგივე თემა კიდევ უფრო აქტიურად გამოიკვეთა პრეზიდენტ მედვედევის წარმოდგენილ რუსეთის საგარეო პოლიტიკის „ხუთი პრინციპში“, რომელიც განსაზღვრავს რუსეთის გლობალურ მისიას, როგორც „სუვერენული დემოკრატია“ და „ცივილიზაციური მრავალფეროვნების“ დაცვას გარე ჰომოგენიზაციისგან (Medvedev, 2008, *Interview to Television Channels on the Five Principles of Russian Foreign Policy*). საერთო ჯამში, ამ განცხადებებმა მოახდინა იმ მსოფლმხედველობის კოდიფიცირება, რომელშიც დასავლეთისადმი წინააღმდეგობა მორალური იმპერატივად გადაიქცა და გამართლება მოუძებნა რუსეთის გავლენის აღდგენას მისი პრივილიგირებული ინტერესების - ანუ პოტსაბჰოთა სივრცეში (Surkov, 2006; Tolz, 2014; Sakwa, 2011).

რუსეთის ქმედებები ზუსტად ასახავს, რასაც კრიტიკული გეოპოლიტიკა ცივილიზაციურ სეკურიტიზაციას უწოდებს - იდეოლოგიური და ნორმატიული დიფუზიის წარმოდგენა, როგორც ეგზისტენციალური საფრთხე სახელმწიფოს მორალური და კულტურული სუვერენიტეტისთვის (Ó Tuathail, 1996, გვ. 29–33; Dodds, 2007, გვ. 18–21). ამ ლოგიკის ფარგლებში, მოსკოვის პოლიტიკა საქართველოსადმი - შერჩევითი სანქციები, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის პასპორტიზაცია, საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღება, ეკონომიკური ემბარგო და ზეწოლის სხვა ინსტრუმენტები, წარმოადგენდა არა უბრალო ზეწოლის ან იძულების, არამედ იდეოლოგიური შეკავების გამოხატულებას, რომელიც მოსკოვს ევრაზიული ცივილიზაციური სისტემის მთლიანობის შესანარჩუნებლად სჭირდებოდა. კრემლი ცდილობდა საკუთარი იმიჯის განმტკიცებასა და ევრაზიული საზოგადოების მცველის ავტორიტეტის დამკვიდრებას (O’Loughlin, Toal, & Kolosov, 2011, გვ. 637–640; Kolstø & Blakkisrud, 2008, გვ. 1507–1510). ეს ადმინისტრაციული და

ეკონომიკური მექანიზმები მოქმედებდა სწორედ ისე, რასაც კონსტრუქტივისტები იდენტობის აღდგენის აქტებს უწოდებენ, რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს იდეოლოგიურ ნარატივს რუსეთის ცივილიზაციური ცენტრალურობის შესახებ (Steele, 2008, pp. 12–16; Mitzen, 2006, pp. 347–350).

ამ პერსპექტივიდან გამომდინარე, მოსკოვის დაპირისპირება საქართველოს დასავლური მისწრაფებებისადმი წარმოადგენდა კონფლიქტს პოლიტიკური წესრიგის გარშემო და არა უბრალოდ რეგიონული გავლენისთვის ბრძოლას. შესაბამისად 2008 წელს რუსეთის ქმედებები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ხანგრძლივი იდეოლოგიური წინააღმდეგობის კულმინაცია - შეჯახება ორ მოდელს შორის: დასავლეთურ ნორმატიულ კონვერგენციაზე დაფუძნებული ლიბერალური უნივერსალიზმი და ცივილიზაციური ავტონომიის პრინციპზე დაფუძნებული ევრაზიული პლურალიზმი. ამ გაგებით, 2008 წლის ომი წარმოადგენდა როგორც გეოპოლიტიკური მოვლენას, ასევე იმ სიმბოლისტურ (საიმიჯო) ნაბიჯს, რითაც რუსეთის სახელმწიფო ცდილობდა დაედასტურებინა თავისი, როგორც განსხვავებული ევრაზიული სამყაროს ცენტრის რეპუტაცია.

2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესია საქართველოში არა მხოლოდ პირველი მასშტაბური პოსტსაბჭოთა სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი იყო, რომელშიც რუსეთმა დაუფარავად გამოიყენა ძალა თავისი საზღვრების მიღმა, არამედ ასევე იყო პირველი, რომელშიც ევრაზიონისტული დისკურსი ფიგურირებდა როგორც გამართლებაც და როგორც არსიც. როდესაც რუსულმა ტანკებმა როკის გვირაბი გადაკვეთეს, ეს აქტი რუსეთში არა აგრესიად, არამედ „თანამემამულეთა დაცვად“ და „ისტორიული სამართლიანობის აღდგენად“ იქნა მონათლული. ასეთი ფრაზები, რომლებიც პრეზიდენტმა მედვედევმა არაერთხელ გამოიყენა განცხადებაში “სამხრეთ ოსეთში არსებული სიტუაციის შესახებ” (2008 წლის 8 აგვისტო) და განცხადებაში “სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების შესახებ” (2008 წლის 26 აგვისტო), ასევე საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა BBC-სა და Russia Today-სთვის მიცემულ

ინტერვიუში (2008 წლის 1 სექტემბერი) და „როსიისკაია გაზეტამ“ (2008 წლის 10 აგვისტო, გვ. 1), რუსეთის ჩარევას ომის ან აგრესიის აქტად კი არა, ჰუმანიტარულ და ცივილიზაციურ მოვალეობად წარმოაჩენს.

ხსენებული განცხადებები სრულ უნისონშია ევრაზიულობის ლექსიკასთან, მათ შორის ტრუბეცკოის მტკიცებასთან, რომ რუსეთის მოწოდებაა „მოსაზღვრო ხალხების დაცვა და შეკრება“ (Трубецкой, 1925, გვ. 47). შესაბამისად კავკასია კვლავ გახდა „ევრაზიის სამხრეთ კარიბჭე“, რომლის დაცვაც ევრაზიული ცივილიზაციის მთლიანობის შენარჩუნებას ნიშნავდა.

ოპერაციონალისტური თვალსაზრისით, ევრაზიანისტული იდეოლოგია სამ ურთიერთდაკავშირებულ პრაქტიკულ სეგმენტში გამოიხატა: დისკურსული ლეგიტიმაცია, სივრცითი გადააზრება და სიმბოლური რესტავრაცია. უფრო კონკრეტულად:

**დისკურსულად** - ოფიციალურმა და პარაოფიციალურმა არხებმა კონფლიქტი „ცივილიზაციურ თავდაცვად“ წარმოაჩინეს. „როსიისკაია გაზეტას“ 2008 წლის აგვისტოს სარედაქციო სტატიებში, პრეზიდენტ მედვედევის (2008 წლის 26 აგვისტო) და საგარეო საქმეთა მინისტრის, ლავროვის (2008 წლის 1 სექტემბერი) გამოსვლებსა და სხვა განცხადებებში მრავალპოლარობის, ცივილიზაციური მრავალფეროვნებისა და სუვერენული დემოკრატიის იდიომები იყო მოყვანილი. ამ ნარატივმა რუსეთის ქმედებები ჩარჩოებში მოათავსა, სადაც დასავლეთის „უნივერსალიზმი“ შეჭრას უტოლდებოდა, ხოლო რუსეთის ჩარევა რეგიონული ავთენტურობის დაცვად იყო წარმოდგენილი (Sakwa, 2011, pp. 981–984).

**სივრცობრივად** - სამხედრო აგრესიამ დააფიქსირა ის, რასაც კრიტიკული გეოპოლიტიკოსები წარმოსახვით გეოგრაფიას უწოდებენ (Ó Tuathail, 1996, გვ. 29–33): კუთვნილების რუკა, რომელიც სიმბოლურ საზღვრებს უპირატესობას ანიჭებს იურიდიულ საზღვრებთან შედარებით. რუსული მედია და პოლიტიკური ნაშრომები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს „რუსული სამყაროს ბუნებრივ ნაწილებად“

წარმოაჩენდნენ (დუგინი, 2008, გვ. 114). დუგინის ევრაზიულმა ახალგაზრდულმა კავშირმა დემონსტრაციები სლოგანით „Южная Осетия — форпост Евразии“ („სამხრეთ ოსეთი - ევრაზიის ავანპოსტი“) მოაწყო, ხოლო მის კომენტარებში ომი „მეტაფიზიკური საზღვრების გამოცდად“ იყო აღწერილი (დუგინი, 2008, გვ. 118–120). ამ იდეოლოგიურმა წარმოდგენებმა სამხედრო გეოგრაფია ცივილიზაციური დამკვიდრების ავანსცენად აქცია, სადაც თანამემამულეების დაცვა ევრაზიის დაცვას უდრიდა.

**სიმბოლურად** - სამხედრო აგრესია ონტოლოგიური აღდგენის რიტუალის ფუნქციას ასრულებდა. თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში, რუსეთის მიერ იმპერიის დაკარგვამ შექმნა ის, რასაც კონსტრუქტივისტები ეროვნულ იდენტობაში ნარატიულ უფსკრულს ეწოდებენ (Mitzen, 2006, გვ. 347). საქართველოს ევროპეიზაციის წარმატებამ ეს უფსკრული კიდევ უფრო გააღრმავა. ამიტომაც 2008 წლის ომმა კონტრნარატივი შექმნა - მოვლენა, რომლის მეშვეობითაც რუსეთის სახელმწიფოს შეეძლო თავისი ქმედუნარიანობის დემონსტრირება და იმ პრეტენზიის მატერიალიზაცია, რომ ევრაზია ერთიან ცივილიზაციურ სივრცედ რჩებოდა. როგორც ბ.სტილი (2008) აღნიშნავს, ჩარევა იდენტობის აღმდგენი სპექტაკლის როლს ასრულებდა (გვ. 13–15). აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია ნაკლებად ეხებოდა ტერიტორიულ ექსპანსიას, მისი ძირითადი არსი რუსეთის ისტორიული მისიის და ცივილიზაციური იდენტობის წარმოჩენა იყო (Tsygankov, 2016, pp. 78–83).

კრიტიკული გეოპოლიტიკის თვალსაზრისით, ეს მომენტი წარმოადგენდა იმის ინსტიტუციონალიზაციას, რასაც მ. ლარუელი (2008) „სახელმწიფოებრივ ევრაზიონიზმს“ უწოდებს (გვ.101–105), ანუ ოდესღაც მარგინალური იდეოლოგიის გარდაქმნას ოფიციალური სტრატეგიის ენად. შესაბამისად ე.წ. „ქართული პრეცედენტი“ შემდგომი ინტერვენციების ლეგიტიმაციის შაბლონად იქცა, ხოლო კავკასია გახდა ლაბორატორია, სადაც ევრაზიული მეურვეობის შესახებ

დისკურსიული პრეტენზიები სამხედრო და დიპლომატიურ პრაქტიკაში იქნა ასახული (Bassin, 2012, გვ. 84–87; Toal, 2017, გვ. 44–47).

2008 წლის სამხედრო აგრესიამ გამოავლინა, თუ რამდენად განაპირობებდა და ქმნიდა იდეოლოგია რუსეთის საგარეო პოლიტიკურ ქცევას. 2008 წლის აგვისტომ აამოქმედა ევრაზიანისტული ხედვის ძირითადი პრინციპი, რომ რუსეთს აქვს ცივილიზაციური ვალდებულება, დაიცვას საკუთარი პერიფერიები და წინააღმდეგობა გაუწიოს დასავლურ ჰომოგენიზაციას. პრაქტიკული ქმედებებისა და სიმბოლისტური ჟესტების შერწყმით მოსკოვმა ისეთი ცნებები, როგორცაა მრავალპოლარობა, ცივილიზაციური სუვერენიტეტი, ევრაზიული ერთიანობა ტერიტორიული კონტროლის და ზეგავლენის კონკრეტულ პრაქტიკად აქცია. საქართველოს შემთხვევამ წინასწარ განსაზღვრა ლოგიკა, რომელიც მოგვიანებით ყირიმის ანექსიასა (2014) და უკრაინაში ფართომასშტაბიან ომში (2022) გამოვლინდა - ცივილიზაციური გეოპოლიტიკის გამოყენება სივრცითი დომინირების მოწოდებად გარდასაქმნელად.

#### **4.2 უკრაინა: რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია (2014წ.) და ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია (2022)**

ევრაზიული აზროვნების პერსპექტივიდან უკრაინა რუსული ცივილიზაციური წარმოსახვის სიმბოლურ გულს იკავებს. იგი არა უბრალოდ მეზობელი, არამედ ის ადგილია, სადაც ერთიანობის, ისტორიისა და წმინდა გეოგრაფიის ევრაზიული ნარატივი ერთმანეთს ერწყმის. 1920-იანი წლების კლასიკურ ევრაზიონისტების, განსაკუთრებით ტრუბეცკოს, სავიცკისა და ვერნადსკის ნაშრომებში უკრაინა არა როგორც საზღვარი, არამედ ევრაზიული სამყაროს სულიერ და გეოგრაფიულ ცენტრადაა წარმოჩენილი. ტრუბეცკო (1927) ამტკიცებდა, რომ კიევის რუსეთი სიმბოლურად წარმოადგენდა სლავური, ბიზანტიური და სტეპის მემკვიდრეობის

შერწყმას ერთიან ევრაზიულ ცივილიზაციაში. ამ გაგებით, ამ ერთიანობის დაშლა არა პოლიტიკური, არამედ მეტაფიზიკურია, ისტორიული არსების ქსოვილის რღვევაა. ტრუმბეცკოის ნაშრომებში ხაზგასმულია, რომ „სამხრეთ რუსეთის ხალხები, მათ შორის მცირე რუსები (უკრაინელები), იმავე სულიერ ტიპს მიეკუთვნებიან, რასაც დიდი რუსეთი“ (Трубейкой Н, 1927, გვ. 63; Bassin, 2012, pp. 84–85).

ევრაზიონისტებისთვის უკრაინა რუსეთის ცივილიზაციური პროექტის საწყისი და ფუნდამენტია. სავიცკი (1921) უკრაინულ სტეპს აღწერდა, როგორც „ცივილიზაციური სინთეზის გეოგრაფიული ზონას“, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის წონასწორობას მოითხოვს (გვ.41). კიევის რუსეთის დაცემა და შემდგომ პოლონეთ-ლიტვის ბატონობა განიმარტა, როგორც ევრაზიულ ერთიანობაში პირველი დასავლური ჩარევა, ანუ თემა, რომელიც მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის რუსულ აზროვნებაში ესოდენ აქტუალური გახდა (Laruelle, 2008, გვ. 17–22). ვერნადსკი (1930) ასევე განიხილავდა უკრაინას, როგორც „კონტაქტურ სარტყელს“ ტყესა და სტეპს შორის, რომელიც განასახიერებდა ევრაზიის ეკოლოგიურ და კულტურულ ბალანსს (გვ.27). ასეთმა კონცეპტუალიზაციამ ევრაზიონიზმში უკრაინას განსაკუთრებული ფუნქცია მიანიჭა - ევრაზიული ორგანიზმის მთლიანობის შენარჩუნება.

მოგვიანებით, ლ. გუმილევის (1990) პასიონარისტულმა თეორიამ ამ იდეების ხელახალი კოდირება მოახდინა. მან აღმოსავლეთ სლავები წარმოადგინა, როგორც სუპერეთნოსი, დინამიური ერთიანობა, რომლის პასიონარული ენერგია დნეპრის აუზში, ანუ კიევის რუსეთის გეოგრაფიულ აკვანში, წარმოიშვა. ამ გაგებით, უკრაინა არ იყო მხოლოდ ტერიტორია, არამედ ევრაზიული სიცოცხლისუნარიანობის ბიოლოგიური და კულტურული ბირთვი (გვ. 198–205). ამრიგად, საბჭოთა კავშირის დაშლა ცოცხალი ორგანიზმის დაშლად წარმოჩინდა. ეს ფრაზა მოგვიანებით არაერთმა პოსტსაბჭოთა ანალიტიკოსმა გამოიყენა, რომლებმაც 1991 წელი აღწერეს, როგორც „ევრაზიული ორგანიზმის დაშლა“ (Панарин, 1995, გვ.58; Laruelle, 2008, გვ.104).

2000-იანი წლების დასაწყისისთვის ცივილიზაციურად გაერთიანებული სივრცის ევრაზიონისტულმა ხედვამ რუსეთის პოლიტიკურ აზროვნებაში მკვეთრად გამოხატული უკრაინული განზომილება შეიძინა. მსოფლიოში რუსეთის ადგილის შესახებ აბსტრაქტული დოქტრინის ნაცვლად, ის სულ უფრო მეტად ფოკუსირდებოდა ევრაზიული ორგანიზმის „დაკარგული ბირთვის“ დაბრუნების საკითხზე - ფრაზა, რომელიც ხშირად გამოიყენება პანარინის (1999) და დუგინის (1997, 2008) ნაშრომებში. უკრაინა ამ ტექსტებში არა მეზობელ სახელმწიფოდ, არამედ ევრაზიის სულიერი გეოგრაფიის გადამწყვეტ ღერძად ფიგურირებდა - სივრცედ, რომლის გარეშეც რუსეთის ცივილიზაციური ნარატივი წარმოუდგენელია. დუგინმა (2008) კიევი აღწერა, როგორც „რუსული სამყაროს სულიერი პოლუსი“ და ამტკიცებდა, რომ უკრაინის რეინტეგრაციის გარეშე „ევრაზია იქნება დასახიჩრებული და საკუთარი გულს მოკლებული“ (გვ. 114–118)).

2013 წლის სექტემბერში ვალდაის სადისკუსიო კლუბში პუტინის გამოსვლამ ფაქტურად გაიმეორა ეს ნარატივი. უკრაინის ევროკავშირთან ასოცირების შესახებ მოლაპარაკებების წინა დღეს გამოსვლისას მან არსებული ვითარება „ცივილიზაციურ ნათესაობასა“ და „ხელოვნურ დასავლურ განვითარების მოდელებს“ შორის არჩევანის სახით წარმოადგინა. პუტინმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთის „ისტორიული პარტნიორებისა და ძმების უცხო სისტემებში ჩათრევის“ მცდელობები არა მხოლოდ რუსეთის უსაფრთხოებას, არამედ „მთელი რუსული სამყაროს უწყვეტობას“ უქმნიდა საფრთხეს (Путин, 2013, პარ. 12). ამ კონტექსტში ევრაზიულობის იდეოლოგიური ენა პირდაპირ კონსოლიდირდა, რათა უკრაინის დასავლეთისკენ შემობრუნება ცივილიზაციურ რღვევად წარმოეჩინა. შესაბამისად, ის, რაც ოდესღაც იდენტობის შესახებ ფილოსოფიური დებატები იყო, ახლა გეოპოლიტიკური ონთოლოგიის საკითხი გახდა: უკრაინის გარეშე, თავად ევრაზიული იდეა ვერ იარსებებდა და ვერ განხორციელდებოდა.

მოსკოვში სწორედ ასეთი გეოპოლიტიკური პრიზმიდან იქნა დანახული ევრომაიდანის და ღირსების რევოლუცია უკრაინაში (2013-14 წწ საპროტესტო აქციები, რასაც პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის გადადგომა და ქვეყნიდან გაქცევა მოჰყვა). რუსმა ოფიციალურმა პირებმა და სახელმწიფო მედიამ ევრომაიდანის ცივილიზაციურ ღალატად წარმოაჩინეს - ევრაზიული მოდელის უარყოფა დასავლური ფსევდოდემოკრატიის სასარგებლოდ. თავად პუტინმა საპროტესტო აქციები შეაფასა, როგორც „კარგად ორგანიზებული მცდელობა უკრაინის რუსეთის სფეროდან მოწყვეტისა და დემოკრატიის საფარქვეშ უცხო ღირებულებების დასანერგად“ (Путин, 2014a, პარ. 6). უკრაინის დასავლეთისკენ შემობრუნება წარმოდგენილი იყო როგორც სულიერი, ასევე გეოპოლიტიკური გამოყოფა (Laruelle, 2015, გვ. 146–147; Sakwa, 2015, გვ. 127–130). „როსისკაია გაზეტამ“ კი 2013 წლის 12 დეკემბერს გაავრცელა გაფრთხილება, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება „რუსული სამყაროს ისტორიულ ხერხემალს დაარღვევდა“. ანალოგიურად, საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ საპროტესტო აქციები „საზღვარგარეთიდან იყო შთაგონებული, რათა ხელი შეეშალათ უკრაინის მონაწილეობისთვის ევრაზიული ინტეგრაციის პროცესში“ (Лавров, 20.12. 2013). ამ ნარატივების მეშვეობით, უკრაინის ევროკავშირთან ასოცირება წარმოდგენილი იყო, როგორც ევრაზიული სივრცის მთლიანობისთვის ეგზისტენციალური საფრთხე - ატლანტიზმსა და ევრაზიულობას შორის უფრო ღრმა იდეოლოგიური ბრძოლის გეოპოლიტიკური გამოვლინება.

ასეთი იდეოლოგიური ჩარჩოს გათვალისწინებით 2014 წლის მოვლენები არა ევრომაიდანზე მყისიერი რეაქცია, არამედ ხანგრძლივი პროცესის კულმინაციაა. ევრაზიონიმიტ გაჟღენთილი რუსული ელიტისთვის უკრაინის დასავლეთისკენ შემობრუნება წარმოადგენდა არა მხოლოდ პოლიტიკურ გადახვევას, არამედ მეტაფიზიკურ დანაკარგს - დარტყმას ისტორიის, რწმენისა და გეოგრაფიის ერთიანობისთვის, რომელიც განსაზღვრავდა რუსულ-ევრაზიონისტულ თვითშეგნებას. ამრიგად ყირიმის ანექსია განხორციელდა, როგორც უკრაინის დაკარგვის სიმბოლური ანტიდოტი - რუსეთის ხედვით, ისტორიული

სამართლიანობისა და ცივილიზაციური მთლიანობის აღდგენა (ფხალაძე, 2024, გვ. 56–58).

2014 წელს, ყირიმის ანექსიის ოპერაციის დაწყებიდან რამდენიმე საათში, რუსულმა პოლიტიკურმა და მედია დისკურსმა ეს მოვლენა წარმოადგინა არა როგორც აგრესია, არამედ როგორც „გაერთიანება“, „სახლში დაბრუნება“ და „ისტორიული სამართლიანობის აღდგენა“. მაგალითისთვის, სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო რია ნოვოსტიმ ყირიმის რუსეთის ნაწილად გამოცხადებას უწოდა „მეოცე საუკუნის ტრაგედიით გაყოფილი რუსი ხალხის გაერთიანება“ (РИА, 18.03.2014). ანალოგიურად, როსიისკაია გაზეტამ ანექსია წარმოაჩინა სათაურით „ყირიმი სახლში ბრუნდება“ (Российская Газета 19.03,2014). ეს ტერმინოლოგია სიტყვა-სიტყვით მიჰყვება ევრაზიული აზროვნების დისკურსიულ ნიმუშებს, სადაც სივრცითი რეინტეგრაცია გაიგივებულია მორალურ-სულიერ განახლებასთან (Laruelle, 2015, გვ. 146–147; Hutchings & Szostek, 2015, გვ. 213–215; Toal, 2017, გვ. 86). შესაბამისად ყირიმის ანექსიის შემთხვევა ევრაზიონიზმის ინსტრუმენტალიზაციის კლასიკურ მაგალითია - ტერიტორიული ექსპანსიის ისტორიული კორექტირების მორალურ აქტად წარმოჩენა (Laruelle, 2015; Sakwa, 2015).

ეს იდეოლოგიური სინთეზი 2014 წლის 18 მარტს, კრემლის გეორგიევსკის დარბაზში ფედერალური ასამბლეისადმი მიმართვაში ვ. პუტინმა გასაოცარი სიცხადით ჩამოაყალიბა. მან განაცხადა, რომ „ყირიმი ყოველთვის იყო და რჩება რუსეთის წმინდა მიწად“, და მას უწოდა „მრავალმხრივი, მაგრამ მონოლითური რუსული სამყაროს ჩამოყალიბების სულიერი წყარო“ (Путин 18.03.2014a). მან ასევე აღნიშნა: „ხალხის გულებსა და გონებაში ყირიმი ყოველთვის იყო რუსეთის განუყოფელი ნაწილი. ეს რწმენა, რომელიც დაფუძნებულია სიმართლესა და სამართლიანობაზე, თაობიდან თაობას გადაეცემოდა“ (პუნქტი 3). ასეთი მიდგომით ტერიტორია გარდაიქმნება ონთოლოგიად: ყირიმი არ არის ადმინისტრაციული

ერთეული, არამედ სულიერი ლოკუსი, რომლის ფლობაც ადასტურებს რუსეთის იდენტობას.

ეს რიტორიკა ისტორიულ ნოსტალგიაზე მეტს წარმოადგენდა. ის ახდენდა ცივილიზაციური პრეტენზიის კოდიფიცირებას, რომელიც აერთიანებდა სივრცითი ერთიანობის ევრაზიულ იდეას წმინდა გეოგრაფიის მართლმადიდებლურ ცნებასთან. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურმა, პატრიარქმა კირილმა, ეს ინტერპრეტაცია 2014 წლის 19 მარტის განცხადებით გაამყარა, როდესაც ყირიმს „რუსეთის ნათლობის აკვანი“ უწოდა და მისი დაბრუნება „ისტორიული ქვეყნებისა და ღვთაებრივი სამართლიანობის აღდგენად“ გამოაცხადა (Патриарх Кирилл, 19.03.2014). სახელმწიფოსა და ეკლესიის დისკურსებს შორის ასეთი თანხვედრა ასახავდა იმას, რასაც ციგანკოვი (2016) პოსტსაბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში „გეოპოლიტიკის მორალიზაციას“ უწოდებს - პროცესს, რომლის მეშვეობითაც იდენტობის პოლიტიკა და რელიგიური სიმბოლიზმი სტრატეგიული ლეგიტიმურობის განუყოფელი ნაწილი გახდა (გვ. 81–83).

კონსტრუქტივისტული თვალსაზრისით ეს განცხადებები იდენტობის აღმდგენი ქცევების კატეგორიას განეკუთვნება. ევრაზიონისტული გადასახედით სსრკ-ს დაშლამ რუსეთს ონთოლოგიური დაუცველობა მოუტანა - ნარატივების დარღვევა, რომლებიც განსაზღვრავდა მის თვითშეგნებას. შესაბამისად ყირიმის ანექსია ამ ნარატივის რესტავრაციის აქტად იქცა, რამაც რუსეთის, როგორც „რუსული სამყაროს“ მცველისა და გაყოფილი ხალხების გამაერთიანებლის მისია აღადგინა (Mitzen, 2006, p. 347). ამრიგად, ყირიმის ოპერაცია მხოლოდ სამხედრო უპირატესობის პრაგმატულ-მატერიალური გათვლებით არ იყო განპირობებული; ეს იყო სიმბოლისტური ნაბიჯი, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ რუსეთი სუვერენულ ცივილიზაციად რჩებოდა.

2014 წლის 24 აპრილს პუტინმა საჯაროდ განაცხადა, რომ რუსეთის მისიას წარმოადგენს „სსრკ-ს დაშლის შედეგად გახლეჩილი თანამემამულეების“ დაცვა და „რუსული სამყაროს ერთიანობის“ დადასტურება (Путин, 2014b). ეს გამონათქვამი ასევე უნისონშია მანამდე პრეზიდენტ მედვედევის 2008 წლის „ხუთი პრინციპის“ ტერმინოლოგიასთან, რომელმაც სუვერენული დემოკრატია და ცივილიზაციური მრავალფეროვნება საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედებად გამოაცხადა (Медведев, 2008). იდეოლოგიური ენის უწყვეტობა აჩვენებს, რომ ყირიმის ანექსია დოქტრინალური ევოლუციის ლოგიკური კულმინაციაა, რომელშიც რუსული სამყაროს დაცვა ევრაზიის მორალურ-ცივილიზაციური მთლიანობის დაცვის სინონიმი გახადა.

ყირიმის ანექსიამ კიდევ მეტად გააძლიერა იდეოლოგიისა და პოლიტიკის შერწყმა ინსტიტუციურ ჩარჩოებში. რუსეთის ფედერაციის 2016 წლის საგარეო პოლიტიკის კონცეფციამ რუსეთი ოფიციალურად განსაზღვრა, როგორც „გამორჩეული ცივილიზაცია“, რომლის მისიაც იყო „რუსული სამყაროს კულტურული და სულიერი ერთიანობის“ უზრუნველყოფა (МИД РФ, 2016). 2007 წელს დაარსებულმა, მაგრამ 2014 წლის შემდეგ ხელახლა გააქტიურებულმა ფონდმა „რუსკი მირ“-მა გააფართოვა პროგრამები, რომლებიც ენას, ისტორიასა და რელიგიას გეოპოლიტიკურ კუთვნილებასთან აკავშირებდა. როგორც მ. ლარუელი (2015, გვ. 145–147) აღნიშნავს, რბილი ძალის მეტაფიზიკურ ლექსიკასთან ასეთი თანხვედრა ასახავდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის „ევრაზიულობას“ - მორალური მისიისა და სტრატეგიული იმპერატივის შერწყმას.

ამ იდეოლოგიურ ჩარჩოებში ყირიმი „ცივილიზაციური გაერთიანების“ მატერიალურ გამოხატულებად იქცა. ანექსიამ შეასრულა ის, რასაც ევრაზიონისტული თეორია დიდი ხანია აცხადებს: რომ რუსეთის გეოპოლიტიკური აღდგენა და მორალური კათარზისი ერთი და იგივე პროცესი იყო. შეიძლება ითქვას, რომ „ყირიმი

სიმბოლოსტურად არა ახალი იმპერიის დასაწყისს, არამედ ევრაზიული იდეის ისტორიაში დაბრუნებას წარმოადგენდა“ (Pkhaldze T, 2024, გვ. 59–61).

2022 წლის თებერვალში რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია უკრაინაში ევრაზიულობის ცივილიზაციური კუთვნილების დისკურსიდან ომის ტოტალურ ჩარჩოდ ტრანსფორმირების მაგალითია. თუკი რუსულ დიკურსში ყირიმის ანექსია “გაერთიანებად” იყო წარმოჩენილი, 2022 წლის სამხედრო ინტერვენცია მოინათლა, როგორც ცივილიზაციური თავდაცვა. პუტინის სიტყვებით (2022), რუსეთი „ისტორიის, კულტურისა და სულიერი იდენტობის პირდაპირი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა“, რაც მოითხოვდა გადამწყვეტ მოქმედებას „ჩვენი ხალხის გენოციდისა და დენაციფიკაციისგან დასაცავად“ (Путин, 24.02.2024).

საყურადღებოა, რომ ეს კონფრონტაცია ნაწინასწარმეტყველებია პუტინის ესეში „რუსებისა და უკრაინელების ისტორიული ერთიანობის შესახებ“ (2021 წლის 12 ივლისი), რომელიც გამოქვეყნდა კრემლის ვებგვერდზე. ესე უკრაინას წარმოაჩენდა არა როგორც სუვერენულ ერს, არამედ როგორც რუსეთის „ერთიანი ისტორიული და სულიერი სივრცის“ განუყოფელ კომპონენტს. პუტინი წერს: „უკრაინის ნამდვილი სუვერენიტეტი შესაძლებელია მხოლოდ რუსეთთან პარტნიორობით... ჩვენ ერთი ხალხი ვართ“ (Путин, 2021, პარ. 43). თავის ისტორიულ ექსკურსში, ტრუბეცკოის (1925) და დუგინის (1997) ნაშრომებზე დაყრდნობით, პუტინმა სსრკ-ის დაშლა წარმოადგინა, როგორც „ისტორიული რუსეთის გაყოფა“, ხოლო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობა - როგორც დასავლეთის შეთქმულება „უკრაინის ანტირუსულ ქვეყნად გადაქცევისთვის“ (Путин, 2021, პარ. 32). აღნიშნული ესე დოქტრინალური ტექსტის ფუნქციას ასრულებდა, რომელიც აყალიბებდა მორალურ და ისტორიულ ჩარჩოს, რომელიც მოგვიანებით გამოყენებულ იქნა უკრაინაში შეჭრის ლეგიტიმაციისთვის.

ინტერვენციისთვის იდეოლოგიური მზადება მხოლოდ რიტორიკით არ შემოიფარგლებოდა, ის ასევე ინსტიტუციონალიზებული იყო ფორმალური დიპლომატიური ინიციატივების მეშვეობით. 2021 წლის დეკემბერში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ორი შეთანხმების პროექტი - ერთი მიმართული შეერთებული შტატების, მეორე კი ნატოს მიმართ, რომლებშიც მოითხოვდა იურიდიულად სავალდებულო „უსაფრთხოების გარანტიებს“ (МИД РФ, 2021a; 2021b). ეს პროექტები ითვალისწინებდა ნატოს გაფართოების შეჩერებას, დასავლეთის ძალების აღმოსავლეთ ევროპიდან გაყვანას და რუსეთის „ევრაზიულ სივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფის უფლების“ აღიარებას, რაც რეალურად ნიშნავდა პოსტსაბჭოთა სივრცის რუსეთის პრივილეგირებული ინტერესების სფეროდ გაფორმებას. დოკუმენტები უდავოდ ევრაზიულ ცივილიზაციურ ლოგიკას გამოხატავდნენ: ისინი ცდილობდნენ რუსეთის თვითგამოცხადებული როლის ინსტიტუციონალიზაციას, როგორც ევრაზიის რეგიონალური ჰეგემონის, რომელსაც უფლება ჰქონდა განესაზღვრა თავისი მეზობლების პოლიტიკური ორიენტაცია (Götz 2022, გვ.187). ფაქტობრივად, აღნიშნული წერილები წარმოადგენდა დიპლომატიურ ევრაზიანელობას - წმინდა სივრცის შესახებ მეტაფიზიკური პრეტენზიების საერთაშორისო სამართლის ენაზე თარგმნას. ცხადია რომ მსოფლიომ უარყო ეს მოთხოვნები. 2022 წლის იანვარში, მოსკოვმა უარი განმარტა, როგორც „რუსულ სამყაროსა და ატლანტიკურ სამყაროს“ შორის ეგზისტენციალური დაპირისპირების დადასტურება (Patrushev, 2022; Laruelle, 2023, pp. 19–21; Giles, 2022, p. 14).

2022 წლის დასაწყისისთვის ევრაზიონიზმის ენა სრულად დაემთხვა კრემლის ოფიციალურ რიტორიკას. უშიშროების საბჭოს წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით ნიკოლაი პატრუშევმა, ვითარება წარმოადგინეს, როგორც „ცივილიზაციური შეტაკება“ რუსეთის „ტრადიციულ ღირებულებებსა“ და დასავლეთის „დეკადენტურ ლიბერალიზმს“ შორის (Патрушев, 2022). თავის მხრივ რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ კიდევ უფრო გააღვივა ეს ნარატივი. პატრიარქმა კირილმა (2022 წლის 6 მარტი) ომი აღწერა, როგორც წმინდა რუსეთის ერთიანობის

დაცვა და განაცხადა, რომ კონფლიქტი მეტაფიზიკური იყო: „ჩვენ შევედით ბრძოლაში, რომელსაც არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სულიერი მნიშვნელობა აქვს... ადამიანის სულების გადასარჩენად“ (Кирилл 06.03.2022). ამრიგად ინტერვენცია წარმოდგენილ იქნა წმინდა მოვალეობად, ცივილიზაციური მთლიანობის შენარჩუნებისა და ევრაზიონისტული მისიის გაგრძელებად.

საგულისხმოა, რომ დუგინის ნაშრომებში უკრაინის საკითხი ეგზისტენციალურ საკითხად არის წარმოდგენილი: „თუ უკრაინას დავკარგავთ, ჩვენს სულსაც დავკარგავთ“ (Дугин, 2008, გვ. 115). შედარებისთვის, პუტინმა 2022 წლის 9 მაისს გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ მიმართვაში სამხედრო მოსამსახურეებს განუცხადა: „დღეს თქვენ იბრძვით დონბასში მყოფი ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი სამშობლოს უსაფრთხოებისთვის, რუსეთის, როგორც სუვერენული ცივილიზაციის არსებობისთვის“ (Путин, 2022b).

რუსი იდეოლოგებისთვის, როგორცაა ვ. სურკოვი, სამხედრო ინტერვენცია უკრაინაში განასახიერებდა „რუსეთის სუვერენული ცივილიზაციის თვითდადასტურებას“. მან რუსეთის სამხედრო აგრესია უკრაინაში წარმოაჩინა, როგორც „რუსეთის ბრძოლა პოსტიმპერიული გარდამავალი პერიოდის დასასრულლებლად“, ამტკიცებდა, რომ „ჩვენი საზღვრები არსად მთავრდება, რადგან ჩვენი მისია არის კულტურული და არა ტერიტორიული“. (Сурков, 2022, პარ. 3; 7). ეს განცხადებები (2022 წლის თებერვლიდან აპრილამდე) ადასტურებს, თუ როგორ იყო ინტეგრირებული ევრაზიული გეოპოლიტიკის ენა მთლიანად კრემლის იდეოლოგიურ გრამატიკაში. სურკოვის ფორმულირება პირდაპირ იმეორებს დუგინის „сакральное пространство цивилизации“-ს („ცივილიზაციის საკრალური სივრცე“) ცნებას და აძლიერებს შეხედულებას, რომ რუსეთის საომარი ქმედებების ლეგიტიმურობა მისი მარადიული ცივილიზაციური მოწოდებიდან გამომდინარეობს და არა საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან.

ანალიტიკური თვალსაზრისით, რუსეთის 2022 წლის ფართომასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ უკრაინაში მოახდინა ცივილიზაციური სეკურიტიზაციის იმ მოდელის რადიკალიზაცია, რომელიც საქართველოში სამხედრო აგრესიით (2008) დაიწყო და ყირიმის ანექსიით (2014) კრისტალიზაცია და მოდერნიზაცია განიცადა. ამ აგრესიებმა „ევრაზიული იდეა იდენტობის ნარატივიდან ომის ინსტრუმენტად გარდაქმნა“ (Pkhaldze T. 2024, გვ. 62–65), რაც ავლენს რუსოცენტრული იდეოლოგიების, განსაკუთრებით კი ევრაზიონიზმის ოფიციალურ სახელმწიფო პოლიტიკაზე ზეგავლენის ხარისხს და, ასევე, ადასტურებს, რამდენად განუყოფელია რუსეთის საგარეო პოლიტიკა ევრაზიონისტული მეტაფიზიკის ცივილიზაციური მისიისგან.

#### 4.3 ევრაზიული ეკონომიკური კავშირი

ევრაზიონიზმის ინსტიტუციონალიზაციის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება ევრაზიული ეკონომიკური კავშირია (შემდგომში -EAEU). სწორედ ის წარმოადგენს ევრაზიული ერთიანობის მეტაფიზიკური იდეის ეკონომიკური ინტეგრაციის ჩარჩოში ინსტიტუციურ ხორცხმესხმას. ფორმალურ დონეზე პრაგმატული რეგიონალიზმის სახით წარმოდგენილი ევრაზიული ეკონომიკური კავშირი მუდმივად იყო გარემოცული ცივილიზაციური რიტორიკით, რომელიც იმეორებდა კლასიკურ და ნეოევრაზიულ პოსტულატებს: სივრცითი ერთიანობა, კულტურული გამორჩეულობა და წინააღმდეგობა დასავლური უნივერსალიზმის მიმართ. 2011 წლის 4 ოქტომბერს გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ პუტინის სტატიაში - „ახალი ინტეგრაციის პროექტი ევრაზიისთვის: მომავალი იზადება დღეს“, ხაზგასმულია, რომ ეს არის პროექტი დიდ ევრაზიულ ცივილიზაციაში ხალხების იდენტობის შენარჩუნებისთვის. სწორედ ამ სტატიაში პირველად გამოჩნდა ეკონომიკური რეგიონალიზმის ამკარა კავშირი ევრაზიულ ცივილიზაციურ

იდენტობასთან. მასში აშკარად იკითხება იდეოლოგიის კანონიზაცია და მისი საშუალებით პოსტსაბჭოთა რეინტეგრაციული სტრატეგიის დასაბუთება.

სამომავლოდ ეს ტენდენცია გაძლიერდა შემდგომი პოლიტიკური განცხადებების და, ასევე, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგიული დოკუმენტების მეშვეობით. საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა (2014, 23 მაისი) ევრაზიული კავშირი დაახასიათა, როგორც „სუვერენული განვითარებისა და ცივილიზაციური მრავალფეროვნების სივრცე“, რითაც გამოკვეთა მისი, როგორც მრავალპოლარული მსოფლიოს ერთ-ერთი პოლუსის როლი. ანალოგიურად, ს. კარაგანოვი (2012) ამტკიცებდა, რომ ევრაზიული ინტეგრაცია „აღადგენდა რუსეთის ბუნებრივ გეოპოლიტიკურ კონფიგურაციას“ და განასახიერებდა „გლობალიზაციის მოდელს, რომელიც პატივს სცემს ცივილიზაციურ იდენტობებს“ (გვ. 26–28). ამრიგად, ევრაზიული ეკონომიკური კავშირი იმთავითვე იყო ჩაფიქრებული როგორც ცივილიზაციური ბლოკი და არა უბრალოდ სავაჭრო-ეკონომიკური სივრცე.

და მართლაც, კონსტრუქტივისტული თვალსაზრისით, ევრაზიული ეკონომიკური კავშირი, პირველ რიგში, იდენტობის კონსოლიდაციის მექანიზმად ფუნქციონირებს და არა ეკონომიკური ოპტიმიზაციის. ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შესახებ 2014 წლის ხელშეკრულება მოიხსენიებს „საერთო ისტორიულ მეხსიერებას“, „სულიერ სიახლოვეს“ და „რეგიონის ხალხების ევრაზიულ ბედს“ (Eurasian Economic Union, 2014, პრეამბულა, პარ. 2–3). ეს ფრაზები იმეორებს ტრუბეცკოის (1925) და გუმბილიოვის (1990) ესენციალისტურ ლექსიკას, რომლებიც ევრაზიულ სამყაროს განუყოფელ ორგანიზმად მიიჩნევდნენ. ამრიგად, ევრაზიული ეკონომიკური კავშირი ახდენს მეტაფიზიკური ერთიანობის ინსტიტუციონალიზაციას - რასაც მ. ლარუელი „მნიშვნელობის პერფორმატიულ საზოგადოებას“ უწოდებს (2015, გვ. 115). აღნიშნული სრულად ეხმიანება პუტინის საგარეო პოლიტიკის ლოგიკას: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ასევე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წარუმატებელი პროექტის ფონზე ახალი ინტეგრაციული

ინიციატივა წარსული დიდების რესტავრაციას ემსახურებოდა, რასაც უნდა დაედასტურებინა რუსეთის, როგორც ტრანსნაციონალური ცივილიზაციის ბუნებრივი ცენტრის იმიჯი. ტ. ბორდაჩოვი (2020) ამას „სტრატეგიულ რეგიონალიზმს“ უწოდებს - რეალისტური გეოპოლიტიკისა და იდენტობის რეკონსტრუქციის შერწყმას. მოსკოვისთვის, ევრაზიული ეკონომიკური კავშირი ევრაზიულობის ორმაგ ფუნქციას ახორციელებდა: საკუთარი გარე გავლენების კონსოლიდაცია და შიდა (ქვეყნის შიგნით) შეთანხმებულობის უზრუნველყოფა.

ევრაზიული კავშირის დიზაინი სწორედ ამ მსოფლმხედველობის გამოხატულებაა. ხელშეკრულების პრეამბულაში „სუვერენულ თანასწორობასა“ და „ჩაურევლობაზე“ გაკეთებული აქცენტი არა მხოლოდ დიპლომატიას, არამედ დასავლური ლიბერალური უნივერსალიზმის უარყოფასაც გამოხატავს. სურკოვის (2006) მიერ პოპულარიზებული იდიომა „სუვერენული განვითარება“ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს იმ დისკურსულ ველში ამყარებს, სადაც ავტონომია ავთენტურობას უდრის, ხოლო გლობალიზაცია - დაქვემდებარებას. შესაბამისად, ასეთ ნარატივში, ინტეგრაცია, რუსეთის ხელმძღვანელობით, ნიშნავს ევრაზიული ცივილიზაციური ჰარმონიის აღდგენას. EAEU-ს გეოპოლიტიკური სემიოტიკა ამ მოსაზრებას კიდევ უფრო აძლიერებს. მოსკოვის ოფიციალური რიტორიკა კავშირს მუდმივად წარმოაჩენს, როგორც უფრო ფართო „დიდი ევრაზიის“ ბირთვს. ეს ხედვა პუტინმა 2016 წლის 17 ივნისს სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე გააჟღერა, როდესაც ევრაზიული კავშირი წარმოადგინა, როგორც „ევროპასა და აზიას შორის თანაბარი თანამშრომლობის სივრცე, სადაც რუსეთი დამაკავშირებელი ხიდის როლს ასრულებს“ (Путин 17.06.2016).

უკვე შემდგომში, (როგორც ეს წინა თავებშია აღწერილი) „დიდი ევრაზიის“ ცნება სახელმწიფო დოკუმენტებში ინტეგრირდება და პოლიცენტრული მსოფლიო წესრიგის გეგმადაა წარმოადგენილი. 2016 წლის 25 აპრილის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა მას ინკლუზიური ჩარჩო უწოდა, რომლის ცენტრიც ევრაზიის

ეკონომიკური კავშირია და განაცხადა, რომ პროექტი „ასახავს რუსეთის უნიკალურ მისიას, ჰარმონიზაცია გაუწიოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ინტერესებს“ (МИД РФ, 25.04.2016). აღსანიშნავია, რომ ეს ჰარმონიულად ერწყმის იმ იერარქიულ ლოგიკას, რომელიც ევრაზიელთა ნაშრომებში გეოგრაფიული ბირთვის ევრაზიულ იდეას აღწერს. სავიცკის (1921) ფუნდამენტურ სქემაში ევრაზიული სივრცე ფუნქციონირებს როგორც ორგანული სისტემა, რომელშიც რუსეთი იკავებს ცენტრალურ პლატოს - კულტურული და პოლიტიკური წონასწორობის ადგილს - ხოლო მიმდებარე პერიფერიები თავიანთ თანმიმდევრულობას ბირთვის ინტეგრაციული ძალიდან იღებენ. თანამედროვე რუსი სტრატეგები, როგორცაა კარაგანოვი (2018) და ბორდაჩოვი (2020), იმეორებენ ამ ნიმუშს და აღწერენ რუსეთს, როგორც „დიდი ევრაზიის მთავარ დამაბალანსებელ ძალას“ (Караганов, 2018, გვ. 47) და „გრავიტაციულ ცენტრს, რომლის გარემოცვაც ევრაზიული წესრიგი კონკურენტ სფეროებად დაიშლებოდა“ (Бордачев, 2020, გვ. 22). ამრიგად, დიდი ევრაზიის ნარატივი თანამედროვე გეოპოლიტიკური ენით ხელახლა აყალიბებს სავიცკის იმპერიულ გეომეტრიას: ტერიტორიული დაპყრობის ნაცვლად, ის განსაზღვრავს გავლენის კონცენტრირებულ წესრიგს, რომელიც მართულია ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებისა და მეთოდურ-ნორმატული მენეჯმენტით. როგორც მ. ლარუელი (2015, გვ. 119–122) აღნიშნავს, დიდი ევრაზიის კონცეფცია ინტერნაციონალიზმის საბჭოთა იდეას იერარქიულ პლურალიზმად გარდაქმნის, სადაც პატარა სახელმწიფოების ავტონომია რიტორიკულად დადასტურებულია, მაგრამ ევრაზიული ცივილიზაციის წესრიგში ლიმიტირებულია.

ამრიგად, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის თანამშრომლობითი იმიჯის უკან იმალება ევრაზიონისტული იმპერიული სტრუქტურა, რომელიც ადაპტირებულია პოსტმოდერნულ ეპოქასთან. რუსეთის, როგორც სტაბილიზაციის ბირთვის როლი განაპირობებს მის სიმბოლურ ცენტრალურობას და, ასევე, ქმნის საჭირო პოლიტიკურ ბერკეტებს, ხოლო ეკონომიკური და მარეგულირებელი მექანიზმები ამ ასიმეტრიის მატერიალურ ინფრასტრუქტურას უზრუნველყოფს.

პრაქტიკაში EAEU ფუნქციონირებს როგორც გავლენის იერარქიული სისტემა და არა როგორც რეგიონული თანამშრომლობის თანასწორუფლებიანი პლატფორმა. რ. დრაგნევა და კ. ვოლჩუკი (2017, გვ. 312–315) აღნიშნავენ, რომ რუსი ჩინოვნიკები ევრაზიის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში (EEEC) მაღალი პოლიტიკური და მარეგულირებელი თანამდებობების 80 პროცენტზე მეტს იკავებენ, რაც მოსკოვს სტრუქტურული ვეტოს შესაძლებლობას უქმნის. გარდა ამისა, ასიმეტრიის შედეგები თვალსაჩინოა როგორც პოლიტიკის ფორმირებაში, ასევე კრიზისების მართვაში. 2014–2015 წლების რუბლის დევალვაციის დროს, მოსკოვის ცალმხრივმა გადაწყვეტილებამ იმპორტის შეზღუდვების და ვალუტის კორექტირების დაწესების შესახებ, EAEU-ს სხვა წევრებთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე, კასკადური გავლენა მოახდინა სხვა წევრების ეკონომიკაზე, განსაკუთრებით ბელარუსსა და ყაზახეთზე, რომელთა ექსპორტიც რუბლის დევალვაციის გამო შემცირდა. როდესაც მინსკმა აღნიშნულთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვა, რუსეთის ოფიციალურმა პირებმა საკუთარი გადაწყვეტილება „ეროვნული უსაფრთხოების“ მოტივით გაამართლეს, რაც კოლექტიური ნორმების რუსეთის პრეროგატივებისადმი დაქვემდებარებაზე მეტყველებს (Драгнева, 2018, გვ. 47–48). ამ ეპიზოდმა ცხადყო, რომ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მიერ გამოცხადებული თანასწორობა მხოლოდ რუსეთის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში მოქმედებს, რაც სრულად შეესაბამება წინა თავებში განხილულ ცივილიზაციური ბირთვ-პერიფერიის ევრაზიონისტულ მოდელს.

კიდევ ერთი მაგალითია ყაზახეთი, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი 1990-იან წლებში ევრაზიული ინტეგრაციის ერთ-ერთი თავდაპირველი მომხრე იყო, ასტანამ არაერთხელ გამოთქვა შეშფოთება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის პოლიტიკური გავლენის გადაჭარბების შესახებ. 2014 წელს, როდესაც მოსკოვმა დასავლური პროდუქციის წინააღმდეგ კონტრსანქციები შემოიღო, ეს პოლიტიკა ფაქტობრივად გავრცელდა ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მთელ სივრცეზე, მიუხედავად ყაზახეთის წინააღმდეგობისა. აღნიშნულმა შემთხვევამ ასევე

წარმოაჩინა „კოლექტიური“ გადაწყვეტილებების ინსტრუმენტული გამოყენება რუსეთის ცალმხრივი ინტერესების სასარგებლოდ (Dragneva & Wolczuk, 2017, pp. 314–316; Delcour, 2015, p. 5; Kaczmarek, 2017, p. 96).

ასევე საყურადღებო მაგალითია ბელარუს-რუსეთის განმეორებადი დავები ენერგომატარებლების ფასებსა და საბაჟო შემოსავლებთან დაკავშირებით, რის შედეგადაც რუსეთმა ბელარუსთან ნავთობის ექსპორტსა და სასაზღვრო კონტროლზე პერიოდულ შეზღუდვები დააწესა, რასაც დრაგნევა (2018, გვ. 50) აღწერს, როგორც „ეკონომიკური ბერკეტებით განხორციელებულ დისციპლინურ ზომებს“.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ყირგიზეთის გამოცდილება. ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ტექნიკური სტანდარტების დასაკმაყოფილებლად მოსკოვმა ყირგიზეთს მოსთხოვა მთელი საბაჟო სისტემისა და სასაზღვრო რეჟიმის რეფორმირება. აღნიშნული დაფინანსდა რუსეთ-ყირგიზეთის განვითარების ფონდის (RKDF) მეშვეობით, რომელიც 2014 წელს რუსეთის სახელმწიფოს მიერ 1 მილიარდი აშშ დოლარის შენატანით შეიქმნა (Eurasian Development Bank, 2019, გვ. 47). ოფიციალურად, ფონდის მიზანი იყო ევრაზიული ინტეგრაციის პროცესთან ადაპტაციის ხელშეწყობა, მაგრამ მისი მმართველობის სტრუქტურა საბოლოო ზედამხედველობის ფუნქციას მოსკოვს აკისრებდა. როგორც დრაგნევა (2018) აღნიშნავს, „ფონდმა ეფექტური ინსტიტუციონალიზაცია გაუკეთა ყირგიზეთის ეკონომიკურ დამოკიდებულებას რუსეთის პოლიტიკურ პრეფერენციებზე“ (გვ. 53–55). პრაქტიკაში ეს სესხები და სუბსიდიები ხშირად პოლიტიკურ სუბორდინაციასთან იყო დაკავშირებული - მაგალითად, 2016 წელს ფონდმა შეაჩერა დაფინანსება ბიშკეკის მიერ რუსეთის სავაჭრო შეზღუდვების კრიტიკის გამო და განაახლა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყირგიზეთის მთავრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი „ევრაზიული ინტეგრაციისადმი ერთგულება“.

მაგალითები სხვაც ბევრია, თუმცა ერთ-ერთი თვალსაჩინო შემთხვევა სომხეთის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებაა. 2013 წელს სომხეთმა წარმატებით დაასრულა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) თაობაზე მოლაპარაკებები, რომლებიც 4 წელიწადს გრძელდებოდა. თუმცა, 2013 წლის 3 სექტემბერს, პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრის შემდეგ, პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა მოულოდნელად განაცხადა, რომ სომხეთი არ მოაწერდა ხელს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და ამის ნაცვლად ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს შეუერთდებოდა. თავის განცხადებაში სარგსიანმა ეს ცვლილება გაამართლა „რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური და უსაფრთხოების კავშირების შენარჩუნების აუცილებლობით“ (официальное заявление Президента Республики Армения, 3 сентября 2013 года). ანალიტიკოსებმა ეს მაშინვე ევრაზიული იდეოლოგიით გაჯერებულ გეოპოლიტიკურ ჩარევად აღიარეს: მოსკოვმა ცივილიზაციური კუთვნილების ნარატივი გამოიყენა, რათა პარტნიორი ქვეყნისთვის ევროპული ინტეგრაცია გადაეფიქრებინა. დელკური (2015, გვ. 3–5) და კოროსტელევა (2016, გვ. 457–459) აღნიშნავენ, რომ კრემლმა სომხეთის შემობრუნება არა იძულებად, არამედ „ევრაზიული ბედისწერის გამოხატულებად“ წარმოადგინა. რუსულმა მედიამ გადაწყვეტილება აღწერა, როგორც სომხეთის „დაბრუნება ბუნებრივ ევრაზიულ სივრცეში“ (Vzglyad, 3 September 2013; RIA Novosti 4 September 2013; Rossiyskaya Gazeta, 5 September 2013). როგორც ფრეირე და სიმაო (2015) აღნიშნავენ, ამ ეპიზოდმა ნათლად წარმოაჩინა, რომ „რუსეთის პარტნიორებისთვის ევრაზიული ინტეგრაცია ფუნქციონირებს არა როგორც თავისუფალი არჩევანი, არამედ იდენტობის ექსკლუზიური ვარიანტი“ (გვ.30).

კრიტიკული გეოპოლიტიკის თვალსაზრისით, ასეთი პრაქტიკები სივრცითი მმართველობის ფორმას წარმოადგენს. რუსეთი გეოგრაფიას ონტოლოგიად გარდაქმნის - ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში წევრობა ცივილიზაციური ერთგულების დეკლარირებაა. როგორც ბორდაჩოვი (2020, გვ. 22–23) აღნიშნავს, ეს

პროცესი წარმოადგენს „რეგიონული წესრიგის ცივილიზაციურ კოდიფიცირებას“, რომელშიც მონაწილეობა გულისხმობს რუსეთის ეპისტემოლოგიური ავტორიტეტის აღიარებას. ამრიგად, ევრაზიული ეკონომიკური კავშირი აერთიანებს გეოეკონომიკურ ინფრასტრუქტურას იდეოლოგიურ არქიტექტურასთან, რაც ინარჩუნებს მოსკოვის, როგორც მრავალპოლარული სამყაროს სტაბილიზაციის ბირთვის, თვითიდენტიფიკაციას.

## V. ემპირიული კვლევა -ნახევრადსტრუქტურირებული ჩადრმავებული ინტერვიუები ექსპერტებთან

### ინტერვიუ A1

რესპოდენტი A1 – წარსულში მაღალი რანგის რუსი პოლიტიკოსი

ინტერვიუ გაიმართა 2025 წლის აგვისტოში, პირისპირ, რესპოდენტის სრული ანონიმურობის დაცვით

ინტერვიუს ენა - რუსული, ქართულად თარგმნილია ავტორის მიერ

ხანგრძლივობა - 110 წთ.

ინტერვიუ A1 ჩატარდა ყოფილ მაღალი რანგის რუს პოლიტიკოსთან, რომელიც აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში იყო ჩართული ბ. იელცინის პრეზიდენტობის ბოლო წლებსა და ვ. პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში. დისკუსია ფოკუსირებული იყო ევრაზიულობის, როგორც იდეოლოგიის აღზევებაზე, მის ინსტრუმენტალიზაციასა და პრაქტიკულ გამოყენებაზე რუსეთის საგარეო პოლიტიკაში 2000 წლიდან 2025 წლამდე. რესპოდენტმა წარმოადგინა ორიგინალური ხედვა იდეოლოგიის ოპერატიული როლის, მისი ინსტიტუციური იმპლემენტაციისა და რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან მისი კავშირების შესახებ.

ქვემოთ მოცემული ყველა ციტატა ანონიმურია და პერიფრაზირებულია ანონიმურ და მგრძნობიარე პოლიტიკურ მასალასთან დაკავშირებული ინტერვიუების კვლევითი ეთიკის შესაბამისად.

რესპოდენტი სრულად იყო ინფორმირებული ინტერვიუს მიზნის, კვლევის შინაარსისა და დანიშნულების შესახებ.

**კითხვა 1: როდის გახდა პირველად ევრაზიონიზმი აქტუალური რუსეთის ფედერაციის ოფიციალური საგარეო პოლიტიკისთვის?**

**კონდენსირებული პასუხი:**

რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ერთის მხრივ პუტინს არასდროს გამოუცხადებია ევრაზიულობა სახელმწიფო იდეოლოგიად, მაგრამ მეორეს მხრივ, მისი ელემენტები თანდათან იქნა გამოყენებული და იმპლიმენტირებული ძირითად გადაწყვეტილებებში. ეს ეხება როგორც პოლიტიკური ქმედებების შესახებ გადაწყვეტილებებს, ასევე თანამდებობრივ დანიშვნებს. მაგალითად უშიშროების და ყოფილი საბჭოთა სუს-ის (КТБ) რევანშისტულად განწყობილი კადრების დანიშვნა მაღალ და უმაღლეს თანამდებობებზე, რაც განპირობებული იყო არა მხოლოდ პიროვნული ნდობის, არამედ იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი ფაქტორითაც. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტობის პერიოდში პუტინის რიტორიკა ნაკლებად იყო გაჯერებული ევრაზიონიზმის ლექსიკით, მისი ქმედებები ცხადყოფდა ამ უკანასკნელთან იდეოლოგიურ თანხვედრას. პუტინის ნაბიჯების სიმბოლიკა ყოველთვის გამოხატავდა უფრო ფართო იდეოლოგიურ მიმართულებას, რისი სრული ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის პროექტია.

**თემატური კოდირება:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
ეტაპობრივი დანერგვა	ეტაპობრივი ინსტიტუციონალიზაცია	პუტინის პერიოდის საგარეო პოლიტიკაში ევრაზიონიზმი ნაბიჯ-ნაბიჯ ჩნდებოდა

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
ლიდერობის სიმბოლიკა	ელიტის გარდაქმნა	სპეცსამსახურების რევანშისტი ოფიცრების დანიშვნა უმაღლეს თანამდებობაზე მიანიშნება იდეოლოგიურ ცვლილებას
პროექტის ხორცშესხმა	ინსტიტუციური გამოვლინება	ევრაზიული ეკონომიკური კავშირი ევრაზიული იდეის ინსტიტუციური ხორცშესხმაა

### ანალიტიკური ინტერპრეტაცია

პასუხი აჩვენებს, რომ იდეოლოგიის იმპლემენტაცია არა საჯარო დეკლარირების, არამედ ანამიმდევრული ინსტიტუციური პრაქტიკის გზით ხდებოდა. პრეზიდენტობის დასწყისში პუტინის ფრთხილი ნაბიჯებს დგამდა იდეოლოგიური საზღვრების ტესტირებისთვის. იდეოლოგიური ტრანსფორმაცია პირველ რიგში პერსონალით და პრაქტიკული პოლიტიკით ხდებოდა და არა დოქტრინებით. ამ პროცესმა საფუძველი ჩაუყარა შემდგომში ექსპლიციტურ იდეოლოგიურ ჩარჩოებს.

### კონცეპტუალური იმპლიკაცია:

- ელიტაში გადაჯგუფებებმა ევრაზიონიზმი ორგანულად განავითარა.

- იდეოლოგია ჯერ კიდევ მანამდე ფუნქციონირებდა, სანამ დოქტრინალურად აისახებოდა სახელმწიფო დოკუმენტებში.

- საკადრო პოლიტიკა იდეოლოგიური სიგნალის ფუნქციასაც ასრულებდა.

**კითხვა 2: პოლიტიკურ ელიტაში ევრაზიონიზმი აღიქმებოდა როგორც იდეოლოგიური ხედვა თუ პოლიტიკის სტრატეგიული ინსტრუმენტი?**

**კონდენსირებული პასუხი:**

რესპოდენტის თანახმად, პუტინის გუნდის უმეტესი წევრები მეტწილად შემსრულებლები იყვნენ ვიდრე იდეოლოგები. მხოლოდ რამდენიმე მათგანი იყო აქტიურად დაკავებული იდეოლოგიით (მაგალითად ვ. სურკოვი). საკონსულტაციო საბჭოებით მას ასევე ჰქონდა კავშირი მისთვის სასურველ ინტელექტუალებთან (დუგინი, კარაგანოვი, სხვ.).

იმავედროულად, თავად პუტინს იმთავითვე მიაჩნდა, რომ ქვეყანას სჭირდებოდა გამაერთიანებელი იდეოლოგია, რომელიც პატრიოტიზმსა და სახელმწიფოებრივ ძლიერებაზე იქნებოდა დაფუძნებული.

**თემატური კოდირება**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
ლიდერის რწმენა	პირადი იდეოლოგიური ინიციატივები	პუტინს მიაჩნდა, რომ რუსეთს შჭირდება იდეოლოგია
ბიუროკრტიული მორჩილება	პრაგმატული მორჩილება	პოლიტ. ელიტის უდიდესი ნაწილი მიჰყვებოდა

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
		იდეოლოგიურ თემატიკაში ჩაღრმავების გარეშე
იდეოლოგიის არქიტექტორები	ელიტის მოაზროვნეები	სურკოვი, დუგინი და სხვები ქმნიდნენ საჭირო დოქტრინებს
პროექტის ხორცშესხმა	ინსტიტუციური გამოვლინება	ევრაზიული ეკონომიკური კავშირი ევრაზიული იდეის ინსტიტუციური ხორცშესხმაა

### ანალიტიკური ინტერპრეტაცია

ზემოაღნიშნული ასახავს იერარქიულ იდეოლოგიურ სტრუქტურას: პუტინი, როგორც ინიციატორი, მცირე ინტელექტუალური წრე, როგორც არქიტექტორები და ბიუროკრატები, როგორც განმახორციელებლები.

შესაბამისად, ევრაზიულობა გამოჩნდა, როგორც სტრატეგიული ინსტრუმენტი, რომელიც შეესაბამებოდა ლიდერი (პუტინის) რუსოცენტრულ მსოფლმხედველობას.

### კონცეპტუალური იმპლიკაცია:

- იდეოლოგია სახელმწიფო პოლიტიკაში შემოვიდა ზემოდან ქვემოთ და არა ბუნებრივად;
- ევრაზიანელობა აერთიანებდა რწმენასაც და სარგებლიანობასაც;
- მსახურთა ბიუროკრატია ხელი შეუწყო იდეოლოგიური დიფუზიას

კითხვა 3: როგორ გამოიყენებოდა ისეთი იდეები, როგორიცაა მულტიპოლარობა და ცივილიზაციური სუვერენობა საგარეო პოლიტიკური მიზნების დასასაბუთებლად?

**კონდენსირებული პასუხი:**

მულტიპოლარიზმის თემა 2000-იანი წლებიდან გააქტიურდა. ეს იყო კარგი საშუალება რუსეთის “განსხვავებული გზის”, შიდა ავტორიტარიზმის და პოსტ-საბჭოთა ქვეყნების შიდა საქმეებში ჩარევის გასამართლებლად.

ცივილიზაციური სუვერენობის თემა ოფიციალურად უფრო გვიან გაჟღერდა, მაგრამ იგივე მიზანს ემსახურებოდა: განსაკუთრობულობისა და დიდი სახლემწიფოს სტატუსის დასაბუთებას.

**თემატური კოდირება:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
მულტიპოლარიზმი	ფუნდამენტური დასაბუთება	რუსეთის დამოუკიდებელი კურსის საფუძველი
სუვერენულობის კონცეტი	იდეოლოგიური თავდაცვა	“სუვერენული დემოკრატია” და “სუვერენული ცივილიზაცია” ამართლებდა საშინო და საგარეო პოლიტიკას.
განსაკუთრებულობა	ცივილიზაციური უდენტობა	Claimed Russia as unique pole of civilization.

**ანალიტიკური ინტერპრეტაცია**

იდეოლოგიუმა კონცეფციებმა გეოპოლიტიკურ ამბიციებს მორალური ლეგიტიმაცია მიანიჭა. ქვეყნის შიგნით მმართველობის მეთოდების, საგარეო ჩარევის და მულტიპოლორული სამართლიანობის თემების ერთმანეთთან დაკავშირებით

პუტინის რეჟიმმა იდეოლოგია და რეალური პოლიტიკის სტრატეგია გააერთიანა - რაც დამახასიათებელია ევრაზიანელობისთვის.

კონცეპტუალური იმპლიკაციები:

- მულტიპოლარობა ნიშნავს მორალურ ავტონომიას
- ინტერვენციების ნორმად წარმოჩენა ცივილიზაციური სტრუქტურის მეშვეობით.
- შიდა კონტროლის გაძლიერებისა და საგარეო პოლიტიკის დაკავშირება იდეოლოგიის მეშვეობით

**კითხვა 4: რა პოლიტიკური მოტივაცია ჰქონდა ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შექმნას?**

კონდენსირებული პასუხი:

პროექტი თავდაპირველად პრაგმატულ ეკონომიკურ მოგებაზე იყო გათვლილი, მისი მიზანი ასევე იყო ეკონომიკური ზეგავლენის გაძლიერება პოსტ-საბჭოთა ქვეყნებზე, რომელთა რესურსული და საწარმოო ბაზა, ასევე ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანია რუსეთისთვის. დროთა განმავლობაში, რუსეთის საერთაშორისო გაძლიერებისა და მისდამი დასავლური ტოლერანტობის ზრდის პარალელურად, პროექტი გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტად იქცა, რომელიც აძლიერებდა რუსეთის რეგიონულ ცენტრალურობას.

თემატური კოდირება:

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
პრაგმატული წარმოშობა	ეკონომიკური ფაქტორები	

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
		თავდაპირველი მოტივაცია პტაგმატული ეკონომიკური იყო
პოლიტიკური ტრანსფორმაცია	გეოპოლიტიკური ცვლილება	EAEU გარდაიქმნა გეოპოლიტიკური ლიდერობის პროექტად
რეგიონული ჰეგემონია	ცივილიზაციური თვითდამკვიდრება	გაამლიერა რუსეთის, როგორც ევრაზიული პოლუსის ცენტრის როლი

#### ანალიტიკური ინტერპრეტაცია:

ევრაზიული ეკონომიკური კავშირის პროექტი ცხადყოფს, როგორ იქცა ინსტიტუციონალური ეკონომიკური ინტეგრაცია სიმბოლიკური ლიდერობის ინსტრუმენტად.

#### კონცეპტუალური იმპლიკაცია:

- ინტეგრაცია როგორც დომინაცია
- ეკონომიკური ინსტრუმენტები ემსახურება იდენტობის პოლიტიკას
- იდეოლოგიური პროექცია ინსტიტუციური დიზაინის საშუალებით

კითხვა 5. დღეისათვის ევრაზიული ეკონომიკური კავშირი წარმოადგენს ინტეგრაციულ პროექტს თუ მას უფრო მეტად გეოპოლიტიკური და სიმბოლიკური დატვირთვა აქვს?

**კონდენსირებული პასუხი:**

დღეისათვის მისი მთავარი არსი სწორედ სიმბოლიკაა. თუმცა ცხადია ეკონომიკური შემადგენელი უაღრესად მნიშვნელოვანია რუსეთისთვის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მას სიმბოლიკური დატვირთვა სწორედ რუსეთისთვის აქვს და არა სხვა წევრებისთვის, ისინი ამ კავშირს პრაგმატული პოლიტიკური და ეკონომიკური პერსპექტივით უყურებენ. რუსეთისთვის კი ეს გეოპოლიტიკური ამბიციების საკითხია.

**თემატური კოდირება:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
იდენტობის არათანასწორობა	ევრაზიონიზმის სიმბოლიკა	მხოლოდ რუსები საუბრობენ ევრაზიულ იდენტობაზე
ფუნქციონლური ასიმეტრია	ინსტრუმენტალური ინტეგრაცია	სხვა ქვეყნები პრაგმატული მოსაზრებებით (ან იძულებით) არიან ჩართულები
პოლიტიკური დომინაცია	იერარქია (არადეკლარირებული)	რუსეთი საკუთარ თავს წარმოაჩენს ცივილიზაციურ ცენტრად

**ანალიტიკური ინტერპრეტაცია**

სხვაობა რიტორიკასა და რეალობას შორის წარმოაჩენს ევრაზიულობის ინსტრუმენტულ ბუნებას. რუსეთის პრეტენზია „ცივილიზაციურ ძმობაზე“ გულისხმობს ძალაუფლების იერარქიას, რაც შენიღბულია თანამშრომლობის სახელით.

**კონცეპტუალური იმპლიკაციები:**

- იდეოლოგიური პროექცია მოიცავს იძულების პოლიტიკას
- ევრაზიონიზმი ასიმეტრიის ლეგიტიმაციას ახდენს
- სიმბოლიკა ამყარებს თვითგამოცხადებულ ლიდერობას

კითხვა 6: როგორ იქნა გამოყენებული ევრაზიონიზმის იდეები ინიციატივის ლეგიტიმაციისთვის?

კონდენსირებული პასუხი:

რესპონდენტმა იდეოლოგიური რიტორიკა ტრადიციულ ღირებულებებს, მართლმადიდებლობას და ანტიდასავლურ განწყობებს დაუკავშირა. ევრაზიონელობა გადაჯაჭვული იყო ოჯახის, მორალისა და ისტორიის ნარატივებთან, რომლებსაც ეკლესია და მედია აძლიერებდა.

თემატური კოდირება:

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
ღირებულებებზე აპელირება	კონსერვატიზმ/ ტრადიციონალიზმი	მორალური და რელიგიური ლეგიტიმაცია
სიმბოლიკა პოლიტიკაში	კულტურის/ისტორიის მობილიზაცია	“სამამულო ომის” და სხვა სიმბოლოების გამოყენება
სახელმწიფოსა და ეკლესიის კავშირი	იდეოლოგიური სინქრონიზაცია	მოსკოვის საპატრიარქო იმეორებს სახელმწიფოს რიტორიკას

ანალიტიკური ინტერპრეტაცია

წარმოდგენილი კონვერგენცია წარმოაჩენს იდეოლოგიურ შემოზღუდვებს საგარეო პოლიტიკაში: სახელმწიფო შიდა მორალიზმი ამართლებს საგარეო ქმედებებს. ამრიგად, ევრაზიულობა შერწყმულია რუსეთის მორალურ ნარატივთან, რომელიც ძალაუფლებას სათნოებასთან აკავშირებს.

#### **კონცეპტუალური იმპლიკაციები:**

- გეოპოლიტიკის მორალიზაცია
- ეკლესია, როგორც იდეოლოგიური გამამდიერებელი
- რბილი ძალის რიტორიკა, როგორც ეთიკური ფარი

**კითხვა 7. როგორ გამოიყენებოდა ევრაზიონისტული ნარატივები საქართველოსთან (2008 წლის აგვისტო) და უკრაინასთან (ყირიმის ანექსია და 2022 წლის სამხედრო აგრესია) მიმართებაში?**

#### **კონდენსირებული პასუხი:**

რესპონდენტი მიიჩნევს, რომ იდეოლოგია ამართლებდა ყველა ჩარევას. „თანამემამულეთა დაცვა“, „პრივილეგირებული ინტერესები“ და „ცივილიზაციური მისია“ აგრესიას მორალურ მოვალეობად წარმოაჩენდა. პასპორტიზაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ყირიმში, ასევე რეფერენდუმები ამ ტერიტორიებზე, საქართველოს ოკუპაცია, ყირიმის ანექსია და 2022 წლის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია უკრაინაში რუსული სამყაროს დაცვად იყო წარმოჩენილი.

#### **თემატური კოდირება:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
გამამართლებელი დისკურსი	დაცვის მორალისტური ნარატივი	ომები წარმოდგენილი იყო, როგორც თანამემამულეთა დაცვა
სამართლებრივი ინსტრუმენტალიზაცია	დოქტრინალური ჩანერგვა	საკანონმდებლო ბაზა, რომელიც სხვა ქვეყნებში სამხედრო ოპერაციის ჩატარების უფლებას იძლეოდა
სტრატეგიული განგმობადობა	იდეოლოგიური თანხვედრა	მსგავსი ლოგიკა საქართველოსა და უკრაინასთან მიამართებაში

### ანალიტიკური ინტერპრეტაცია

ევრაზიანელობა ექსპანსიებისთვის გამზადებულ ლექსიკას იძლეოდა. იდეოლოგიამ შექმნა კავშირი სამართლებრივ და მორალურ ლეგიტიმაციას შორის და წარმოაჩინა აგრესია, როგორც ისტორიული სამართლიანობა.

კონცეპტუალური იმპლიკაციები:

- იდეოლოგია ოპერაციონალიზაციას უკეთებს ინტერვენციას
- ცივილიზაციური რიტორიკა ნიღბავს იძულებას
- “თანამემამულეთა დაცვის პოლიტიკა” პრაქტიკაში ახდენს რევანშიზმის ინსტიტუციონალიზაციას/ინსტრუმენტალიზაციას

კითხვა 8: რა იყო და არის ევრაზიულობის როლი: პოსტ-ფაქტუმ ლეგიტიმაცია თუ ქმედებების სტრატეგიული საფუძველი?

**კონდენსირებული პასუხი:**

ორივე! ის საკითხის იდეოლოგიურ მომზადებასაც უზრუნველყოფს და პოსტფაქტუმ გამართლებასაც. საქართველოსა და უკრაინაშიც იდეოლოგიური დაგეგმვა წინ უძღოდა სამხედრო ოპერაციებს, თუმცა შემდგომში, იგივე დისკურსი ახდენდა შედეგების ლეგიტიმაციას.

**თემატური კოდირება:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტატირება
წინმსწრები იდეოლოგიური ჩარჩო	სტრატეგიული ჩარჩო	იდეოლოგიური ნარატივები გამოიყენებოდა დაგეგმარების პროცესში
რეტროატიული გამოყენება	პოსტ-ფაქტუმ ლეგიტიმაცია	იდეოლოგია ახდენდა განხორციელებული აგრესიის ახსნა- ლეგიტიმაციას
ინსტიტუციონალური ინტეგრაცია	პოლიტიკის რუტინიზაცია	უსაფრთხოების დოქტრინებში ინტეგრირებული ნარატივები

**ანალიტიკური ინტერპრეტაცია:**

იდეოლოგია ციკლურად ფუნქციონირებს: ის წინ უსწრებს და ასევე თანსდევს და რაციონალიზაციას უკეთებს სახელმწიფოს ქცევას. შესაბამისად, ევრაზიულობა აერთიანებს მოტივაციასა და გამართლებას, რაც ჩამოყალიბებული იდეოლოგიური სისტემების დამახასიათებელი ნიშანია.

**კონცეპტუალური იმპლიკაციები:**

- იდეოლოგია აჩენს ქმედების პოლიტიკური ქმედების მოლოდინს
- ლეგიტიმაცია აღსრულების შემდეგ
- ნარატივები ასრულებენ კოგნიტურ ციკლს

**კითხვა 9: როგორი იყო ევრაზიონიზმის ინსტრუმენტალიზაციის ევოლუცია (2022-2022 წწ)?**

**კონდენსირებული პასუხი:**

თანდათანობითი და კუმულაციური. 2000 წელს დაწყებული ფრთხილი ტესტირებიდან სრულ იდეოლოგიურ ინსტიტუციონალიზაციაზე, საქართველოში ომის (2008), ყირიმის ანექსიით (2014) და უკრაინაში ომის (2022) ფაზების გავლით და თითოეულის შემდეგ უფრო გამყარებული.

**თემატური კოდირება:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
თანამიმდევრული ზრდა	იდეოლოგიური ევოლუცია	მარგინალური კონცეფციიდან ძირითად დოქტრინამდე
ინსტიტუციური განმტკიცება	ბიურაკრატიული კოდიფიკაცია	სტრატეგიასა და კანონმდებლობაში ინტეგრირებული
ლიდერობის უწყვეტობა	პერსონალისტური გამლიერება	პუტინი უზრუნველყოფდა ნარატივის თანმიმდევრულობას

**ანალიტიკური ინტერპრეტაცია**

ევოლუციის აღნიშნული ტრაექტორია იდეოლოგიის ინსტიტუციურ იმპულსს წარმოაჩენს: თავის დროზე ინსტრუმენტული ევრაზიულობა პოლიტიკური იდენტობის შემადგენელი ნაწილი გახდა, რაც ინსტრუმენტალიზაციის სრული ციკლის დასტურია.

**კონცეპტუალური იმპლიკაციები:**

- იდეოლოგია იძენს თვითგანვითარების ძალას
- ინსტიტუციური ინერცია ამყარებს რწმენას ი
- სტრატეგიული ნარატივი დოქტრინად იქცევა

**კითხვა 10: რა შეიცვალა ევრაზიონიზმის რელევანტურობაში 2022 წლის შემდეგ?**

**კონდენსირებული პასუხი:**

ის დრამატულად გაიზარდა. ევრაზიულობა ახლა დომინანტი სახელმწიფო იდეოლოგიაა, რომელიც ამ ომს (ომი უკრაინაში) „ცივილიზაციურ ჯვაროსნულ ლაშქრობად“ მიიჩნევს. რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ეს პერიოდი გადამწყვეტია: ან იდეოლოგია რეჟიმთან ერთად გაგრძელდება, ან მასთან ერთად დამარცხდება.

**თემატური კოდირება:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
იდეოლოგიური ექსპანსია	ტოტალური შეღწევა	პოსტ 2022-ის სახელმწიფო მთლიანად იდეოლოგიზირებულია

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
ცივილიზაციური ომი	აპოკალიფსური რიტორიკა	ომი უკრაინაში წმინდა მისიად არის წარმოჩენილი
რეჟიმზე დამოკიდებულება	იდეოლოგია- ძალაუფლების სიმბიოზი	პუტინის გადარჩენა და იდეოლოგიის გადარჩენა ურთიერთკავშირშია

### ანალიტიკური ინტერპრეტაცია:

ევრაზიონიზმმა, როგორც ძალაუფლების სახელმწიფო რელიგიამ, პიკს მიაღწია. მისი ბედი ასახავს რეჟიმის სტაბილურობას და აჩვენებს, თუ როგორ იქცევა ეგზისტენციალურად ერთხელ ინსტრუმენტალიზირებული და ფესვგადგმული იდეოლოგია.

### კონცეპტუალური იმპლიკაციები:

- იდეოლოგია რეჟიმის გადარჩენის აუცილებლობაა
- ევრაზიონიზმი ინსტრუმენტიდან კრედოდ გარდაიქმნა.
- რეჟიმის კოლაფსი = იდეოლოგიის კოლაფსს

### ინტერპრეტაციული სინთეზი

ინტერვიუ A1 იშვიათ ინსაიდერულ პერსპექტივას გვთავაზობს რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკაში ევრაზიონისტული იდეების პროგრესირებადი ინტეგრაციის შესახებ ვ. პუტინის მმართველობის პერიოდში. რესპონდენტის ნარატივი 25-წლიან იდეოლოგიურ ევოლუციას ასახავს - 2000-იანი წლების

დასაწყისში ევრაზიონისტული ნარატივების შეფარული იმპლემენტაციიდან 2022 წლისთვის მათ სრულ კოდიფიცირებამდე.

ინტერვიუ წარმოაჩენს, რომ თავდაპირველად ევრაზიულობა, როგორც სახელმწიფო იდეოლოგია, არ ყოფილა არც დეკლარირებული. ის ნაბიჯ-ნაბიჯ მკვიდრდებოდა ინსტიტუციური პრაქტიკის, ბიუროკრატიული რუტინიზაციისა და დისკურსიული ადაპტაციის გზით. ასეთი ტრაექტორია თანხვედრაშია სამეცნიერო კვლევებთან ჰიბრიდულ ავტორიტარულ სისტემებში იდეოლოგიის მცოცავი ინსტიტუციონალიზაციას შესახებ, როდესაც იდეები ინტეგრირდება, უპირველეს ყოვლისა, მმართველი ადმინისტრაციისა და კანონშემოქმედებითი ყოველდღიური საქმიანობით (Gelman, 2015; Sharafutdinova, 2020).

რესპონდენტის თქმით, პუტინის პრეზიდენტობის პირველივე დღეებიდან უმაღლეს თანამდებობებზე უშიშროების (მათ შორის საბჭოთა პერიოდის) ოფიცრების დანიშვნა რუსეთის იდეოლოგიური რეორიენტაციის ადრეული ნიშანი იყო. ასეთი საკადრო ცვლილებები არ ნიშნავდა აშკარა ევრაზიულობას, მაგრამ მოასწავებდა რუსოცენტრიზმით გაჯერებული პრაგმატიზმის კონსოლიდაციას უმაღლეს მენეჯერულ დონეზე, რამაც გზა გაუხსნა მომავალ იდეოლოგიურ არტიკულაციას. რესპონდენტის ფრაზა, რომ „პუტინმა მოახდინა ამ იდეების ნაბიჯ-ნაბიჯ წახალისება, მხარდაჭერა, დანერგვა და განხორციელება“, ცხადყოფს, რომ ევრაზიულობის ინსტიტუციონალიზაცია წინ უძღოდა სახელმწიფო დონეზე მის საჯარო დეკლარირებას. 2000-იანი წლების შუა პერიოდისთვის ეს იდეები ინტეგრირებული იყო საგარეო პოლიტიკის დაგეგმვაში, რაც ამზადებდა ნიადაგს მისი შემდგომი კოდიფიკაციისთვის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიასა და სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებში.

ინტერვიუში განმეორებადი მოტივია პოლიტიკოსთა უმეტესობაში ჭეშმარიტი იდეოლოგიური რწმენის ნაკლებობა. რესპონდენტი მათ წარმოაჩენს, როგორც

„მსახურებს“, რომლებიც ასრულებენ დირექტივებს და არა დოქტრინის მომხრეებს, რაც ასახავს იდეოლოგიის ინსტრუმენტულ განზომილებას. ეს დასკვნა ეხმიანება პერფორმატული იდეოლოგიის თეორიულ ნაშრომს - იდეას, რომ ელიტები სტრატეგიულად იყენებენ იდეოლოგიურ ნარატივებს ძალაუფლების კონსოლიდაციისა და ლოიალობის უზრუნველსაყოფად (Brubaker, 2017; Wilson, 2022). ამგვარად, ევრაზიულობა ფუნქციონირებდა არამხოლოდ როგორც რწმენის სისტემა, არამედ როგორც მმართველი ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფდა თანმიმდევრულობას, ლოიალობაზე შემოწმებას და ქმედებათა ვერბალურ დასაბუთებას. ამავდროულად, თავად პუტინისთვის, ევრაზიულობა უკვე მზა მოსახერხებელ და რეზონანსულ ჩარჩოს წარმოადგენდა - იდეოლოგიას, რომელიც აერთიანებდა პატრიოტიზმს, იმპერიას და ცივილიზაციურ უნიკალურობას.

რესპონდენტის მიერ წარმოდგენილი ქრონოლოგია აღწერს ევოლუციას პუტინის ადრეული პრეზიდენტობის პერიოდის მრავალპოლარობის დისკურსიდან ცივილიზაციურ სუვერენიტეტზე აქცენტირებულ ხაზგასმაზე. თავდაპირველად, „მრავალპოლარობა“ ამართლებდა რუსეთის დაჟინებულ მოთხოვნას ე.წ. ავტონომიაზე დასავლეთის მიერ მართული მსოფლიო წესრიგის ფარგლებში, ხოლო 2008 წლის შემდეგ ის განვითარდა განსაკუთრებულობის ცივილიზაციურ ლექსიკონში, რითაც რუსეთი ცდილობდა საკუთარი თავის ცივილიზაციურ-გეოპოლიტიკურ პოლუსად წარმოჩენას მრავალპოლარულ სამყაროში. პუტინის 2007 წლის მიუხეანის გამოსვლა მნიშვნელოვანი ნიშნული იყო: იდეების საჯარო გამოცდა საერთაშორისო აუდიტორიასთან, რაც მან წარმატებით გაიარა და მოგვიანებით ეს იდეები დოქტრინალურ ორთოდოქსიად აქცია. 2014 წელს ყირიმის ანექსიით ევრაზიონიზმმა განსაკუთრებული ძალა მოიპოვა და ექსპანსია ისტორიული სამართლიანობის აღდგენად წარმოაჩინა. ეს ტრანსფორმაცია ასახავს მ. ლარუელის (2022) დაკვირვებას, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა პრაგმატული რეალიზმიდან ცივილიზაციურ მორალიზმზე გადავიდა, გეოპოლიტიკა კი მსოფლიო წესრიგისთვის მორალურ ბრძოლად წარმოჩინდა.

რესპონდენტი ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს (EAEU) იდეოლოგიური ინსტიტუციონალიზაციის ყველაზე ხელშესახებ მაგალითს უწოდებს. თავდაპირველად პრაგმატულ ეკონომიკურ პროექტად ჩაფიქრებული ის სწრაფად გადაიქცა გეოპოლიტიკურ იერარქიად, რომლის ბირთვიც რუსეთია. სხვა წევრებმა - ბელარუსმა, ყაზახეთმა, სომხეთმა, ყირგიზეთმა - პროექტში მონაწილეობა უტილიტარული მიზეზების გამო გადაწყვიტეს, მაგრამ მოსკოვმა ეს ევრაზიული ერთიანობის დასტურად განმარტა. აღნიშნული აჩვენებს რომ EAEU ფუნქციონირებს როგორც სიმბოლური იერარქიის ინსტრუმენტი და არა როგორც სიმეტრიული ინტეგრაცია. რესპონდენტის რეპლიკა, რომ „ევრაზიული იდენტობა მხოლოდ რუსეთისთვის არსებობს“, ხაზს უსვამს ამ ასიმტრიას.

რესპოდენტი ფრიად საყურადღებო მოსაზრებას ავითარებს ეკლესია-სახელმწიფოს ალიანსის შესახებ. იგი აღწერს მოსკოვის საპატრიარქოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის ფორმალურ თანამშრომლობას „სამუშაო ჯგუფების“ მეშვეობით, რომლებიც შექმნილია საერთაშორისო არენაზე პოზიციების ჰარმონიზაციისთვის. ეს პარტნიორობა ინსტიტუციონალიზაციას უკეთებს იმას, რასაც მეცნიერები რელიგიურ დიპლომატიას უწოდებენ (Knorre & Richters, 2021). ეკლესია ლეგიტიმაციას უკეთებს საგარეო პოლიტიკას, ამ უკანასკნელის ტრადიციული ღირებულებებისა და მართლმადიდებლური ცივილიზაციის დაცვად წარმოჩენით, ხოლო სახელმწიფო ამლიერებს ეკლესიას და მის საერთაშორისო პლატფორმას. „მესამე რომის“ ნარატივი აცოცხლებს ბიზანტიური მემკვიდრეობის მითებს და რუსეთის გეოპოლიტიკურ ამბიციებს სულიერ მისიად გარდაქმნის. რესპონდენტის დაკვირვება, რომ პატრიარქმა კირილმა „ფაქტურად აკურთხა ომი უკრაინაში“, ავლენს სახელმწიფო ძალადობის საკრალიზაციას, სადაც ევრაზიულობა ერწყმის მართლმადიდებლობას და ტერიტორიული აგრესიას კეთილშობილურ მისიად წარმოაჩენს. იდეოლოგიისა და თეოლოგიის ასეთი კონვერგენცია საგარეო ქმედებებს თეოპოლიტიკად აქცევს - ცივილიზაციურ ჯვაროსნულ ლაშქრობად,

რომელიც დაფუძნებულია ღვთაებრივ ბედისწერაზე და არა მატერიალურ ინტერესებზე.

რესპონდენტის თქმით, 2022 წლისთვის მთელი „სახელმწიფო სისტემა გაიჟღინთა ამ იდეოლოგიით“. ევრაზიულობა ყველგან იყო წარმოდგენილი - გავრცელდა განათლების, კულტურის, მედიისა თუ დიპლომატიური კომუნიკაციის მეშვეობით. თუმცა, რესპონდენტის თქმით, მისი გარე რეზონანსი შერჩევითი დარჩა - იდეოლოგია ვერ ახერხებს ლიბერალური დემოკრატიების დარწმუნებას, მაგრამ ეფექტურად ემთხვევა ცივილიზაციური ნარატივების მქონე ავტორიტარულ ან ანტიდასავლურ რეჟიმებს, განსაკუთრებით ჩინეთსა და ირანს. აღნიშნული წარმოაჩენს, რომ ევრაზიანული იდეოლოგია განაპირობებს სოლიდარობას არადასავლურ სახელმწიფოებს შორის ცივილიზაციური პლურალიზმის დროშის ქვეშ.

ინტერვიუს დასკვნითი არგუმენტი - რომ „თუ პუტინი დაიშლება, ევრაზიულობაც დაიშლება“ - ასახავს იდეოლოგიისა და რეჟიმის ურთიერთდამოკიდებულებას. ევრაზიულობა განუყოფელი გახდა პუტინის პირადი ავტორიტეტისგან, რაც ასახავს გვიანდელი ავტორიტარული სისტემებისთვის დამახასიათებელ იდეოლოგიური მმართველობის პერსონალიზაციას. რესპონდენტის მიერ 2022 წლის „კრიტიკულ ეტაპად“ წარმოჩენა მიანიშნებს ევრაზიულობის სახელმწიფო ნარატივიდან რეჟიმის გადარჩენის მექანიზმად ტრანსფორმაციას. უკრაინაში ომი ერთდროულად იდეოლოგიური კულმინაციაა და ეგზისტენციალურ რისკიც: წარმატება განამტკიცებს ევრაზიულობას, როგორც ოფიციალურ დოქტრინას; დამარცხება ახდენს მის დელეგიტიმაციას და რეჟიმის დესტაბილიზაციას ან შესაძლო ჩამოშლას. ეს დუალიზმი განასახიერებს ინსტრუმენტალიზებული იდეოლოგიის არასტაბილურ ბუნებას - მისი ძალა მის ტოტალიზაციაშია, თუმცა ეს ტოტალიზაცია მას მისი შემქმნელის ბედს უკავშირებს.

მთლიანობაში რესპონდენტის მონათხრობი ადასტურებს დისერტაციის ცენტრალურ ჰიპოთეზას, რომ პუტინის ეპოქაში ევრაზიულობა საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტულ, ინსტიტუციონალიზებულ და საკრალიზებულ იდეოლოგიად განვითარდა. ის ერთდროულად სამ დონეზე მოქმედებს:

1. სტრატეგიული ინსტრუმენტალიზაცია - იძულებითი დიპლომატიისა და რეგიონული დომინირების გამართლების ენის უზრუნველყოფა;

2. ინსტიტუციური დიფუზია - იდეოლოგიური ლექსიკის ბიუროკრატიულ და სამართლებრივ ჩარჩოებში ჩანერგვა;

3. მორალურ-რელიგიური საკრალიზაცია - ეკლესიისა და ტრადიციული ღირებულებების დისკურსის ჩართვა საგარეო პოლიტიკის მორალიზაციისთვის.

ინტერვიუ აჩვენებს, რომ პუტინის დროს ევრაზიონიზმის აღზევების მიზეზი მისი ადაპტირებადობაა - უნარში, შეასრულოს მრავალი ფუნქცია: გააერთიანოს შიდა აუდიტორია, ლეგიტიმაცია გაუწიოს გარე ჩარევებს და წარმოაჩინოს რუსეთი გლობალურ ცივილიზაციურ კონკურენციაში. ამავდროულად, მისი დამოკიდებულება ამჟამინდელ რეჟიმზე მას მყიფეს ხდის; თუ პუტინის სისტემა დასუსტდება, იდეოლოგიური კონსტრუქცია შეიძლება დაინგრეს. ამ გაგებით, ევრაზიონიზმი თანამედროვე ავტორიტარიზმში იდეოლოგიური ინსტრუმენტალიზაციის დინამიკის მაგალითია: ლეგიტიმურობის მოქნილი, მაგრამ არასტაბილური მექანიზმი, რომელიც ძალაუფლებას, რწმენას და წმინდა ნარატივს რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქიტექტურაში აერთიანებს.

## ინტერვიუ A2

რესპოდენტი A2 – წარსულში უმაღალესი რანგის რუსი დიპლომატი

ინტერვიუ გაიმართა 2025 წლის ივლისში, პირისპირ, რესპოდენტის სრული ანონიმურობის დაცვით

ინტერვიუს ენა - რუსული, ქართულად თარგმნილია ავტორის მიერ

ხანგრძლივობა - 95 წთ.

ინტერვიუ A2 ჩატარდა ყოფილ უმაღლესი რანგის რუს დიპლომატთან, რომელიც აქტიურ დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა ვ. პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში. დისკუსია ფოკუსირებული იყო ევრაზიანისტული და რუსულოცენტრული იდეოლოგიების ინსტიტუციონალიზაციაზე საგარეო საქმეთა სამინისტროში და რუსეთის დიპლომატიურ პრაქტიკაზე ვლადიმერ პუტინის მმართველობის დროს.

ქვემოთ მოცემული ყველა ციტატა ანონიმურია და პერიფრაზირებულია ანონიმურ და მგრძობიარე პოლიტიკურ მასალასთან დაკავშირებული ინტერვიუების კვლევითი ეთიკის შესაბამისად.

რესპოდენტი სრულად იყო ინფორმირებული ინტერვიუს მიზნის, კვლევის შინაარსისა და დანიშნულების შესახებ.

**კითხვა 1: რა ინსტრუქციები განაპირობებდა ევრაზიული ან ცივილიზაციური რიტორიკის ოფიციალურ დიპლომატიურ კომუნიკაციებში გამოყენებას?**

**კონდენსირებული პასუხი:**

რესპოდენტმა განმარტა, რომ არ არსებობდა ევრაზიანობის გამოყენების მკაფიო დირექტივები. თუმცა, მას შემდეგ, რაც ევრაზიული ნარატივები სტრატეგიულ დოკუმენტებში - კერძოდ, საგარეო პოლიტიკის კონცეფციასა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში აისახა, დიპლომატები ვალდებულნი იყვნენ, ამ

ტექსტებში ჩადებული ენა დაეცვათ. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემულ ინსტრუქციებსა და სასაუბროებში რუსეთი რეგულარულად მოიხსენიებოდა, როგორც გამორჩეული ცივილიზაცია და მრავალპოლარობის დამცველი.

თემატური კოდირება:

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
იდეოლოგიური კოდიფიკაცია	ინსტიტუციური ინტეგრაცია	ოფიციალურ დოკუმენტებში ასახული ევრაზიულობა
პროცედურული შესაბამისობა	ბიუროკრატიული ვალდებულება	დიპლომატებს ენის რეპროდუცირება მოეთხოვებოდათ
ცივილიზაციური დისკურსი	ნარატივის სტანდარტიზაცია	საგარეო საქმეთა სამინისტროს რიტორიკა იდეოლოგიურ ლექსიკას ასახავდა

## ანალიტიკური ინტერპრეტაცია

პასუხი ასახავს, თუ როგორ ხდება იდეოლოგია ქმედითი, ოპერაციულ-ბიუროკრატიული რუტინიზაციის გზით და არა აშკარა ინდოქტრინაციის საშუალებით. სტრატეგიულ დოკუმენტებში ინკორპორაციის შემდეგ ევრაზიონისტული დისკურსი რიტორიკიდან პროფესიულ ნორმებში გადავიდა.

დიპლომატები მიჰყვებოდნენ დამკვიდრებულ სცენარებს, რაც იდეოლოგიას ინსტიტუციურ ჩვევად აქცევდა.

### კონცეპტუალური იმპლიკაციები:

- იდეოლოგია ინკორპორირებულია პოლიტიკურ დოკუმენტებში;
- რუტინული შესრულება ანცვლებს აშკარა ინსტრუქციას.
- ცივილიზაციურმა ჩარჩოები შერწყმულია დიპლომატიურ ენასთან

**კითხვა 2: ევრაზიონიზმის დისკურსი ასრულებდა დიპლომატიის არსებითი ჩარჩოს ფუნქციას თუ კრემლის გზავნილებთან ნარატივის შესაბამისობის ინსტრუმენტი იყო?**

### კონდენსირებული პასუხი:

რესპონდენტმა განაცხადა, რომ პუტინის მმართველობის დასაწყისში იდეოლოგიური დისკურსი კრემლის რიტორიკას ემთხვეოდა და, შესაბამისად, ნარატივის თანხვედრის ინსტრუმენტს წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით პუტინის პრეზიდენტად დაბრუნების შემდეგ (2012წ.), ეს იდეები ოფიციალურ დოკუმენტებში კოდიფიცირდა, რამაც ისინი დიპლომატიის არსებით ჩარჩოდ აქცია.

## თემატური კოდირება

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
ადრეული მოქნილობა	ნარატივის თანხვედრა	თავდაპირველად კრემლის გამოსვლებს ირეკლავდა.
ინსტიტუციონალიზაცია	პოლიტიკის ჩარჩო	მოგვიანებით ოფიციალურ დოქტრინაში ფორმალიზდა.
იდეოლოგიური ევოლუცია	სისტემური ადაპტაცია	რიტორიკიდან მმართველობის პრინციპზე გადასვლა.

### ანალიტიკური ინტერპრეტაცია

რიტორიკული კოორდინაციიდან პოლიტიკურ დოქტრინაზე თანდათანობითი გადასვლა ასახავს ევრაზიული აზროვნების ღრმა ინსტიტუციონალიზაციას.

კომუნიკაციური ინსტრუმენტიდან არსებით ჩარჩოზე გადასვლით, იდეოლოგია რუსული დიპლომატიის ეპისტემოლოგიურ საფუძვლად იქცა.

### კონცეპტუალური იმპლიკაციები:

- იდეოლოგია ადმინისტრაციული კოდიფიკაციის გზით ვითარდება
- გზავნილები დოქტრინად იქცევა.
- საგარეო საქმეთა სამინისტრო კრემლის იდეოლოგიის აღმასრულებლის როლს ასრულებს.

კითხვა 3: როგორ ხედავდნენ კარიერული დიპლომატები ბალანსს იდეოლოგიასა და პრაგმატულ პოლიტიკას შორის?

### კონდენსირებული პასუხი:

რესპონდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი ბალანსი აღარ არსებობს. უფროსი თაობის დიპლომატები ან პრაგმატულად ადაპტირდნენ სისტემასთან, ან სამსახური დატოვეს, ხოლო დიპლომატთა ახალგაზრდა თაობა იდეოლოგიურად ლოიალური ინსტიტუტებიდან დაკომპლექტდა და მათ გულწრფელად სწამთ ევრაზიონიზმის პრინციპების და პუტინის რიტორიკის.

**თემატური კოდირება**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
თაობათაშორის სხვაობა	რწმენის ტრანსფორმაცია	უფროსი თაობის დიპლომატები პრაგმატულები არიან, ახალგაზრდები კი ინდოქტრინირებულები.
ინსტიტუციური ლოიალობა	იდეოლოგიური ფილტრაცია	სამსახურში მიღებისას უნარებზე მეტად იდეოლოგიურ ლოიალობას ანიჭებენ უპირატესობას.
პროფესიული ეროზია	რეალიზმის დაკნინება	საგარეო საქმეთა სამინისტროში იდეოლოგია დომინირებს პრაგმატიზმზე

## ანალიტიკური ინტერპრეტაცია

პასუხი ხაზს უსვამს საგარეო საქმეთა სამინისტროს ტრანსფორმაციას რეალისტური ბიუროკრატიიდან იდეოლოგიურად დისციპლინირებულ ორგანიზაციად.

სტრატეგიული მორჩილებიდან გულწრფელ რწმენაზე გადასვლა აჩვენებს, თუ როგორ ხდება ინსტრუმენტული იდეოლოგია დროთა განმავლობაში იდენტობის ჩამომყალიბებელი.

### კონცეპტუალური იმპლიკაციები:

- თაობათა სოციალიზაცია აძლიერებს იდეოლოგიურ რწმენას.
- პრაგმატიზმი ჩანაცვლებულია რწმენით
- ბიუროკრატია იდეოლოგიურ სოციუმად იქცა

კითხვა 4: როგორ გამოიყენებოდა ევრაზიული რიტორიკა ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მოლაპარაკებებისას, ასევე 2008 წელს საქართველოში სამხედრო შეჭრის, 2014 წელს ყირიმის ანექსიის და 2022 წელს უკრაინაში ფართომასშტაბიანი ინტერვენციის დროს?

### კონდენსირებული პასუხი:

დიპლომატმა ამ რიტორიკის გამოყენება შემდეგნაირად დაახასიათა: ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მოლაპარაკებები პრაგმატული იყო და უშუალოდ მოლაპარაკებებში ევრაზიონიზმის რიტორიკა არ გამოიყენებოდა, თუმცა ყოველთვის რუსეთის ინტერესების გარშემო მიმდინარეობდა. 2008 და 2014 წლების რიტორიკა განვითარდა პრივილეგირებული ინტერესებისა და თანამემამულეების დაცვის ჩარჩოში. 2022 წლისთვის დიპლომატიური კომუნიკაცია მთლიანად

იდეოლოგიური იყო, რაც პუტინის ცივილიზაციურ და ევრაზიუონისტულ ნარატივებს იმეორებდა.

**თემატური კოდირება:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
პრაგმატული საწყისები	ტექნოკრატიული დიპლომატია	EAEU მოლაპარაკებების პროცესი არაიდეოლოგიზირებული იყო
კონფლიქტის მორალიზაცია	დაცვის ნარატივი	საქართველო და 2014 წლის კონფლიქტი აღმოსავლეთ უკრაინაში თავდაცვით მისიებად იყო წარმოდგენილი
ტოტალური იდეოლოგიზაცია	ცივილიზაციური გამართლება	2022 წლის შეჭრა უკრაინაში და მანამდე ყირიმის ანექსია ისტორიულ ბედიტ და სამართლიანობით იყო გამართლებული.

**ანალიტიკური ინტერპრეტაცია**

პასუხში წარმოდგენილი ქრონოლოგია აჩვენებს იდეოლოგიური გაჯერების ესკალაციას რუსულ დიპლომატიაში.

თითოეულმა კონფლიქტმა გააფართოვა იდეოლოგიური მასშტაბები - პრაგმატული მოლაპარაკებებიდან ცივილიზაციურ ჯვაროსნულ ლაშქრობამდე.

დღეისათვის დიპლომატიური რიტორიკა ასახავს სახელმწიფო პროპაგანდას და არა პრაგმატულ პოლიტიკას.

**კონცეპტუალური იმპლიკაციები:**

- დიპლომატიური დისკურსი მისდევს იდეოლოგიურ ესკალაციას.
- „თანამემამულის“ რიტორიკა აერთიანებს მორალსა და ძალას.

• საგარეო პოლიტიკა მითოპოლიტიკურ თხრობად იქცა.

**კითხვა 5: რა დატვირთვა აქვს დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის ევრაზიონიზმის ნარატივებს, კერძოდ საგარეო პოლიტიკური ქმედებების დაგეგმვასა და ლეგიტიმაციაში?**

**კონდენსირებული პასუხი:**

რესპონდენტმა აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს კომუნიკაციებში ევრაზიონისტული და ცივილიზაციური რიტორიკა ახლა სავალდებულოა. დიპლომატები ყველა კონტექსტში იმეორებენ ისეთ ფრაზებს, როგორცაა „დამოუკიდებელი ცივილიზაცია“, „მრავალპოლარობა“ და „სუვერენული დემოკრატია“, „ტრადიციული ღირებულებების დაცვა“. რადგან ეს ფრაზები სახელმწიფოს ლეგიტიმაციურ ენას ქმნის.

**თემატური კოდირება:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
ინსტიტუციური მანდატი	იდეოლოგიური შესაბამისობა	დიპლომატებს მოეთხოვებათ ფიქსირებული ნარატივების გამოყენება
კოდიფიცირებული რიტორიკა	სტრატეგიული გამეორება	ყველა კომუნიკაციაში სტანდარტიზებული ძირითადი ტერმინები

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
იდეოლოგიური დისციპლინა	კონტროლირებადი ჩარჩოები	საგარეო საქმეთა სამინისტრო ასრულებს იდეოლოგიის მცველის ფუნქციას საგარეო ასპარეზზე

**ანალიტიკური ინტერპრეტაცია:**

პასუხი ადასტურებს საგარეო საქმეთა სამინისტროს იდეოლოგიურ აპარატად გარდაქმნას - ის სახელმწიფო იდეოლოგიის საზღვარგარეთ გადამცემის როლს ასრულებს.

დისკურსის ინსტიტუციონალიზაცია უკიდურესად ზღუდავს პოლიტიკის მოქნილობას და ნერგავს ლოიალობას იდეოლოგიისა და რეჟიმისადმი.

**კონცეპტუალური იმპლიკაციები:**

- რიტორიკული ერთგვაროვნება უზრუნველყოფს იდეოლოგიურ თანმიმდევრულობას
- საგარეო საქმეთა სამინისტრო მოქმედებს როგორც იდეოლოგიის არხი
- ენა (რიტორიკა) ხდება კონტროლის მექანიზმი

**კითხვა 6: როგორ ინტეგრირდა ევრაზიონიზმი და “რუსული სამყარო” სახალხო და კულტურულ დიპლომატიაში?**

**კონდენსირებული პასუხი:**

რესპონდენტმა აღწერა რბილი ძალის ყველა ინსტრუმენტის კონსოლიდაციის პროცესი საგარეო საქმეთა სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ, რაც 2008 წლის (საქართველოში ინტერვენციის) შემდგომ განხორციელდა. ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა „როსსოტრუდნიჩესტვო“ და ფონდი „რუსკი მირ“, ხელს უწყობენ ევრაზიული ნარატივების გავრცელებას განათლებასა და კულტურაში, ასევე დიასპორასა და “თანამემამულეებად” მოაზრებულ სოციუმებში. საელჩოებმა მიიღეს დეტალური ინსტრუქციები აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ხოლო ცოტა მოგვიანებით რუსეთის ცივილიზაციური მისიის ხაზგასასმელად. ინსტრუქციები ასევე მოიცვდა აპელირებას “მართლმადიდებლურ ერთობასა” და ე.წ. “ტრადიციულ ღირებულებებზე”.

**თემატური კოდირება**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
ინსტიტუციური კოორდინაცია	ცენტრალიზებული კონტროლი	ლავროვმა მოახდინა რბილი ძალის სტრუქტურების კონსოლიდაცია.
იდეოლოგიური ექსპორტი	კულტურული დიპლომატია	ევრაზიული იდეები გავრცელდა განათლების, კულტურული და სპორტული ღონისძიებების, ასევე მედიის საშუალებით.
მართლმადიდებლობაზე აპელირება	რელიგიური დიპლომატია	მართლმადიდებლობა ინტეგრირებულია, როგორც ცივილიზაციური მარკერი.

### ანალიტიკური ინტერპრეტაცია:

პასუხი მიუთითებს, რომ რუსეთში რბილი ძალა იდეოლოგიური ინფრასტრუქტურის ფუნქციას ასრულებს. ნეიტრალური კულტურული დიპლომატიის ნაცვლად, საზოგადოებასთან ურთიერთობა იდენტობის პროპაგანდისა და გეოპოლიტიკური ამბიციების მორალური ლეგიტიმაციის საშუალებად იქცა.

### კონცეპტუალური იმპლიკაციები:

- რბილი ძალა იდეოლოგიურ ექსპორტის ფუნქციას ახორციელებს
- საგარეო საქმეთა სამინისტრო საზღვარგარეთ ნარატივის რეპროდუქცირებას ზედამხედველობს.
- კულტურული დიპლომატია = იდეოლოგიური დიპლომატია

**კითხვა 7: როგორ ხდებოდა იდეოლოგიური ნარატივების შექმნა - ქვემოდან ზემოთ თუ ზემოდან ქვემოთ?**

### კონდენსირებული პასუხი:

რესპონდენტი ამ საკითხში ფრიად მკაფიო და კატეგორიული იყო: ყველა იდეოლოგიური ფორმულა ზემოდან მოდის. საწყისი დისკუსიები პუტინსა და ელიტის ცალკეულ პირებს შორის მიმდინარეობს, შემდეგ კი პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეშვეობით, ხშირ შემთხვევაში ზეპირადაც, გადაეცემა საგარეო საქმეთა სამინისტროს განსახორციელებლად.

## თემატური კოდირება

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
ცენტრალიზებული ვერტიკალი	ზემოდან ქვემოთ ინიციაცია	იდეოლოგიური მითითებები პუტინის ადმინისტრაციიდან მოდის.
“სატელეფონო” მმართველობის პრაქტიკა	ვერბალური გადაცემა	გადაწყვეტილებები გადაეცემათ ახლო წრის მეშვეობით
ადმინისტრაციული მორჩილება	განხორციელების ჯაჭვი	ზოგჯერ საგარეო საქმეთა სამინისტრო მხოლოდ მითითებას ასრულებს, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის გარეშე

## ანალიტიკური ინტერპრეტაცია

იდეოლოგიური მითითებების გადაცემის მკაცრი ვერტიკალურობა პუტინის პერსონალისტური ავტოკრატის დამახასიათებელი ნიშანია.

იდეოლოგიური მითითება არა კონსულტაციების, არამედ დიქტატის შედეგია, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას და კონტროლს.

ეს ცენტრალიზაცია ზღუდავს პოლიტიკის ინოვაციას და ამყარებს დოგმას.

## კონცეპტუალური იმპლიკაციები

- იდეოლოგია ფუნქციონირებს როგორც ბრძანების ლოგიკა

- პრეზიდენტის ადმინისტრაცია მონოპოლიზაციას უკეთებს ნარატივებს
- ბიუროკრატიული დაქვემდებარება ანაცვლებს პროფესიულ ექსპერტიზას

**კითხვა 8: რა ზეგავლენა იქონიეს იდეოლოგიურმა ჩარჩოებმა დიპლომატიურ მოქნილობასა და კრიზისების მართვაზე?**

**კონდენსირებული პასუხი:**

რესპოდენტმა აღნიშნა, რომ ეს ზეგავლენა დიდი და დამაზიანებელი იყო. მისი თქმით, იდეოლოგიური ამპარტავნება ზოგ შემთხვევაში იწვევდა დიპლომატიურ სკანდალებს და აზიანებდა ურთიერთობებს. დღეს დაწინაურებულ დიპლომატთა თვალშისაცემი ნაწილი უფრო პროპაგანდისტებივით იქცევა, ვიდრე მომლაპარაკებელივით, რაც კრიზისის მოგვარებას თითქმის შეუძლებელს ხდის.

**თემატური კოდები**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
დიპლომატიური სიხისტე	იდეოლოგიური ეროგანტულობა	რიტორიკა ხელს უშლის კომპრომისს
პროფესიული დეგრადაცია	პროპაგანდისტული ქცევა	დიპლომატები მედიის ტონს ბამავენ

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
კრიზისის არასწორი მართვა	ინსტიტუციური ჩავარდნა	იდეოლოგია დიპლომატიურ კონფლიქტებს ამწვავებს

### ანალიტიკური ინტერპრეტაცია

როგორც კი იდეოლოგია პროფესიულ ქცევაზე დომინირებს, დიპლომატიის პრობლემების გადაჭრის ფუნქცია ქვეითდება.

ევრაზიულობისთვის დამახასიათებელი მორალური აბსოლუტიზმი მოლაპარაკებებს პროპაგანდისტულ ქადაგებად გარდაქმნის.

ეს იდეოლოგიური ეროგანტიზმი ხელს უწყობს ანტირუსულ განწყობებს და მის სანდოობას ამცირებს.

### კონცეპტუალური იმპლიკაციები:

- იდეოლოგია აზიანებს დიპლომატიას
- პროპაგანდა ანაცვლებს პროფესიონალიზმს
- კრიზისების მართვას მორალურ-იდეოლოგიური უხეშობა ანაცვლებს

კითხვა 9: პრაგმატული ინტერესები საბოლოოდ დაექვემდებარა იდეოლოგიას თუ ეს მხოლოდ ფასადური ექსპრესიაა?

**კონდენსირებული პასუხი:**

რესპოდენტი მიიჩნევს, რომ დღეისათვის იდეოლოგია სრულიად დომინირებს პრაგმატულ ინტერესებზე და ამის დასტურად მას უკრაინაში 2022 წლის ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის მაგალითი მოაქვს. მისი თქმით, 2022 წლის თებერვლისთვის რუსეთს უკვე ჰქონდა გავლენის საკმარისი ბერკეტები და მას შეეძლო ემართა უკრაინა საკუთარი სურვილისამებრ. მაგრამ იდეოლოგიური ამბიციებით მოტივირებულმა სრულმასშტაბიანი ინტერვენცია განახორციელა, რითაც საკუთარი პრაგმატული ინტერესები რისკის წინაშე დააყენა.

**თემატური კოდირება:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
იდეოლოგიური უზენაესობა	ლოგიკაზე მაღლა თვითდაჯერება	მნიშვნელოვანი ზიანის მიუხედავად უპირატესობა ომს ენიჭება
დაკარგული პრაგმატიზმი	თვითდაზიანების პოლიტიკა	იდეოლოგია რაციონალურ გათვლას სჯობნის
სიმბოლიზმით გაჯერებული ომი	მითიური ნარატივი	კონფლიქტი ცივილიზაციურ მისიად არის წარმოჩენილი

## ანალიტიკური ინტერპრეტაცია

2022 წელს უკრაინაში შეჭრა იდეოლოგიური მმართველობის კულმინაციაზე მეტყველებს.

ევრაზიანულმა ლოგიკამ - ერთიანობა, ბედისწერა, განსაკუთრებულობა - დაჯაბნა სტრატეგიული აზროვნება.

სახელმწიფო იდეოლოგიის მძევალი გახდა და მის სამსახურში ჩადგა.

### კონცეპტუალური იმპლიკაციები:

- იდეოლოგია ანაცვლებს სტრატეგიულ რაციონალურობას.
- სიმბოლური აქტები ანაცვლებს მატერიალურ ინტერესებს.
- რწმენაზე დაფუძნებული პოლიტიკა ეგზისტენციალურ რისკებს ქმნის.

**კითხვა 10:** რა განაპირობებს, რომ თანამედროვე დიპლომატები კვლავაც განიხილავენ ასეთ ნარატივებს, როგორც სასარგებლო ინსტრუმენტებს?

### კონდენსირებული პასუხი:

დღევანდელ დიპლომატებს, წინა თაობისგან განსხვავებით, გულწრფელად სჯერათ ამ ნარატივების. ისინი პოლიტიზებულნი მიდიან (საგარეო სამსახურში) უნივერსიტეტებიდან ან პარტია “იედინაია როსსიას” ქსელებიდან. რეპოდენტმა განსაკუთრებით გამოყო ისეთი სასწავლო დაწესებულებები, როგორიცაა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი (МГИМО), დიპლომატიური აკადემია, ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასევე აღნიშნა ცალკეული კვლევითი ინსტიტუტები, როგორიცაა საერთაშორისო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი (ИМЭМО).

რესპოდენტის თქმით, დიპლომატიური სამსახურის ასეთი გზით დაკომპლექტება უზრუნველყოფს იდეოლოგიურ უწყვეტობას. ახალგაზრდა თაობა ევრაზიანისტურ და რუსული სამყაროს კონცეფციებს სიმართლედ და არა პროპაგანდად მიიჩნევს.

**თემატური კოდები:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
ინსტიტუციური რეპროდუქცია	იდეოლოგიური კონვეირი	ლოიალური და პოლიტიზირებული საგანმანათლებლო და პარტიული რგოლებიდან დაკომპლექტება
ინტერნალიზებული რწმენა	კოგნიტური სოციალიზაცია	ახალი დიპლომატებს გულწრფელად სჯერათ იდეოლოგიური ნარატივების
მდგრადი მემკვიდრეობითობა	იდეოლოგიური თვითრეპლიკაცია	რწმენა უზრუნველყოფს რეჟიმის იდეოლოგიურ გადარჩენას

**ანალიტიკური ინტერპრეტაცია:**

პასუხი კრიტიკულ წარმოაჩენს, თუ როგორ აძლიერებს იდეოლოგიური სისტემები საკუთარ თავს.

საგარეო საქმეთა სამინისტრო არა მხოლოდ ახორციელებენ იდეოლოგიური ნარატივის აღსრულებას; ის ახდენს მის რეპლიკაციას განათლებისა და სოციალიზაციის გზით. აღნიშნული კი უზრუნველყოფს იდეოლოგიურ გამძლეობას უწყების ხელმძღვანელობის ცვლილებისგან დამოუკიდებლად.

#### **კონცეპტუალური იმპლიკაციები:**

- ინსტიტუციური თვითინდოქტრინაცია უზრუნველყოფს უწყვეტობას
- ბიუროკრატიული რწმენა ანაცვლებს იძულებას
- იდეოლოგია გადაიტანს ხელმძღვანელობის ცვლილებას

#### **ინტერპრეტაციული სინთეზი:**

ინტერვიუ A2, რომელიც ყოფილ უმაღლესი რანგის დიპლომატთან ჩატარდა, ფრიად საყურადღებო ხედვას წარმოაჩენს, თუ როგორ ფუნქციონირებდა იდეოლოგიური ნარატივები რუსეთის დიპლომატიურ სისტემაში. რესპონდენტის მონათხრობი ავლენს არა მხოლოდ ბიუროკრატიულ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ცივილიზაციური და ევრაზიული ენა დიპლომატიურ პრაქტიკაში ინტეგრირდა, არამედ პრაგმატიზმსა და იდეოლოგიას შორის ცვალებად ბალანსს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. მისი მონათხრობი დეტალურ ხედვას იძლევა საგარეო საქმეთა სამინისტროს თანდათანობითი ტრანსფორმაციის შესახებ - რეალისტური ლოგიკით მოქმედი ტექნოკრატიული ინსტიტუტიდან იდეოლოგიური დღის წესრიგისადმი სულ უფრო დაქვემდებარებულ უწყებად.

დიპლომატის პასუხებიდან გამომდინარე, ევრაზიული რიტორიკის ოფიციალურ დისკურსში ინტეგრაცია ნაკლებად იყო ამ იდეოლოგიისადმი

სპონტანური რწმენის საკითხი და უფრო მეტად ინსტიტუციური თანხვედრის პროდუქტს წარმოადგენდა. რესპოდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არცერთი ფორმალური ინსტრუქცია არ მოითხოვდა დიპლომატებისგან „ვერაზიულობის გამოყენებას“, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისეთი ტერმინები, როგორცაა ცივილიზაციური სუვერენიტეტი, მულტიპოლარობა, რუსული სამყარო და სხვ., სტრატეგიულ დოკუმენტებში, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის კონცეფციასა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში აისახა, მათი გამოყენება სავალდებულო გახდა. ამგვარად, იდეოლოგია დიპლომატიაში არა პირდაპირი ინდოქტრინაციის, არამედ ადმინისტრაციული რუტინიზაციის გზით შევიდა: პროცესი, რომლის დროსაც ოფიციალური დოკუმენტები, სიტყვათა შაბლონები და სასაუბრო თემები ფარულად კოდირებდნენ იდეოლოგიურ შინაარსს საერთაშორისო კომუნიკაციის ყოველდღიურ ენაში. ინსტიტუციონალიზაციის შემდეგ, ეს ტერმინები კრემლის მსოფლმხედველობისადმი ერთგულების მარკერებად იქცა.

რესპოდენტი გარდამტეხ მომენტად მიიჩნევს პუტინის პირადი იდეოლოგიური შეხედულებების პოლიტიკური იმპერატივების სახით კოდიფიცირებას. პირველი ორი საპრეზიდენტო ვადის დროს, საგარეო საქმეთა სამინისტრო მოქმედებდა პრაგმატული საგარეო პოლიტიკის მოდელის მიხედვით, რომელიც აბალანსებდა იდეოლოგიურ რიტორიკასა და სტრატეგიულ მოქნილობასთან. დიპლომატებმა იცოდნენ რეჟიმის იდეოლოგიური მისწრაფებების შესახებ, მაგრამ დიპლომატიურ პორცესში შეეძლოთ მათი რიტორიკულად მართვა. თუმცა, პუტინის პრეზიდენტად დაბრუნების შემდეგ 2012 წელს, ეს ბალანსი დაირღვა. იდეოლოგიურმა ენამ ნაბიჯ-ნაბიჯ დაიმკვიდრა დიპლომატიური ქცევის წარმმართველი არსებითი ჩარჩოს ფუნქცია. კრემლის გზავნილები დიპლომატიისთვის სავალდებულო “ცივილიზაციურ დოქტრინად” იქცა. რესპოდენტი მიუთითებს, რომ ეს ცვლილება ასახავდა ძალაუფლების უფრო ფართო ცენტრალიზაციას - პროცესს, რომლის მეშვეობითაც საგარეო პოლიტიკა იდეოლოგიური აღსრულების ინსტრუმენტად გადაიქცა.

ინტერვიუ ასევე ავლენს ამ ტრანსფორმაციის ფსიქოლოგიურ და პროფესიულ შედეგებს. რესპონდენტმა აღწერა განსხვავება დიპლომატთა იმ თაობას შორის რომელიც პუტინს დახვდა - თაობა, რომელიც ძირითადად პრაგმატული პროფესიონალებისგან შედგებოდა, რომლებიც იძულებით ერგებოდნენ იდეოლოგიურ მოთხოვნებს, თუმცა ცდილობდნენ დიპლომატიური სტანდარტების შენარჩუნებას და იდეოლოგიზებული ჩინოვნიკების ახალ თაობას შორის, რომელიც საგარეო სისტემაში 2010-იანი წლებიდან აქტიურად დასაქმდა, და პოლიტიზირებული განათლებითა და პროპაგანდით იყო გაჯერებული. გამოცდილი დიპლომატები, რომლებიც ცდილობდნენ პროფესიული ეთიკის იდეოლოგიურ მოლოდინებთან შეთავსებას, ან შეეგუვნენ სისტემას, ან უხმაუროდ გადადგნენ. ვინც დარჩა, ისწავლეს ევრაზიულობის „რწმენის შესრულება“ თავიანთი პოზიციების შესანარჩუნებლად. ამასობაში, ახალგაზრდა თაობა, რომლებიც ძირითადად დაკომპლექტდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ინსტიტუტებიდან (MGIMO და დიპლომატიური აკადემია) და რუსეთის წამყვანი უნივერსიტეტებიდან (ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი) ან “იედინნაია როსსიას” პოლიტიკური სტრუქტურებიდან, უკვე ჰარმონიზირებულნი იყვნენ რეჟიმის იდეოლოგიურ აზროვნებასთან. მათთვის ევრაზიულობა იყო არა რიტორიკა, არამედ რეალობა - მსოფლიოში რუსეთის განსაკუთრებული მისიის მორალური საფუძველი. რესპონდენტის თქმით, ამ თაობათა ცვლილებამ საგარეო საქმეთა სამინისტრო პრაგმატული ბიუროკრატიიდან მისიონერულ აპარატად აქცია, რომელიც დაკომპლექტებულია იმ პირებით, რომლებიც ნამდვილად იზიარებენ ევრაზიულ-ცივილიზაციურ მსოფლომხედველობას.

განსაკუთრებით საგულისხმოა დიპლომატის მონათხრობი იმის შესახებ, თუ როგორ ქმნიდა ევრაზიისტული ნარატივები კრიზისების დიპლომატიას. საქართველოში სამხედრო აგრესიის (2008), ყირიმის ანექსიასა (2014) და უკრაინაში ინტერვენციასთან (2022) დაკავშირებული დიპლომატიური აქტივობები აშკარად იდეოლოგიზირებული გახდა. საზღვარგარეთ თანამემამულეების, სუვერენული

ცივილიზაციისა და რუსეთის პრივილეგირებული ინტერესების დაცვის ენა სისტემატურად რეპროდუცირდებოდა დიპლომატიურ მიმოწერაში, პრესრელიზებსა და საერთაშორისო განცხადებებში. ეს ნარატივები იძლეოდა საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო ქმედებების დისკურსიულ გამართლებას, რაც რუს ჩინოვნიკებს საშუალებას აძლევდა აგრესია აუცილებლობად წარმოეჩინათ, ხოლო ექსპანსიონიზმი - თავდაცვად.

რესპონდენტის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოსაზრება ეხება კულტურული დიპლომატიის ინსტიტუციონალიზაციას და პოლიტიზირებას. ისეთი უწყებები, როგორცაა „როსსოტრუდნიჩესტვო“, ფონდი „რუსკი მირ“, გორჩაკოვის ფონდი და საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურული ერთეულები უშუალოდ სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მოექცნენ, რამაც ტრადიციული რბილი ძალის იდეოლოგიურ გზავნილებთან შერწყმა განაპირობა. ეს ადმინისტრაციული ინტეგრაცია ნიშნავდა, რომ კულტურა, განათლება და რელიგია განიხილებოდა, როგორც საგარეო პოლიტიკის გაგრძელება - არა როგორც ურთიერთგაგების ხიდეები, არამედ როგორც რუსული სამყაროს ნარატივის გავრცელების ინსტრუმენტები. სახალხო დიპლომატია, რომელიც ოდესღაც დიალოგთან ასოცირდებოდა, ევრაზიულ-ცივილიზაციური ნარატივების დამკვიდრების მექანიზმად გარდაიქმნა, რაც აძლიერებდა რუსეთის, როგორც ევრაზიის სულიერი და კულტურული ცენტრის იმიჯს.

აღნიშნული ინტერვიუ წარმოაჩენს, თუ როგორ გადაიქცა ევრაზიონიზმი დისკურსიული რესურსიდან ოპერაციულ ჩარჩოდ, რამაც დიპლომატიას პრაგმატიზმისა და კრიზისების მართვის შესაძლებლობები შეუზღუდა. რესპონდენტის მონათხრობი ერთგვარ პარადოქსსაც ასახავს - იდეოლოგიური სისტემა, რომელიც მოითხოვს სრულ დათანხმებასა და მორჩილებას, მაშინაც კი, როდესაც აღნიშნული პრაგმატულ ინტერესებს აზიანებს. დიპლომატია, რომელიც ოდესღაც ნარატივსა და მოლაპარაკებას შორის დაბალანსების აქტი იყო, გახდა სცენა,

რომელზეც სახელმწიფო საკუთარ მითოლოგიას ასრულებს. შედეგად, როგორც რესპონდენტმა აღნიშნა, დიპლომატიური კორპუსი რუსეთის იდეოლოგიური ნარატივების “საგარეო პროპაგანდის რუპორად” იქცა. შესაბამისად ეს ინტერვიუ აძლიერებს დისერტაციის ერთ-ერთ ცენტრალურ ანალიტიკურ მტკიცებას: რომ ევრაზიულობა ფუნქციონირებს არა მხოლოდ როგორც საგარეო პოლიტიკის დოქტრინა, არამედ როგორც სახელმწიფო ქცევის ორგანიზების პრინციპი, რომელიც აყალიბებს პერსონალის შერჩევას, ინსტიტუციურ კულტურას და სტრატეგიულ კომუნიკაციას.

### **ინტერვიუ A3**

რესპოდენტი A3 – წარსულში მაღალი რანგის რუსი საჯარო მოხელე

ინტერვიუ გაიმართა 2025 წლის ოქტომბერში, პირისპირ, რესპოდენტის სრული ანონიმურობის დაცვით

ინტერვიუს ენა - რუსული, ქართულად თარგმნილია ავტორის მიერ

ხანგრძლივობა - 135 წთ.

ინტერვიუ A3 ჩატარდა ყოფილ მაღალი რანგის რუს საჯარო მოხელესთან, რომელსაც სამსახურეობრივი შეხება ჰქონდა რუსეთის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან და თავად ვ. პუტინთან. დისკუსია ფოკუსირებული იყო სახელმწიფო აპარატის აღმასრულებელ შტოში ევრაზიონისტული და რუსულოცენტრული ნარატივების სტრატეგიულ ინტეგრაციასა და ოპერაციონალიზაციაზე.

ქვემოთ მოცემული ყველა ციტატა ანონიმურია და პერიფრაზირებულია ანონიმურ და მგრძნობიარე პოლიტიკურ მასალასთან დაკავშირებული ინტერვიუების კვლევითი ეთიკის შესაბამისად.

რესპოდენტი სრულად იყო ინფორმირებული ინტერვიუს მიზნის, კვლევის შინაარსისა და დანიშნულების შესახებ.

**კითხვა 1:** როგორ მოხვდა ევრაზიული კონცეფცია დამკვიდრება ისეთ ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტებში, როგორცაა საგარეო პოლიტიკის კონცეფცია ან ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია?

**კონდენსირებული პასუხი:**

რესპოდენტმა აღნიშნა, რომ ევრაზიისტული იდეები ეტაპობრივად ინერგებოდა და არა ბრძანებით. პუტინს პირადად სჯეროდა და იზიარებდა ევრაზიონიზმის იდეების უმეტესობას და თავის უახლოეს გარემოცვაშიც მსგავსი აზროვნების ადამიანები შემოიკრიბა. ისეთი თემები, როგორცაა მულტიპოლარობა, სუვერენული დემოკრატია, რუსეთის მისია და სხვ. თავდაპირველად სატესტო სიგნალების სახით გამოჩნდა, რომელთაგან თითოეულის კალიბრაცია ხდებოდა როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო რეაქციით. როგორც კი ეს იდეები მოითელა და გაირკვა შიდა და გარე აუდიტორიის რეაქცია, დაიწყო მათი ინსტიტუციონალიზაცია. გარდამტეხი მომენტები იყო 2007 წლის მიუნხენის გამოსვლა და 2008 წლის ომი საქართველოში, რამაც დასავლეთის დაბალი ქმედუნარიანობა აჩვენა. ამ მომენტიდან ხდება ევრაზიონისტული მსოფლმხედველობის კოდიფიცირებული სტრატეგიულ დოკუმენტებში, ჯერ ირიბად, შემდეგ კი აშკარად.

**თემატური კოდები:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
------	------------------	-------------------

ეტაპობრივი ინტეგრაცია	ინკრემენტული ინსტიტუციონალიზაცია	“ერთ დღეში არ მომხდარა... პუტინმა ეტაპობრივად წახალისა და განახორციელა ეს იდეები.“
ლიდერის ფაქტორი	პუტინის პირადი რწმენები და ავტორობა	„პუტინს პირადად სჯეროდა ამ იდეების.“
კონტროლირებადი დიფუზია	მმართველობის ვიწრო წრე	„პროცესს სანდო პირების მცირე წრე მართავდა.“

### ანალიტიკური ინტერპრეტაცია

იდეოლოგია პოლიტიკაში ინტეგრირდა კონტროლირებადი, განმეორებადი ჩანერგვების გზით და არა ერთიანი, მყისიერი განცხადებით. ლიდერის რწმენა ავტორიზაციას უზრუნველყოფდა, ხოლო ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული რუტინა ლექსიკას დოქტრინად გარდაქმნიდა.

### კონცეპტუალური იმპლიკაციები:

- თანდათანობითი ადაპტაცია იდეოლოგიას ბიუროკრატიულად „ნორმალურს“ ხდის.
- ლიდერის პირადი რწმენა კოდიფიკაციის ლეგიტიმაციას ახდენს.
- დოკუმენტებში ასახვა დისკურსს, როგორც პოლიტიკად აქცევს.

კითხვა 2: რომელი აქტორები (პრეზიდენტის ადმინისტრაციის, უშიშროების საბჭოს, ექსპერტთა საზოგადოების თუ სხვა სოციუმის რომელი წევრები) უწყობდნენ ხელს ამ აზროვნების განვითარებას და რა მიზნით?

**კონდენსირებული პასუხი**

ძირითად მიმართულებას პუტინი და მის ირგვლივ ვიწრო წრე განსაზღვრავდა. მათი იდეების მეცნიერულად დასამუშავებლად მობილიზირებულნი იყვნენ ექსპერტებიც. რესპოდენტმა ხაზი გასუსვა პუტინის პირად პატივისცემას გუმბილიოვის შრომებისადმი. “ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც პუტინი ვინმეს პირაპირ ციტირებს” - აღნიშნა რესპოდენტმა. მან ხაზგასმით აღნიშნა ვ. სურკოვის აქტიური წვლილი, ასევე ა. დუგინის და ს. კარაგანოვის როლი. რესპოდენტის თქმით აკადემიური წრეები (MGIMO, IMEMO, მეცნიერებათა აკადემია) პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაკვეთით ჩართულნი იდეების დამუშავებასა და პოლიტიკის ენაზე გარდაქმნაში. საბოლოო ჯამში, ყველაფერი რეჟიმის განმტკიცებას და შიდა და გარე ასპარეზზე ქმედებების ლეგიტიმაციას, თავდაჯერებულობისა და ზოგადად პოზიციების გამყარებას ემსახურებოდა.

**თემატური კოდირება**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
ცენტრალიზებული ავტორობა	პრეზიდენტის გუნდის დომინანტობა	„ყველაფერი პუტინის გარემოცვაში, ძალიან ვიწრო წრეში მუშავდებოდა.“

ექსპერტების კოოპტაცია	სახელმწიფო დაკვეთები	„იდების დამუშავებაში მეცნიერები და ექსპერტები იყვნენ ჩართულნი.“
ლეგიტიმაციის მიზანი	იდეოლოგიის პოლიტიკური სარგებლიანობა	„მიზანი იდეოლოგიური ლეგიტიმაციის შექმნა იყო.“

**ანალიტიკური ინტერპრეტაცია:**

იდეოლოგიური რეპროდუქცირება ძალაუფლების ვერტიკალს მიჰყვებოდა: იდეები ხელისუფლების უმაღლესი ეშელონიდან მომდინარეობდა და შემდეგ იხვეწებოდა მოწვეული ექსპერტების მიერ. მეცნიერული ცოდნა წინასწარ დასახული პოლიტიკური მიზნების რაციონალიზაციას ემსახურებოდა.

**კონცეპტუალური იმპლიკაციები:**

- იდეოლოგიური კრეატიულობა იერარქიას ემორჩილება
- ექსპერტები ლეგიტიმაციის ფუნქციას ასრულებენ
- ცოდნის გენერირების გზა ცენტრალიზებულ პოლიტიკას წარმოაჩენს

**კითხვა 3: როგორ იყო ბალანსი იდეოლოგიურ ნარატივებსა და რეალისტურ მიდგომას შორის?**

**კონდენსირებული პასუხი:**

2022 წლამდე (იგულისხმება უკრაინაში შეჭრა) პუტინი პრაგმატულ რეალიზმს ინარჩუნებდა და იდეოლოგიას საფარად იყენებდა. მაგალითად ისეთი ნაბიჯები, როგორც ომი საქართველოში (2008), ყირიმის ანექსია (2014) „გონივრულ და გათვლის“

რისკებს“ წარმოადგენდა , მაგრამ შემდგომ იდეოლოგიამ პრაგმატიზმს სძლია და 2022 წლისთვის იდეოლოგიამ არჩევანის კარნახი დაიწყო.

**თემატური კოდები:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
ინსტრუმენტული რეალიზმი	იდეოლოგია, როგორც საფარი	პუტინი ყოველთვის რეალისტი იყო და ითვლიდა რისკებს
რისკის კალიბრაცია	გაზომილი ოპორტუნიზმი	2022 წლამდე მოქმედებებს „გონივრული რისკის“ ლოგიკა წარმართავდა.
დოგმატური შემობრუნება	იდეოლოგიის პრიმატი 2022 წლის შემდეგ	„2022 წლის შემდეგ... პრაგმატიზმი იდეოლოგიამ ჩაანაცვლა“.

**ანალიტიკური ინტერპრეტაცია:**

ადრეული პუტინიზმი რისკების, დანაკარგისა და სარგებლის კალკულაციის პრაგმატულ სტრატეგიას ცივილიზაციურ რიტორიკასთან აერთიანებდა. 2022 წელს უკრაინაში შეჭრა ის გარდამტეხი პერიოდია, როდესაც იდეოლოგიურმა ნარატივმა სტრატეგიის მართვა დაიწყო.

**კონცეპტუალური იმპლიკაციები:**

- იდეოლოგია თავდაპირველად რეალისტურ მიზნების ლეგიტიმაციას ახდენდა
- 2022 წელს უკრაინაში შეჭრიდან დისკურსი ქმედებების ჩარჩოდ გარდაიქმნა
- პრაგმატული ადაპტაციას დოქტრინული ფიქსაცია ანაცვლებს

**კითხვა 4: როგორ იქნა გამოიყენებული ევრაზიონიზმი 2008 წლის საქართველოსთან ომის, 2014 წელს ყირიმის ანექსიის და 2022 წელს უკრაინაში სრულმასშტაბიანი ინტერვენციის შემთხვევებში?**

**კონდენსირებული პასუხი:**

რესპონდენტმა განაცხადა, რომ სამივე შემთხვევა გამართლებული იქნა თანამემამულეების დაცვის, ისტორიული სამართლიანობისა და ცივილიზაციური ნარატივებით. საქართველოს შემთხვევაში ოპერაციის მომზადებისას იდეოლოგიური ნარატივები გამზადებული იყო, მაგრამ საჯარო სივრცეში ისინი წინსწრებით არ ამოქმედებულა, ფართო საზოგადოებისთვის ისინი პოსტ-ფაქტუმ ამუშავდა. სამაგიეროდ ყირიმის ანექსიასა და 2022 წელის ინტერვენციას წინ უძღოდა საჯარო პროპაგანდა და ფონის შემზადება. მთლიანობაში იდეოლოგია სამივე შემთხვევაში მუშაობდა, ზოგან ღიად, ზოგან ფარულად და ამ ნარატივებით მართლდებოდა პასპორტიზაცია (საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ყირიმშიც), სამართლებრივი ნაბიჯები, საინფორმაციო კამპანიები და დიპლომატიური აქტივობები.

**თემატური კოდები:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
------	------------------	-------------------

პოსტ-ფაქტუმ ლეგიტიმაცია	აგრესიის მორალური სახის კონსტრუირება	ყირიმის ანექსია წარმოდგენილი იყო, როგორც რუსული მიწის „სახლში დაბრუნდება“.
წინმსწრები სცენარების შექმნა	ნარატივები ქმედებებამდე	„იდეოლოგიური მომზადება ყოველთვის წინ უძღოდა მნიშვნელოვან ნაბიჯებს“.
იდეოლოგიური დოქტრინები (თანამემამულეები, ისტორიული სამართლიანობა, ცივილიზაცია)	დაცვითი ღინისძიებების განხორციელების დასაბუთება	„იდეოლოგიური საკრალური მიზნები ამართლებდა ჩარევებს“.

**ანალიტიკური ინტერპრეტაცია:**

ევრაზიონიზმი იძულებას თავდაცვად გარდაქმნის, ხოლო ექსპანსიას - ცივილიზაციურ აღდგენად. ნარატივის არქიტექტურა ასრულებს როგორც მოსამზადებელი სცენარია, ასევე რეტროაქტიული ფარის ფუნქციას.

**კონცეპტუალური იმპლიკაციები:**

- იდეოლოგიური ჩარჩოები ტერიტორიული რევიზიონიზმის ნორმალიზებას ახდენს
- სტრატეგიული კომუნიკაციები ინტეგრირებულია დაგეგმვასთან
- ცივილიზაციური დაცვის მეტაფორები აგრესორის და დამცველის როლებს ცვლის

კითხვა 5: ეს კონცეფციები ინსტრუმენტალიზდა გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ, თუ მათ რეალურად სახელმძღვანელო როლი ჰქონდათ? რომელი ფუნქცია იყო უპირატესი?

კონდენსირებული პასუხი:

რესპოდენტის თქმით, ორივე ფუნქცია მნიშვნელოვანი იყო და მათი მონაცვლეობა კონკრეტულ სიტუაციაზე იყო დამოკიდებული. საქართველოს შემთხვევაში ძირითადად პოსტ-ფაქტუმ ლეგიტიმაცია უფრო მნიშვნელოვანი იყო. უკრაინის შემთხვევაში კი ორივე ფუნქცია თანაბარი ძალით ამოქმედდა.

თემატური კოდირება:

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტატა
დუალისტური ფუნქცია	ინსტრუმენტები და ჩარჩო	საქართველოს შემთხვევაში ლეგიტიმაცია; უკრაინის შემთხვევაში-სახელმძღვანელო “
ოპერაციული მომზადება	წინასწარ შექმნილი ნარატივების ნაკრებები	„საინფორმაციო კამპანიები ყოველთვის მზად იყო.“
დოქტრინალური მილიტარიზაცია	რწმენის ჩამოყალიბება არმიაში/პოლიტიკაში	„ჯარისკაცებიც კი იდეოლოგიურად იყვნენ მომზადებულები.“

ანალიტიკური ინტერპრეტაცია:

იდეოლოგია ციკლურად მოქმედებს: თავდაპირველად, როგორც გეგმა, შემდეგ კი, როგორც გამართლება. მისი ინსტრუმენტული და შემადგენელი როლები ფართომასშტაბიან ოპერაციებში ერთმანეთს ერწყმის.

**კონცეპტუალური იმპლიკაციები:**

- დოქტრინა ხელს უწყობს დაგეგმვას, რიტორიკა კი - თანხმობას/მიმდებლობას
- ოპერატიული ნარატივები სინქრონიზირებულია როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ აუდიტორიასთან
- რწმენის/იდეოლოგიის კონსტრუქციები ყველაზე აქტურად მაღალი რისკის მატარებელ გადაწყვეტილებების მიღებისას გამოიყენება

**კითხვა 6: როგორ გამოიყენა კრემლმა ევრაზიონიზმი, როგორც კომუნიკაციური და სიმბოლური ჩარჩო, პოსტსაბჭოთა სივრცეში რეგიონული ლიდერობის დასამკვიდრებლად?**

**კონდენსირებული პასუხი:**

რესპოდენტის თქმით, გამოყენება ხდებოდა სრულიად შეგნებულად, განზრახულად და კარგად გათვლილი ქმედებებით, განსაკუთრებით ქვეყნის შიგნით ძალაუფლების კონსოლიდაციის შემდეგ. ევრაზიონიზმი რეგიონული პოლიტიკის ბირთვად იქცა: გამოსვლები, დიპლომატიური არხები და კულტურული პროგრამები რუსეთის ცენტრალურ ცივილიზაციურ როლს ამყარებდა.

**თემატური კოდირება:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
------	------------------	-------------------

სტრატეგიული ბრენდინგი	იდეოლოგია, როგორც გავლენის არქიტექტურა	„ყველაფერი შეგნებულად და გეგმაზომიერად გაკეთდა.“
რეგიონური ლიდერობა	რუსული იმპერიის იდენტობის პრეტენზია	ევრაზიულობა სწორი კონცეფციაა რუსეთის აღზევებისთვის - “Make Russia great again”
ფრთხილი ესკალაცია	კალიბრირებული დანერგვა	„წინასწარგანზრახულად, მაგრამ ფრთხილად.“

**ანალიტიკური ინტერპრეტაცია:**

ევრაზიონიზმი მოქმედებს როგორც ბრენდი, რომელიც აერთიანებს ხისტი და რბილი ძალის ინსტრუმენტებს, ხოლო სხვა ქვეყნებზე გავლენის მოპოვების ამბიციებს კულტურული ერთიანობის პრეტენზიებად წარმოაჩენს.

**კონცეპტუალური ინტერპრეტაცია**

- ცივილიზაციური ენა ნიღბავს გეოპოლიტიკური ამბიციების კონსოლიდაციას
- გავლენის ოპერაციები იდეოლოგიას ნარატივებს რუტინად აქცევს
- კალიბრირებული რიტორიკა საერთაშორისო ტოლერანტობას ამოწმებს

**კითხვა 7:** რა მექანიზმი უზრუნველყოფდა ნარატივის თანხვედრის კოორდინაციას ადმინისტრაციაში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, სხვა უწყებებსა და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად მედიაში?

**კონდენსირებული პასუხი:**

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში კონცენტრირებული ვერტიკალი უზრუნველყოფდა ასეთი თანხვედრის კოორდინაციას, უშიშროების საბჭოს ზედამხედველობით. კონკრეტული პროექტები (მაგ. „ტრადიციული ღირებულებების“ დაცვის ღონისძიებები და სხვ) ფინანსდებოდა ოლიგარქების მიერ, რაც ხელს უწყობდა ბიუროკრატის, მედიისა და ბიზნესის კოორდინირებულ ქმედებებს.

**თემატური კოდირება:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
ვერტიკალური კონტროლი	ნარატივებზე ცენტრალიზებული ზედამხედველობა	„იდეოლოგიური ღირებულებების შესრულება კრემლის ზედამხედველობის ქვეშ იყო.“
სექტორებშორისი შერწყმა	სახელმწიფო-ბიზნესი-მედიის კავშირი	„ოლიგარქები იდეოლოგიურ ღონისძიებებსა და კამპანიებს აფინანსებდნენ.“
ინსტიტუციური ინტეგრაცია	ერთიანი სახელმწიფო საქმიანობა	„იდეოლოგია მთელი სახელმწიფოს საქმედ იქცა.“

**ანალიტიკური ინტერპრეტაცია:**

ნარატივის იმპლემენტაციეზე ზედამხედველობა ხდებოდა იერარქიული ბრძანებისა და რესურსების მობილიზაციის გზით, რაც უზრუნველყოფს კოორდინაციას ინსტიტუტებსა და არხებს შორის.

**კონცეპტუალური იმპლიკაციები:**

- ადმინისტრაციული ზედამხედველობა ანაცვლებს სპონტანურობას.
- ფინანსური პატრონაჟი უზრუნველყოფს იდეოლოგიური ნარატივების მდგრად გავრცელებას
- კოორდინაცია ქმნის ნარატივების გავრცელების წესრიგს

**კითხვა 8: როგორი იყო ამ ნარატივების ოპერატიული მნიშვნელობა საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების სისტემის სპეციალისტებისთვის?**

**კონდენსირებული პასუხი:**

ბიუროკრატიის ძველი ელიტებისთვის თავდაპირველად სიმბოლური იყო, ახლებზე კი უფრო ეფექტურად მოქმედებდა და მათ ინსპირაციას განაპირობებდა. დროთა განმავლობაში თაობათა ურთიერთქმედებამ წარმოშვა ჩინოვნიკთა ახალი კატეგორია, რომლებიც ევრაზიულობას სტრატეგიულ ჭეშმარიტებად აღიქვამენ და არა რიტორიკულ საფარად.

**თემატური კოდირება:**

თემა	ანალიტიკური კოდები	მაგალითი/ციტირება
------	--------------------	-------------------

თაობათაშორის სხვაობა	პრაგმატიკები VS იდეური ენტუზიასტები	„ძველი ელიტები იდეოლოგიას ინსტრუმენტად იყენებდნენ, ახლებს სწამთ
ინსტიტუციური სოციალიზაცია	განათლების/ტრენინგის არხები	პუტინის შექმნილი იდეოლოგიურ სისტემით განათლება მიღებულივინა, “ეს იდეოლოგია შეისიხლხორცეს”
რწმენა ოპერაციული დონეზე	დოქტრინა, როგორც პრაქტიკა	„იდეოლოგია ახლა განსაზღვრავს ბიუროკრატიული და უსაფრთხოების ლოგიკას“

**ანალიტიკური ინტერპრეტაცია:**

ბიუროკრატიული კონტინგენტის ცვლილების შედეგად ნარატივებისადმი რწმენის ზეგავლენა ბიუროკრატიაზე გაიზარდა. იდეოლოგია დისკურსული რესურსიდან ოპერაციულ აზროვნებად გარდაქმნა.

**კონცეპტუალური იმპლიკაციები:**

- კადრების ფორმირება უზრუნველყოფს იდეოლოგიურ მემკვიდრეობას
- დოქტრინამ პროფესიული იდენტობის პერეფორმირება მოახდინა
- სიმბოლიკის ენა კოგნიტურ არქიტექტურად იქცა.

**კითხვა 9: რა როლი აქვს ევრაზიონიზმს რუსეთისა და ჩინეთის პარტნიორობისა და „დიდი ევრაზიული“ სივრცის კონცეფციაში?**

**კონდენსირებული პასუხი:**

ევრაზიონიზმს რუსეთი იყენებს ჩინეთთან სიმბოლიკურ-ცივილიზაციური პარიტეტის უზრუნველყოფად, საკუთარი როლის აღმოსავლეთსა და დასავლეთის “დამაკავშირებელ სივრცედ” და გამორჩეული ცივილიზაციური პოლუსად წარმოჩენით. ევრაზიულმა ეკონომიკურმა კავშირის შექმნამ გააძლიერა სტატუსის პრეტენზიები.

**თემატური კოდირება:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
სტატუსის პოზიციონირება	ჩინეთთან პარიტეტის ნარატივი	„ევრაზიონიზმმა რუსეთს შესთავაზა გზა, რომ საკუთარი თავი ჩინეთის მინიმუმ თანასწორად წარმოეჩინა.“
დამაკავშირებელი სივრცის მეტაფორა	ცივილიზაციური მედიაცია	„თქვენსა და მათ (დასავლეთს) შორის ჩვენ ვართ... ჩვენ ვართ ცივილიზაცია.“
ინსტიტუციური ბერკეტი	ევრაზიული კავშირი, როგორც ინსტრუმენტი	„გაზარდა რუსეთის ავტორიტეტი“

**ანალიტიკურტი ინტერპრეტაცია:**

იდეოლოგია სტრუქტურულ ასიმეტრიას პრესტიჟულ სცენარად წარმოაჩენს, რაც რუსეთს საშუალებას აძლევს, კონტინენტურ და მსოფლიო წესრიგში ძირითადი თანაარქიტექტორის სტატუსი მოითხოვოს.

**კონცეპტუალური იმპლიკაციები:**

- ცივილიზაციური ჩარჩოები აძლიერებს სტატუსისკენ სწრაფვას
- ინსტიტუტები აძლიერებენ სიმბოლიკურ ბერკეტებს
- ნარატივები ამსუბუქებენ დამოკიდებულების ოპტიკას

**კითხვა 10:** რა ალტერნატიული იდეოლოგიური ინსტრუმენტებით ან ლეგიტიმაციის ნარატივებით შეიძლება ჩაანაცვლდეს ევრაზიონიზმი რუსეთის საგარეო პოლიტიკურ დისკურსში?

**კონდენსირებული პასუხი:**

რესპონდენტს ეჭვი ეპარებოდა რაიმე დაუყოვნებლივ ჩანაცვლებაში. ევრაზიულობა-სლავიზმის სინთეზი ახალმა თაობებმა სკოლის, მედიისა და კულტურის მეშვეობით აითვისეს. რეჟიმის შეცვლაც კი, სავარაუდოდ, იდეოლოგიურ სუბსტრატს დატოვებს.

**თემატური კოდირება:**

თემა	ანალიტიკური კოდი	მაგალითი/ციტირება
იდეოლოგიური განმტკიცება	თაობათა ინდოქტრინაცია	„თაობები ამ იდეოლოგიით იზრდებიან და ვითარდებიან“

კულტურული მდგრადობა	სოციალური ინტერნალიზაცია	სკოლამდელი ასაკიდან უნივერსიტეტის ჩათვლით მათი უწყვეტი ინდოქტრინაცია მიმდინარეობს
ალტერნატივების არარსებობა	კოგნიტური ჩაკეტილობა	„ამ იდეოლოგიის შეცვლა უახლოეს მომავალში შეუძლებელია.“

**ანალიტიკური ინტერპრეტაცია:**

ევრაზიონიზმი ფუნქციონირებს, როგორც ჰეგემონური მსოფლმხედველობა, რომელიც რეპროდუცირდება ინსტიტუტების მეშვეობით. მისი ჩანაცვლებამოითხოვს გრძელვადიან კოგნიტურ და კულტურულ ცვლილებებს და არა მხოლოდ მმართველის ცვლას.

**კონცეპტუალური იმპლიკაციები:**

- მდგრადობას განაპირობებს სოციალიზაცია და არა ბრძანება
- რწმენით-იდეოლოგიურ დონეზე რეჟიმის მდგრადობა სრულიად შესაძლებელია
- იდეოლოგიური დეკონსტრუქცია თაობათაშორისი სახის მატარებელი იქნება

**ინტერპრეტაციული სინთეზი**

მესამე ინტერვიუ (A3) აღწერს ევრაზიანელობის, როგორც პუტინის პერიოდის სახელმწიფო დოქტრინის, ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ, კომპლექსურ და თანმიმდევრულ ინტერპრეტაციას. რესპონდენტის, მაღალი რანგის გამოცდილი საჯარო მოხელის, თვალთახედვა აერთიანებს ინსაიდერულ ინფორმატულობას რეფლექსიასთან. მისი მონათხრობი ევრაზიონიზმის ევოლუციას რუსული

იდეოლოგიური პოლიტიკის უფრო ფართო კონტინუუმში ათავსებს, ხაზს უსვამს მის ეტაპობრივ ინსტიტუციონალიზაციას, იდეების ბიუროკრატიულ მართვას და საზოგადოების ინტერნალიზაციას. პუტინიზმის იმპულსურ ან პიროვნულად განპირობებულ პოპულისტურ ინტერპრეტაციასთან შედარებით, რესპონდენტი მას იდეოლოგიური ინჟინერიის გათვლილ პროცესად წარმოაჩენს: გრძელვადიან პროექტს, რომლის დროსაც ცივილიზაციური ენა თანდათანობით კოდიფიცირდა სახელმწიფოებრივ ლექსიკაში.

რესპონდენტმა ევრაზიული იდეების ფორმალურ სტრატეგიულ დოკუმენტებში (საგარეო პოლიტიკის კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია) ინტეგრაცია აღწერა, როგორც ინკრემენტული და ტაქტიკური. ისეთი კონცეფციები, როგორცაა მრავალპოლარობა, ცივილიზაციური სუვერენიტეტი და სუვერენული დემოკრატია, თავდაპირველად შემოღებულ იქნა როგორც საცდელი ტერმინები, რომელთა საშუალებითაც გამოიცდებოდა თუ რამდენად შორს შეეძლო რუსეთს იდეოლოგიური საზღვრების გაფართოება მძიმე უკურეაქციის პროვოცირების გარეშე. თითოეული ნაბიჯი - ჩეჩნეთის ომი, მიუნჰენის გამოსვლა, საქართველოში აგრესია, ყირიმის ანექსია - ერთდროულად ექსპერიმენტსაც და იდეოლოგიური ნარატივის ემედიოზის დადასტურებასაც წარმოადგენდა. ის, რაც „რბილი“, იდეოლოგიური ენით დაიწყო, „მკაცრ“ სტრატეგიულ იდენტობად გადაიქცა მას შემდეგ, რაც პუტინი დარწმუნდა დასავლეთის ზედმეტ ტოლერანტობასა და რუსეთის დაუსჯელად მოქმედების უნარში. აღნიშნული წარმოაჩენს იდეოლოგიური ლეგიტიმაციის იტერაციულ მექანიზმს, სადაც საგარეო პოლიტიკის შედეგები რეტროაქტიულად ამართლებდა დოქტრინის გაღრმავებას.

ამ ევოლუციის ბიუროკრატიული დინამიკის ახსნისას, რესპონდენტმა აღწერა იდეოლოგიური კოორდინაციის უაღრესად ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც დაფუძნებული იყო პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და უშიშროების საბჭოზე. ბრძანებები და მითითებები ზემოდან მოდიოდა, ხშირად ზეპირი, პირადად

პუტინისგან ან მისი თანამემწეებისგან, და დასამუშავებლად გადაეცემოდა სპეციალურ საკონულტაციო საბჭოებსა და აკადემიური ინსტიტუტებს, როგორცაა MGIMO, IMEMO, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები. ამ სისტემის მეშვეობით, ინტელექტუალური წარმოება სახელმწიფო სამსახურის ნაწილი გახდა: მეცნიერებს დაევალებათ უკვე პოლიტიკურად გადაწყვეტილი იდეების დამუშავება, დახვეწა და რაციონალიზაცია. ასეთი „მართული პლურალიზმი“ ინტელექტუალურ დებატების იმიტაციას ბადებდა და ამავდროულად უზრუნველყოფდა დოქტრინულ ერთგვაროვნებას. შედეგად შეიქმნა იდეოლოგიური ბიუროკრატია, სადაც ფილოსოფიური ნარატივები - ევრაზიანელობა, რუსული სამყარო, მრავალპოლარობა, ცივილიზაციური უნიკალურობა, რუსეთის საკრალური მისია - იფილტრებოდა, მტკიცდებოდა და ხელახლა იფუთებოდა ოფიციალურ დოქტრინად.

ინტერვიუში განმეორებადი თემა იყო ბალანსის პრობლემა პრაგმატიზმსა და იდეოლოგიას შორის. რესპონდენტი ამტკიცებდა, რომ თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში პუტინი იდეოლოგიურად მოტივირებულ სტრატეგიულ რეალისტად რჩებოდა, რომელიც ხელმძღვანელობდა რისკის გათვლით და არა მხოლოდ იდეოლოგიური რწმენებით. აგრესია საქართველოსა და უკრაინის აღმოსავლეთში (2015), ასევე ყირიმის ანექსია წარმოადგენდა „გონივრულ რისკებს“, ფრთხილად გაზომილ ნაბიჯებს, რომლებიც შემუშავებული იყო უპირატესობის უზრუნველსაყოფად ეგზისტენციალური დანაკარგების გაწვევის გარეშე. თუმცა, 2022 წელს უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრა ამ სისტემის რღვევის გადამწყვეტი მომენტი იყო. რესპონდენტმა ეს დაახასიათა, როგორც უკანდაუბრუნებლობის წერტილი, როდესაც იდეოლოგიამ პრაგმატულ-სტრატეგიული აზროვნება დაიქვემდებარა. პუტინი „საკუთარი ნარატივების მძევალი გახდა“, - აღნიშნა რესპონდენტმა და გადაწყვეტილება შეადარა ვაბანკისებურ ფსონს, რომელმაც დაანგრია რეჟიმის მოქნილობის უნარი. ეს ცვლილება რუსეთის იდეოლოგიური ლოგიკის ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას ნიშნავს - მოქნილი ინსტრუმენტალობიდან დოგმატურ დამოკიდებულებამდე.

ინტერვიუს ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო მსჯელობა ევრაზიანული იდეოლოგიის სოციალურ რეპროდუქციას ეხება. რესპონდენტი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს ყველაზე წარმატებული მიღწევა არა საგარეო გავლენაში, არამედ შიდა ინდოქტრინაციაში იყო. განათლების, კულტურული პოლიტიკის, მედიისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მეშვეობით, ევრაზიულობისა და ნეოსლავიზმის იდეები ჩაბეჭდილ იქნა სოციალურ ქსოვილში. კრემლის იდეოლოგიური ინფრასტრუქტურა - ბალები, სკოლები, პატრიოტული კლუბები, საეკლესიო ქსელები, სახელმწიფო მედია - ფუნქციონირებს როგორც ცივილიზაციური სოციალიზაციის მექანიზმი. ამ ჩარჩოში გამოზრდილი ახალი თაობებს „სჯერათ, რომ რუსეთს აქვს სულიერი მისია და საზღვრები, რომლებიც არასად მთავრდება“. თაობათაშორისი ინტერნალიზაცია ევრაზიანელობას უფრო გამძლეს ხდის, ვიდრე მის პოლიტიკურ არქიტექტორებს: მაშინაც კი, თუ პუტინის რეჟიმი დაინგრევა, მის მიერ შექმნილი მსოფლმხედველობა კულტურული მემკვიდრეობის სახით შენარჩუნდება.

რესპონდენტის რეფლექსიები ამგვარად ნათელს ჰფენს პუტინის პერიოდის იდეოლოგიური ევოლუციის საბოლოო ეტაპს: პოლიტიკური ტაქტიკიდან სოციალურ მდგომარეობამდე. ევრაზიონიზმი გადაიქცა მსოფლიოში რუსეთის პოზიციის განმსაზღვრელად, რომელიც ამართლებს რუსულ აგრესიებს და ამყარებს მის, როგორც ალყაში მოქცეული ცივილიზაციის, თვითაღქმას. თუმცა რეჟიმისა და იდეოლოგიის ასეთმა სიმბიოზმა გამორიცხა პრაგმატული უკან დახევის შესაძლებლობა. იდეოლოგია საკმარისად ძლიერია სახელმწიფოს გასაერთიანებლად, მაგრამ ძალიან ხისტია ადაპტაციისთვის.

მთლიანობაში ინტერვიუ A3 ავლენს ევრაზიულობის ორმაგ ბუნებას - როგორც რეჟიმის საფუძველს და მისი მოქნილობის შემზღვევას; როგორც დისკურსს, რომელიც თავდაპირველად აძლიერებდა კრემლს, მაგრამ ახლა მას საკუთარი მითოლოგიის მძევლად აქცევს. ინტერვიუ ხაზს უსვამს ამ დისერტაციის ცენტრალურ არგუმენტს: რომ პუტინის დროს ევრაზიონიზმი გავლენის ინსტრუმენტიდან რწმენის

არქიტექტურად განვითარდა, რომლის მეშვეობითაც რუსეთი განმარტავს, ამართლებს და აგრძელებს თავის ქმედებებს საერთაშორისო ასპარეზზე.

**შეჯამების სახით** შეიძლება ითქვას, რომ სამივე ინტერვიუში იკვეთება რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკაში ევრაზიონელობის თანამიმდევრული ევოლუცია რიტორიკიდან ინსტიტუციონალიზებულ იდეოლოგიამდე. პირველმა რესპონდენტმა (A1) ეს პროცესი აღწერა, როგორც ევრაზიული იდეების თანდათანობითი დანერგვა - თავდაპირველად ინსტრუმენტული, მოგვიანებით კი სტრუქტურული. სტრატეგიულ დოკუმენტებში ევრაზიონისრული ლექსიკის (მაგ: მრავალპოლარულობა, რუსული სამყარო და ცივილიზაციური სუვერენიტეტი), თანამიმდევრული და ეტაპობრივი ინტეგრირების ციკლის აღწერით მან წარმოაჩინა სახელმწიფოს მიერ თვითლეგიტიმაციის რიტორიკის იდეოლოგიურ კონსტრუქციად გარდაქმნის პროცესი.

მეორე ინტერვიუმ (A2) ცხადყო, როგორ აისახა ეს ტრანსფორმაცია დიპლომატიურ სამსახურზე და მთელს საგარეო პოლიტიკის განმახორციელებელ ბიუროკრატიაზე. მას შემდეგ, რაც ევრაზიული ენა ოფიციალურ დოკუმენტებში კოდიფიცირდა, ის არა მხოლოდ დაშვებული, არამედ სავალდებულო გახდა - დიპლომატებს აღნიშნული პრაქტიკაში უნდა გამოეყენებინათ. იდეოლოგია აღარ იყო აბსტრაქტული ჩარჩო, იგი პროფესიულ ენაში დამკვიდრდა. მან ასევე აღწერა იდეოლოგიის მზარდი და ნეგატიური ზეგავლენა პრაგმატული პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობასა და კრიზისების მენეჯმენტზე.

მესამე რესპონდენტმა (A3) აღნიშნული პროცესი ხელისუფლების ვერტიკალის პერსპექტივიდან აღწერა - იდეოლოგიური ნარატივების რეპროდუქცირება გადაწყვეტილების მიმღები შიდა ვიწრო წრიდან ქვედა რგოლებსა და სახელმწიფო მოხელეთა მთელ თაობებამდე. აქ ევრაზიულობა არა პროპაგანდად, არამედ მმართველობის კოგნიტურ არქიტექტურად გვევლინება. რესპონდენტმა აღწერა გარემო, სადაც პოლიტიკა იდეოლოგიას მხოლოდ ქმედებების პოსტ-ფაქტუმ

ლეგიტიმაციისთვის კი არ იყენებს, არამედ იდეოლოგია თავად განაპირობებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ინტერვიუმ ასევე გამოავლინა იდეოლოგიის დიფუზიის მექანიზმები: პრეზიდენტის ადმინისტრაცია, როგორც კოორდინაციის უმთავრესი ცენტრი; უსაფრთხოების სამსახურები, საგარეო საქმეთა სამინისტრო და მასთან აფილირებული უწყებები, როგორც აღმსრულებლები და გამავრცელებლები; მედია, კულტურული და საგანმანათლებლო სექტორები, როგორც იდეოლოგიის სამსახურში მყოფი სახალხო დიპლომატიის ნაწილი; ასევე მმართველი გუნდის მიერ კონტროლირებადი კერძო სტრუქტურები, როგორც კონკრეტული აქტივობების სპონსორები, მათ შორის საერთაშორისო არენაზე.

გარდა ამისა, გამოიკვეთა მოსკოვის საპატრიარქოს აქტიური როლი ევრაზიონისტული და რუსოცენტრული იდეოლოგიური ნარატივების კულტივაციასა და გავრცელებაში. ასევე წარმოჩინდა, რომ კონსტიტუციის დონეზე დეკლარირებული სეკულარიზმის მიუხედავად სახელმწიფო-ეკლესიის თანამშრომლობა, მათ შორის საგარეო ასპარეზზე, ინსტიტუციურადაა სინქრონიზირებული და კოორდინირებული, რაც უზრუნველყოფილია ერთობლივი სამუშაო ჯგუფებისა და სახელმწიფო და სასულიერო სტრუქტურების მჭიდრო თანამშრომლობით.

მთლიანობაში კი, ზემოაღწერილი აღწერილი სისტემა უზრუნველყოფს, რომ ევრაზიულობა ერთდროულად ფუნქციონირებს როგორც სტრატეგია, რწმენის სისტემა და ინსტიტუციური ჩვევა.

ერთიანობაში სამივე ინტერვიუს ნარატივები ავლენენ ევრაზიონიზმის აღზევებისა და ინსტრუმენტალიზაციის მკაფიო ტრაექტორიას: ინსტრუმენტული რიტორიკიდან (A1) ბიუროკრატიულ აპარატში ნორმებად დამკვიდრებამდე (A2) და სისტემურ განმტკიცებამდე (A3). ის, რაც თავდაპირველად კონკრეტული გეოპოლიტიკური ქმედებების გამართლებისთვის მოსახერხებელ ენას წარმოადგენდა, რუსეთის სახელმწიფოებრივი იდენტობისა და საგარეო ქმედებების ორგანიზების პრინციპად იქცა. ევრაზიონიზმი რუსეთის საგარეო პოლიტიკის მორალურ-ეთიკურ

სტრუქტურას განსაზღვრავს, რაც განაპირობებს როგორც სახელმწიფოს თვითაღქმას, ასევე მის ინსტიტუტებში განსხვავებული მოსაზრებების და კრიტიკული აზროვნების საზღვრებს.

როგორც პირველმა რესპონდენტმა (A1) აღნიშნა, დღეს იდეოლოგია არა მხოლოდ ქმედებებს, არამედ თავად ძალაუფლების სტრუქტურასაც ამართლებს. ყოფილი დიპლომატის (A2) მონათხრობი კი აჩვენებს, თუ როგორ რეპროდუცირდება ლეგიტიმაციის ნარატივები ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული რუტინის მეშვეობით, ხოლო ყოფილი თანამდებობის პირის (A3) მსჯელობა წარმოაჩენს, რომ საჯარო მოხელეთა პუტინის ეპოქაში გამოზრდილი და პოლიტიზირებული განათლებით არის შთაგონებული, იდეოლოგიურ ნარატივებს ჭეშმარიტებად აღიქვამს.

ინტერვიუები ასახავს, როგორ გარდაქმნის ავტორიტარული სისტემა იდეოლოგიას დარწმუნების ინსტრუმენტიდან მმართველობის მექანიზმად. ევრაზიულობა ახლა რუსეთის მმართველი ელიტისთვის საერთო ეპისტემოლოგიურ სამყაროს წარმოადგენს - ინტერპრეტაციულ ჩარჩოს, რომელიც დასავლეთთან დაპირისპირებას გარდაუვალს, ხოლო კომპრომისს წარმოუდგენელს ხდის. პრაგმატული გათვლები, რაც პუტინის საგარეო პოლიტიკის საყრდენს წარმოადგენდა, დღეს უკვე დოქტრინული რწმენით იცვლება. შედეგად, როგორც რესპოდენტები აღნიშნავენ, იქმნება სახელმწიფო, რომლის სტრატეგიაც სულ უფრო მეტად განისაზღვრება იდეოლოგიური ნარატივით და რომელიც თვითგამოცხადებული საკრალური ცივილიზაციური მისიით მოქმედებს. ამ კონტექსტში ევრაზიონიზმის ინსტიტუციონალიზაცია ხანგრძლივი იდეოლოგიური პროექტის კულმინაციაა, რაც თავად რეჟიმისთვის რისკების მატარებელია, რადგან აქვეითებს მოქნილობას. ის უზრუნველყოფს ლეგიტიმაციას, მაგრამ გამოირიცხავს ადაპტაციას. შესაბამისად ევრაზიონიზმი აღარ არის მხოლოდ იდეოლოგიური მიმდინარეობა, ან დოქტრინა და არც მხოლოდ ინსტრუმენტი, ის უკვე წარმოადგენს სახელმწიფოს კოგნიტურ ჩარჩოს.



## დასკვნა

წარმოდგენილი დისერტაცია მიზნად ისახავდა რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძვლების შესწავლას. ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო ვლადიმერ პუტინის დროს რუსოცენტრული იდეოლოგიების, განსაკუთრებით ევრაზიულობის, აღორძინებასა და ინსტრუმენტალიზაციაზე.

კვლევას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა არ უნდა იქნას დანახული მხოლოდ რეალიზმის თვალთახედვითა და მხოლოდ მატერიალისტური ან სტრუქტურული ანალიზით. ის ასევე უნდა განიხილებოდეს ფუნდამენტურად ჩამოყალიბებული იდეების, იდენტობისა და დისკურსის თვალსაზრისითაც. საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქცივისტული და კრიტიკული მიდგომების საფუძველზე, კვლევამ შეისწავლა, თუ როგორ ფუნქციონირებს იდეოლოგია, როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კოგნიტური რუკა და პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომელიც აყალიბებს რუსეთის თვითაღქმას მსოფლიოში და განაპირობებს ურთიერთობებს სხვა ქვეყნებთან. ამ იდეოლოგიური ლინზით რუსეთის საგარეო პოლიტიკა არა მხოლოდ პრაგმატული არჩევანის თანმიმდევრობად, არამედ ღრმად ფესვგადგმული ცივილიზაციური ნარატივის გამოხატულებად გვევლინება.

წარმოდგენილი ნაშრომი ასახავს რუსოცენტრული იდეოლოგიების ევოლუციას, ასევე იკვლევს, თუ როგორ გააქტიურდა, რეკალიბრირდა ევრაზიონიზმი და რუსოცენტრული იდეოლოგიური ნარატივები პუტინის მმართველობის პერიოდში და როგორ იქნა ინტეგრირებული სახელმწიფოებრივი მმართველობის დისკურსულ ქსოვილში. კვლევის ძირითადი მიზანი არ იყო მხოლოდ იმის დადგენა, აქვს თუ არა გავლენა ევრაზიონიზმს ან სხვა რუსოცენტრულ ხედვებს საგარეო პოლიტიკაზე, არამედ ასევე იმის დადგენაც, თუ როგორ იქცა ეს იდეოლოგიური ჩარჩოები გეოპოლიტიკური ქცევის, იდენტობის კონსტრუქციისა და საერთაშორისო ქმედებების ლეგიტიმაციის ინსტრუმენტებად.

კვლევა ეფუძნებოდა ჰიპოთეზას, რომ რუსოცენტრული იდეოლოგიები - განსაკუთრებით კი ევრაზიონიზმი, გაცილებით მეტია, ვიდრე რუსეთის საგარეო პოლიტიკის მეორადი ფაქტორი, ან რიტორიკული ფასადი. აღნიშნული იდეოლოგიები ფუნქციონირებს, როგორც ფესვგადგმული, სტრუქტურირებული მსოფლმხედველობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს რუსეთის ფედერაციის გრძელვადიან საგარეო-პოლიტიკურ სტრატეგიაზე და, ასევე, წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს გადაწყვეტილების მიმღებთა ხელში.

კვლევამ დაადასტურა წარმოდგენილი ჰიპოთეზა თეორიული, დისკურსიული და ემპირიული ანალიზის მეშვეობით. მრავალფეროვანმა მტკიცებულებებმა ცხადყო, რომ თანამედროვე რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილებაში იდეოლოგია არა ფასადური და მეორადი დანიშნულების მახასიათებელი, არამედ წარმმართველი ძალაა. ევრაზიონიზმმა და მასთან დაკავშირებულმა იდეოლოგიებმა კრემლს შესთავაზეს ის სასურველი თანმიმდევრული ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს რუსეთის ცივილიზაციურ იდენტობას, აყალიბებს მის ისტორიულ მისიას და ლეგიტიმაციას უკეთეს მის ქცევას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. პუტინის მმართველობისას ეს იდეოლოგიური კონსტრუქციები შეგნებულად იქნა მობილიზებული სუვერენიტეტის, ტრადიციონალიზმისა და მულტიპოლარობის იმ ნარატივების შესაქმნელად, რომლებიც ექვექვემ აყენებენ ლიბერალურ მსოფლიო წესრიგს. ამრიგად, კვლევის დასაწყისში გამოყენებული დაშვება/ჰიპოთეზა დადასტურდა: პუტინის პერიოდის საგარეო პოლიტიკაში ევრაზიონიზმის როლი განუზომლად ამაღლდა და დღეს ის ფუნქციონირებს ერთდროულად როგორც ინსპირაცია და სტრატეგიის წარმომქმნელი ინტელექტუალური წყარო, პოლიტიკური ლეგიტიმაციის ინსტრუმენტი და სტრატეგიული კომუნიკაციის მექანიზმი.

დისერტაციას მთავარი კითხვა იყო რა ზეგავლენა აქვს ევრაზიონიზმს და სხვა რუსოცენტრულ იდეოლოგიებს რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკაზე

პუტინის მმართველობის პერიოდში? ეს ცენტრალური კითხვა განხილული იყო სამი ურთიერთდაკავშირებული ქვეკითხვის მეშვეობით, რომლებმაც განაპირობა კვლევის ემპირიული და ანალიტიკური სტრუქტურის განსაზღვრა.

1. როგორია ევრაზიულობის და სხვა რუსოცენტრისტული იდეოლოგიების გეოპოლიტიკური და აქსიოლოგიური ხედვები?
2. როგორ იქნა ეს ხედვები ინტეგრირებული რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიასა და დისკურსში?
3. როგორ გამოიყენება (ინსტრუმენტალიზდება) ეს ნარატივები რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკაში პუტინის მმართველობის პერიოდში?

პირველი ქვეკითხვაზე პასუხად ნაშრომში წარმოდგენილია რუსული ცივილიზაციური აზროვნების ევოლუცია სლავიზმისა და პანსლავიზმიდან თანამედროვე ევრაზიონიზმამდე. ეს ტრადიციები იზიარებს თანმიმდევრულ მსოფლმხედველობას, რომ რუსეთი არის უნიკალური ცივილიზაციური პოლუსი, სულიერად განსხვავებული და მორალურად აღმატებული სეკულარულ დასავლეთზე, რომ მისი ამოცანაა იერარქიული წესრიგის, კოლექტიური ერთიანობისა და კულტურული ავთენტურობის შენარჩუნება. ამ იდეოლოგიების აქსიოლოგიური საფუძვლები ხაზს უსვამს სუვერენიტეტს, მართლმადიდებლობას და ლიბერალური თანამედროვეობისადმი წინააღმდეგობას. კვლევამ აჩვენა, რომ ეს იდეები რეჟიმის ცვლილებების დროსაც კი შენარჩუნდა, რადგან ისინი უწყვეტობისა და მიზნის მდგრად ნარატივს წარმოადგენენ - განსაკუთრებულობის განცდას, რომელიც რუსეთის გეოპოლიტიკური წარმოსახვის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

მეორე ქვეკითხვის საპასუხოდ განხორციელდა საგარეო პოლიტიკის დოქტრინების, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებისა და უმაღლესი თანამდებობის ოფიციალური პირების (პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი და სხვ.) ოფიციალური განცხადებების ანალიზი, რამაც აჩვენა, რომ 2000-იანი წლების

დასაწყისიდან მოყოლებული, ევრაზიონიზმის ენა ღრმად ინტეგრირდა რუსეთის სტრატეგიულ ლექსიკაში. ისეთი ცნებები, როგორცაა „ცივილიზაციური იდენტობა“, „მრავალპოლარობა“, „სუვერენული დემოკრატია“ და „ტრადიციული ღირებულებები“, ინსტიტუციონალიზებული იქნა ოფიციალურ ტექსტებსა და მმართველი პოლიტიკური ელიტის რიტორიკაში. ამ დისკურსებმა რუსეთის როლის თვითგადაფასება გამოიწვია და განაპირობა მისი თვითპოზიციონირება ალტერნატიული მსოფლიო წესრიგის შემოქმედად და მცველად.

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციებსა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებში გეგმაზომიერად და მეთოდურად ძლიერდებოდა ხაზგასმა სულიერი სუვერენიტეტისა და კულტურული ავთენტურობის დაცვაზე. იდეოლოგიის ასეთი ინტეგრაცია სტრატეგიულ დოკუმენტებში აჩვენებს, რომ პუტინის რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქიტექტურაში ევრაზიონიზმი ფუნქციონირებს როგორც სახელმძღვანელო პრინციპი და ასევე ქმედებების ლეგიტიმაციის კონსტრუქცია.

მესამე ქვეკითხვის პასუხად შესწავლილი იქნა ევრაზიონიზმის იდეოლოგიის პრაქტიკაში განხორციელების ყველაზე მასშტაბური შემთხვევები: რუსეთის სამხედრო ინტერვენციები საქართველოში (2008), ყირიმის ანექსია (2014) და სამხედრო ინტერვენცია უკრაინაში (2022), ასევე ევრაზიის ეკონომიკური კავშირის შექმნა. ამ შემთხვევათა ანალიზმა აჩვენა, თუ როგორ გადაიზარდა იდეოლოგიური კონსტრუქტები მოქმედებაში. თითოეულ შემთხვევაში, ევრაზიისტული დისკურსი აგრესიას დაცვად, გაფართოებას - აღდგენად და დომინირებას ისტორიული ბედისწერის აღსრულებად წარმოაჩენდა. „საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების“ დაცვისა და „რუსული სამყაროს“ გადარჩენის რიტორიკა ემსახურებოდა იმ პოლიტიკის გამართლებას, რომელიც უგულვებელყოფდა საერთაშორისო ნორმებს. ამ შემთხვევებში იდეოლოგიური ნარატივები სცდებოდა ad hoc პროპაგანდის ფარგლებს და ასახავდა თანმიმდევრულ იდეოლოგიურ ლოგიკას,

რომელიც არა მხოლოდ ქმნიდა განხორციელებული ქმედებების გასამართლებელ ნარატივებს, არამედ აყალიბებდა მთლიან სტრატეგიას და განაპირობებდა რუსეთის ფედერაციის ქმედებებს საერთაშორისო არენაზე.

ამასთანავე, კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, შემუშავდა კონცეპტუალური ჩარჩო საგარეო პოლიტიკის ანალიზში იდეოლოგიის ადგილის განსასაზღვრად. აღნიშნული აერთიანებდა იდენტობის ფორმირების კონსტრუქტივისტულ მიდგომასა და კრიტიკული გეოპოლიტიკის აქცენტებს დისკურსსა და სივრცულ წარმოსახვაზე. კვლევამ ასევე შეისწავლა რუსოცენტრული იდეოლოგიების ისტორიული ევოლუცია, მათი ინტელექტუალური მემკვიდრეობითობისა და პოსტსაბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ კულტურაში რეკონფიგურაციის ჩათვლით. შემდგომში კვლევამ აჩვენა, თუ როგორ აღზევდა და ინსტრუმენტალიზდა ეს იდეოლოგიები პუტინის ეპოქაში. როგორ ქმნიდა სტრატეგიულ ნარატივებს და როგორ ახდენდა რუსეთის საგარეო პოლიტიკური ქმედებების ლეგიტიმაციას. საბოლოო ამოცანა იყო ამ ჩარჩოს გამოყენება ემპირიულ შემთხვევებში, რითაც შემოწმდა იდეოლოგიის ოპერატიული მნიშვნელობა კონკრეტულ საგარეო პოლიტიკის შედეგებში. ამ ურთიერთდაკავშირებული მიზნების მეშვეობით კვლევამ უზრუნველყო ჰოლისტური ახსნა, თუ როგორ გადადის იდეოლოგია აბსტრაქტული აზროვნებიდან ინსტიტუციურ დოქტრინასა და კონკრეტულ მოქმედებაზე.

განხორციელებული კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ იდეოლოგია რუსეთის საგარეო პოლიტიკაში როგორც ინტელექტუალური ინფრასტრუქტურის, ასევე ინსტრუმენტის ფუნქციას ასრულებს. ევრაზიულობა გახდა ცენტრალური კოგნიტური რუკა, რომლის მეშვეობითაც რუსეთი განსაზღვრავს საკუთარ ადგილს მსოფლიოში, ცივილიზაციური სუვერენიტეტისა და დასავლეთის მიმართ სულიერ-მორალური ოპოზიციონირების ხედვის არტიკულირებით. კვლევამ აჩვენა, რომ იდეოლოგიური ნარატივები ინსტიტუციონალიზებული გახდა სტრატეგიულ

დოქტრინებში და ოპერაციონალიზებულ იქნა პოლიტიკურ პრაქტიკაში. პუტინის მმართველობისას რუსოცენტრული იდეოლოგიები შეგნებულად და მეთოდურად კონსოლიდირდა რეჟიმის ლეგიტიმურობის გასამდიერებლად, საერთაშორისო იდენტობის განსაზღვრისა და საგარეო ქმედებების გასამართლებლად. მთავარი დასკვნა ის არის, რომ რუსეთში იდეოლოგია პერფორმატიულია - ის ქმნის იმ რეალობას, რომელიც მის წარმოსახვაში არსებობს. ქმედებების ისტორიულად გარდაუვალად ან მორალურად აუცილებლად წარმოჩენით კრემლი იდეოლოგიას ლეგიტიმაციისა და მმართველობის აქტიურ ძალად გარდაქმნის.

შეჯამებისთვის, კვლევის ძირითადი მიგნებებია:

1. იდეოლოგია, როგორც მასტრუქტურირებელი ლოგიკა: ევრაზიონიზმი ქმნის კოგნიტურ და ნორმატიულ ჩარჩოს, რომლითაც რუსული პოლიტიკური ელიტა განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს, საფრთხეებსა და შესაძლებლობებს, ხოლო მთლიანობაში კი განაპირობებს რუსეთის თვითაღქმას მისი განსაკუთრებული მისიის და უნიკალური ცივილიზაციის შესახებ.

2. რუსოცენტრული აზროვნების უწყვეტობა: სლავიზმიდან და პანსლავიზმიდან თანამედროვე ევრაზიონიზმამდე არსებობს თანმიმდევრული იდეოლოგიური ხაზი, რომელიც ხაზს უსვამს რუსეთის გამორჩეულობასა და სულიერ მისიას.

3. იდეოლოგიური დისკურსის ინსტიტუციონალიზაცია: ევრაზიონისტული იდეები, როგორცაა მრავალპოლარობა, სუვერენული დემოკრატია და ცივილიზაციური იდენტობა, 2000-იანი წლების დასაწყისიდან არის ჩადებული რუსეთის ოფიციალურ დოქტრინებში, სტრატეგიულ კონცეფციებსა და პოლიტიკური ელიტის რიტორიკაში.

4. სტრატეგიული ინსტრუმენტალიზაცია პუტინის პერიოდში: პუტინის რეჟიმმა შეგნებულად გამოიყენა ეს იდეოლოგიური კონსტრუქტები შიდა

ლეგიტიმურობის გასამყარებლად და საგარეო პოლიტიკის აგრესიული ნაბიჯების გასამართლებლად, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში.

5. იდეოლოგია, როგორც ლეგიტიმაციის ინსტრუმენტი: ცივილიზაციური რიტორიკა გამოიყენება უხეში ძალის პოლიტიკის მორალიზაციისა და საგარეო ინტერვენციების თავდაცვით, აღდგენით და ისტორიულად სამართლიან ქმედებად წარმოსაჩენად.

6. ლიბერალური საერთაშორისო წესრიგისადმი წინააღმდეგობა: ევრაზიონისტული მსოფლმხედველობა დასავლური უნივერსალიზმის ალტერნატივის შექმნას ცდილობს და ნორმატიულ პრინციპებად მულტიპოლარობას, კულტურულ რელატივიზმს და ცივილიზაციური სუვერენიტეტის დაცვას მიიჩნევს.

7. იდეოლოგია, როგორც პერფორმირებული ძალა: იდეოლოგიური ნარატივები არა მხოლოდ ამართლებს, არამედ აყალიბებს საგარეო პოლიტიკურ ქცევას, განაპირობებს დისკურსის პოლიტიკურ პრაქტიკად გარდაქმნას და თვითგანმტკიცებადი მსოფლმხედველობის შექმნას.

8. რეგიონული ინტეგრაციის ცივილიზაციური ჩარჩო: ევრაზიის ეკონომიკური კავშირის შექმნა ასახავს რუსეთის ცივილიზაციური პროექტის მატერიალურ ინსტიტუციონალიზაციას და იდეოლოგიური მისწრაფებების გეოპოლიტიკურ არქიტექტურად გარდაქმნის მცდელობას.

მთლიანობაში ეს მიგნებები ადასტურებს დისერტაციის ცენტრალურ არგუმენტს, რომ ევრაზიონიზმი და მასთან დაკავშირებული რუსოცენტრული იდეოლოგიები თანამედროვე რუსეთის საგარეო პოლიტიკის როგორც მორალურ ლექსიკონს, ასევე სტრატეგიულ სტუქტურას განსაზღვრავენ. ისინი აყალიბებენ კრემლის მიერ მსოფლიო წესრიგის აღქმას, ამართლებენ მის ამბიციებს და ამყარებენ მის წინააღმდეგობას ლიბერალური საერთაშორისო სისტემის მიმართ.

ზემოაღნიშნული ახალ შესაძლებლობას აჩენს შემდგომი კვლევებისთვის, რომლებმაც შეიძლება შეისწავლოს, თუ როგორ ხდება ევრაზიული ნარატივების ინტერნალიზაცია რუსეთის საზოგადოების მიერ და გავრცელება განათლების, კულტურისა და მედიის მეშვეობით. შედარებითი კვლევები კარგი საშუალებაა სხვა პოსტიმპერიულ ან ავტორიტარულ ქვეყნებში ცივილიზაციური იდეოლოგიის მსგავს კონტექსტში გამოყენების შესასწავლად. ასევე საინტერესოა რუსული იდეოლოგიური ნარატივების საერთაშორისო გავრცელება - როგორი რეზონანსი აქვს ევრაზიულ ან ანტილიბერალურ დისკურსებს მსოფლიოს ანტილიბერალურ პოლიტიკურ მოძრაობებში. ასეთი კვლევები გააფართოვებს ამ კვლევის თეორიულ შედეგებს და გააღრმავებს იდეოლოგიის როლის გაგებას გლობალური ნორმატიული წესრიგის რეფორმირებაში.

საბოლოო ჯამში კი წინამდებარე ნაშრომი წარმოაჩენს, რომ ოცდამეერთე საუკუნეში რუსეთის საგარეო პოლიტიკა არ შეიძლება გაგებულ იქნას მისი იდეოლოგიური სუბსტრატის გარეშე. იდეოლოგია კვლავაც ძლიერ ძალად რჩება საერთაშორისო ურთიერთობებში. სამყაროში, რომელიც სულ უფრო მეტად ხასიათდება ნორმატიული ფრაგმენტაციითა და წინააღმდეგობით. რუსეთის ფედერაციის მაგალითი ასახავს, თუ როგორ ქმნიან სახელმწიფოები ალტერნატიულ მორალურ წესრიგს იდეების სტრატეგიული მობილიზაციის გზით. ევრაზიონიზმი, როგორც ამ კვლევამ აჩვენა, არ არის მხოლოდ იმპერიული ნოსტალგიის გამოძახილი. ეს არის ცოცხალი ჩარჩო, რომელიც ხელახლა განსაზღვრავს ლეგიტიმურობის, ძალაუფლებისა და კუთვნილების ტერმინებს გლობალურ პოლიტიკაში. ასეთი იდეაციური არქიტექტურების გაგება აუცილებელია როგორც მეცნიერებისთვის, ასევე პოლიტიკის შემქმნელებისთვის, რადგან ოცდამეერთე საუკუნეში მსოფლიო წესრიგისთვის ბრძოლა ეხება არამხოლოდ ძალაუფლებას, არამედ შინაარსს, რომლითაც საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების მომავალი არქიტექტურა უნდა აშენდეს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბადრიძე გიორგი, რუსეთის საგარეო პოლიტიკის მამოძრავებელი ფაქტორები, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2021
2. ბადრიძე გიორგი, რუსეთის იმპერიული იდეოლოგიები, რა ამოძრავებს ავტორიტარულ მმართველობას დააგრესიულ საგარეო პოლიტიკას? <https://gfsis.org.ge/files/my-world/26/1.pdf>
3. დავითაშვილი ზურაბ, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა: დაპირისპირების მიზეზები, ჩემი სამყარო, ჟურნალი ახალგაზრდებისთვის # 8, 2015
4. მაცაბერიძე მალხაზ, რუსული ევრაზიელობის გეოპოლიტიკური კონცეფცია; თბილისი, 2019
5. მირაქიშვილი ვასილ, რუსეთის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძვლები, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის აზიური კვლევების ჟურნალი; 2024
6. ფანჩულიძე ე., „რბილი ძალა რუსულად“, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, გამოცემა #5, 2017.
7. შარაშენიძე თორნიკე, საქართველოს ადგილი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2016
8. შტეფან მაისტერი, ოთარ კობახიძე, ანდრეი მაკარიჩევი და ალექსანდრე იაციკი „საქართველო-რუსეთის ურთიერთობები“ 2024.
9. Anderson, P. (1974). *Lineages of the Absolutist State*. Verso.
10. Ambrosio, T. (2009). *Authoritarian backlash: Russian resistance to democratization in the former Soviet Union*. Aldershot: Ashgate.
11. AP News. 2019. “Cyber-Attacks on the Ecumenical Patriarchate.” <https://apnews.com/article/9583855e13de2e3661e8f46e3661e03a> (შესვლის თარიღი: 26.09.2025)
12. Appeal to International Organisations. 24 March 2014.

13. Artemyeva, T. V. (2022). The social background of the Enlightenment in Russia in a comparative perspective. *Zeitschrift für Slawistik*, 67(1), 5–19. <https://doi.org/10.1515/slav-2022-0005> (შესვლის თარიღი: 26.10.2025)
14. Balicki, Andrzej. *A History of Russian Thought: from Enlightenment to Marxism* [ / Andrzej Balicki. – Oxford, 1980.
15. Balkan Insight. 2020. “Russian-Backed Bishop Joins Montenegro Church Protests.” <https://balkaninsight.com/2020/02/26/russian-backed-bishop-joins-montenegro-church-protests/> (შესვლის თარიღი: 30.09.2025)
16. Bassin, M. (2012). Eurasianism and geopolitics in post-Soviet Russia. *Eurasian Geography and Economics*, 53(1), 76–95.
17. Bazavluk, S. V. (2020). Евразийцы о роли православия и церкви в национально-государственном развитии России. *Вестник Российского университета дружбы народов. Серия: История России*, 19(1)
18. Bordachev, T. (2020). *Strategic regionalism and Greater Eurasia*. Moscow: Valdai Discussion Club.
19. Bureau of Arms Control, Verification and Compliance. (2000, January). *Russia’s National Security Concept* [English translation]. Arms Control Association.
20. Carnegie Endowment. 2019. “Russia’s Game in the Balkans.” <https://carnegieendowment.org/research/2019/02/russias-game-in-the-balkans?lang=en> (შესვლის თარიღი: 26.10.2025)
21. Carnegie Moscow Center. 2016. “Commentary on Putin’s Visit to Mount Athos.” <https://carnegie.ru/commentary/2016/06/06/putin-and-greeks-limits-of-orthodox-diplomacy/j1dy>(შესვლის თარიღი: 26.10.2025)
22. Carnegie Moscow Center. 2019. “Spoiler in the Balkans: Russia and the Final Resolution of the Kosovo Conflict.” <https://carnegie.ru/2019/11/26/spoiler-in-balkans-russia-and-final-resolution-of-kosovo-conflict-pub-80429>(შესვლის თარიღი: 26.10.2025)
23. Center for Euro-Atlantic Studies (CEAS). 2016. “Širom zatvorenih očiju.” <https://www.scribd.com/document/368350302/CEAS-Studija-Sirom-Zatvorenih-Ociju-Jacanje-Ruske-Meke-Moci-u-Srbiji>(შესვლის თარიღი: 26.10.2025)
24. Center for Research of Orthodox Monarchism. <https://monarhija.org/starisajt/idtg-crom.html>(შესვლის თარიღი: 26.10.2025)
25. Civil.ge. 2019. <https://civil.ge/archives/date/2019/01/08>(შესვლის თარიღი: 26.10.2025)
26. Clover, C. (2016). *Black wind, white snow: The rise of Russia’s new nationalism*. New Haven, CT: Yale University Press.
27. Concept of the foreign policy of the Russian Federation. (2000, June 28). *The Foreign Policy Concept of the Russian Federation* [English translation]. BITS/EURA. <https://www.bits.de/EURA/russia052800.pdf> (შესვლის თარიღი 27.10.2025)
28. Constitution of the Russian Federation. 2020.

29. Conversazioni con Stalin, Milano, 1962, 8vo tutta tela con sovraccopertina, a col. pp. 214. Seller Inventory # 4-6591.
30. Coppieters, B. (2012). The EU and Georgia: Time perspectives in conflict resolution. Paris: EUISS.
31. Current Time. 2019. <https://en.currenttime.tv/a/turmoil-in-the-orthodox-world/29803174.html> (შესვლის თარიღი: 26.10.2025)
32. Delcour, L. (2015). Between the Eastern Partnership and the Eurasian Economic Union: Competing policy frameworks in the post-Soviet space. European Policy Centre Issue Paper, 1–9. <https://www.epc.eu/en/publications/> (შესვლის თარიღი 27.10.2025)
33. Delcour, L., & Dassen, A. (2011). Georgia and the European Union: From cooperation to integration? *Eurasian Geography and Economics*, 52(5), 732–752.
34. Dodds, K. (2007). *Geopolitics: A very short introduction*. Oxford University Press.
35. Dragneva, R. (2018). *The Eurasian Economic Union: Integration without liberalisation*. London: Routledge.
36. Dragneva, R., & Wolczuk, K. (2017). The Eurasian Economic Union: Deals, rules and the exercise of power. Chatham House Research Paper, May 2017, 309–324. <https://doi.org/10.1080/09668136.2017.1419169> (შესვლის თარიღი 27.10.2025)
37. Dugin, A. (2012). *The Fourth Political Theory* (M. Sleboda & M. Lane, Trans.). Arktos Media.
38. Eberhardt P., Rosyjski euroazjatyzm i jego konsekwencje polityczne, „Przegląd geograficzny” № 77, 2, 2005.
39. Ekathimerini. 2016. “Greece and Russia: Cooperation for Peace and Prosperity.” <https://www.ekathimerini.com/opinion/208991/greece-and-russia-cooperation-for-peace-and-prosperity/> (შესვლის თარიღი: 26.10.2025)
40. Encyclopedia.com. 2025. “Near Abroad.” (შესვლის თარიღი: 26.10.2025)
41. Eurasian Development Bank. (2019). Annual report 2019: Integration and investment in the EAEU. Moscow: EDB.
42. Eurasian Economic Union. (2014, May 29). Treaty on the Eurasian Economic Union [Договор о Евразийском экономическом союзе]. Astana: Eurasian Economic Commission. [https://docs.eaeunion.org/docs/en-us/0143624/itia\\_05062014](https://docs.eaeunion.org/docs/en-us/0143624/itia_05062014) (შესვლის თარიღი 27.10.2025)
43. Fagan, G. H. (2022). *Russian Orthodoxy and International Relations: Faith, Power and Identity*. MDPI.
44. Freire, M. R., & Simão, L. (2015). The Eurasian Economic Union: Integrating diversity. *European Politics and Society*, 16(1), 28–44. <https://doi.org/10.1080/23745118.2014.1002520> (შესვლის თარიღი 27.10.2025)
